

114
1950

ბერძენი
ბიბლიოთეკა

მნათობი

12

დოკუმენტი



1950

გნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური - მხარდარული
და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ჟურნალი

საბართველოს საზოგადოებრივ მხარდარების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეხუთედი

137279
4815

12

★

მეცამეტედი



საბართველოს
საზოგადოებრივ
მხარდარების
კავშირი



პირისპირ

რომანი

წიგნი მეოთხე



დილით ადრე გამოეღვიძა კორნელის. მის სასთუმალთან სკამზე ხის ჯამი იდგა ქარვისფერი ყურძხითა და შაქარივით ტბილი თეთრი ლეღვით. ხილს ლეღვის ფოთლები ეხურა. ხილით სავსე ასეოივე ჯამი მიზას სასთუმალთანაც იდგა. ეს აგოიას მოტანილი იქნებოდა, გაიფიქრა კორნელიმ და ქარვისფერი, ცივი და დაცვარული მტევანი აიღო. მერე ლეღვის ფოთოლით ხელი გაიწოინდა, ფარდა გადასწია და ფანჯარაში გაახედა. ყველაფერი მზით იყო განათებული. ეზოს, ცაცხესა და ხეებს, ეზოს იქით მიმდგარ მუხიან ტყეს, იმერეთის მწვანე და თვალწარმტაცი მთების კალთებსა და შორეულ ქედებს მზის სხივები ეფრქვია და ისინი მკვეთრად ახატულიყვნენ მუქ-ლურჯ ცის ტატნობზე. ხეებს ქვეშ მწვანე მოლზე ფარდავივით დაფეხილიყო მუქი ჩრდილები. სინათლე და ჩრდილები მკვეთრად განირჩეოდა ერთმანეთისაგან. ცაცხვის ძირას ძროხა და ხბო ბალახს სძოვდა და ბატები დასეირნობდნენ. იქვე მამალი ინდაურები გამოსულიყვნენ, უხილავ ჯავრის გამო აპილპილებულიყვნენ, სისხლა თავში ავარდნოდან, ხორთუმი და ბიბილო გალურჯებოდან, ჩინჩახვი ვაკბეროდან და გაფაფრულნი დაშვებულ ფრთებს მიწაზე ფარივით მიახახუნებდნენ, თითქოს უხილავ მტერს ჩხუბში იწვევენო. უსაფუძვლოდ გავულისებულ ამ ამპარტავან ფრინვე-

ლებს ძარღვები ერთთავად მოშლოდათ და ისე აღზნებულიყვნენ, რომ ოდნავ შეძახილს, შესტვენასა და ხმაურსაც კი ვერ იტახდნენ, გულზე სკდებოდნენ და მაშინ კიდევ უფრო იბერებოდნენ. მათი ეს უსაფუძვლო და სასაცილო გაგულისება მოსწონდათ აგოიასა და მეზობლის ბავშვებს და ისინი კიდევ უფრო აბრაზებდნენ მათ შეძახილითა და სტვენით. კორნელიმ დიდხანს უცქირა ცაცხვის ქვეშ მოსეირნე, გაფაფრულ მამალ ინდაურებს და მერე ისევ მშვენიერ არემარეს მოავლო თვალი: „მხატვარი თუ ხარ, აილე ფუნჯი, საღებავში ამოაწე და ეს მშვენიერი ბუნება დახატე, გაიფიქრა მან. — დღევანდელ ჩვენს ფერწერაში, რეალისტი მხატვრების ნაცვლად, იმპრესიონისტები და კუბისტები მომრავლდნენ. პლატონ მოგველაქე და მისი მეგობარი რაფაელ ახლედნიანი კი ფიროსმანის პრიმიტივს შედეგრად ასაღებენ. მართალია, ფიროსმანის სურათებს მომაჯადოებელი ინტიმოზა და პირველყოფილი კაცის შეურყენელი სისათუთის, სინაზისა და ბავშვური გულუბრყვილობის ბეჭედი აზის, მაგრამ მათი შედეგრებად გამოცხადება, შეცდომად მიმანია. მიხა, და განა მარტო მიხა, გამოგონებულ, სინამდვილეში არარსებულ, ფანტასტიკურ მცენარეებს, ფრინველებს, ცხოველებსა,

და ადამიანებს ხატავს. ხატვის უცოდინარობას ორიგინალობად ასაღებენ. სპარსულ მინიატურასა და ქართულ ფრესკებს ვბაძავთო, ივეენიან და გაუგებრობამდე კი მიდიან. განა, არა სჯობს ყველაზე დიდ მხატვარს — ბუნებას მიჰბაძონ?!”

კორნელიმ ფარდა დაუშვა და მიხას გადახედა. მხატვარი ღრმა ძილში იყო და ხერხინავდა.

ცოტა ხნის შემდეგ კორნელი ადგა, ჩუსტებში ფეხები შესდგა, შარვალი ჩაიცვა და პერანგის ამარა უკანა კიბით ეზოში ჩავიდა.

სახლის უკან, ვეება მსხლის ძირას, დაბალ და გრძელ სკამზე, ფიქრში წასული ტერეზა იჯდა და კრიალოსანს მარცვლავდა. ეს მსხალი განთქმული იყო ოდესღაც თავისი ტკბილი და წვნიანი ნაყოფით, ახლა კი უნაყოფო ხედ ქვეულოყო, სიბერე შეპარვოდა, აქა-იქ ტოტებზე მიზრდილი მუქთამუქმელი — ფითრი მოსდებოდა, ჩრდილოეთის მხრით ტანზე ხავსი მოკიდებოდა და თეთრი სოკოები გასჩენოდა ხორცმეტყვით. ამ ხის ღდეები დათვლილც იყო.

კორნელი სამზარეულოს უკან გავიდა. სამზარეულოში მაიკო ფუსფუსებდა და კვლავ ხაჭაპურებს აცხობდა. აგოიას კი ქალაში გაერეკა საქონელი.

კორნელი დედასთან მივიდა და მის გვერდით დაჯდა. ფიქრში წასული და შავებში უცნაურად მორთული ტერეზა მგლოვიარე ქირისუფალივით იჯდა მსხლის ქვეშ, ეზოში. დიდიხანია რაც კორნელს არ უნახავს იგი ამ ძველებურ, გრძელ შავ კაბაში, შავ აბრეშუმის კოფთაში, რომლის გულისპირიცა და გრძელი სახელოც შავივე მაქმნით იყო მორთული. ძვლის ჩხირებით გამაგრებულ მაღალ საყელოსაც შავი მაქმანი ჰქონდა გარშემოვლებული. ნიკაბს მიბჯენილი შავი კოფთის მაღალი საყელო უცნაურად აჩენდა გამხდარი და ქალარაქალის პუდრშეფრქვეულ, გაფითრე-

ბულ სახეს. შეთხელებული ქალართმის ნახვევი სავარცხლით დაემაგრებინა ტერეზას კეფაზე. ოქროს შანიაკი, ძვირფასთვლებიანი ბეჭდები და საყურე გაეკეთებინა. იგი ძვირფასი ტანისამოსით, სამკაულით მორთულ-მოკაზმულიყო. ფეხებზე შავი ლაიკის ტუფლები ჩაეცვა.

კორნელი გაოცებით მიშტერებოდა მღუმარე და ფიქრში წასულ დედას. მას ძველი სკივრიდან ამოღებული ნაფთალინმორქვეული, ძველებური ტანისამოსის სუნი ეცა და დედას უთხრა:

— დიდი ხანია ამგვარად ჩაცმული და მოკაზმული არ მინახავხარ, დედაჩემო. ალბათ, ვიღაც დიდ, წარჩინებულ და პატივსაცემ სტუმარს მოელი?!

— არავის არ მოველი, შვილო, მაგრამ დახეულ-დაგლეჯილი რისთვის უნდა ვეჩვენო მიხა მაჭავარიანს? იცოდეს, რა ოჯახის შვილი ხარ, — მიუვო დედამ.

— ასეთი საზეიმო დახვედრის ღირსი არ არის მიხა მაჭავარიანი.

— როგორ? იგი კულტურული კაცი ჩანს. თანაც მხატვარი და მომღერალი ყოფილა. მისი თვალი ყველაფერს შეამჩნევს... არ მინდა მაყაშვილებს ჩეჭე რამე ცუდი უთხრას.

— რაც სათქმელი იყო, უკვე უთხრა. ახლა გვიანლა.

— როგორ?

— მას პირზე არაფერი არ ამაგრდება.

— ენატანია?

— ჰო, იგი ბუდიდან ამოვარდნილი და გალოთებული, ერთი ვინმე ბედოვლათი, უნებისყოფო და შმიშარა კაცია. უზნეო, ავადმყოფი...

— რა სჭირს?

— ცუდი ზნე სჭირს: კლებტომანია. მეშინია არ გაიღვიძოს უჩემოდ და სასტუმროში რაიმე არ ააცოცოს და ჩაიჯიბოს.



— საცოდავი. როგორი განათლებული, კულტურული და წესიერი კაცი ჩანს!

— ჩანს მხოლოდ. სხვას კი არა, მშობლებსაც პარავს ფულსა და ნივთებს. მიკვირს, რად დაჰყუა ეგ ზნე! მამამისი წესიერი, ხაზინის მოხელე, ერთი ვინმე წარჩინებული პირია, დედა კი კეთილი, გულმართალი, ღვთისნიერი რუსი ქალი.

— მაშ, რად მოათრევედი კარისმე-რეთში ჭურდსა და უზნეო კაცს?

— რა ვუყო? ამეკიდა და არ მეშეგბა... მეგობრობას მეფიცება. ბევრჯერ კი მილაღატა.

— მართალი ვითხრა, ძალიან მიკვირს შენი ლაპარაკი. მან გუშინ ჩემზე ისეთი ღრმა და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იგი შენს გულითად მეგობრად ჩავთვალე. ძმადნაფიცო მეგონა. შენ კი რას ამბობ?

— საქმეც ეგ არის, მას შეუძლია იყოს ვისიმე მეგობარი, უყვარდეს კიდევ იგი და ამავე ღროს უღალატონ მას.

ტერეზამ კრიალოსნის მარცვლა მიატოვა, მობრუნდა, წარბი ასწია, შეიღწკვიანი და წყლიანი თვალები შეანათა და ჰკითხა:

— რა ბოროტება ჩაიდინა მან შენს წინაშე?

— ეს ძალიან შორის წაგვიყვანს. მოკლედ გეტყვი. მე უტყუარი საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ იგი ცუდად მახასიათებს მე ცოლთან და ნინოსთან. ათას რამეს იგონებს ჩემს დასამციკრებლად. საიდუმლოს არ იხაზავს და ჩემს მიერ ჩადენილ უმნიშვნელო უსაქციელობას ან შეცდომას დიდად აზვიადებს და ისე აჩენს.

— რა ანგარიშია მისთვის?

— იგი შურიანი კაცია. გარდა ამისა, ცოლს არ უყვარს, ცოლი დასცინის და მონასავით მბრძანებლობს.

— რა ცუდი ქალი ყოფილა ელო.

— ელო ისტერიით დააქედებული ქალია.

— მიკვირს.

— ზომ იცი, თავადთა შორის ბევრია დეგენერატი. ელო ხან გაეყრება და ხახაც შეეყრება ქმარს. როდესაც მიხას უთანხმოება მოსდის ცოლთან და საქმე გაყრაზე მიდგება, მამინ იგი ცდილობს ნინოსაც შეაძულოს ჩემი თავი და ჩემსა და ნინოს შორის უთანხმოება ჩამოაგდოს.

— ავი, ამასწინათ გკითხე: მისთვის რა ანგარიშია?

— მაყაშვილები თუ წუნს მდებენ და მაიძულებენ განვშორდე ელოს, დაე, ჩემი მეგობარიც ჩემ ბედქვეშ იყოს. ორივემ მივატოვოთ ელო და ნინო! თუ მე არ ვიქნები მაყაშვილთა სიძე, დაე, ჩემი მეგობარიც ნუ იქნებაო, ფიქრობს. ასე უხდის იგი ელოსა და მაყაშვილებს სამაგვიროს შეურაცხყოფისათვის.

— რა უცნაური კაცი ყოფილა. ასეთ კაცთან მეგობრობას არ გირჩევ, შვილო. რა დავიდარაბაში ყოფილხარ, შე საცოდავო! — უთხრა ტერეზამ შეიღწკვიანს. ისევ კრიალოსნის მარცვლას მოჰყუა და მერე დინჯად და კაეშნით დაიწყო:

— ყველაფერი რიგზე არ ყოფილა შენსა და ნინოს შორის. მე გუშინაც ვიგრძენი ეს. არ მომეწონა შენი თქმა: რა ვიცი, ნინოს ციება, თუ ეშმაკი შეეყარაო. საყვარელ ქალზე ასე არ ამბობენ. იქნებ არც კი არის ავად და კარისმერეთში წამოსვლა არ ისურვა, რადგან შენზე არის უკმაყოფილო. მაგრამ შენსა და ნინოს შორის განხეთქილება რომ მომხდარიყო, განა მიხა კარისმერეთში წამოგყვებოდა?

— არაფერი მომხდარა ისეთი, — მიუღო კორნელიმ.

ამ ღროს უკანა აივანზე მიხა გამოვიდა და ტერეზას დიდის ამბით მიესალმა. ტერეზამ დილამშვიდობისა უსურვა და შეიღწკვიანს ჩუმად უთხრა:

— წადი, სტუმარს მიხედ. ჩვენსა
თუ დაპატივე, მასპინძლობაც უნდა გა-
უწიო.

5

ტერეზამ აივანზე გაშალა სუფრა.
მიხას და კორნელის ჩაით, მურაბით,
რძითა და ხაჭაპურებით გაუმას-
პინძლდა.

შნის ამოსვლამდე სამუშაოდ გასულ
იონას, ცოტა წაძინებაც მოესწრო, სა-
მუშაო ტანისამოსი გამოეცვალა და,
ახლა ისე, როგორც გუშინ, სუფთად
ჩაქმული ავიდა აივანზე და მიხასა და
კორნელის მიესალმა. მას ძალიან სია-
მოვნებდა მწერლისა და მხატვრის ჩა-
მოსვლა და მათთან საუბარი.

ტერეზა დინჯად და დარბაისლურად
იჯდა სუფრის თავში, უმასპინძლებო-
და და რუსულად ესაუბრებოდა. მან
კარგი და უნაკლო რუსული იცოდა.
მაგრამ იგი ისეთი წვრილმანი ამბების
გარშემო საუბრობდა, რომ იონას
სწყეინდა. იონას საყვარელი თემა ხე-
ლოვნება, ფილოსოფია და პოლიტიკა
იყო.

აივანიდან შშვენიერი ხედი იშლებო-
და: სამხრეთით—მთაშუბანისა და რკი-
ნის ჯერის უღელტეხილისაყენ, ჩრდი-
ლოეთით—რაჭა-ლეჩხუმისა და სვანე-
თის მთებისაყენ. თეთნულდისა და უშ-
ბას მწვერვალები ნათლად ჩანდა. მხა-
ტვარი ალტაცებული გასცქეროდა
თოვლით მარად დაფარულ მთებს.

— ზედაზენში, ტერეზას ძმის —
ოტიას სახლის აივანიდან უფრო წარმ-
ტაცი ხედი იშლება, — უთხრა იონამ
მიხას.

— ეგ ბუნების სასწაულია. დიდი შა-
სალაა მხატვრისათვის, — ჩუმი და იღუ-
მალი ხმით წარმოსთქვა მიხამ.

— მოდი, დაბატე ჩვენი საყვარელი
მთაშუბანი, — შეუკვეთა იონამ.

— აჰ, საცა არ გაიხედავ, ყველგან
წარმტაცი სურათია. მე კიდევ ჩამოვალ

კარისმერეთში და მაშინ დავხატავ შე-
ბანსა და სხვა ბევრ სურათსაც, — გაა-
ხარა მხატვარმა იონა; მერე ლამაზად
მოსევადებული ვერცხლის კოვზი აიღო.
პენსნე გაისწორა და ხანგრძლივად და-
აქწერდა ტერეზამ გაიფიქრა: დედის
ხაშხითევი ეს იშვიათი კოვზები არ მომ-
პაროს ამ შეჩვენებულმაო!

საუზმის ბოლოს ქალიდან დაბრუნე-
ბულმა აგოიამ ყურძენი და ლელვი მო-
იტანა. კორნელიმ უთხრა:

— აგოია, მოდი, ბიჭო, სათევზაოდ
წავიდეთ.

ალტაცებული ბიჭი მაშინვე დათან-
ხმდა.

— ბადე რა დღეშია?

— ჯერ კიდევ გვემსახურება.

— მაშ, წადი, გამართე.

ტერეზამ კორნელი გაიხმო და უთხ-
რა:

— დღეს სტუმრები გვეყოლება და
ხუ დაიგვიანებთ, ადრე დაბრუნდით.

კორნელიმ ძველი შარვალი და ხალ-
თი ჩაიცვა და მერე ყველანი — იონა,
მრხა, კორნელი, აგოია და „მახარაც“
მდინარისაყენ გაემურნენ. ეზოში იუ-
ლო დურგლის მიერ გაკეთებულ ორ-
ძელს რომ ჩაუარეს, კორნელიმ ვერ
მოითმინა, ზედ შეხტა, გაქანდა, და ყი-
რა გააკეთა. შარვალდაკარწახებულმა
აგოიამ სასროლი ბადე და კასრი მიწაზე
დააგდო და ისიც ორძელზე შეტოტყდა.
აიმართა, გაქანდა და მანაც ყირა გააკე-
თა, მაგრამ შიშველი ფეხები სასაცი-
ლოდ გაჩაჩხა, მისი უქამრო ხალათი
დაეშვა, თავზე გადაეფარა და ყურძენ-
ლეღვით გაბერილი და მზეზე გატრუ-
სული ჭიბ-მუცელი გამოუჩნდა.

— შეხედე, ამ ქინკას, კუმ ფეხი გა-
მოჰყო, მეც ნახირ-ნახირო! — დაძახა
იონამ. აგოია კი უხეიროდ ჩამოხტა
ორძელიდან, კორნელის შეხედა და სი-
ცილი მორთო.

— ყოჩაღ, ბიჭო, — შეაქო კორნე-
ლიმ და თავში ჩააფარა.

შეთევზებმა მინდორი გადაიარეს,

მთიდან კლდეთა შორის ჩქარ და გრიალით ჩამოძვალ მდინარეს მიადგნენ და აღმა ხეობისაკენ აპყვნენ. მზე საგრძნობლად აქერდა და თევზაობის დრო უკვე გასული იყო, მაგრამ შორს, მთაში წვიმა მოსულიყო და კალმახთა სიმრავლით ცნობილი მდინარე ამღვრეული მოდიოდა.

კორნელიმ ტანისამოსი გაიხადა. ტრუსებისამარამ ცივ მდინარეში ფეხი შესდგა, წყალი თავსა და კუნთთაგარ ტანზე გადაივლო, მერე ტყვიებასხმული მძიმე ბადე აიღო, დათოკა, ბოლოები ხელზე გადაიწყო. ცალი პირით დაიჭირა, მხარზე მოივლო და ჩქერებში შევიდა. ტალღა მაგრად სცემდა ფეხებში, აქცევდა და წყალში სვლას უძნელებდა. შარვალდაკარწახებულმა აგოიამ ტირიფებს წნელები შეატეხა და კასრით ხელში მიჰყვა კორნელის. იონა და მიხა კი თევზაობის საცქერლად ნაპირნაპირ მიდიოდა.

კორნელი ნაპირთან, ხეებით დაჩრდილულ შორეეს მიადგა. ბადე მოიქნია და წყალში გადააგდო. ბადე მთლად გაიშალა, კარგად დაჰფარა წყლის ზედაპირი და ჩაიძირა. მერე გადაბრუნებული ძაბრით გაშლილი ბადე მეთევზემ ფრთხილად ამოზიდა, წყლიდან ამოიღო და ნაპირზე დააგდო. ბადეში ხუთი კალმახი ფართხალობდა. მიხა სიხარულისაგან შეხტა, ტამისცემას, ხეიხინს მოჰყვა და ყვირილი მორთო:

— ეა, რამდენი თევზი ამოჰყვა ბადეს! კალმახები, კალმახები!

მანარას გაუყვირდა და შეუყეფა. იონამ დატუქსა. აგოია კი ქორით დაეცა თავზე აფართხალებულ თევზებს, დაიჭირა, ბადიდან ამოიღო, ლაყუნებში ტირიფის წნელი გაუყარა, ზედ ჩამოაგო და წითლად დაწინწყლული, მოლურჯო სადაფისფერი კალმახები წყლიან კასრებში ჩაჰყარა. იგი ახლა არც იცინოდა და არც იღიმებოდა, დინჯად მუშაობდა და საქმიანი კაცის სახით კორნელის ისევ ჩქერე-

ბისაკენ გაჰყვა. თევზაობამ კორნელის თავიდანვე გაუმართლა. წყალში ბადე არც ერთხელ ისე არ გადაუვლიდა, ^{ორთ} ან სამი კალმახი მაინც არ ამოჰყოლოდეს. შიგადაშიგ მურწა, ფიჩხული და ბოლოწითელაც ამოჰყვა ბადეს. კასრი თითქმის აივსო. ბოლოს კორნელის მოსწყინდა თევზაობა. ტყვიებასხმული მძიმე ბადის თრეეთა და წყალში მისი გადასროლით დაიღალა კიდევ, იგი გასაჯათებული ამოვიდა წყლიდან და ჩრდილში, ხავსიან ლოდზე ჩამოჯდა.

ბადის სასროლ ადგილთა ძებნაში მეთევზენი შორს აპყოლოდნენ მდინარეს. ორი კილომეტრით მაინც იქნებოდნენ მოშორებული სოფელს. ამ ხნის განმავლობაში იონა და მიხა საესებით დამეგობრებულიყვნენ. იონა მშობლიური კუთხის ლამაზ ადგილთა დასაბატავად ისევ კარისმერეთში ჩამოსვლას სთხოვდა მიხას, მიხა კი თბილისში ებატეებოდა: ოპერის თეატრის დეკორატორი ვარ და პარტერში, რამდენიც გინდა, იმდენ უფასო ბილეთს გიშოვითო, ჰპირდებოდა. კულტურულ ცენტრს მოწყვეტილ, სოფელში გამუდმებით მცხოვრებ ინტელიგენტს სიამოვნებდა მხატვრის მიერ თბილისში მიპატიეება, ის კი არ იცოდა, მხატვარი რომ ჯიბეგაცვეთილი იყო, სხვის ჯიბეს მისჩერებოდა, ანკესს ისროდა და სხვის ხარჯზე ცხოვრება უყვარდა.

მიხა ბანაობის გუნებაზე მოვიდა. მანაც გაიხადა ტანისამოსი, კარგი საცურავი ადგილი მოძებნა და, კორნელთან ერთად, წყალში გადაეშვა. ორთავენი კარგად ცურავდნენ. შორს წასულ აგოიას კი ბადე მოეგდო მხარზე და ახლა ის განაგრძობდა თევზაობას, თუმცა ბადეს ძლივს ერეოდა და იჭაქებოდა.

კორნელი და მიხა წყლიდან ამოვიდნენ, სილიანში გაგორდნენ და ამოიგანგლნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გადაეშენენ მდინარეში. იონა ღიმილით უცქეროდა მათ ცურვას, ყვინთვას,

ერთმანეთთან გაუიბრებას. მიხა ისე გათამამდა, რომ სილიან ნაპირზე წყლიდან ამოსულ კორნელის დაეტაკა და ქიდაობაში გამოიწვია. მიხა ღონიერი კაცი იყო, მაღალი და ძვალმსხვილი. ზორბა ტანი ჰქონდა, მთლიანად ჩამოსხმული ისე, ვით რუსებს, მაგრამ მხრებში მოხრილი და ოდნავ კუზიანი. კორნელი კი წელში წერილი, ხოლო ბეჭებგანიერი და მკერდმაღალი იყო. გაყარჯიშებული და მაგარი კუნთები რელიეფურად უსხდნენ გამართულ ტანზე. მიხამ ხელი წაავლო კისერში და ძალუძად შეარყია. კორნელიმ მარჯვენა ხელი ჩასჭიდა მარცხენა ხელის მაჯაში, მარცხენა კი კალქივით ამოსდო ილიაში, სწრაფად მოზიდა, მიხა შეაბრუნა, ზურგში მოექცა, ასწია და მიწაზე დადო. წამოიჭრა, ბეცი, უსათვალო ბრახიანი თვალები დააცეცა კორნელის ეცა. ახლა მარჯვენა ხელის მაჯაში ჩასჭიდა მარცხენა ხელი კორნელიმ, ზურგით შებრუნდა, დაჭერილ ხელს ტანის მთელი სიმძიმით დააწვა და მიწაზე დაეშვა, მიხა გადააყუა და კორნელიმ ქვეშ ამოიღო. ახლა უფრო გაცხარდა მიხა, მოულოდნელად შეუვარდა წელში კორნელის, მაგრამ კორნელიმ ფეხი გაიდგა, ხელისგულებით მიაწვა ნიკაპზე და წელზედ შემოხვეული ხელების სალტე გააწყვეტინა. შებრუნდა, ზურგით მოექცა, კისერში წაავლო ხელები, წამოიკიდა, წამოიღო და ამოღენა კაცი უმოწყალოდ დააგდო სილაზე. ახლა კი დაცხრა მიხა. აგოიას თევზაობა მიეტოვებინა და აღტაცებით შესსკეროდა ქიდაობას. იონას შერცხვა, სტუმარს ასე გამეტებით რომ აგორავებდა კორნელი, და შესძახა:

— გეყოფათ, კორნელი, რიყეზე ქიდაობა ვინ ვაიგონა, რამეს იტყენო.

— ეგ ხერხით მგობნის და არა ღონით,— უთხრა გაფითრებულმა და სველ სილაში ამოგანგლულმა მიხამ იონას. მერე კორნელის მიუბრუნდა და მძლეონსობაში გამოიწვია:

— აბა, მოდი, ეს ლოდები ავწიოთ.

მიხამ ლოდი შეარჩია, აიღო და თავისუფლად ასწია. კორნელის კი გაუჭირდა. ბოლოს ყველაზე დიდი ლოდი შეარჩია მიხამ, მკერდამდე მიიტანა დიდის გაჯირვებით, მაგრამ მაინც ასწია. მაგარი და მიწაზე ბოძებით დადგმული ფეხები აუძიგვიდნენ. მიხა წელში გაიდრია, უხვად ჩასუნთქული ჰაერის გამო მკერდი და მოშეიღძული ნეკნები ამოეზიდა, მოკლე ცხვირის გამოღადრული ხესტოები რიყეზე გამოვდებული თევზის ლაყუჩებით უთრთოდა. სახე სისხლით დაებურა, კისრის ძარღვები დაეჭიმა და, ვეება ლოდის სიმძიმით გატანჯულს, შებლზე ოფლმა გამოეკონა.

კორნელიმ მკერდამდეც ვერ მიიტანა ის ლოდი. იონამ მიხა შეაქო:

მერკულესი ყოფილხარო, თანაც შეშურდა მისი ღონე, ხოლო კორნელის — ხერხი და სიმარდე.

კორნელიმ და მიხამ ჩაიცივეს და აგოიასაყენ წავიდნენ, იონაც თან გაჰყვა: როდესაც იონამ კალმახებით საესე კასრში ჩაიხედა, კმარა თევზაობაო, დაიძახა.

ამ დროს აგოიამ ბადე მოიჭნა და მორეეში გადატყორცნა. იგი ვეება ლოდზე შედგა და ბადე იქითყენ დაითრია. უცბად კორნელიმ ბადეში გახვეული, საშიხლად აფართხალებული და მზის შუქზე სადაფისფრად მოელვარე, ორი შტაკველის სიგრძე თევზი დაინახა. გაოცდა და აგოიას გასძახა: დაიცა, არ გაგექცესო. დაჯდა და ფეხზე გახდა დაიწყო, მაგრამ აგოიამ თევზს თავში და ლაყუჩებში წაავლო ხელი და ლაყებში ამოიღო. თევზი სწრაფად და მძლავრად იქნედა ტანს, შიშველ მუხლებზე ნიჩხისავით სცემდა ბოლოს აგოიას და თავგანწირვით იბრძოდა. ბოლოს ძალა გამოეღია, აგოიამ მთელის ძალით მოიჭნა და ნაპირზე ისროლა... კიდევ დიდხანს ხტოდა და ებრძოდა სიკვდილს რიყის ქვებზე ნაცემ-ნაბეგვი და გასის-

ხლიანებული ბოლოწითელა, მაგრამ კორხელიმ დაიჭირა, ტირიფის დიდი წნელი გაუყარა ლაყუჩებში, წყალში ამოავლო, სისხლი და ტალახი ჩამორეცხა და მალა ასწია. გამოცოცხლებულმა თევზმა ერთხელ კიდევ მოიქნია მძლავრად ბოლო და მერე, ტირიფის წნელზე ლაყუჩებით ჩამოკიდებული, მთელის ტახით დაიკლავდა და აცახცახდა. მიხა ძეკრთა და განზე გახტა.

— რა სიმარდე, სილაღე, სიცოცხლის წყურვილი და ძალა არის შთანერგვილი ბუნების მიერ შექმნილ ამ პატარა არსებაში!—გაკვირვებით უთხრა კორნელიმ იონას და მიხას.

კაქილას ნათლოზაზე

1

ნასადილევს, საღამო ეამს, ტერეზა, იონა, კორნელი და მიხა ზედაზნისაკენ გაემგზავრნენ. ტერეზა კამეჩებშებმულ ურემზე იჯდა. ურემი ისევ დიმიტრი ხედეღლიძეს მიჰყავდა. კორნელი და მიხა რიგრიგობით ჯდებოდნენ ტერეზას ცხენზე — ხაბარდულაზე. იონამ კი ქვეითად სიარული არჩია. ორი აღმართი და მდინარე რომ გაიარეს, დაამდა კიდევ. ბოლოს ბნელეთის აღმართი გალიეს და მთის კალთაზე გაშენებულ და შესერშემოვლებულ ვენახს, ოცია მდივნის მამულს — „ნამინდერალს“ მიაღწენ.

ნამინდერალს დიდი ფართობი ეკავა. მსხმოიარე ვაზები: კრახუნა, ცოლიკაური, ციქა და საფერავი რიგრიგობით მისდევდნენ ერთმანეთს. კორნელის გულმა ვერ გაუძლო, ღობეს სარები ამოჰკლიჯა და ის და მიხა ვენახში შევიდნენ. მთვარეს გალუული ღრუბლები ფარავდნენ, ამიტომ არემარე მაინც საკმაოდ იყო მისგან განათებული და მწიფე ყურძნის გამორჩევა კაცს არ გაუჭირდებოდა. კორნელიმ ვაზის ფოთ-

ლები გადასწია და შეკრულსა, მკერვიესა და დაცვარულ მტევნებს ხელში შეავლო. სიაბე იგრძნო, თითქოს წაყოფიერი დედამიწა, ვაზებზე მოსხმული მტევნების სახით, ტკბილსა და სანუკვარ თავის ძუძუებს სთავაზობსო. კორნელიმ და მიხამ ბალიდან აკიდობი გამოიტანეს, ტერეზას და იონას მიაწოდეს. კორნელიმ სარები თავის ადგილზე ჩაარკო.

მგზავრები ოცია მდივნის ქიშკარს მიაღწენ. ძაღლებმა ყეფა ატეხეს. მალლობზე წამომდგარი ორსართულიანი და ფართო აივანიანი აგურის სახლი გაჩირალდებული იყო. ოციას მოურავი, ბეგლარ სანიკიძე, სათიბში ჩავიდა მალლობზე გადადგა და დაიძახა: „რომელი ხარ მანდ?“ იონამ უპასუხა: „ყაჩაღები ვართ, ქიშკარი ვაგვიღე, მალე“. ბაბომ ფანჯარაში გაპყო თავი, სტუმრის ხმა იცნო და იყვირა: „უიმე, ეს, ნამდვილად, შეჩვენებული იონა არის“. აივანზე გაიჭრა და მალალი კიბით ეზოში ჩავიდა.

ბეგლარმა ქიშკარი გააღო და სტუმრები ურმითა და ცხენით სათიბში შევიდნენ. ქალებმა—ბაბომ, ელენემ, კატომ და მამომ წივილიკვილი ატეხეს, სათიბში დაეშენნ და ტერეზას და კორნელის მოეხვიენენ. მერე მამაკაცები — დათა მიქელაძე, სტეფანე და ტერეზას მახლი — დიმიტრი მიესალმნენ სტუმრებს. ბაბო მულს ეუბნებოდა:

— ტერეზა, გენაცვალე, ამ შულამით რამ ამოგიყვანათ ზედაზნში? აღრე ვერ წამოდით კარისმერეთიდან?

— ხომ იცი, იონას ამბავი? მწერალი და მხატვარი ზელთ იგდო და, სანამ ლაპარაკით გული არ იჯერა, კარისმერეთიდან ვერ გამოეტია და დაგვაგვიანა, — მიუგო ტერეზამ.

— ნინო სად არის, ბიჭო? — ჰკითხა ბაბომ კორნელის.

— ავად არის, ვერ წამოვიდა. — მიუგო მან.

— უი, საცოდავი! რა მოუვიდა? იმას ენაცვალოს ბიკოლა. — შეწყუბებულის ხმით წამოიძახა ბაბომ და ახლა მხატვარს, მიხა მჭავარიანს მიუბრუნდა: — ნინო რომ კარგად ყოფილიყო და წამოსვლა შესძლებოდა, ალბათ თქვენი მეთულე, ქალბატონი ელოც წამოჰყვებოდა! დიდად დამწყვეტა გული ნინოს და ელოს მოუსვლელივით. მაგრამ თქვენ რომ გვიკადრეთ და ამ მთაში მოვარდნილ სოფელში ჩამობრძანდით ეგეც დიდი საჩუქარია ჩვენთვის, ჩემო ბატონო.

მიხას გაუკვირდა, ჩემი ცოლის სახელი საიდან იცის კორნელის ბიკოლაში. ალბათ, კარგა ხანია, რაც კორნელის ნათესავები ნინოს თავის რძლად სთვლიანო. ახლა უფრო მიხვდა რა უხერხულ მდგომარეობაშიც იყო მისი მეგობარა, ნინოსთან ჩხუბს რომ მაღავედა ნათესავებში და ნინოს ჩამოუსვლელივით მას ავადმყოფობას აბრალებდა. მიხას მოეწონა ბაბო, მისი ვაჟკაცური აღნაგობა, ლამაზი სახე და დიდი ბრიალა თვალები, თუმცა შვილოსნობის შემდეგ, სოფლური იერი მეტად დასტყობოდა ბაბოს. იგი ახლა შედიოდა ნამდვილ მწიფობაში, სხეული სისხლითა და ხორციით ქარბად ავსებოდა. მისი მეთულე ოტია კი არსად ჩანდა.

ოტიას ფეხები დასივებოდა, დათრობა უკვე მოესწრო. ძლივს წამოდგა სასადილო ოთახში გაშლილი სუფრიდან და აივანზე ყავარჯენით გამოვიდა. იგი საგრძნობლად დაბერებულიყო. სვანური ნაბდის ქუდი დაეხურა. ღილაკსნილ შავი სატინის გრძელ ხალათზე ნაცრისფერი ჩოხა მოესხა, შარვალი წინდებში ჩაეტანებინა და ყურებიანი წულუბი ჩაეცვა. ქაღარა თმა და წვერულვაში აქაური ვაჭრის, ცხენით მოარულ მეწვრილმანე აბრამასავით გაუპარსავი და გაბურძნული ჰქონდა. მარცხენა მხარეს, უკბილობის გამო, ბაგე და უღვაშიც ჩაეარდნოდა. სიბერეს თავისი გამანადგურებელი მუშა-

ობა დაეწყო და წინათ წარმოსადგე და ახოვან კაცს სწრაფედ ამხინჯებდა. ღვინის სმას მაინც არ ეშვებოდა ოტია. უზომოდ გაზრდილ ღიაზე ახალუბი და ჩოხა არ წვდებოდა, ვერ ჰგუობდა და ამიტომ ღილებგახსნილი ეცვა, დასივებული ფეხები ვერც წყალტუბოს და ზეკარის აბანოებში განუკურნა და ვერც სოფლის წამალმა — შეთარას, ოშოშიას და ყურწყუმელის ნახარში მოურჩინა. დიდი ხანია რაც წულა-მესტებს არ იცვამდა, დასივებულ ფეხებს გასაპნა და პუდრი ვერ შეელოდა და ვიწრო მესტები არ ჩაუდიოდა.

აივანზე ყავარჯენით გამოსულმა ოტიამ სათიბს გადახედა და ეზოში მდგარ მოსამსახურე ქალებს — სალომეს, ეპრაქსიას და ბიჭებს — ერმილეს და დათუას გადასძახა:

— რა ამბავია, ბოშო? არ მეტყვი, ვინ ჩამოვიდა?

— ქალბატონი ტერეზა, კორნელი და იონა, — მიუგო სალომემ.

— რომელი, ბოშო? ჩემი საყვარელი დაია და ჩემი საყვარელი დისწული?

— დიახ, ბატონო.

— უი, საყვარელო, — გააბა ოტიამ და გულუბრყვილო ბავშვსავით აუციმიცინდა მოცისფრო თვალები. ზურგს უკან ბაღლის ტირილი შემოესმა. გამდელს მისი რვა თვის შვილი — პატარა კაკილა აეტატებინა და საძინებელი ოთახიდან აივანზე გამოსულიყო. ოტია გაბრაზდა და უყვირა:

— გაგიყდი, ბოშო! რამ გამოგასულელა ამხელა ქალი? სად მოაპროწიალებ ამ ნამძინარეე თოთო ბავშვს? ცა გამეხსნა, ღმერთმა მისმინა. შვილი მაღირსა და გინდა ახლა გამიცივო და დამდუპო? შეიყვანე ახლავე ოთახში — მერე ბავშვს დაუყვავა: — ალა, ალა, ნუ იტრიებ, ჩემო სულო, ჩემო გულო, ჩემო ტკბილო კაკილა!

გამდელი — ოცდაათი წლის ღამაში სოფლელი ქალი სონა თოფნაკრავივით შეეარდა ოთახში.

კაკილა დაიბადა ქუთაისში, ოლდენ-ბურგის ქუჩაზე, გუბერნატორის სასახლის გვერდით, მდივნების მიერ გაშენებულ სახლში, ახალ წელს ღამით, რასაც დიდ მნიშვნელობას აწერდნენ ოტია და ბაბო.

საძინებელ ოთახში, ბებია-ქალის გვერდით მოფუსფუსე ტერეზა სასტუმროში გაიჭრა და ნათესავეებითა და მოკეთებით გარს შემორტყმულ და ბავშვის დამადების მოლოდინში დამწუხრებულ და შეშფოთებულ ძმას — ოტიას ეცა. მოეხვია, გადაკოცნა და მიათხა: „ბიჭი შეგეძინა, ოტია, ბიჭო!“ გახარებული ოტია, მისი ძმა ელიზბარი, ბაბოს ძმა დათა ყოფიანი და ოტიას მოურავი ბეგლარ სანიკიძე აივანზე გავიდნენ და ზოგმა ნაგანი და ზოგმაც „სმარტი“ იშიშვლა და დასცალა. ფეხის ხმას აყოლილმა, ჩოხიანმა მზარეულმა, ოტიას მამის მონათლულმა მოხუცმა, ირაკლი წულეისკირმაც თავისი იარაღები გამოიტანა, საწერლის გამო ფრჩხილწაცლილი და ძვალმოკვნიტილი, თავკომბალა საჩვენებელი თითი სასხლეტს გამოსდო და დამბაჩა ზარბაზანივით დააქუხა. იგი ობლობაში გაზრდილი კაცი იყო, დიდხანს მსახურობდა მდივნებთან მოჯამაგირედ და მერე მზარეულად. ახლა კი თავისი საკუთარი სამიკიტრო ვაგხსნა ქუთაისში. მზარეული ირაკლი წულეისკირი საწერლით მოკვნიტილ საჩვენებელ თითს ბავშვებსაც და, მათთან ერთად, კორნელისაც თავში სცემდა კომბალივით. ბავშვებს არ სწყენდათ, იცინოდნენ, ერთობოდნენ, და, ჩოხაში გამოწყობილი, მოცისფროთვალეებიანი და მუდამ მზიარული მზარეულიც ქირქილებდა და დიაცავით წვრილი ხმით ეისკისებდა. ირაკლი წულეისკირის სიცილს მდივნები „ქირქილს“ ეძახდნენ. ირაკლი ქალების მუსუსი, არშრეცი კაცი იყო. ოტიას და ტერეზას მოსამსახუ-

რე ქალებს, მათ შორის ოტიას შვილის — კაკილას გამდელ ღამეებს ქალს სონა ოდილაეაძეს არ ეშვებოდა და აცივდებოდა. ბაბო უწყრებოდა, კაკილას გამდელს მოეშვი, თორემ მოგვლაყო.

გარეთ თოვდა და ნისლიანი, ბნელი ღამე იდგა. ნაგანით სმიტითა და დამბაჩით ატეხილმა სროლამ რიონის გაღმა გამოღმა გაშენებული ქალაქის მყუდროება დაარღვია, ხალხი ააფორიაქა და შეაშფოთა, მაგრამ მალე მდივნების შეზობლებმა და მახლობელ უბანში მცხოვრებლებმა შეიტყვეს: ოტიას ვაჟი შეეძინა და მდივნებმა მისი დაბადება ქვეყანას ამცნესო.

ვაჟის შექმნით გახარებულ ოტიას საბაბი მიეცა: ვახშამი გამართა, უზომოდ ბევრი ღვინო შესვა და დათვრა. „აწითუ მოვეკვდები, ანასუნ ჩემს საქმეს“, — იძახდა და მალე სკამზე ჩამოეძინა. იგი მოურავმა ბეგლარმა და მზარეულმა ირაკლი წულეისკირმა აიყვანეს და საწოლზე მკვდარივით დაასვენეს. ბეგლარმა წულა-მესტი, პაჭიშვიტი, ჩოხა ახალუხი გახადა და საბანი გადაახურა. მსუქანი, ვეება და ღვინის სმისაგან რუმბივით გასივებული ოტია ქშინავდა. ხორინავდა, უსტვენდა და ოთახს აყრუებდა.

ბეგლარი უკანა აივანზე გავიდა, ბნელ კუთხეში დადა და სვეტს ობლად მიეყრდნო. იგი მწარე ფიქრებში წაიღო. ბატონის ცოლის — ბაბოს მიერ შობილი კაკილა მისი შვილი იყო. წვრილი ცოლ-შვილით დატვირთული და შეშფოთებული მოურავი ახლადშობილი ბაბოს ბიძისა და თავის მდგომარეობის შესახებ ფიქრობდა. მას თავი მოსწონდა, ბატონის ღამაზ ცოლს მისგან რომ შეეძინა ვაჟი. ეს გარემოება პატივმოყვარეობის გრძნობას ნერგავდა მის გულში და ახარებდა. საიდუმლოების გამოღავენებისა ეშინოდა მხოლოდ, სწულხდა: „ვაი თუ ოტიას ნათესავეებმა გაიგონ ბაბოსთან ჩემი კავშირი და შე-

რი ცხოვრობდა. მათს ყოველ სიტყვას და საქციელს აკვირდებოდა და სწონიდა. ამ შიშმა, განუწყვეტელმა დაკვირვებამ და ყურადღების დაქაბვამ დაქანცა. იგი ნადირის გეშით ზვერავედა და აკვირდებოდა ოტიას ნათესაებს და განსაკუთრებით კი — ტერეზას შვილებს, ხოლო ყველაზე მეტად — კორნელის, ამ ყოვლის მცოდნეს, „ემშაკს“, „ტურას“ და „თვლით გამპობ ადამიანს“. მოუარავი მხოლოდ კორნელის ვერ უსწორებდა თვალს და იბნეოდა. ცუდია, ვისაც სინდისი აწუხებს. მან არ იცოდა მაშინ, რომ სულ მალე ბაბოს მეორე და მესამე შვილიც შეეძინებოდა მისგან და, ოტიას გარდაცვალების შემდეგ, იგი ორწყება ოჯახის პატრონი და მამა გახდებოდა და ამ ორწყება ოჯახის შენახვა და მისთვის ზრუნვა წელში გაწყვეტდა. ოტიას გარდაცვალების შემდეგ, არეულობისა და შიშშილიანობის ეპოს, ბეგლარი ქუთაისიდან ათრევედა ფუფუნებას შეჩვეულ ბაბოსა და მისი შვილებისათვის ტანისამოსს, ფეხსაცმელს, თეთრ პურს, შაქარს, კარაქსა და სხვა სურსათ-სანოვავებს. ზმირად უნახავთ იგი ფეხშიშველი და დაკარწახებული, ქარსა და ბუჭში, წყალდიდობის დროს უბორნო ყვირილაში შესული, გატენილი ხურჯინისა და ტომრის ტვირთქვეშ წელში მოხრილი. დაქიმულე ძარღვები ყელზე თოკვით ასხდნენ და თვლები აჯამეთის მშვიერი მგელივით უღლავდნენ. ყვირილაზე გასული და ტვირთის ქვეშ კუზიანივით წელში მოხრილი კაცი საცოდავად მიაბიჯებდა ბნელეთის აღმართზე, აყალო მიწით შეთითხნილი წულებითა და პაქივებით. ცხენი და ხარ-კამეჩიც არ შეარჩინეს ოტიას და ზედაზენსა და ქუთისის შორის ასე ქვეითად დადიოდა ბეგლარი. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „გაჭირვება მიჩვენებ და, გაქცევას გიჩვენებო“. ბაბო დიდი მოთხოვნილების ქალი იყო და სრულიად არ იცოდებდა ყოფილ მოურავს, წვრილი ცოლ-შვი-

ლით დატვირთულ კაცს. ჯავჯავა ცხენით არბენიხებდა ქალაქსა და სოფელს შორის. რა იცოდა ბეგლარმა, ბაბოსთან გატარებული ის ტკბილი დღეები თუ ასე ჩამწარდებოდა!

3.

ოტიამ და ბაბომ ტერეზას დაუჯერეს და სტუმრებს მსუბუქი ვახშმით გაუმასპინძლდნენ იმ იმედით, რომ ხვალ ჩინებული სადილს გამართავდნენ.

ქალები კაბინეტსა და უკახა ოთახში მოასვენეს, ხოლო მამაკაცები — სასტუმროში.

ტერეზამ, ელენემ და ბაბომ ლაპარაკით იჯერეს გული.

— გახსოვს, ტერეზა, აჯანყებული გლეხები თავს რომ დაგვესხნენ და აჯვანფორიაქეს, სწორედ იმ ღამეს არ გაგიცხადე ჩემი ორსულობა? — უტიფრად დაიწყო ბაბომ და გადინხარხარა.

— მართლა ცა გაეხსნა საცოდავ ჩემ ძმას და, სიბერის დროს, ღმერთმა შეილი აჩუქა, — მიუგო ტერეზამ. ალაპმა უწყის, იცოდა თუ არა ტერეზამ, ვინ აჩუქა ოტიას ნამდვილად შვილი?

ორი დღის შემდეგ, კვირას, ოტია და ბაბო კაცილას მონათვლას აპირებდნენ და ამ დღისათვის დიდი მზადება ჰქონდათ. ბეგლარი წუხელ ისევ წასულიყო წაბლარას ხეში კალმახის დასაქურად. დიდდა დარეჯანის ყოფილი მოჯამაგირე ცნობილი მზარეული ოტიას ხნის კაცი, ირაკლი წულეისკირი ეხმობ ქუთაისიდან. მოპატივეების ბარათები და ეგზავნათ ზემო-იმერეთსა და ქუთაისში მცხოვრებ ნათესაებისათვის: მდივნების, წერეთლების, აბაშიძეების, ყიფიანის, ჩხეიძეებისა და გოცირიძეებისათვის.

შაბათს და კვირას, კაცილას ნათლობაზე მოპატივებულმა სტუმრებმა დილიდანვე იწყეს ურმით, ცხენითა და ეტლით ჩამოსვლა. ნათლობაზე ცოლ-შვილით ჩამოვიდა ოტიას ძმა-ელიზა-

რიც — ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივანი, ჭალარაშერთული, გრძელწვერა კაცი, ოქროსფერი სამხრეებითა და ნიშებით მორთული მუნდირით. ელიზბარს ჩამოჰყვენენ მისი ცოლისძმები საჩხერის თავადები — არჩილ და სვიმონ წერეთლები, ამათაც ჭალარაშერთული წვერ-ულვაში ჰქონდათ, თეთრძასრებიანი, იმერული შავი ჩოხები ეცვათ და ხმლები, სატევრები და რევოლვერები ეკიდათ. ეს ჩასუქებული და ახოვანი თავადები ქეიფის ღზინისა და არსიყობისათვის იყვნენ დაბადებული. ამ დღეს ჩამოვიდნენ აგრეთვე: ბაბოს ძმა — კარისმერთისა და სოფელ სარკოიას გლეხების ჯალათი — ოფიცერი დათა ყიფიანი, რომელსაც თან მოჰყვენენ მისი ძველი მეგობრები — სანდრო წულუკიძე და კოწია ჩხეიძე, ამათ გარდა ოტიას და ბაბოს ესტუმრნენ: ნოდარ ყიფიანი, მერე — ბარათაშვილები, მდივნები, თეთრი ჩოხით გაწყობილი თეთრწვერა მოხუცი განთქმული მომღერალი — ქაიხოსრო აბულაძე, რომელსაც გულზე რუსეთთურქეთის ომში მიღებული გიორგის ჯვრები ეკიდა. იგი ოტიას ეჯიბრებოდა სიმღერაში. ესტუმრნენ აგრეთვე ვეკილი მაჰავარიანი, ეკიმი ჯაფარიძე, აგრონომი საყვარელიძე და სხვები.

სადილის წიხ, მასპინძლები და სტუმრები წმინდა გიორგის ეკლესიაზე წავიდნენ და ოტიას და ბაბოს შვილი — კაკილა ელენემ, დათა მიქელაძემ, სვიმონ წერეთელმა და მისმა მეუღლემ ლამაზმა ქალმა ოლღამ მონათლეს. ოტიას მამისა და დედის — არჩილისა და დარეჯანის საფლავზე საკურთხი მოეტანათ. ცხვარი და ხბო დაეკლათ. ეკლესიიდან გამოსულმა, მდიდრულად ჩაცმულმა და ძვირფასი სამკაულებით — ბეჭდებითა და საყურით, ოქროს სამაჯურითა და მანიაკით მორთულმა ბაბომ კაკილა ხელში აიყვანა, ოტიასთან ერთად მამათილის არჩილისა და დედამთი-

ლის — დარეჯანის საფლავთან მივიდა და ჩასძახა:

— გიზაროდეს თქვენ, ბატონო არჩილ და ტკბილო დედუა დარეჯან, რამეთუ ასრულდა ნატვრა თქვენი: უშვილოდ არ გარდავლენილიყო საფიცარი ძე თქვენი ოტია... მოგვხედენ სასუფეველსა შინა მყოფნო და დალოცეთ საყვარელი ძე ჩვენი და სანატრელი შვილიშვილი თქვენი — კაკილა.

ტერეზა, ელენე და ოტია აქვათინდნენ. ოტიას ძმის, ელიზბარის ცოლმა, ოთხი შვილის დედამ — წერეთლის მზეთუნახავმა ქალმა მარიამმა გაიღიმა და ქმარს წასჩურჩულა:

— გესმის, ელიზბარ? ამ სინდისისაგან გარეცხილს შუბლის ძარღვი ნამდვილად გაწყვეტილი აქვს, თითქოს არ ვიცოდეთ, რომ ეს საცოდავი კაკილა არა ოტიას, არამედ მისი მოურავის ბეგლარის გაკეთებულია.

— გაჩუმდი, რა დროს მაგის ლაპარაკია, — დატუქსა ქმარმა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, ცოლის ნათქვამი ზომ არავის გაუგონიათ. მაგრამ ამ საიდუმლოებამ, მარიამის წყალობით, კარგა ხანია, ქალთა წრე შემოიარა და ახლა იგი მამაკაცთა წრეშიც იწყებდა გაფონვას.

ას კაცზე ნაგვარადღევი სუფრა ეზოში, ვეება კაკლის ხის ქვეშ იყო გაშლილი.

სადილის წინ, აივნიდან ბაბომ ბნელეთის აღმართზე ამომავალი ცხენოსნები და ორი ეტლი დაინახა. ეტლში საბატო სტუმრები ისხდნენ: ერთში — ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი დათა ოტიას-ძე ნიქარაძე და გურიის თავადი კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავი, რომელსაც ყველგან კოწია ერისთავს ეძახდნენ; მეორეში — პოლკოვნიკი გიორგი ქორჭაშვილი და ქერა, ახოვანი ლამაზი გურული თავადი — რაფიელ შარაშიძე. შეეტლევების გვერდით კოფოზე მათი მცველები ისხდნენ. დათა ნიქარაძე და გიორგი ქორჭაშვილი ტერეზას მეუღლის ეკიმ გიორგი მზეიძის მეგობრები იყვნენ, ხოლო კო-

წია ერისთავი და რაფიელ შარაშიძე — გურიაში გათხოვილი ტერუხას დის თამარისა, რომელიც, ავადმყოფობის გამო, კაკილას ნათლობაზე ვერ ჩამოსულყო.

ეტლებს კარისმერეთის მილიციის უფროსი აქვსენტი ლორთქიფანიძე მოუძღოდა, საპატიო სტუმრებს ჩოხებით გამოწყობილი მისი ცხენოსანი მილიციელები შემორტყმოდნენ და იცავდნენ. ეტლებში მსხდომნი, რაფიელ შარაშიძის გარდა, ყველანი ქუთაისის მაზრის იმ დეპუტაციის წევრები იყვნენ, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავზე, თავადახაურობისათვის აღმოჩენილი წყალობის გამო, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე მადლობის მისაღებად პეტერბურგს ჩაეიდა. ამ დეპუტაციაში, სამხრებითა და ორდენებით მორთული, ჩოხით გამოწყობილი დათა ნიკარაძისა (ქუთაისის მაზრის თავად-ახაურობის წინამძღოლის), კოწია ერისთავისა და ეჭიმის — პოლკოვნიკ ქორჭაშვილის გარდა, შედიოდნენ აგრეთვე სამოქალაქო ტანისამოსით გამოწყობილი, უნივერსიტეტის ნიშნითა და ორდენებით მორთული ეჭიმი სამსონ თოფურია (ქუთაისის ქალაქის თავი საზოგადო მოღვაწე), თავადი ს. წერეთელი, ნ. წერეთელი და ს. ერისთავი.

ბნელეთის ციცაბო აღმართზე, ოღროჩლოდრო გზებით სვლა ეტლებს გაუჭირდათ და შიგ მსხდომთათვისაც სახიფათო შეიქნა. ისინი ეტლებიდან ჩამოვიდნენ და ზედაზნისაკენ ქვეითად გ-ქმართნენ. მდივნები სათიბის ჭიმქარში გავიდნენ და გზაზე მიეგებნენ.

4

კაკილას ნათლობისათვის გამართულმა ნადიმმა ერთ კვირას გასტანა. ბევრი ხბო, გოჭი, ინდაური, ქათამი და

კალმახი შეიკამა და ბევრი ღვინოც დაილია. დიდი მხიარულებანი იყო. შაგრამ ახრებულმა და პირუთვნელმა იონა ჩხეიძემ სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულ თავადებსა და ახნაურებს ლხინა ჩაამწარა. იონას თავიდანვე აღრენილ გუნებაზე მყოფი კორნელი მიეშველა და უსიამოვნება მან დააბოლოვა. ჯერ იყო და, მხატვარ მიხა მაჭავარიანს აუტეხა კორნელიმ ჩხუბი... ოტია მდივანი და მისი სტუმრები კი ღვინის სმის ემზზე იყვნენ და ქეიფით ჭერი ასწიეს.

უზომო ღვინის სმის გამო ოტიას ფეხები კიდევ უფრო დაუსივდა. ხაკისფერი ფრენი, ლურჯა შარვალი და ქეჩის სრული ჩექმა ეცვა ოტიას პირისპირ მოხუცი ქაიხოსრო აბულაძე იჯდა, თეთრი ჩოხა ეცვა და გულზე რუსეთ-თურქეთის ომში მიღებულ გიორგის ჯვრები ეკიდა. ისინი სიმღერაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ორივეს სწორუბოვარი პირველი ხმა ჰქონდა და ძველ ქართულ სიმღერებს რიგრიგობით ამბობდნენ. ბოლოს, შეზარხოშებულმა ქაიხოსრომ ისეთი საამო და მალალი ხმით წამოიწყო „ხასანბეგურა“ და „ხელზავი“, რომ ყველანი მოხიბლა. აღტაცებული გურული თავადი, ახოვანი და ლამაზი კაცი რაფიელ შარაშიძე წამოდგა, ქაიხოსროსთან მივიდა, გრძელწვერა გამხდარ მოხუცს თავი გადაუწია და ჩაკოცა. ოტიას ეწყინა. თავის მოურავს ბეგლარს და ბეგლარის ძმას სილოვანს — ყოფილ ჯარისკაცებს, მთელს ზედაზნეში განთქმულ მომღერლებს — დაუძახა. ისინი და კოწია ჩხეიძე გვერდით მოისვა და „პატარა საყვარელო“ და „ჩარიამა“ წამოიწყო. მოქეიფენი ორ ბანაკად გაიყვნენ. ზოგნი ქაიხოსროს ანიჭებდნენ პირველობას სიმღერაში და ზოგნიც კიდევ — ოტიას. მერე, როცა ლხინი წამოვიდა და მოქეიფენი ღვინის სმაში შევიდნენ, სვიმონ წერეთლის წარმტაცი და მზეთუნახავი ქალის, პირველი კურსის სტუდენტის — თინას გვერდით

მჯდომი მხატვარი მიხა მაჭავარიანი სიმღერის ეშხზე მოვიდა, კორნელისა და იონას გასძახა და მათი დახმარებით „ზამთარია“, „გუშინ შეიღბნი გურჯანელნი“ და „ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ“ წამოიწყო და იმერლები კახური სიმღერით მოხიბლა. ტერეზას იშვიათი სმენა ჰქონდა და ისიც ალტაცებით უსმენდა კახურ სიმღერას. ნელა და აუჩქარებლად იღვრებოდა ჰანგები, თითქოს ალაზნის ველის თვალუწვდენ მანძილებსა და მთაში შორს წასულ ხალხს გასძახოდნენო მომღერლები. ვაჟკაცობის, ლხინის ნადიმობისა და ნადირობის, შრომისა და ქართველთა ძველი ადათ-ჩვევების გამომხატველი იყო ის ჰანგები, უხსოვარი დროიდან მომდინარენი, მეტადრე „ზამთარია“ და „ბრძანა სოლომონ მეფემა“; მსმენელთ ტანში ყრუანტილი უელიდათ. ტერეზას ისე მოეწონა კახური სიმღერები, იგი ისე იყო გაზარებული კაკილას დაბადებითა და მისი ნათლობით, რომ, როდესაც მიხამ, კორნელამ და იონამ „გაფრინდი შავო შერცხალო“ წამოიწყეს, შეიღს — კორნელის პირველი ხმა წაართვა და თავისი სუსტი, მაგრამ უაღრესად საამო, ტკბილი და გულში ჩამწვდომი ნაზი ხმით ყველანი, და მათ შორის მიხაც, განაცვიფრა. ამოდ კი არ იყო იგი. განთქმული მომღერლის ოტია მდივნის დაი. ოტია გულუბრყვილო ბავშვივით შესცქეროდა მას, ნეტარებით იღიმებოდა და იძახდა: „თქვენ გენაცვალეთ, ჩემო საყვარელო დარ და დისწულო! ეს თბილისელი მხატვარი, მიხა მაჭავარიანი, კახური სიმღერების რა დიდებული მოქმელი ყოფილა ბოშო, ხედავ? გულზე მალამო მომაცხო და დამატებო. მას ზედაზენიდან აღარ გავუშვებ. ბიჭო, — გასძახა მან კორნელის, — ამისთანა ქვისლი თუ გყავდა, ამდენ ხანს რად არ ჩამოიყვანე ჩვენსა...?

ტერეზას ნათლია, ოთხმოცი წლის მოხუცი ქაიხოსრო აბულაძე კი წამოიჭ-

რა, თავის ნათლულთან მივიდა, ჩაკონა და გვერდზე მიუჯდა. მას მთავრული წარსული მოაგონდა: ავადმყოფი მავშვი — ტერეზა ნაბადში რომ გაახვია და ქუთაისში ჩაიყვანა ცხენით — ქარსა და ბუქში. ეხ, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ! მას თავისი ქაბუჯობა მოაგონდა და ატირდა. ცრემლმა ლოყა და თეთრი სპეტაკი წვერი დაუსველა. წარბები ჯერ კიდევ შავი ჰქონდა გაუტეხელ და ძარღვიან მოხუცს. წვერი და უღვაში კი — გათეთრებოდა.

მიხა კახურა სიმღერების მართლაც კარგი მოქმელი იყო. დამახასიათებლად და ბუნებრივად უქცევდა ხმასა და კილოს. ის ძალიან მოეწონა ოტიას, ქაიხოსროს, იონას, ტერეზასა და ყველას, მაგრამ განსაკუთრებით კი — ბაბოს. მხატვარიც კარგ გუნებაზე დადგა, ღვინოს აქებდა, სულმოუთქმელად ყლაპავდა. თამადას — რაფიელ შარაშიძეს ღვინის სმაში გაეჯიბრა და ტერეზას მეურვეობიდან გამოსული კორნელიც აიყოლია.

როდესაც ჯერი მიხას სადღეგრძელოზე მიდგა, იონამ ბაბოს გიტარა მოატანინა და მხატვარს თხოვა ემღერნა რამე. ცოლიკუარით საესე ყანწმა მხატვარს „კეტი დაჰკრა თავში“. მხატვარმა გიტარა აიღო, სიმები ააქლერა და იონას და კორნელის საყვარელი რომანსები: — „მხოლოდ შენ ერთს“ და „შენ გეტრფი მარად“ ჩინებულად იმღერა. ყველანი მოიხიბლნენ... ბაბომ კაკილა აიყვანა, მიხასთან მივიდა, სკამი დიდგა, დაჯდა, მისი ქება დაიწყო, გაიციინა და უთხრა:

— რა ჩინებული მომღერალი ყოფილხართ! კიდევ უნდა გვიმღეროთ და დავგატყობთ. ტყუილია, აღარ მოგეშვებით, ჩემო ბატონო.

— მეყოფა, — მიუგო მხატვარმა და გიტარა გვერდზე მჯდომ ქალს გადასცა, — ახლა თქვენ იმღერეთ.

— არა, ბატონო მიხა, გათავდა, აღარ მოგეშვებით. ხედავთ, როგორ მოჯა-

დოებული მოგშტრებიათ თინიკო? თინიკომ რომ გთხოვოთ, არც მაშინ იძღერებთ? — ჰკითხა ეშმაკური ღიმილით ბაბომ.

— თინამ რომ მიბრძანოს, არა თუ ვიმღერებ, ცეცხლშიც კი გადავეშვები, — მიუგო მიხამ. მერე თინას მიუბრუნდა, ხელზე აკოცა. ხელი სკამზე გადასდო და მოჰხვია.

ლამაზმა ახალგაზრდა ქალმა დარცხვენით დახარა გრძელი წამწამები, ნაზი, ნატიფი გაფითრებული სახის ნუშისფერი ღაწვები აუღაჯღაჯდა. შავი კაბით გამოწყობილი, აუწერელი სილამაზის ქალი მართლაც ღვთისმშობელს ჰგავდა.

— ძალიან მოგწონთ ჩვენი თინიკო? — ისევ ღიმილით ჰკითხა მაშელოზის მოყვარულმა ბაბომ მიხას. მიხამ მიუგო:

— ღმერთსა და ჩემს შუეს ვფიცავ, ასეთი ლამაზი, ეშხიანი და წარმტაცი ქალი მე ჯერ არ მინახავს. მე დაბრმავებული ვარ ამ ქალის სილამაზით. რა მეშველება, არ ვიცი.

ბაბომ ომხიანხი ხმით გაიცინა და შენიშნა:

— თქვენ ხომ ცოლიანი კაცი ბრძანდებით... როგორ თუ რა გეშველებათ?

— არა, მე დიდხანია, რაც უცოლო ვარ... ცოლიანიც რომ ვიყო, თინას ვერავის ვერ დაუთმობ, — აშკარად და მოურიდებლად განაცხადა მხატვარმა, იგი მთვრალი იყო.

— რასა ბრძანებთ! თუ ეს მართალია, დაგეხმარებით... რას მომცემთ სანაცვლოდ?

— რასაც ისურვებთ, ქალბატონო.

— მაშ, კარგი. — წასჩურჩულა ბაბომ, ადგა, კაცილა ხელში აიტაცა და თინას დედასთან, სვიმონ წერეთლის მეუღლესთან მივიდა, გვერდით მიუჯდა და მაშელობა დაიწყო.

კორნელს არ გამოჰპარვია ეს ამბავი. ამ ორი წლის წინათ, კორნელის ბიძის — ელიზბარის ცოლისძმას სვიმონ წერეთელს და მის მეუღლეს ოლღას კორნელისათვის უნდოდათ მიეთხოვებინათ თავისი მზეთუნახავი ქალი. ზღაპრული სილამაზის მქონე თინას თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა კორნელი, ნინო აგოხდებოდა და ახლა ამ ორი ქალის სილამაზეს ერთმანეთს ადარებდა. თინა წერეთელი ნინო მაყაშვილზე უფრო ლამაზად ეჩვენებოდა. „რად მინდა წირვაგამოსული თავადების ქალები, თუნდაც მზეთუნახავები იყვნენ ისინი? მათ და მათი მშობლების ცერემონიებს თავს ვერ გაართმევს კაცი“, — ფიქრობდა იგი, მაგრამ მიხა რომ ხელზე ჰკოცნიდა თინას, ქათინაურებს ეუბნებოდა და ეარშიყებოდა, ეს მაინც ძალზე შეშურდა, მორიგი სადღეგრძელო შესევა, ადგა, მიხას შესძახა და დაცილი ყანწი გადაუტოვა. მიხამ დაიჭირა. ღვინით აავსო, დასცალა და მერე „მოხევის ქალო თინაო“ წამოიწყო.

(გაგრძელება იქნება)

ა. ლავრონი

სამარადისოდ მესსომება მე ეს ღლევი



აქ, საქართველოს სანეტარო, მშობლიურ სახლთან,
სადაც პირველად ყრმა სტალინმა მზეს გაუცინა,—
თითქოს ცხოვრება ხელისგულზე გადამეშალა,
მთელმა სამყარომ გაირბინა ჩემ თვალთა წინა.

აღმოდებული ველებიდან მყინვარებამდე,
ქართლის გულიდან — ტყბილ გორიდან მოკიდებული,
შორი ამურის კომსომოლსკით დამთავრებული, —
მოსჩანს მამული მშვენიერი და დიდებული.

სამარადისოდ მესსომება მე ეს ღლევი, —
იყო დეკემბრის დასაწყისი ქვეყნად მოსული,
ჩვენი სამშობლო სიხარულით გადაბადრული,
ბელადისადმი მადლობით და ტრფობით მოცული.

ჯერ ქართლის ლამაზ სოფლებსკენ გავეშურენით,
სადაც ბარაქის და დოვლათის სუნი ტრიალებს,
შემდეგ რუსთავის კორპუსები მოვინახულებთ,
სადაც ქართველი ვაჟკაცურად გრდემლს აგრილებს.

ვნახეთ ყუბანის ველ-მინდვრებიც, სადაც მშრომელი
ბელლებსისაკენ სარჩოს უხვად ეზიდებოდა —
და უზარმაზარ მანქანების მძლავრი გრუხუნით
დღითა და ღამით ერთი წუთით არა წყდებოდა.

და სწორედ მაშინ ჩვენს ქვეყანას ვინ არ ესტუმრა, —
რომ კოლექტიურ შრომის ძალა თვალთ ენახათ,
და რუმინელებს, პოლონელებს, ალბან-ბულგარულთ
სურდათ გაეგოთ — ძველი როგორ გადაელახათ.

როცა გვალვისგან გადაიწვა მათი ველები,
სტალინის პურმა დააბურა მათი შვილები —
ახლა ისინი აქ მოვიდნენ — გვითხრან მადლობა,
და აღიჭურვონ საბჭოური გამოცდილებით.



5815 1379 70

კოლექტიური შრომის წესი მათაც შეიტყბეს,
როგორც ხალხისთვის სასარგებლო გამოგონება —
ასე ლეივდება ყველას გულში დიდი მარცვალი,
სტალინის აზრით ბრწყინავს ახლა მათი გონება.

ჩვენ ყველა გზებით მოსკოვისკენ მივემართებით, —
თვალი ბუდიდან ამოფრენას აპირებს ლამის
და მატარებლის ხმაურშიაც მე თითქოს მესმის:
„მოსკოვი... ეს თქმა რამდენ რამეს გულს ეუბნება“.
სულ წინ! სულ სწრაფად! შეჩერება არცერთი წამით!

ჩემი სამშობლოს სივრცეებო, რარიგ მიყვარხარო,
დიდებული ხარო, მინდა მხოლოდ თქვენს გზა-კვალს ვდედეო, —
მე რახან ვცოცხლობ, მოვალე ვარ თქვენზე ვმღეროდე,
მარად და მარად, — ალტაცებით — კიდი-კიდემდე.

ა. ბეჟიკოვი

გორალუბი უსმენენ მოსკოვს



ჭალარა კოშკზე კურანტები ძგერენ და ძგერენ,
ათარილებენ სამშობლოს წინსვლას, —
ლითონის სიტყვა გადასერავს მთებსა და სერებს,
და გორს აღანთებს შუალამისას.

არ შენეულდება არასოდეს, ნოემბრის დილით,
გამოქედილი ფოლადის ძალა —
გუგუნებს ზარი მაღალ კოშკზე — ეს თვით სტალინი
ძვირფას გორელებს უგზავნის სალამს.

აღი ოგნეხაივი

გორის ფოთოლი



სანუკვარი ფოთოლი მაქვს შენახული,
სურნელი რომ დაფრქვევია გაზაფხულის; —
გორის ზეცის ცვარით არის დანამული
და გაზრდილი გორის ცხელი მზის აღმურით.

ეს ფოთოლი იმ ბაღშია მოწყვეტილი,
სადაც ლაღად ამართულა კერა თბილი, —
დღე არის თუ ღამე არის, განუწყვეტლად
ყოველმხრიდან რომ კიაფობს ნათელ სვეტად.

მეგობრებო, რა კარგია, ცივ ზამთარში —
როცა ქარი გამეტებით ღმუის კარში —
ამ მზენასვამ ფოთოლს ხელში რომ დაიჭერ
და სიხარულს მოგვერის, სითბოს მოგანიჭებს...

შენ, გორიდან მოტანილო საჩუქარო,
ჩემს მინსკში ხარ, გეფერები, შენით ეხარობ; —
რახანია ფრთხილად გივლი, რადგან შეგერა,
შენ რომ ვნახავ, მესმის გორის გულის ძგერა.

ხელის გულზე დაგიდებ და შემომესმის —
ნიაღვრებში როგორ დაჰკრეს მთაში ღეზი —
ვით აყივლდნენ შევარდნები ზაფითთ, შფოთით;
ყურს დაუვადებ: სალამურის ხმებიც მომდის.

შემოგხედავ, ფიქრით მიექრი გორისაკენ —
ხელს შევახებ ხეტარ სახლის ნათელ სარკმელს, —
მან აქედან მზეს შეხედა აღმაფრენით
და სიამით აელურტულდა მერცხლის ენით.

ბავშვებისთვის სკოლა გახსნა ბევრზე-ბევრი,
ხელში მოგვცა ძღვევის დროშა აღისფერი,
მან აგვიგო სასახლეთა მძლავრი ბქენი —
ის მამაა და იმედი მუდამ ჩვენი.

მან გვასწავლა ამ ცხოვრების ანაბანა —
და სამშობლო ლამაზ ბაღნარს დაამგვანა.
მისი შუქით გვიციმციმებს ყველას თვალი, —
სხივებს გზავნის, — გაგვინათოს მომავალი.

ასე ლაღად არასოდეს არ გვივლია, —
ეს მიტომ, რომ ჩვენთან მუდამ სტალინია.
იღვრებოდეს მილიონთა გასახარად,
მან იცოცხლოს საუკუნოდ, მუდამ, მარად!

მთარ რაზმაჲ

ის შენზე აღრე ამღვარა

★

რიერაჲმა ლამე გადაწევა,
 დილამ ოქროსფრად ინათა,
 ეს უკვდავების ნათელი,
 გორში დაეშვა ბინათა.

ფოთლებში გაღვიძებულან
 ლოყაწითელი ვაშლები,
 რტობებში ილიმებიან
 როგორც აკვანში ბავშვები.

ყველა სულდგმული იღვიძებს,
 გზებს გაეფინა ნახირი,
 გამოდი გარეთ, გაისმა
 სოსოს ჭიშკართან ძახილი.

ქარი ლიახვზე პირს იბანს,
 მზეო, ამოდი, ამოდი,
 მზეც ამოვიდა და სოსოს
 ეძახის — გარეთ გამოდი.

არა ჩანს, მაინც არა ჩანს,
 მშვიდად დგას სახლი პატარა,
 მზეო, ამოსვლა დაგასწრო,
 ის შენზე აღრე ამღვარა.

— : —

ხმას ვაძლევ



რუსთაველისა და ხრამჭხისის გმირებს,
ქართული აეტოს გამომწვევებს პირველს,
პურის მომკელს თუ ტრაქტორის მმართველს, —
ხმას ვაძლევ ყველა შემოქმედ ქართველს:

ვინც ქსოვს ნაირფერ ატლასის ფარჩებს,
ნატვრის თვალისით მანდარინს არჩევს,
ხრიოკს ყვავილნარ წალკოტად აქცევს,
მთაგორებს ჩაის ფარაჯებს აცმევს;

ვინაც შავ ქვეს და ქვეანახშირს ანგრევს,
ზეციის ცხრავე კარს ნავერდით აღებს,
მკერდით მიაბობს შავი ზღვის ტალღებს,
ცვარნამს აპკურებს სამგორის კალთებს;

ვინც ფარას სარქლობს ივრის მდელოში,
უღრვეკელ ფოლადს ადნობს ფეროში,
ჩარხებს და დაზგებს ფხიზლად დარაჯობს,
ვაზებს წინდავს ან აგებს ხარაჩოს;

ვინაც ჩონგურზე უმღერს შაირებს,
მამაც მფრინავს და გულად სნაიპერს,
გმირულ შრომაში ნაწრთობ ვაქცაყებს,
ახოვან მხედარს ხმალმოკაცაშვებს;

ვინც ვენახიდან კრახუნა ზიდა,
შვიდტაროიან სიმინდებს ზრდიდა.
კოლხეთის ქაობს ბალნარად ქმნიდა,
ანდა ველეებზე ჭაბურღილს თხრიდა;

ვინაც ურყევად კლდესავეთ დაზვდა
მტარვალებს, გულში უშენდა ლახვარს,
და გამარჯვებულ მამულში ახლა
სართულზე სართულს აშენებს ახალს;

ვიდრე მთაწმინდას მზის სხივ-ნათელი
კვლავ დროშასავეთ დაეფინება, —
შე წამოვდგები, რომ აღმაფრენით
ხმა იმ გმირთა გმირს მიეცე პირველმა!

პ რ თ გ უ ლ ე ბ ა

რომანი*

★

3.

უნივერსიტეტიდან მომავალ თამარს იმ დღეს გენრიეტა კონსერვატორიის წინ შეხვდა.

გენრიეტამ სთხოვა, საღამოს მოვალ და შინ დამხედო. თამარი შეჰპირდა და ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ გადადგა გენრიეტამ რაჟღენიმე ნაბოჯი თუ არა, ზურგიდან შამაკაცის ხმა შემოესმა:

— გამარჯობა, გენრიეტა!

გენრიეტამ მოიხედა, მოსკოვიდან რამდენიმე დღის წინათ დაბრუნებული ახალგაზრდა მომღერალი ისიდორე იცნო.

— ისიდორე!

ხუთი წლის წინათ ერთ სახლში მეზობლად ცხოვრობდნენ ისინი, მაგრამ, ისიდორეს მოსკოვს გამგზავრების შემდეგ, მათ ერთხელაც არ ენახათ ერთმანეთი. ამიტომ თითქოს ერთნაირად აკვირვებდათ ის დიდი ცვლილება, რაც ამ ხუთი წლის განმავლობაში მათში მომხდარიყო. გენრიეტა მოტეხილიყო. ისიდორე, პირიქით, დამშვენებულიყო.

— ისიდორე, ჩემო, ისიდორე! — იძახდა გენრიეტა, — როგორ გამშვენებულხარ!

— შენ კი ძალზე გამხდარხარ, თითქოს დაბერებულხარ! — პირდა-

პირ უთხრა ისიდორემ თავის ძველ მეზობელს.

გენრიეტა შეწუხდა, ისიდორეს ამგვარი პირდაპირობა არ მოეწონა, მაგრამ შეეცადა წყენა არ დასტყობოდა, ისიდორეს სიტყვები ხუმრობად მიიღო.

— ავად ვიყავი, მაგრამ ეს არაფერი! მალე გაჯობებ! — უთხრა გენრიეტამ.

— არა, გენრიეტა, შენ მე ვერასოდეს ვეღარ მაჯობებ, შენთან ერთი საქმე მაქვს: ის ახალგაზრდა ქალი გამაცანი, ახლა რომ დაგშორდა.

— ო, პო!

— არ გეხუმრები, გენრიეტა, ძალიან მომწონს, მესამეჯერ მხვდება ქუჩაში, ჯერ ქალი ასე არ მომწონებია.

გენრიეტამ სიცილი შორთო, შემდეგ რაღაც აზრმა გაუელვა, ცივი სახე თითქოს ერთის წამით გაეხსნა და ისიდორეს მხარზე ხელი შემოყრა.

— თუ აგრეა, დღესვე გაგაცნობ!

— რას ამბობ, გენრიეტა, მართლადღესვე გამაცნობ?

— დღესვე, საღამოს!

— მაშ, ხელი მომეცი! — შესძახა გახარებულმა ისიდორემ. გენრიეტას ხელი გაუწოდა და ჩამოართვა.

გაზაფხული მთელი თავისი სიდიდით ზეიმობდა. ნორჩ მცენარეთა საამო სურნელი იდგა ჰაერში, აესებდა სულს, ათრობდა ადამიანს, უღვიძებდა სიცოცხლის სურვილს. მსუბუქი

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი“ № 10.

ტანსაცმლით გამოწყობილი დიდები თუ ბატარეები ადიდებულ მდინარესავით მიღელავდნენ ქუჩებში.

ღამდებოდა. თამარი აივანზე გამოსულყო, შორს, აღმოსავლეთისაკენ ცის კიდურს მიჩერებოდა. თამარის სულს ნეტარებით აესებდა გაზაფხული. რაღაც საამურ მოძრაობას გრძნობდა მთელ სხეულში, მაგრამ იმდენად საგრძნობი იყო ეს მოძრაობა, რომ თამარი თითქოს ვერ იტყვდა მას: ეს ძალა გამოსავალს ეძებდა, გულსა და ძარღვებს აწყდებოდა, როგორც ჯებირს შეგუბებული მდინარის ტალღები. ისეთი გრძნობა ჰქონდა, უნდოდა ვინმეს მიაღერებოდა ან, პირიქით, ამ „ვინმეს“ ალერსი ავით განეცადა. შორს იქნებ იმიტომ იხედებოდა, რომ შორს იყო თამაზი. მისი სახე თვალწინ ედგა. თამაზის სიყვარულმა გენრიეტას იქვეებიც მოაგონა და მოიწყინა. თავი დახარა. კარგა ხანს იდგა ასე თავდახრილი.

ოთახში დაბრუნდა. რბილ ტახტზე დალაგებული ფერადფერადი ბალიშები მიყარ-მოყარა. დაჯდა. მუხლებზე ხელები შემოიჭდო და ღრმა ფიქრებში წასული კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა. შემდეგ გადაშლილი წიგნი აიღო და კითხვა დაიწყო.

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობას — „ელეონორას“ კითხულობდა. ეს მოთხრობა ძლიერ მოსწონდა. ყოველ წინადადებაში ახალ აზრს პოულობდა, ახალ სახესა და სილამაზეს ხედავდა.

კარებთან ქალის ხმამაღალი სიცილი გაისმა, ზარმაც დაიწყიალა და თამარი წამოდგა:

„გენრიეტა მოდის“ — გაიფიქრა, კართან მიიბრინა. — უეცრად შეკრთა: გენრიეტას გვერდით ვიღაც თმახუჭუჭა, კარგად ჩაცმული, მალალი, ცისფერთვალეა ახალგაზრდა კაცი შენიშნა.

— მობრძანდით! — თვითონ გენრიეტამ უთხრა ახალგაზრდას. — გაიცანი, თამარ, ჩემი ყოფილი მეზობელი, ახალგაზრდა მომღერალი, ისიდორე თუხარელი!

თამარმა სტუმარს ხელი მაშინაღუერად გაუწოდა.

— მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვიდან დაბრუნდა. — განაგრძობდა გენრიეტა. — საუცხოო დრამატიული ტენორი აქვს, მალე ოპერაში იმღერებს. ა, თამარ, ხომ საუცხოო მეზობელი მყოლია?

— მობრძანდით! — დაგვიანებითა და ისე მეჭანკურად უთხრა თამარმა ახალგაყნობილს, თითოს ვინმე სხვას ეუბნებო, მერე სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

— თქვენ, ქალბატონო, ჩემს ძველ მეზობელს, პატივცემულ გენრიეტას ნუ დაუჯერებთ! გადაჭარბებულად მაქვს, სინამდვილეში ერთი უბრალო ახალგაზრდა მომღერალი ვარ.

— თავს იკატუნებს! განა უბრალოს და უნიჭოს საჭართველოდან მოსკოვინ კონსერვატორიაში გააგზავნიდნენ? — სიცილით თქვა გენრიეტამ და ქუდი მოიხადა.

საშინაო ტანსაცმლით გამოწყობილი თამარი ისიდორეს უფრო მოეწონა. გულით უნდოდა თვალმოუშორებლად ეცქირნა თამარისათვის, მისი მრგვალი, თეთრი პირისახისათვის, დიდრონი თვალებისა და ჩამოსხმული ტანისათვის, მაგრამ თავს იჭერდა, — არ უნდოდა თამარს უხერხულობა ეგრძნო.

თამარს ეტყობოდა მოსწონდა ისიდორე, მაგრამ უხერხულობას გრძნობდა, ეს მოსწონება რატომღაც აშინებდა, რაღაც შეუცნობელი გრძნობა აფრთხილებდა: „არ მოგეწონოსო“ და, ალბათ, მხოლოდ ამიტომ ხანდახან თუ გადახედავდა ამ საშინ სტუმარს.

— როგორი მყუდროება სუფევს ამ ოთახში... ასე მგონია, სადმე წალკოტ-

ში ვარ და ცას შევეცქერი, — წარმოთქვა ისიდორემ და ამ სიტყვის გაგრძელება თავის გულში დააბოლოვა „ცას, რომელზედაც მხოლოდ ერთი ვარსკვლავი კაშკაშებს“.

— ჰა! ჰა! — გაიცინა გენრიეტამ, — ხომ ხედავ, თამარ, — მოსკოვში გაპოვებულია ისიდორე. ჩვენც რომ წავსულიყავით მოსკოვში, იქნებ ჩვენც დაგვეწყო ლექსების წერა.

— რას ამბობ, გენრიეტა, განა საქართველოში ლექსებს არ წერენ? აქ ყოველი ბუჩქი თვითონ თხზავს ლექსს და მღერის! — ღიმილით თქვა ისიდორემ და თამარს შეხედა, — უმღერის სილამაზეს, მშვენიერებას.

ისიდორეს ღიმილმა თამარი შეაკრთო, სავარძელში გასწორდა, დიდრონი თვალები ისიდორეს გაუსწორა, მერე თავი დახარა და გაინაბა.

ისიდორე გვიან წავიდა, როცა კარებში გადიოდა, თამარს მოხედა:

— ნება მომეცით გინახულოთ ხოლმე, პატივცემულო თამარ!

— რასკვირველია, მობრძანდით, ისიდორე, როცა გნებავდეთ. — დიდი ხნის შეგობარივით უთხრა თამარმა.

— ნება გქძლევა, არ დაივიწყო! ჰა! ჰა! — უკვე წასულ ისიდორეს გასძახა გენრიეტამ და გაიცინა.

სასტუმრო ოთახში დაბრუნებული არეული თამარი ისევ ტახტზე ჩამოჯდა. დაფიქრებული იყო მისი სახე.

— ა, თამარ, სიმართლე თქვი, ხომ კარგი ვინმეა? — შემპარავი ღიმილით ჰკითხა გენრიეტამ.

თამარმა თავი ასწია.

— კარგი ახალგაზრდაა, მაგრამ, არ ვიცი, ამით რის თქმა გინდა, გენრიეტა?

— რის თქმა?.. დიახ, ჩემო კარგო, — ყველაფერს გეტყვი, — უბასუხა გენრიეტამ და თავიდან ბოლომდე დაწვრილებით უამბო, როგორ შეხედა, რო-

გორი დაბეჯითებით სთხოვა ისიდორემ გაეცნო თამარი. გენრიეტამ დაასკვნა: განა თვითონ ვერ შეატყე, როგორაა გატაცებული? ამ თამამ ახალგაზრდას შენთან ენა ებმებოდა, იმის მებაედსაც ვეღარ ამბობდა, რასაც გრძნობდა. მარტო მინდოდა მოსვლა, შენი დაბადების დღის სამზადისზე ვისაუბრებო მეთქი, მაგრამ ისიდორეს ვერ გავექეცი, აღარ მომეშვა: შენ იცი, გენრიეტა, ჩემი სიცოცხლე შენ გაბარია, თუ შენს მეგობარს დღესვე არ გამაცნობ, გული გამისკდება, მერე გვიანდა იქნებაო და რალა მექნა?

— მერე, რა იმედი მიეცი, გენრიეტა?

— არავითარი იმედი არ მიმიცია. გაცნობა ჩემი საქმე იყოს, დანარჩენი მე არ მეხება მეთქი.

— განა შენ არ იცოდი, რომ მე უკვე მიყვარს?

— როგორ არ ვიცოდი? რასაკვირველია, ვიცოდი, მაგრამ მე ხომ ისიდორეს გაცნობით არაფერს გავალებ!

— გენრიეტა, ხომ გახსოვს, როგორ გავიცანი თამაზი?

— როგორ არ მახსოვს? თამაზის ძმასთან ლევანთან დავდიოდით სამეცადინოდ. თამაზიც იქ გავიცანი. თამაზმა მხოლოდ შენ ამოგიღო მიზანში. მე და ანიკოს ზედაც არ შემოგვხედავდა ხოლმე.

— არა, გენრიეტა, „მიზანში“ კი არა, თვალს ვერ ვუსწორებდით ერთმანეთს. რამდენი მოკრძალება და გულწრფელობა იყო მის საქციელში! ჩვენ მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს. უსიტყვოდ ვგრძნობდით ჩვენი გულისთქმას. — მოგონებაში წასულ თამარს ცრემლი გაუბრწყინდა თვალებში, მაგრამ უცებ წამოდგა, აივანზე გავიდა. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, თავი შეარხია, თითქოს უნდოდა ფიქრებისათვის თავი დაეღწია.

...სამი დღის შემდეგ თამარს რამდენიმე მეგობარი ესტუმრა. ვინ ფორტუპიანოზე უკრავდა, ვინ ცეკვავდა და მღეროდა.

თამარი თავის ძველსა, თუ ახალ მეგობრებს შორის დედოფალივით ჩაჰყდარიყო, ხან ერთს გაუღიმებდა, ხან მეორეს, ერთ-ორ სიტყვას იტყოდა, ჩუმდებოდა, ეტყობოდა, რაღაც სხვა ფიქრებით იყო გართული.

მხოლოდ ერთი ვაჭი ერია ქალიშვილებში. ის ისე მოქანცეს ცეკვით, რომ ფეხზე ძლივს იდგა.

— მომეშვით, მეტი არ შემიძლია! — იძახდა იგი.

გენრიეტა გვიან მოვიდა.

— აა, სტუმრები უკვე მოსულან! — მხიარულად შესძახა მან. — სალამი თქვენდა, მეგობრებო.

გენრიეტას მოსულა ბევრს არ ესიამოვნა. თამართან მისი სკოლის მეგობარი, ანიკო მივიდა. ტუჩები ყურთან მიუტანა და ხმადაბლა უთხრა:

— თამარ, განა შენ დაბატოე, გენრიეტა? არა მჯერა.

— რა მოხდა, მერე? — ცივად მიუგო თამარმა.

— რას ამბობ, თამარ?!

— კარგი, ანიკო, შემდეგ ვიამბობ და დარწმუნდები, რომ გენრიეტას ისეთი არაფერი ჩაუღენია, რომ ის ხელსაკრავი იყოს.

— განა შენ არ იცი, უნივერსიტეტიდან რატომ გამოირიცხეს?

— მე კი ვიცი, მაგრამ შენ გაზეიადებულად გაქვს გაგონილი.

დერეფანში ზარმა დაიწკრილა, გენრიეტა გაიქცა და კარი გააღო.

— აა, მობრძანდი, მობრძანდი, ისიდორე! რაღან შენ მოხვედი, ახლა აღარ მოგეწყინდება, მშვენიერო!

გენრიეტა სასტუმრო ოთახში შემოუძღვა ისიდორეს.

თამარი ისიდორეს არ ელოდა, მაგრამ სულითა და გულით უნდოდა, რომ მოსულიყო. ამაზე ფიქრობდა მთელ საღამოს. ამიტომ გაწითლდა ახლა, წუთიერი დაბნეულობის შემდეგ ისიდორეს შიშით შეხედა და ხელი ჩამოართვა, მერე ის სტუმრებს გააცნო:

— ახალგაზრდა მომღერალი, ისიდორე თუნარელი! — წარმოთქვა თამარმა. ხმა ისე შეუსუსტდა, პირში სიტყვა ისე გაუღნა, რომ ისიდორეს გვარი სტუმრების ნახვეარსაც არ გაუგონია.

ისიდორემ რაღაც შეხვეული გადასცა გენრიეტას, მერე სტუმრებს მიესალმა და თამართან მივიდა.

— თამარ, ბედნიერი ვარ, ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება... გისურვებთ მრავალ უკეთეს წელიწადს!

— გმადლობთ, ისიდორე. — დაბნევით წაიღუდუნა თამარმა და თავისი აღლუკება რომ დაეფარა, მეორე ოთახში გავიდა. მას გენრიეტა გაჰყვა და სუფრის გაწყობას შეუდგნენ.

ვახშამი დაიწყო.

თამადად ისიდორე აირჩიეს.

ისიდორე წამოდგა, ყანწი აიღო, წითელი ღვინით პირამდე აავსო და თამარს თვალი გაუსწორა, სიტყვა დაიწყო:

— მე ვაღლეგრძელებ დღევანდელი წვეულების თვალისჩინს, ამ მშვენიერი მაგიდის შექმნას, სულსა და გულს. ეს გახლავთ ყველასათვის საყვარელი ჩვენი, თამარი!

თამარს ისიდორეს სიტყვაზე ტანი უთრთოდა, რაღაც დიდი სიხარული გულს უნათებდა, სანთელივით ჩამოქნილ თითებს დასჩერებოდა. ყველა მას შეჰყურებდა აღტაცებით და მოწიწებით.

ისიდორეს სიტყვის შემდეგ ყველამ ერთად წამოავლო ჰიქებს ხელი, მაგრამ თამარს აღარაფერი ესმოდა. იგი

მხოლოდ ისიდორზე ფიქრობდა. არ უყურებდა მას, მაგრამ მისი სახე მაინც თვალით ედგა.

თამარის სადღეგრძელოს შემდეგ, ისიდორემ ყანწი გვერდზე გადადო. ახლა ლეონის ჭიჭებით სათითაოდ აღდგურებდა სტუმრები და მერე შესვენება გამოაცხადა.

გენრიეტა ფორტეპიანოს მიუჯდა. აცკვდნენ წყვილები. როცა ცეკვა-თამაში მიხელდებოდა, ქალიშვილები შიგადაშიგ სიმღერას იწყებდნენ, მაგრამ გენრიეტამ უეცრად შეწყვიტა დაკვრა.

— მეგობრებო! ახლა ჩვენი ისიდორე თავის თბილ სიტყვას სიმღერით გვეტყვის. გთხოვთ, ბატონო ისიდორე! — თვალის ეშმაკური პაჭუნით შეხედა გენრიეტამ ისიდორეს და თამარს მრავალმნიშვნელოვნად.

— გთხოვთ! გთხოვთ! — ერთმანეთს მიაძახეს ისიდორეს ქალიშვილებმა. ისიდორემ სიმღერაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ქალიშვილები ძკლავ მიესივნენ.

— ქალიშვილებო, — წამოდგა გენრიეტა, — ყველაფერი გასაგებია! ვიცი, რატომ ამბობს, ისიდორე უარს. — თქვა და თამარს გადახედა. — ჩვენმა მასპინძელმა არა სთხოვა იმღერეო.

თამარი გაწითლდა. ყველა მას მიაჩერდა. ისიდორემაც მისკენ მიიხედა უნებლიედ.

— გთხოვთ, გთხოვთ... — ძლივს გასაგონად წარმოსთქვა თამარმა და თავი ასწია.

ისიდორე სწრაფად გაემართა ფორტეპიანოსაკენ.

— აი, რას ნიშნავს თურმე თამარის ერთი სიტყვა. — გადაიკისკისა გენრიეტამ და ფორტეპიანოს მიუჯდა.

ისიდორე თამარის პირდაპირ იდგა, თვალს არ აშორებდა მის სახეს, მის დახრილ წამწამებს. გრძნობდა მის გულისცემას, გრძნობდა, რომ თამარი ღელავ-

და და იცოდა, ამის მიზეზი თვითონ იყო. ეს გამბედაობას მატებდა, მღეროდა თავისუფლად, ლალად.

ყველა გატაცებით უსმენდა. როცა სიმღერა დაამთავრა, ერთხანს ხმა არავის ამოუღია. მერე ერთბაშად იგრილა ტაშმა.

თვითონ თამარსაც დაეიწყნოდა სად იყო, ტაშს გაცხარებით უკრავდა, მისი გაფართოებული თვალები აღფრთოვანების ნაპერწყლებს აფრქვევდნენ.

როცა ამ აღფრთოვანების ტალღა მიხელდა, ხოლო თამარის ტაში კენტად გაისმა, ის უეცრად გამოერკვა, ამხანაგებს სახე მოაჩიდა.

— გთხოვთ, გთხოვთ! — ისევ და ისევ სთხოვდნენ ისიდორეს ქალიშვილები, მაგრამ ისიდორე ფორტეპიანოს გაეცალა, მაგიდას მიუჯდა და სხვებსაც მოუწოდა დამსხდარიყვნენ.

თამარი ცდილობდა მისი მღელვარება სხვებს არ შეემჩნიათ, თუმცა გრძნობდა, რომ ყველაფერი რაღაც ძალაუნებურად ხდებოდა. საკუთარ თავს ვეღარ ფლობდა, ნებისყოფა ღალატობდა.

ვახშამი დამთავრდა.

სტუმრები წაივდნენ. გენრიეტა ისიდორეს მიუბრუნდა:

— თქვენ ცოტა მოგვითმინეთ, ყმაწვილო, დიდი საქმე გვაქვს!

ისიდორემ, თითქოს ამას მოელოდაო, გენრიეტას თავი მორჩილად დაუქნია და სასტუმროში დაბრუნდა.

— აი, ნამდვილი მზიარულეა ახლა გვექნება, ჰა, ჰა! აი, ამ პატარა მაგიდას გაეშლით და შემოვუსხდებით, — დაიძახა გენრიეტამ და მომცრო მაგიდა ტახტთან მიიტანა. სწრაფად გაშალა სუფრა. ისიდორეს მოტანილი ტბილი სასმელები გახსნა. თამარი და ისიდორე სტუმრებივით მოიპატყა და თვითონ პირველი მიუჯდა მაგიდას.

— ამით ვაღდგურებთ თქვენს მუღ. მივ მეგობრობას და ამ მეგობრობის

უერთგულეს მცველს, გენრიეტას! — წარმოთქვა მან, — ჯერ ისიღორეს, შემდეგ თამარს გადახედა და გაიღიმა.

— ხედავთ, თავისთავსაც აღარ ივიწყებ! — მხიარულად ჩაურთო ისიღორემ და ჭიქა აიღო.

თამარმა მექანიკურად აიღო ჭიქა, სასმელი ოდნავ მოსვა, მაგრამ გენრიეტა გაუწყრა:

— ცუდლუტობის ნებას არ მოგცემ, თამარ. შეგობრობისათვის ასე არ სვამენ. ძირამდე, ჭირიმე, ძირამდე დაცალუდობხანს ისხდნენ თამარი, ისიღორე და გენრიეტა მაგიდასთან. გენრიეტა ისეთ მოხდენილ სადღეგრძელოებს იგონებდა, რომ თამარი ძალაუნებურად სვამდა, სკლიდა ჭიქას და კი არ კიცხავდა გენრიეტას, მადლობელი იყო მისი. კედლის საათმა სამჯერ დარეკა. მაგრამ თამარს არ გაუგონია მისი ხმა. იგი არ გრძნობდ დროს. უნდოდა აი ასე მჯდარიყო ისიღორეს გვერდით მთელი დამე, მთელი დღე. ეგდო ყური გენრიეტას ტიკტიკისათვის და ეცქირა ისიღორესათვის, ეფიქრნა მასზე.

4

თხუთმეტი დღის შემდეგ თამარმა უკანასკნელი ბარათი გაუგზავნა თამაზს. ურჩევდა მიმოწერა შეეწყვიტინა და თავის ამ გადაწყვეტილებას მეტად უსუსური, თანაც ფარისევლური მიზეზით ასაბუთებდა... მაგრამ თამარმა ამიერიდან მარტო ბარათების წერა კი არა, უნევერსიტეტში მეცადინეობაც შეწყვიტა. ტრფიალების ბურუსს თავი ვერ დააღწია, შიგ ჩაიკარგა, თავბრუ დაეხვა. ბოლოს ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარს მოკლებული ამ ტრფიალების გრძნობას დანებდა, ამიტომ საგნები ჩაუბარებელი დარჩა, ჩამორჩა.

ერთი თვის შემდეგ თბილისში მომღერალთა ჯგუფი შეადგინეს, ისიღორეს ამ ჯგუფში შეიყვანეს და დასავლეთის ფრონტზე გაგზავნეს.

თბილისში დარჩენილი თამარი ახლა გამოერკვა. მიმოიხედა, სიმარტოვით გარდა სხვა ტყვიელიც იგრძნო:

უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე უკვე ფიქრიც ზედმეტი იყო. ერთი თვის გაცდენამ, ერთი წელი დააკარგვინა; გრძნობდა, რომ სწავლის გაგრძელების უნარი დაკარგა. დაკარგა ის, რაც მის ცხოვრებას ალამაზებდა. მაგრამ ვერ ამჩნევდა, რომ დაკარგა კიდევ უფრო დიდი, წმინდა და სპეტაკი თვისება. უღალატა სიყვარულს, ერთგულებას.

თავიდანვე განზრახული ჰქონდა ზაფხულის არდადეგებზე უფროს დასთან, ნინოსთან წასულიყო კახეთში და სწავლის დაწყებამდე იქ დარჩენილიყო, მაგრამ ახლა, მისთვის არახელსაყრელად შეცვლილ მდგომარეობაში ჩაეარდნის, ამ საკითხის გადაწყვეტა უძნელდებოდა: რა უნდა ეთქვას დისათვის? ეთქვა, რომ უღალატა თავის პირველ გრძნობას, დაიფიქრა თამაზი და სხვა შეიყვარა? უთხრას, რომ გამოცდები ვერ ჩააბარა, მთელი წელი გააცდინა და, საერთოდ, გული აუტრუვდა სწავლაზე? მაშ, ისევ გურიაში, ისევ დედასთან და სიცრუე! აი, კიდევ ახალი, რაც ბოლო დროს შეიძინა, — ტყუილი, საკუთარი გრძნობებისა და მდგომარეობის დაფარვა, რადგან იქ რაღაც გაიბზარა, შეიღაზა და ისევ გარდაიქმნა. რომ მისი გამხელა სამარცხვინოა.

და აი, სანამ თამარი საბოლოოდ გადაწყვეტდა, სად უნდა გაეტარებინა ზაფხული, ნინო თვითონ ჩამოვიდა ქალაქში, თარისი გოგონაც ჩამოიყვანა. ნინო ფეხმძიმედ იყო და მოსალოგინებლად ემზადებოდა.

როდესაც თამარმა ნინო დაინახა, ტირილი მორთო. ბავშვი ხელში აიყვანა და გაუთავებელი კოცნა დაუწყვა:

— ჩემო პატარავ, ჩემო საყვარელო! — იძახდა თამარი და ბავშვს ეხვეოდა.

— თამარ, გეყოფა, რა მოგივიდა? — ღიმილით უთხრა ნინომ დას.

ნინოს არ მოეწონა თამარის ასეთი გადაჭარბებული გულაჩუყება. როცა ბავშვი გამოართვა და გულში ჩაიკრა, დაფიქრებით შეხედა.

— როგორ ხარ, თამარ? რაღაც გამოცვლილი მეჩვენები.

თამარმა პასუხი დაუგვიანა.

— არა მიშავს... მომწყინდა. — უპასუხა ბოლოს დაბნევით.

— მოგწყინდებოდა, მარტო იყავი. თამაზის ბარათი არ მიგიღია?

თამარს ლოყები შეუფაქლდა, თავი ოღნავ დააქნია.

— მივიღე.

— როგორ არის, სად არის?

— ახლა ფრონტზეა.

— მაშ, წინათ სადღა იყო?

— ჰოსპიტალში.

ყოველგვარ ინტერესსა და შინაარსს მოკლებული იყო თამარის პასუხი.

— საგნები ჩააბარე, თამარ?

თამარი დაიბნა, თავი უაზროდ გადააქნია.

— არა.

— არა?!

— ავად ვიყავი, — იცრუა თამარმა.

— რა მოგივიდა?

— გავცივდი.

— მერე?

— მერე რა? რა გითხრა კიდევ?

— სტყუი, თამარ! — უთხრა ნინომ, თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა სტყუოდა თუ არა. — მითხარი, რამ შეგიშალა ხელი. სიმართლე მითხარი.

— სიმართლეს ვამბობ, ნინო. — წყენით უთხრა თამარმა. — რატომ არ გჯერა?

— თამარ, შენ ბავშვი აღარ ხარ, ჩემი პატრონობა აღარ უნდა გქირდებოდეს.

— ნინო, რად მელაპარაკები ასეთი კილოთი. რა ჩავიდინე ისეთი, რა და-

ვიმსახურე გასაკიცი? გამხნეებდეს და იმედის ნაცვლად მიწყურებდეს. ეფელის თვალთ მიყურებ! ამას ველოდი შენგან? — ეუბნებოდა თამარი ნინოს და თვითონვე გრძნობდა რა არაგულწრფელი იყო მისი სიტყვები. — შენ იცი, ალბათ, რომ თამაზი ჯარიდან გამოიწვიეს, მაგრამ დაბრუნებაზე უარი განუცხადებია. დავაიწყდი ალბათ, არ შემიბრალა, როგორ ველოდი ველოდი, ველოდი და... აღარ ველი!

ნინომ ხელი მოხვია თამარს.

— და „აღარ ელი“? რა თქვი ეს, თამარ? მითხარი, რა მოხდა? რა დააშავა თამაზმა? ნუთუ ის, რომ იცავს საშობლოს, შენ, მე, ჩემს ბავშვს, ჩვენს დედას, ჩვენს მიწა-წყალს. ნუთუ შენი სიყვარულის გამო ფრონტი უნდა მიეტოვებინა და დაგბრუნებოდა?

— რასაკვირველია არა, ნინო. მე ამის თქმა არ მინდოდა. მე შევცდი, შევცდი, ნინო. როგორ შემიძლია თამაზს ვუსაყვედურო რაიმე. ის იქ ტყვიასა და ცეცხლში ტრიალებს, ყოველ წამს სიკვდილს ელის. მე კო... მეტს ნურაფერს მკითხავ, ნინო. მე ახლაც არა ვარ კარგად. არ ვიცი რა ხდება ჩემს თავზე. — წამოდგა, არეული ნაბიჯით გავიდა საწოლ ოთახში. მოწყვეტით დავარდა ლოგინზე და თავი ბალიშებში ჩარგო.

ნინოს ვაჟი შეეძინა. ბედნიერი დედა გახარებული ბრუნდებოდა შინ. თან მიჰყავდა თამარი.

კახეთის მატარებელი ერთი ვაივიშით აჰყვა აღმართს. თამარი ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა სარკმელს ფიქრებიდ იყო გართული. გრძნობდა თავისი მღვთმარეობის სიმძიმეს. იცოდა, რომ ეზას ასცდა, იცოდა, რომ საჭირო იყო დაბრუნებოდა თავის ცხოვრებას რომელიც ასე წმინდად ეხატებოდა ახლა.

მაგრამ ძნელი იყო უკან დაბრუნება. რა პირით უნდა შეეხებინა ახლა იმისათვის, ვისაც ასე იოლად შეაქცია ზურგი. მაშ რა ჰქნას? ისევ წინ... კარგია, თუ ავია, სხვა გზა აღარა აქვს.

ნინოს ეგონა, რომ გვიანი არ იყო და შესძლებდა პირვანდელ ჩარჩოებში ჩაყენებინა თავისი დის გამოცვლილი გრძნობები. ამისათვის ნინო ყველაფერს აკეთებდა, ყველა შესაძლებელ ზომასა და ხერხს მიმართავდა, მაგრამ დღემდეც ვერ გაეგო, რას ფიქრობდა თამარი: საბოლოოდ დაივიწყა თამაზი თუ არა. „თუ დაივიწყა, ალბათ, იმიტომ, რომ სხვა შეიყვარა“.

თელავში დილით ჩავიდნენ. ნინომ ბავშვები დააწვინა და დავითს დაურჯა.

— თამარ, დავითი ეხლავე მოვა. — ბედნიერი ღიმილით წარმოთქვა ნინომ და ტელეფონის მილი დადო. ჩაძინებული შვილის წინ ჩამოჯდა კმრის მოლოდინში.

ღუმილი ჩამოვარდა, მხოლოდ ერთის მაგიერ, ორი ყვავილის სუნთქვას უსმენდა ნინო და გულით ხარობდა.

მალე კიბეზე ფეხის ხმა შემოესმა, ისეთი სიხარულის გრძნობამ შეიპყრო, რომ აღარ იცოდა, რას ჩადიოდა. ჩვილის სახეზე გადაფარებულ დოლბანდს ხან ზევით სწევდა, ხან ქვევით. თვითონაც შეისწორა თმა. იღიმებოდა, გული ჩიტოვით უფართხალვდა.

კარი გაიღო, დავითი შემოვიდა, მაგრამ ნინო იმდენად ბედნიერი და გახარებული იყო, რომ ვერ წამოდგა, ვერ შეეგება საყვარელ ადამიანს. დავითი თვითონ მიიჭრა მასთან.

— ნინო, მომილოცავს! — მხოლოდ ეს უთხრა, გადაკოცნა. მერე ლოგინთან დაიხარა, დოლბანდი გადასწია.

ჩვილმა თვალი გაახილა. მამა-შვილი ერთმანეთს მიაჩერდნენ.

მამის გულს შვილის პაწაწინა თვალების ციკავი ისეთი სანუკვარი სისათუთით შეეხო, რომ ამას ველარ გაუძლო და

ფანჯარა გააღო, კახეთის ბარაკიან ველებსა და მდინარე ალაზნის გადმავალ კასიონის ცამდის ატყორცნილ მწვერვალებს თვალი შეაელო. მერე უცებ თამარი შენიშნა.

— აა, თამარ! — მივიდა, ხელი ჩამოართვა.

— მომილოცავს, დავით. რა ბედნიერი ხარო. — უთხრა თამარმა და თვითონვე იგრძნო, რომ მის ხმაში სიხარული კი არა, ნაღველი გამოსჰქვივოდა.

თამარმა კახეთში გაატარა ზაფხულის დარჩენილი დღეები. სექტემბრის დასაწყისში ნინოსაგან ქალაქში გამგზავრების ნებართვა აიღო. დაპირდა, რომ განაგრძობდა სწავლას და გენრიეტას ჩამოშორდებოდა. გულში კი სხვა ელო: სწავლის განგრძობას საექვოდ თვლიდა, არც თამაზისადმი პირვანდელი გრძნობის აღდგენა მიაჩნდა შესაძლებლად. გურიაში წავიდა. დედა ინახულა და მალე ისევ ქალაქში დაბრუნდა.

სკადა ძალა მოეკრიბნა და სწავლა განეგრძო, მაგრამ მისი განზრახვა გენრიეტას სასაცილოდ არ ეყო.

— „ქვეყანა ინგრეოდა და ტურა კი ქორწილს იხდიდაო“, შენი საქმეც ისეა სწორედ, პა, პა! — იცინოდა გენრიეტა.

„ესედაც ყველაფერზე გულაცრუებულ თამარს მეტიც აღარ უნდოდა; საბოლოოდ ხელი ჩაიქნია სწავლაზე და ახლა მხოლოდ ისიდორეს ელოდებოდა, მისი მალე დაბრუნების იმედი ჰქონდა.“

წელიწადი მიიწურა.

ისიდორე არ ჩანდა. მისგან მხოლოდ ბარათებს იღებდა, თვითონაც უგზავნიდა. კითხულობდა, ბარათებს სწერდა და ამით ერთობოდა.

ისიდორე შემდეგი წლის ზაფხულზე დაბრუნდა თბილისში. აღარ შორდებოდნენ ერთმანეთს და მხოლოდ ომის დამთავრებას ელოდნენ, რომ ქორწილი გადაეხადათ.

ომი გამარჯვებით დამთავრდა.

ხალხი ზეიმობდა.

თამარის ბინაზე ხშირად ეწყობოდა საღამოები, ცეკვა-თამაში, თანაც ქორწილისათვის ემზადებოდნენ.

და აი, დადგა თამაზის დაბრუნების დღეც. თამაზი სწორედ მაშინ მივიდა თამარის ბინაზე, როცა თამარი და ისიღორე ერთათ ცეკვავდნენ, ხოლო გენრიეტა მის ახალ საქმროს ელოდა.

თამი მისამი

გურიაში რკინიგზის იმ სადგურზე ჩამოვიდა თამაზი, საიდანაც იგი სამი წლის წინათ ფრონტზე გაემგზავრა.

თენდებოდა. ფეხი დაადგა თუ არა ბაქანს, თითქოს ისევ თამარის ძახილი შემოესმა:

„ნახვამდის, თამაზ, არ დაგივიწყებ!“
ომში გამგზავრების წინ გამცილებლებს აი აქ, ამ სადგურზე დაემშვიდობა. მათი სახეები წარმოუდგა. ახლა ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა. თვითონ სადგურიც შეცვლილათ, ფიქრობდა.

სადგურის ბაქანზე არავინ იყო, ხოლო შიგ, სადგურში, ტელეფონის ზარის ხმა ისმოდა. სადგურიდან ვიღაც გამოვიდა:

— წავიღებთ ბარგს!

თამაზმა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ჯოხი მოიმარჯვა და გზას გაულგნენ.

ამ გზაზე ბევრი რამ შეცვლილიყო მას შემდეგ, რაც აქ მან, პატარა ბიჭმა, ფეხი პირველად შეახო მიწას. მთა-გორაკებიც კი სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ:

პატარაობისას ხშირად ფეხშიშველად არბოდა ამ გზაზე. ახლა ამ გზით გამარჯვებული ბრუნდებოდა. კოჭლობდა, მაგრამ ვანა ეს შეაწუხებდა, სულიერად რომ ყოფილიყო დამშვიდებული?

შინ მიდიოდა. ომში მისი გამგზავრების წინ ნანახი სურათები მაინც არ ემგებოდნენ. ახლა ამ გზაზე მოჩვენებასავით ჩნდებოდნენ და ჰქრებოდნენ, ხოლო საკუთარი გულივით დაბინდული ბახმაროს მთა იწმინდებოდა. ლურჯი ცა ასეთი კრიალა არასოდეს ენახა. შორიდან მდინარის შხელილი ესმოდა.

„წავიღე, რაც ძველი იყო, ყველაფერი წავიღე, — ახალი მომაქვს“, — თითქოს ასე ჩასძახოდა მდინარე.

ასე ეგონა მისი აქ დაბრუნების გამო დაღუმებულებიყო საყვარელი სოფელი.

მაგრამ აი, ჩიტების გალობა მოისმა და როცა ბახმაროს მთიდან გადმოსული ნათელი სოფელს მოეფინა, აღამიანთა პირველი ხმებიც გაისმა. მალე სოფლის საერთო ურიაშული დაიწყო.

აჰა, აქეთკენ მომავალი ავტომობილის ხმაც მოახლოვდა. თამაზი შედგა. მოსახვევიდან ერთბაშად გამოჭრილი მანქანა მის წინ შეჩერდა.

— თამაზ! — მოესმა თამაზს და ავტოდან მალალი, მხარბუქიანი, ჩასკენილი ჰაბუკი გადმოვიდა. მან ხაკისფერი ქუდი მოიხადა, ხელი გაშალა, თამაზისაკენ გამოეშურა.

— ვარდენ, თქვენა ხართ? — მიეგება თამაზი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომლის მალალ მკერდს ორდენები და მეღლები ამშვენებდა.

— ძვირფასო, თამაზ! — შესძახა ვარდენმა და ვეებერთელა ხელები მოხვია.

ჯოხს დაყრდნობილი თამაზი ისე ლელავდა, ფეხზე ძლივს იდგა.

— შენ ფეხი გტკივებია, ძვირფასო. არც კი გვაცნობე შენი ჩამოსვლა.

— როგორ ხართ, ვარდენ? თქვენა ხმა ფრონტზე გვესმოდა.

— ახლა ჩიენს ხმას მთელ დედაამაზაზე გაიგონებენ, თამაზ, — უთხრა ვარდენმა. — დაგიბრუნდნენ ბიჭები, გამოკოცხლდა ჩამჭრალი კერები. განხირდა ქორწილები...

— დედაჩემი ხომ არ გინახავთ, როგორ არის?

— მინახავს კი არა, დედათქვენს საბავშვო ბაღისა და ბაგის ბავშვები საკუთარ დედაში ველარ არჩევენ, აღარ იციან, რომელია ნამდვილი დედა — ახლა შოფერს მიუბრუნდა ვარდენა და გასძახა: — სანდრო, ძვირფასო! ჩემოდნები მანქანაში! თამაზს წაიყვანს შემდეგ დაბრუნდება და აქვე ჩაის პლანტაციებში დამელოდება!

— მესმის! — თვითონაც სამხედრო წესისამებრ უპასუხა ჯარიდან ახლად დაბრუნებულმა სანდრომ და მანქანა მოაბრუნა.

თამაზმა იფიქრა, ომის დროს აქაც სამხედრო ენა გაბატონებულაო და გაიღიმა.

ვარდენი მიუხედა:

— განა სამამულო ომმა მხოლოდ თქვენ შეგასწავლათ სამხედრო წესები? არა, ძვირფასო, ზოგი რამ ჩვენც შევისწავლეთ!

ავტო საბავშვო ბაგისაკენ მიჰქროდა.

— გასაოცარი კაცია ჩვენი ვარდენი, — დაიწყო შოფერმა, — სადაც დაულამდება, იქ უთენდება. უფრო ხშირად თვითონ მართავს მანქანას. თუ ლამით ტყეში, ან მინდვრად მანქანას რამე გაუფუჭდება და ვერ გააყეთა, შიგ ჩაჯდება და იქვე იძინებს. ამას წინათ ალიონზე ავდექი, ვხედავ სადღაც გამჭარალა ჩემი მანქანა. გავიქეცი თავმჯდომარესთან. არც თავმჯდომარეა. ზღვის მახლობლად, ტყეში ვიპოვე მანქანაც და თავმჯდომარეც. და რას ვხედავ? მოტორი გაჩერებულია; მაგრამ მანქანა მაინც ხრიალებს, — ისე სუნთქავს, თითქოს ცოცხალი არსება იყოს. გამიკვირდა, ეს რა ხდება მეთქი, მანქანაში შევიხედე და რა დავინახე: ეს ჩვენი ვარდენი მანქანაში განივრად მოკალათებულა, ხელები და ფეხები აქეთ-იქით გადაუყარია, პირი დაუღია, სძინავს და გამაყრუებლად ხვრინავს.

„ვარდენ, ჰეი, ვარდენ!“ ვეძახი, — თქვენც არ მომიკვდეთ! ხვრინავს კი ვერ შევაწყვეტინე, ვერც შიგნიდან ჩაკეტილი მანქანის კარი გავაღე. ბოლოს ვეცი მანქანას, ვარხიე და ვაბრახუნე, მაგრამ ვარდენი მაინც ვერ გავაღვიძე. როცა მოვიქანცე, ვარდენის ხმა მომესმა: „ჰეი, ჰეი!“ — კარი გაიღო.

— ღმერთმა ავაშენოს, ძვირფასო! კარგ დროს გამომაღვიძე.

თამაზი ღიმილით მიჩერებოდა საუბრის გუნებაზე მოსულ სანდროს, რომელსაც ალისფერი ქოჩორი წინ გაღმოეყარა და მოგიზგიზე ცეცხლივით ერხებოდა.

— ვისი შვილი ხარ? — შეეკითხა თამაზი.

— სერგო ჩხაიძის.

— როგორ გაზრდილხარ, ვერ გიცანი. ფრონტზე იყავი?

— ბერლინამდე ვდიე მტერს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, სანდრო! ხომ არ დაქრილხარ?

— ერთმა რწყილმა ხელზე მიკბინა, მეორემ მხარზე.

— კარგია, გადარჩენილხარ.

— გულში ან თავში რომ ეკბინა, ახლა ჩემი ბურღდაც არ იქნებოდა! მაშინ ამ მანქანას ვინმე სხვა აჭენებდა ამ სოფლის შარაზე.

— გიყვარს მანქანა?

— მანქანა კარგია, კაცი უკეთესია... მანქანა უკაცოდ უნაყოფოა... ამერიკელები გერმანელთა ერთ ბატალიონს ასი ტანკით ერთ კვირას ებრძოდნენ და ვერაფერი დააკლეს, მერე ჩვენ მივედით და ამ ბატალიონს შვიდი ტანკით იარაღი დავაყრვენიეთ. რა გამოვიდა? ტანკმა კი არა, ადამიანმა გადაწყვიტა საკითხი.

ამ საუბარში ავტო ერთ შენობაში მოთავსებულ საბავშვო ბაღსა და ბაგას მიუახლოვდა.

ხეებით დაბურულ ეზოში ბავშვების ყრიაშული ისმოდა. ახლად ფეხადგმუ-

ლი ბავშვები პაწაწინა ხელებით ერთმანეთს ეტანებოდნენ, ჭყიოდნენ.

როცა ჭიშკართან შეჩერებული მანქანა შენიშნეს, აყრიაპულდნენ, ჭიშკარისაკენ გამოეშურნენ. უფრო მოზრდილებმა — საბავშვო ბაღის ბავშვებმა დაიძახეს: „ძია ვარდენი“, „ძია ვარდენი“. უმცროსები ჭიშკართან თუ ტრიფოლიატის ლობესთან ძლივს მიბაჯბაჯდნენ, თვალები დააცეცეს და გაიტრუნენ.

როცა შეჩერებული მანქანიდან ძია ვარდენის ნაცვლად ვიღაც უცნობი კოკლობით ჩამოვიდა, უფროსებმაც შეწყვიტეს ყვირილ-ხვილი.

— ბავშვებო, დაუძახეთ დეიდა ასმათს! — გასძახა სანდრომ.

— დეიდა ასმათ, დეიდა ასმათ! — დაიძახეს ბავშვებმა და ოლა-სახლისაკენ გაიქცნენ.

ამ ძახილზე შენობიდან მოხუცი, გამხდარი ქალი გამოვიდა და ჭიშკარისაკენ გაეშურა.

თამაზი შუაგზაზე შეეგება.

დედა შედგა, მიაჩერდა, უცებ ვერ აცნო.

— დედა!

— შვილო, თამაზ! — მიაძახა ასმათმა, ხელგაშლილი გამოეშურა და შვილს მოეგება. გულში ჩაიკრა.

— დამშვიდდი, დედა! — უთხრა თამაზმა და სახეგაფითრებულ დედას ხელი მოხვია.

დედას თითქოს არა სჯეროდა, რომ შვილი დაუბრუნდა.

თეთრად გამოწყობილი ბავშვების წრეში, ვით თეთრი ყვავილების ბაღში იდგნენ დედა-შვილი.

ბავშვები მხოლოდ მაშინ ახმაურდნენ, როცა თამაზმა დედას მკლავში ხელი გამოიღო და წაიყვანა:

— წავიდეთ, დედა!

ბავშვები ასმათის კაბის კალთას ეტანებოდნენ, აღარ უშვებდნენ და შესჭყიოდნენ:

— სად მიდიხარ, დეიდა ასმათ!

— დარჩი, დეიდა! *მეტირებულნი*

თამაზი ღიმილით *მეტირებულნი* პატარებს და გულში ამ პატარების სიყვარულით ამბობდა: „დედას მართმევენ“.

ჭიშკართან რომ მიაღწია, ასმათი შეჩერდა და ეზოში გამოსულ გოგონას გასძახა:

— მარინე, მიხედე ბავშვებს!

ავტოში ჩასხდნენ და შინისაკენ გაემართნენ.

ასმათს თამაზის მხარზე მიედო თავი, გულზე ხელს უსვამდა და ჩასჩურჩულებდა:

— შვილო, თამაზ, რა ბედნიერი დედა ვყოფილვარ!

თამაზს ეგონა, ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ მოყენებული ჭრილობა დედის გამხდარი ხელის შეხებით განეკურნებოდა. ახლა თავისი თავი იმ პატარა ბიჭად წარმოედგინა, დედას ხელში აყვანილი რომ დაყავდა და ამ ქვეყნის არავითარ სატყვიარზე წარმოედგინა რომ არა ჰქონდა. ვანა პატარას შეეძლო წარმოედგინა, რომ გაიზრდებოდა, დავაქაცდებოდა, სიკვდილის ცეცხლში გამოივლიდა, გადარჩებოდა და შემდეგ, შინ მშვიდობით დაბრუნებულს, საყვარელი ქალი ჯილდოდ ღალატს დაახვედრებდა?.. არა, ამის წარმოდგენა მას არ შეეძლო! ამიტომ უნდოდა, ახლა ოცნებით მიიწვ თავისი პატარაობის სამყაროში გადასულიყო.

— შვილო, თამარი რთგორაა, რატომ შენთან ერთად არ ჩამოვიდა? — მოულოდნელად ჰკითხა ასმათმა.

დედის შეკითხვამ თამაზი გამოაჩქვია.

— დედა, მთავარი ის არის, თუ როგორა ხართ თქვენ. როგორ არიან ძმები: გიორგი და ლადო თავიანთი ცოლ-შვილით, ელენე და ბაბუა ქაიხოსრო?

— ყველანი კარგად არიან, შვილო. მხოლოდ ლადოს და ელენეს ვაჟიშვილები დღემდეც არ ჩანან.

— მამია და ვანო დღემდეც არ ჩანან? — დედას კი არა, თავისთავს ჰკითხა ნაღვლიანად თამაზმა და შემდეგ დაუმატა: — ჩამოვლენ, დედა!

მანქანა აღმართს შეუდგა. მთელი ძაღლიანი მოიკრია. დიდი ხენეშა-ხრიალით აივკა და ჰიშკართან შეჩერდა. ვებერთელა, ამწვანებული ეზოდან ძაღლები ყუფით გამოეშურნენ. როცა მოახლოვდნენ და ასმათი იცნეს, ყუფა წყმუტუნით შეცვალეს. მერე ერთმანეთს მოეხევივნენ, კონინდარში დაკოტრიალდნენ, თითქოს ჩხუბობენო — იღრინებოდნენ.

როცა ერთმანეთის აღერსით გული იჯერეს, ეზოში შემოსულ ასმათსა და თამაზს მიუახლოვდნენ. მათში ყველაზე უფროსმა, რომელსაც „მერცხალას“ ეძახდნენ, თამაზი იცნო, წოწოლიკა კული დაარხია, აბორიალა, ყალყზე შედგა და აეტოტა. ახლა სხვებმაც მიჰმაძეს მერცხალას.

— იქით, მერცხალა, — შესძახა თამაზმა და ატოტებული ძაღლი ძლივს მოიშორა.

— ჯერ ბაბუაშენი ვნახოთ, შეილო. მუხის ძირას ზის და ზღვას გადაყურებს. ასეა მთელ დღეს. ძლიერ მოხუცდა.

ფესვებდაკუნძული, ბებერი მუხის ძირას დაგებულ ფარდაგზე იჯდა. უკან მუთაქები შემოეწყო, ზედ ზურგიით მისწოლოდა, ჩიბუხს აბოლებდა და თოვლივით გათეთრებულ წარბებს ქვემოთ ღრმად ჩასული, დაპატარაებული თვალებით ზღვას გაჰყურებდა.

მოხუცის პირდაპირ, სიბერისაგან მიხრწინილი ძაღლი, ჰრელი „ვარდია“ გაწოლილიყო და მოხუცს სახეში მიჩერებოდა...

— მოშორდი, ძაღლი! — შესძახა ასმათმა.

„ვარდიამ“ ახლად მოსულებს მხოლოდ გულგრილად გადახედა და გაიტრუნა.

— მამა, მამა! — ჩასძახა ყურში ასმათმა ბერიკაცს.

— ჰე, ჰე! — დაიძახა ქაიხოსრომ, სისხლივით გაწითლებული თვალები გამოახილა, ასმათს ახედა, ნემსებივით წაგრძელებული, თეთრი წამწამები დაახამაზა.

— მამა, იცი ვინ ჩამოვიდა? თამაზი ჩამოვიდა, შენი თამაზი!

— რაო, თამაზი?! სად არის... სად არის... — თამაზის სახელის გაგონებამ ააფორიაქა მოხუცი. ათრთოლებული ხელები მოაფათურა და კანკალი დაიწყა.

— აქა ვარ, ბაბუა! — ჩასძახა თამაზმა, დაიხარა და აკოცა.

— ჩჩემო ბაბუა... ჩჩემო... — წარმოთქვა მოხუცმა, თამაზის თავი გულში ჩაიკრა და ისე ახრიალდა, რომ თამაზი ვეღარ მიხვდა, იცინოდა თუ ტიროდა მოხუცი.

თავი მხოლოდ მამინ ასწია. როცა ლოყაზე სისველე იგრძნო.

— ბაბუაჩემო, გამარჯვებული დაგიბრუნდი, შენც კარგად დამხვდი.

— ჰო, შეილო, გამარჯვებული უნდა დაბრუნებულიყავი. მე ხომ ვამბობდი, ასმათ, გამარჯვებული დაგიბრუნდება ბიჭი-თქო.

— ჰო, ამბობდი, ამბობდი, ქაიხოსრო ბატონო. თუ გამარჯვებული არ დაბრუნდა, შინ არ მოვუშვებ ჩემს ბიჭსო — ძახლი. საუზმეს აქ მოვიტან შეილო, მუხის ქვეშ გავიშლი.

— კარგი, დედა, კარგი. — ღიმილით უთხრა თამაზმა.

შვილის ღიმილში, დედა რალაც დაფარულ სევდას ხედავდა, მაგრამ არაფერს ეკითხებოდა. დედის გულს არც ის, ღუმილი გამოეპარა, რომლითაც თამარის შესახებ მიცემულ შეკითხვას უპასუხა თამაზმა. ამ კითხვის განმეორებას ერიდებოდა.

რამდენიმე წუთში გაშალა ასმათმა სუფრა. თამაზს ხელი დააბანინა, მერე ქარვისფერი ღვინო დაუსხა.

თამაზმა ღვინით საესე ჭიქა ბაბუა ქაიხოსროს ათრთოლებულ ხელში ჩაუღო.

— გვადღეგრძელო, ბაბუა!

— იცოცხლე! სულ გამარჯვებით იარე, შვილო! — წარმოთქვა მოხუცმა და ღვინო გადაკრა.

თამაზი მადიანად ჭამდა დედის ხელით გაკეთებულ საქმელს. სვამდა ღვინოს და ბაბუასაც აძალებდა.

მოხუცს ღვინომ გული აუჩუყა, მაგრამ ძალაც შეჰმატა; თვალი უფრო ცოცხლად გამოახილა. ხელი წვერულვაშზე ჩამოისვა.

— დედაშენი მეც დედად გადამიქცა... ბავშვივით დაეყავარ შინიდან ბაღში... ბაღიდან შინ. ვეძახი: „მომხედე, მომეშველე...“ ასმათი მორბის...

თამაზი სიყვარულით მისჩერებოდა

ბაბუა ქაიხოსროს — ამ ოჯახის ფუძეთა-ფუძეს.

დედა ასმათი ქაიხოსროსა და შინ მშვიდობით დაბრუნებულ შვილს აუქერდებოდა, თავის მეუღლეზე ფიქრობდა. ის აღარ იყო, ასმათთან ერთად არ იზიარებდა მის სიხარულს.

ფიქრში წასული ასმათი გამოერკვა. თავსაფარს ხელი წამოავლო. მიწამდე დაშვებული კაბა გაისწორა, აწრიალდა.

— ბავშვები გელოდებიან, წადი დედი!

— მალე დავბრუნდები, სულ მალე, შვილო!

ასმათი წავიდა.

თამაზმა ეზოში გაიარა.

ირგვლივ ეკვალიბების შეუჩერებელი შრიალი ისმოდა. ბალის ერთ კუთხეში ლეღვი, თეთრი თუ შავი ბალი, ალუჩა, ქლიავი და ბროწეული ერთმანეთს შერეოდა.

თამაზი აივანზე ავიდა და ოთახის კარი შეაღო.

(გაგრძელება იქნება).

კმარა, ქვიშის ბარხანებში
 ქარავენების დამარხვა,
 კმარა შენგან —
 თუ რამდენი
 ოაზისიც გადახმა...
 კმარა ქვების ამოვსება
 შლამითა და
 შხამითა,
 კმარა, რასაც დაქარ შმაგად

შევი ბრკვალი, შევი ფრთა...
 მტკაველ მიწას არ დავტოვებთ
 არსად აღმწვანებელს;
 ქარო, ქარო, შე აექარო,
 შეგახვედრებთ მწარე ბედს...
 ქვესკნელშიაც ვერ დარჩები
 ჩვენგან შეურისხავი;
 ამას ამბობს ყარა-ყულში
 კომუნისზმის ცისკარი!

თაქისუალ ჰიქეთს

★

გულს რა ტანჯავს, რა ნაღველი მძიმე,
ციხის კედლებს განშორებულს უკვე?
ხუნდი აღევს, ხუნდი ნამდვილ თურქეთს
და სულს ზდიან მის ღირსეულ შვილებს.
შენ... მიჰყვები კვიპაროზთა ჩრდილებს:
იქ სახლი გაქვს, ლურჯ ბოსფორის პირას.

და ეს ღამე, მოკაშკაშე ასე,
რა ცივია: თოვს ულუდას მთებში.
იქ, რამდენიც ვარსკვლავია ცაზე,
იმდენივე ანთებული ლექსით
შენ ხელები შეუკარი ომებს,
აილაგმოს ქვეყნად ომის გესლი.
იქ, რამდენიც ვარსკვლავია ცაზე,
იმდენივე ანთებული ლექსი
შენი გულით ამოფრენას ცდილობს,
ხალხის გულში პოვოს თვისი ბინა...
სად მოგყვება კვიპაროზის ჩრდილი
ამ მშვენიერ, მთვარიანი ღამით?
შენი გულიც ამოფრენას ღამობს:
იქ გელიან, ლურჯ ბოსფორის პირას.

ვიეტნამში ჩვენსავე სისხლსა ღვრიან,
კორეაში ჩვენივე გული კვნესის...
მაშ, რამდენიც ანთებული ტყვია, —
იმდენივე — ანთებული ლექსით
გავყვით ცეცხლში მებრძოლ ვიეტნამელს.
რა ცივია ეს ღამაში ღამე,
რა ცივია; თოვს ულუდას მთებში.

დიდ გზაზე *



6

მეორე დღეს, საღამოს, თამაზი და ოთარი, როგორც იქნა, განმარტოვდნენ. უცხოეთიდან ჩამოსულისთვის ყველას რაღაც უნდა ეკითხნა, ყველა ცდილობდა ესაიმოვნებინა მისთვის, დაახლოვებოდა.

ორ პატარა ოთახში, რომელიც ანთიმოზის სახლში ეკავა თამაზს, მნახველები მნახველებს ცვლიდნენ. ხან ერთი მეზობელი ეპატივებოდა ბიძაშვილებს, ხან მეორე. ზოგს ღვინოს და სასმელ-საკმლის მოტანაც კი სურდა, მაგრამ ანთიმოზს ერიდებოდნენ. «ვაი თუ იწყინოს მის ოჯახში სხვისი პურ-მარილის შეტანაო» — ფიქრობდნენ.

სოფელს ელვის სისწრაფით მოედო თამაზის ბიძაშვილის, ბავშვობიდან უცხოეთში გაზიზნული ოთარის ჩამოსვლის ამბავი. უხაროდა სოფელს, თამაზის სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა.

ნარკიელები ოთარის დაბრუნებას სამშობლოს დიდ სიყვარულს აწერდნენ, მაგრამ ამავე დროს არც ის ავიწყლებოდათ, რაც ტარასის სახლში რაიკომის მდივანმა თქვა:

— ამაში, რასაკვირველია, ერთი მხრით სამშობლოს სიყვარულს უნდა ვხედავდეთ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მიერ წინ გადადგმული ზეთითეული ნაბიჯი კაპიტალისტური

სამყაროს უკანდახევია. ახლა თვითონ თქვენ წარმოიდგინეთ, თუ როგორი შეუჩერებელი სიძლიერით მიეკანება უფსკრულისკენ ძირგამომპალი კაპიტალიზმი ჩვენი ჯერარნახული ტემპებით წინსვლასთან ერთად. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმ ხალხის თავის ქვეყნისაკენ შემობრუნებისა, რომელსაც ერთ დროს არ სჯეროდა, ჩვენი, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს გამარჯვება.

რაიკომის მდივნის ამ სიტყვებს გარდა, მისი დარიგებაც ახსოვდათ ნარკიელებს: ამ ადამიანს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთო. გახსოვდეთ, რომ ის სულ სხვა გარემოცვაშია აღზრდილი და ჯერ-ჯერობით იმდენი არ მოეთხოვება, რამდენიც ჩვენს საბჭოთა ადამიანებსო. უჩვენეთ და ასწავლეთო.

— ძლივს მარტო დავრჩით. — უთხრა თამაზმა ოთარს, წინა ოთახის კარი მიხურა და ფანჯარა გააღო.

ოთარს მოსვენება უნდოდა, მაგრამ იცოდა, რომ თამაზი არ მოასვენებდა, სანამ ყველაფერს არ გამოკითხავდა. ის უკანა ოთახში შევიდა, სადაც დიასახლისის მისთვის ლოგინი გაეშალა. პიჯაკი გაიხადა, ყელსახვევი მოიხსნა და ფეხზე ფოსტლები ჩაიცვა.

ელექტრომუქით გალაქდაკებული ოთახის ღია ფანჯარაში ნათლად ჩანდა, თუ როგორ არწევდა ნიავე გაფურჩქვნილ ლიმონის ზეგებს. მთვარიანი ღამის

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 11.

მყუდროებაში მხოლოდ ძაღლების ყე-
და და ზღვის ოდნავი ხმაური ისმოდა.

— საფრანგეთიდან ამერიკაში რა
მიარბენინებდა ბიმაჩემს, რა გქონდათ
იქ, ვინ გყავდათ გულშემატკივარი? —
შეეკითხა ტახტზე წამოწოლილი თა-
მაში.

— მამაჩემი მარწმუნებდა, რომ იქ,
ამერიკაში ოღონდ ხელი გაანძრე და
მეფურად იცხოვრებო. მეც მამის სურ-
ვილს აყვები, სხვა რა გზა იყო? რო-
გორც იყო ნიუ-იორკში ჩავედი. იქ
მამაჩემი იმ ამერიკელს მიადგა, რომლის
იმედითაც გაემგზავრა ნიუ-იორკს და
მეგობრის წერილი გადასცა. ექვსი თვე
უსაქმოდ დავყავით ნიუ-იორკში, სახარ-
ჯო ფული შემოგველია. გასაყიდად ვარ-
გისი რამ თუ გვებადა, გავყიდეთ და
დავხარჯეთ. ბოლოს ყველაფერი შე-
მოგველია და უკვე შიმშილით სიკე-
დილი მოგველოდა, ჩვენი პროტექ-
ტორი რომ არ მოგვშველებოდა. — თქვა
ოთარმა და იმ ტახტზე გადაფარებული
ხალიჩის კუთხეს მიაშტერდა, რომელზე-
დაც თამაში იწვა და მძიმედ ამოიხრა.

თამაში წამოდგა, კედელს ბალიში მია-
დო, ზურგიით მიეყრდნო და სქენაღქცე-
ულმა ხელები გულზე დაიკრიფა.

— ერთ დღეს ორთავე — მამაცა და
შვილიც პროტექტორმა გეინხო. ჯეს
სმოლვეული, მარტო იყო თავის სამუშაო
ოთახში, როცა ჩვენ შევედით. მისტერ
სმოლვეული ნიუ-იორკის ერთ-ერთი
სააქციო საზოგადოების გამგეობის
თავმჯდომარე, დინჯი, ჭკვიანი, და
მჭევრმეტყველი ადამიანის შთაბეჭ-
დილებას სტოვებდა. ზრდილობიანად
მივილო. ყავით გავგიმასპინძლდა და
გვითხრა: — მე დიდ პატივსა ვცემ იმ
ჩემ ფრანგ მეგობარს, რომელმაც ჩემ-
თან გამოგზავნათ. ამიტომ მე მინდა
საჭირო სამსახური გავიწიოთ, თო-
რემ, რა ძნელი საქმეა სამუშაოს შოვ-
ნა ამერიკაში და ისიც ნიუ-იორკში,
ამაში ალბათ დარწმუნდით ამ ექვსი
თვის განმავლობაში. თქვენ ახლავე გა-

ემგზავრებით ამ მისამართით — უთხრა
მამაჩემს, კონვერტი გადასცა და განა-
გრძო: — ამ წერილს დანიშნულულებისა-
მებრ გადასცემთ და საქმეს შეუდგე-
ბით. ამერიკაში სულ სხვა ზნე-ჩვე-
ულებებთან გექნებათ საქმე. თუ ამერი-
კა ძლიერებისა და სიმდიდრის ქვეყა-
ნაა, ამას ის თავის მორალს უნდა
უმაღლოდეს. ასე რომ, გახსოვდეთ, ის
რასაც თქვენ გეტყვიან, ჩვენს ქვეყანაში
სათაკილო ამბავი არ არის. — სმოლ-
ვეულმა მამაჩემს მეორე კონვერტი გა-
დასცა, შიგ სახარჯო ფულიაო — უთხ-
რა, თავი დაგვიკრა და ამით გვანიშნა,
რომ საუბარი დამთავრებული იყო.

ჩვენ დანიშნულ ადგილზე გავემგზავ-
რეთ. ნიუ-იორკის ცენტრში, ბროდ-
ვეის ქუჩაზე უზარმაზარ შენობას მი-
ვაღქმით, მისი ქვედა დარბაზი გაქე-
დილი იყო ყოველგვარი ფირმის ავ-
ტომობილებით, როგორც გადმოგვეცეს,
აქ ძველ ავტომანქანებს ძიქდნენ, აახ-
ლებდნენ და იაფფასებში ჰყიდდნენ.
სავაჭროს დირექტორმა მისვლისთანა-
ნავე მე და მამაჩემს ადგილები მიგვი-
ჩინა.

მამას სპეცტანსაცემელი ჩააცვეს და
მალაზიის ერთი კუთხის მეთვალყურეო-
ბა დაავალეს. მე ერთ ახალგაზრდას გა-
მყოფლეს, რომელმაც იქვე ახლოს მი-
წისქვეშა ვეებერთელა გარაჟში ჩამიყ-
ვანა. დაახლოებით მეოთხედი კილო-
მეტრის სიგრძის გარაჟი სხვადასხვა
საამქროებად იყო დაყოფილი. ამ მი-
წისქვეშა სახელოსნოში შექანიკოსების,
შოფრების, მღებავებისა და ღურგლე-
ბის რიცხვი სამას კაცს აღწევდა. მე მო-
ტორების გასინჯვა და დეფექტების
აღრიცხვა დამავალეს. მთელი ორი თვის
განმავლობაში დარწმუნებული ვიყა-
ვი, რომ მე მართლა ძველ მანქანების
შემქენ და შემკეთებელ სახელოსნოს-
თან მქონდა საქმე. მაგრამ როცა დავი-
ნახე სრულიად ახალი ავტომანქანები,
რომლებსაც მხოლოდ გარეგნული საზე-
ეცვლებოდა, მივხვდი, რომ მოტაცე-

ბულ და ნაქურდალ ავტომანქანების შემნიღბველ სახელოსნოში ვმუშაობდი...

— მერე, რა ჰქენი? — ჰკითხა თამაზმა მოუთმენლად და შუბლი შეიკრა. თამაზის გამმსკველავემა მზერამ თითქოს სუნთქვა შეუკრა ოთარს, ის მიხვდა, რომ მისი განვლილი გზა, რომელიც იქ, ვალმა, თუ არა სასახელო, საძრახისი მაინც არ იყო, მაგრამ აქ, გამოღმა, მას საეჭვო ადამიანად ვახდოდა და ენაზე კბილის დაჭერა ამჯობინა.

— მე მეორე დღესვე დაეტოვე გარაჟი... და... თუმცა სამი თვე სამუშაოს ძებნას მოეუწინა, მაგრამ ბოლოს მოვეწყვე შოფრად ერთ მექარხნესთან.

თამაზს შუბლი გაეხსნა.

ოთარი განაგრძობდა თავის ამბის თხრობას, მაგრამ ნახევარს იქვე სთხზავდა, რადგან მიხვდა, რომ ბიძაშვილი არ მოუწონებდა თავის ნამდვილ თავგადასავალს.

ოთარი თამაზის ნათელსა და სანდომიან სახეს თანდათან შეეჩვიდა და, ბოლოს, თავისი ლაპარაკი თითქოს თვითონაც სჯერაო, თვალში თამამად ჩასცქეროდა და პატიოსან შრომაში ვარამგამოვლილი ადამიანივით უხატავდა თამაზს თავის უკუღმართ ცხოვრებას.

მაგრამ, ამავე დროს მას კარგად ახსოვდა რომ სმოლველს იქით სხვა გზა არ ჰქონდა. არ უნდოდა ოთარს იქ დარჩენა და მუშაობა, მაგრამ იგი დაამწვიდეს — ამ საქმეში სათაჯილო არაფერიო, უთხრეს. შიში ნუ გეჭნება, მფარველები მთავრობაშია ცვეყავს და პოლიცია კი ამ ორგანიზაციიდან საკრანობ თანხას იღებსო.

— მაგრამ, სინდისი? — ჰკითხა მაშინ ოთარმა თავისთავს და მამას მიმართა რჩევისათვის.

— სინდისი!.. სინდისი განა მშვიერ კუქს ვააძლებს? — უბასუხა კოსტამ.

სამი წლის ერთგული მუშაობით უფროსების ყურადღება დაიმსახურა

ოთარმა და მეოთხე წელიწადს ამწყობი საამქროს უფროსად დააწინაურეს.

ჯერ გაუკვირდა, რომ სამხალხის ასეთი ყურადღება დაიმსახურა, მაგრამ ეს მოწყალება იმას მიაწერა, რომ დაელებას დროზე და პირნათლად ასრულებდა. ბევრს მუშაობდა, ცოტას ლაპარაკობდა. ხუთ წელიწადს იმუშავა ამ საამქროში. დღელამეს ასწორებდა. ერთ დღეს ოთარი მისტერ სმოლველმა თავისთან მიიწვია. სამუშაო ოთაზში მარტო მყოფმა სმოლველმა შესვლისთანავე თავაზიანად ხელი ჩამოართვა ოთარს, სავარძელზე მიუთითა და უთხრა:

— მე ჩემს პარიზელ მეგობარს მადლობის წერილი გავუგზავნე თქვენებრ თავდაპირილი და გამოსადეგი ადამიანის გამოგზავნისათვის.

— რით დავიმსახურე, მისტერ ჯეს, თქვენი ასეთი ყურადღება? — შეეკითხა ის.

— ამაზე შემდეგ, ჯერ თქვენ მიპასუხეთ გულწრფელად, მისტერ, ოთარი — ბრძანეთ.

— იცით თუ არა თქვენ სად მუშაობთ და რა გზით შეძენილ ავტომანქანებს უცვლით სახეს?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, მისტერ ჯეს.

სმოლველმა კმაყოფილებით ჩაიციხა.

— სწორედ თქვენი ასეთი თავდაპირილობით დაიმსახურეთ ჩემი და თქვენი უფროსების ყურადღება. ჩვენ განა არ ვიცით, რომ თქვენთვის ამკარაა ყველაფერი. თქვენ კარგად იცით, რომ გარაჟი, რომელშიაც თქვენ მუშაობთ მანქანების გამტაცებელ ტრესტს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამაზე თქვენ ხმა არსად არ ამოვიღიათ. სწორედ ამიტომ მე თქვენ ხუთასი დოლარით გაჯილდოებთ. — მან ჩემი ვაუწოდა და განაგრძო: — დღეიდან თქვენ უფრო მეტ საპასუხისმგებლო სამუშაოზე გგზავნიან, უფრო მეტ ვასამრჯე-

ლოსაც მიიღებთ. — სმოლუდმა ზარის ღიღს თითი დაკვირა. კარი გაიღო და ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

— იცნობდეთ, დღეიდან ამასთან იმუშავეთ. დანარჩენს მისტერ ჯონი გეტყვით.

მათ სმოლუდის ოთახი დატოვეს და ახალ სამუშაო ადგილზე გაემგზავრნენ.

გამყოლმა ოთარი რიჩმონდის საქალაქო ოლქში, ერთ-ერთ უზარმაზარ სასტუმროში დააბინა. საღამოს ოთარი მეგატრონემ მოსალაპარაკებლად იხმო. იქვე იყო მისტერ ჯონიც. ჩასუქებულმა მელოტმა ამერიკელმა ოთარს ხელი ჩამოართვა და მაშინვე საქმეს შეუდგა:

— მისტერ ოთარი! თქვენ მისტერ ჯონის მეგობარი უნდა შესცვალოთ, იგი გუშინ დაიღუპა. — ჩამქრალი სიგარა აანთო და განაგრძო: — ის ავტომობილის კატასტროფამ შეიწირა. მღვერებს გაექცა და მანქანა, გუდსონზე გადასვლის დროს, ხიდის მოაჯირს დააჯახა.

— ვასაგებია, მაგრამ მინდა ვიცოდე. რა სამუშაოს მავალბეთ. — შეეკითხა ოთარი.

— მისტერ ჯონის თანაშემწე იქნებით. თქვენ ორნი, ერთად იმუშავეთ. ყოველ შაბათს მოხვალთ ჩემთან ვასამრჯელოს მისაღებად. მისტერ ჯონი მანქანების გატაცების დახელოვნებული ოსტატია. — იგი წამოდგა, გამოსაშვინდობებლად ორივეს ხელი ჩამოართვა და უთხრა: — მისტერ, ოთარ, ვახსოვდეთ, რომ თქვენი გამდიდრება თქვენზეა დამოკიდებული.

ოთარი ჯონთან ერთად მეორე დღესვე შეუდგა მუშაობას და სულ მოკლე ხანში დახელოვნებულ კოლეგას გადააქარბა. დღით-დღე მატულობდა მისი შემოსავალი. კოსტას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ფული ბევრი იყო, შიში კი ნაკლები. ოთარს პოლიციის არ ეშინოდა. ის მხოლოდ ხალხს უნდა მორიდებოდა, რადგან მანქანის გატაცების

დროს ხშირი იყო შემთხვევა, როცა ხალხი განგაშს ატეხდა და გამტაცებელს გამოუღებოდა. თუ ხალხს შეგნაყრობდა და პოლიციაში მიგვიყვანდა, იმ დღესვე გაზეთები აყაყანდებოდა, მთელს ქალაქს ელვის სისწრაფით მოედებოდა ეს ამბავი და, რასაკვირველია, შემდეგ თავის გამოხსნა ძნელი იყო. დიღბანს იმუშავა ოთარმა ამ ხელობაზე და არ აპირებდა არც ამერიკისა და არც ამ ხელობის მიტოვებას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა.

ერთ საღამოს სასტუმრო „ნაციონალის“ წინ ჩამწყრივებულ მანქანებში ოთარმა ერთი მანქანა ნიშანში ამოიღო. თამამად მივიდა მასთან. კარის მოსარგები გასაღები ჯიბეში უკვე შერჩეული ჰქონდა, მაგრამ ის აღარ გამოუყენებია, რადგან, სახელურს ხელი მოჰკიდა თუ არა, კარი მყისვე გაიღო. საჩქაროდ დასძრა მანქანა ადგილიდან, ცენტრალური ქუჩა გადაჭრა და პატარა ქუჩისკენ გადაუხვია, რათა უფრო ჩქარი სვლის საშუალება მისცემოდა. ამ დროს მის უკან, მანქანაში ვიღაცამ დაიყვირა. თურმე შიგ შოფერს ეძინა. ოთარმა მთელი სისწრაფით გააქანა მანქანა, მაგრამ შოფერმა რევოლვერი მიადო კეფაზე და შეჩერება უბრძანა. შეჩერდა მანქანა. ოთარი სწრაფად გადმოხტა მანქანიდან, მაგრამ შოფერიც გადმოჰყვა და რევოლვერი პირდაპირ შუბლში დაუმიზნა. ხელში ეცა ოთარი. ჭიდილში გავარდნილმა ტყვიამ შუბლზე ტყავი გაუკაწრა.

რევოლვერი წაართვა მოწინააღმდეგეს, სისხლი თვალებზე ჩამოედვარა, მძიმედ დაჭრილი ეგონა თავი. არ ახსოვდა, რამდენჯერ ესროლა იმ საწყალს, მხოლოდ ისღა დაინახა, თუ როგორ იტაცა ხელი მარცხენა მკერდზე დაჭრილმა, თუ როგორ შეიკრიბა მის გარშემო ხალხი. ოთარმა კიდევ ორჯერ გაისროლა ჰაერში, რომ გზა გაეკათა და მიმალულიყო.

ოთარმა იმ დამესვე შეატყობინა ეს ამბავი ჯონს. ჯონმა სმოლველს აცნობა. მესამე დღეს ოთარს ყალბი პასპორტი გაუმზადეს. დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა ამერიკის შეერთებული შტატები. დაჭრილი ერთ-ერთ მსხვილ კაპიტალისტთან მუშაობდა თურმე. კაპიტალისტს შეეძლო დიდი აურზაური აეტეხნა.

ოთარი და კოსტა ტრესტისა და პოლიციის დახმარებით საოკეანო გემში ჩასხდნენ და სტამბოლისკენ გაუდგნენ გზას.

ოთარს არც ეს ამბავი და არც ის გაუშხელია თამაზისათვის, რომ შვილი ჰყავდა, რომ ცოლი — პასტორის ქალი-შვილი, მამის ჩაგონებით, ლეფევრის ქვრივის ოჯახიდან განდევნილ და ცარიელ-ტარიელად დარჩენილ ქმარს გაეყარა და ექვსი თვის ბავშვი ხელში ჩაუტოვა.

— დიახ! ბიძია ზურაბმა ენით გამოუთქმელი სიხარული განიცადა ჩვენი დანახვით. — განაგრძობდა ოთარი. — მოხუცს ფრთები შეესხა. ვერ ავიწერ, თუ როგორი სიყვარულით ეხვეოდნენ ძმები ერთმანეთს...

— როგორ გრძნობს მამა ჩემი თავს? როგორ ცხოვრობს? ვინ უვლის?

— ვინ უვლის?! მომვლელი რამდენიც ვნებავს, იმდენი ჰყავს. მამაშენს იმდენი ჭონება აქვს, რომ მგონი ეს სოფელი მთელი საუკუნის განმავლობაში შეინახოს.

— ჩემი ამბავი რომ გაიგო, რა თქვა მამამ? — ჰკითხა თამაზმა.

ოთარი შეკრთა, თითქოს ენა დაებოო, მაგრამ სწრაფ გამოერკვა და განაგრძო:

— სიხარულით კინალამ შეიშალა. იძახდა: ასეთ ბედნიერს რა გამზდილო. იქნებ მატყუებს ვინმეო. — ყველაფერს ფულად ვაქცევ და ჩემს ქვეყანაში, შვილთან გავემგზავრებიო. გადაწყვიტა ომის დამთავრებას დალოდებოდა. როგორც ომი დამთავრდება, შენ გაგზავ-

ნი, მოელაბარაკე, იქნებ აქეთ წამოსვლა არჩიოსო. — მეუბნებოდა.

— იქით წასვლა? — თამაზს გაეცინა.

— რად გაგეცინა? განა გასაკვირია, მამას რომ შვილთან ახლოს ყოფნა უნდოდეს?

— მამას რომ შვილთან ყოფნა უნდოდეს, გასაკვირი არ არის, მაგრამ მამა სამშობლოში ჩამოსვლის ნაცვლად რომ უცხოეთში ეპატიებოდეს შვილს... მაგრამ ამაზე სხვა დროს. შენ ის მითხარი; ესტონეთში როგორ მოხვდი?

— არ მითქვამს? — ჰკითხა თამაზს ოთარმა და უგულოდ წამოდგა, შუბლზე ხელი გადაისვა, ფანჯარასთან მივიდა და რაფაზე ჩამოჯდა. — ამელამ იმდენი რამ გიამბე, რომ, თუ რამე გამომჩა, ნუ გაგიკვირდება... ჰო, ესტონეთზე მეკითხები, არა?

— იქ რა გინდოდა?

— ვართან თუმანიანცზე რომ გელაპარაკე, თუ გახსოვს, მამაშენის შეგობარზე, სწორედ ის იყო ჩემი ესტონეთში გამგზავრების მიზეზი.

— თუმანიანცი? მახსოვს, მაგრამ, აცი ის მამას გამოეყო და სტამბოლიდან გადასახლდაო...

— დიახ, გადასახლდა. სავაქრო სახლის თავისი წილი მამაშენს მიჰყიდა, მაგრამ ტყავის ქარხანა საამხანაგოდ დაუტოვა სტამბოლში. თუმანიანცი სოფიაში ცხოვრობდა და ქარხანას ნედლეულით ბულგარეთიდან ამარაგებდა. ფაშისტური გერმანიის მიერ ბალტიისპირა ქვეყნების ოკუპაციის შემდეგ იქ გაუხსნია მას სავაქრო განყოფილებები. როცა ფაშისტთა არმიები უკან იხევდნენ და საბჭოთა ჯარები ესტონეთის საზღვრებს მოუახლოვდნენ, თუმანიანცი ბალტიისპირა ქვეყნებიდან თავის ქონების გატანას შეუდგა. დასახმარებლად მე წამიყვანა ბულგარეთში. — ოთარმა პაპიროსი ამოიღო, გააბოლა და განაგრძო: — თუმანიანცმა ქონების უმეტესი ნაწილი გადაარჩინა, მაგრამ მე კინალამ შემიწირა.

— რატომ?

— ბულგარეთში ჩვენ მხოლოდ ორი დღე დავყავით და ესტონეთში გავემგზავრეთ. ჩასვლისთანავე შევეუდექით თუმანიანცის ქონების გაგზავნას თურქეთში. მე სულ სამ დღეს ვეხმარებოდი მას. მეოთხე დღეს მაღალი სიცხე მომცა და მალე გონებაც დავკარგე.

— რა მოგივიდა?

— პარტახტიანი ტიფით გავხდი ავად. როცა გონს მოვედი, ესტონეთი უკვე განთავისუფლებული იყო ფაშისტებისაგან. იმ გაიძვერა ვაქარს მე მივეტოვებინე და თვითონ კი გაქცეულიყო...

— წასვლა გერჩია? — ჰკითხა თამაზმა და პირდაპირ შეხედა თვალბეში.

— რომ მცოდნოდა ყველაფერი ასე მშვიდობით მოგვარდებოდა, რა უნდა მქონოდა სადარდებელი! მაგრამ პირველ ხანებში სასოწარკვეთილებამ შემიპყრო.

— რატომ?

— ფაშისტები გაჰკიოდნენ, საბჭოთა ჯარები ყველას ხვრეტენ, ვინც ხელში ჩაუვარდებოდა.

— სინამდვილეში კი...

— სინამდვილეში კი ჩემთვის, როგორც სხვა პარტიოსანი მოქალაქეებისათვის, ხმა არავის გაუცია. დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდნენ ავადმყოფს საბჭოთა ჰოსპიტალში.

— შემდეგ, აქეთ არჩიე წამოსვლა, არა?

— რასაკვირველია, — ავი გითხარი, მამაშენი მაინც აპირებდა ჩემს გამოგზავნას მეთქი.

კიდევ დიდხანს საუბრობდნენ თამაზი და ოთარი. სანამ სოფელში მეორეჯერ არ იყივლეს მამლებმა, დაწოლა არც უფიქრნიათ.

— შენ რას იტყვი, ოთარ? სად ჯობია ცხოვრება? აქ თუ სტამბოლში? — ჰკითხა თამაზმა და ოთახში სინათლე ჩააქრო.

— ჯერ უნდა ნახო მამაშენის ავლა-დიდება, რომ ჩემი აზრი გითხრავს...

— ავლა-დიდება! ქრნებანქნიშენც მართალი ხარ, რადგან აქაური ჩემი ავლა-დიდება ჯერ არ გინახავს.

7

ოთარს კოლმეურნეობის გარაჟი ჩააბარეს, ცხრა საბარგო და ორი მსუბუქი ავტომანქანით. მან სამუშაოს დაწყებისთანავე განსაკუთრებული მუყაითობა გამოიჩინა. მთელ თვეს დილიდანვე დაღამებამდე გარაჟიდან არ გამოდიოდა. ეზოში მანქანების სარეცხი ონკანები მოაწყო. შოფრებს სახანძრო საქმის ლექციები წაუკითხა და გარაჟში მორიგეობა დააწესა.

სამუშაოდან დაბრუნებული მანქანების თვითიულ ნაწილს თავისი ხელით სინჯავდა. ერთი თვის განმავლობაში ოთარმა ყველაფერი წესრიგში მოიყვანა და თავისუფლად ამოისუნთქა.

ტრანსპორტის ასეთი უავარიო მუშაობა ჯერ არ ახსოვდა კოლმეურნეობის გამგეობას.

ანდრო განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ოთარს. საღამოობით ხშირად თვითონ გამოჰყავდა ის გარაჟიდან. — გეყოფა, დაისვენე, ყველაფერი ერთად არ იქნებაო, — ეტყოდა ხოლმე. ანდროს ხან თავის სახლში მიჰყავდა ოთარი, ხან ზღვაზე სათევზაოდ ეპატიებოდა და ხან კი წყალგაღმა აგარაკზე გაიყვანდა სასეირნოდ.

უხაროდა თამაზს, მთელი სოფელი რომ ლაპარაკობდა ოთარის ენერგიულ მუშაობაზე. კმაყოფილი იყო იმითაც, რომ ოთარი სტამბოლში წასვლაზე არაფერს არ ეუბნებოდა მას შემდეგ, რაც თამაზმა წერილი მისწერა ზურაბს და სთხოვა გაეყიდნა ყველაფერი სტამბოლში, ფული საბჭოთა ბანკში ჩაერიცხა, წამოსულიყო და თავისი ძმაც წამოეყვანა.

საკვირველია, — ფიქრობდა თამაზი, — იქ, იმ ქვეყანაში გარბილი ადამიანი, რა მალე შეეთვისა ჩვენს ცხოვრებასო.

ოთარს ერთხელაც არ ამოსვლია პირიდან სამღურავი. პირიქით, მთელი მონღოლებით ცდილობდა რაც შეიძლება ადრე გარკვეულიყო საკოლმეურნეო სოფლის ყოფა-ცხოვრებაში. ის არცერთ საერთო კრებას არ აკლდებოდა. ცდილობდა ყოველ ახალ წამოწყებაში თავისი წვლილი შეეტანა.

სულ მოკლე ხანში სოფლის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. კოლმეურნეობამ, მდინარის ნაპირას, ზღვის შესართავთან, სამოსახლო ადგილი გამოუყო და შემოდგომაზე მოსავლის აღების დამთავრებისთანავე, სახლის აშენებასაც შეჰპირდა.

— ხომ ხედავ, ძმაო, რა სიმდიდრე შეიძინე? თვალში რომ ჩაუვარდე, ხელს არავინ ამოისევას. განა ხალხის სიყვარულზე უფრო დიდი სიმდიდრე არის რამე? — ეტყოდა თამაზი ბიძაშვილს.

დიდი და პატარა პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ოთარს, მაგრამ მედეასა და მის შორის სულ სხვა, უფრო თბილი და უფრო ღამაში გრძნობა იზრდებოდა თანდათან.

ოთარს აფთიაქის გვერდით, აღმასხანის სახლში ეჭირა ოთახი. პირველ ხანებში მედეა და ოთარი, როგორც კარის მეზობლები, ძალუნებურად ხვდებოდნენ ყოველდღე ერთმანეთს. შემდეგ ისინი ხშირად საუბრობდნენ ხოლმე საღამოობით სუფთა პაერის ჩასასუნთქავად გზის პირად გამოსულნი. მერე ოთარი სამუშაოს შემდეგ დასასვენებლად ჭიშკართან მერხზე ჩამომჯდარ ქალს გვერდით მიუჯდებოდა და ათასგვარი ამბების მოყოლით ართობდა.

ახლა მედეას წარბ-წამწამები სავარცხლის კბილებივით დაყოფილი აღარ ჰქონდა, არც სახეს იხატავდა

ფერ-უმარილით და არც კაბებს იცვლიდა დღეში ორმოცჯერ.

ყოველმხრივ გარდაიქმნა მედეა. ახლა მის გულში რაღაც ახალი, უჩვეულო პანგი აედერდა. მედეა ახლა თითქოს უფრო მაგარ ფეხზე იდგა. ყველაფერი შეიცვალა მასში, გარდა ქალური, სათუთი და ღამაში ღრმისა სიახლისაყენ. მომწიფებული ქალის ღრმისა მედეას სულში ისე ღვიოდა, როგორც ველზე ყაყაჩოს სიწითლე. ქალმა ოთარის ნახვისთანავე შეიგრძნო თითქოს თავისი სულის ნავთსაყუდელი. ტანმორჩილმა, წერწეტმა და თვალუუქუნა ქალმა, კუნთმაგარი, მხარბეჭვანიერი ახოვანი ვაეკაცი გულში ღრმად ჩაიხატა და გაიფიქრა: ნეტავ ისეთი ჯანსაღი სული აღმოაჩნდებოდეს, როგორც მისი სხეულიაო. მედეა ოთართან თავს ისე გრძნობდა, როგორც გაზაფხულის ცისქვეშ გამოტანილი ქერქვეშ ნაზამთრალი ყვავილი. გონებაშხველი ქალი ერთხანს მაინც ყოყმანობდა, შიშობდა, მაგრამ როცა სოფელი ოთარზე აღაპარაკდა, როცა შენიშნა, რომ ოთარი სხვა ქალიშვილებზე მეტ ყურადღებას მას აქცევდა, ახარებდა მასთან შეხვედრა, მისი სიახლოვე, მედეამ ისეთი სიხარული და ბედნიერება იგრძნო, რომ მთელი ქვეყანა თავისი ეგონა.

ერთ კვირა საღამოს, როცა მზე ზღვაში ჩაიწვერა, როცა მთელი დღის პაპანაქებისაგან შეწუხებული ნარკიელები სანაპიროზე ჰადრებქვეშ თუ ფიჭვნარში ისვენებდნენ, ციხის ნანგრევთან, სადაც ყოველთვის მდინარის მოყოლილი შთის ცივი ნიავი ჰქრის, წყალში ნახევრად ჩაწოლილ ლოდზე მედეა და ოთარი ისხდნენ. ისინი მხოლოდ იმ დღეს განმარტოვდნენ პირველად.

დიღხანს ისხდნენ ისინი უსიტყვოდ. თავიქაინდრული ქალი ბობოწვერას სწიწნიდა. ოთარი თვალდაშტერებით დასცქეროდა მდინარის ზედაპირს, რომელიც მთეარის შუქზე ფირუზისფრად ბზინავდა.

— ძლივს, როგორც იქნა!.. — დაარღვია პირველად სინუმე ოთარმა და ქალის ფერმკრთალ უძრავ პროფილს მიაპყრო თვალი. ფირუზისფერ წყლის ფონზე მარმარილოზე გამოკვეთილ პორტრეტს უფრო ჰგავდა მედეას სახე. ქალმა თავი ასწია, ბობოწვერას ნარჩენი მდინარეში გადააგდო და სახე ვაჟისკენ მიიბრუნა.

— როგორც იქნა მარტო დავრჩით. ახლა თავისუფლად შემიძლია გითხრა, რაც ამდენხანს უნდა მეთქვა. — უთხრა მედეას ოთარმა და ქალის შიშველ მკლავს ხელი მოჰკიდა.

ქალმა თავბრუდამხვევი სიტბო იგრძნო. ერეოლამ აიტანა, ისეთმა, როგორც მხოლოდ ოცნებით განეცადნა.

— ოჰ, ოთარ!.. — წამოიძახა შიშით და ვაჟს მკლავი მოარიადა. მაგრამ ოთარმა ორივე ხელი ღონივრად მოხვია და გულზე მაგრად მიიკრა.

8

ამ წელს მაგარი გვალები დაიჭირა. სანამ ნიადაგს სინესტე გამოეღეოდა, ნოყიერ მიწაზე სიმინდმა სწრაფად აიყარა ტანი. მაგრამ ახლა უკვე გაფიცებული მიწა თოხს არ იკარებდა. სიყვითლე შეეპარა სიმინდის ფოთლებს. შექცა, მოტეხილი ფრთებივით დაეკიდა ღეროზე.

გამოცდილი თვალი ციტრუსებსაც შეატყობდა მოწყენას.

„ვაი თუ კიდეც დიდხანს გაგრძელდეს გვალვა“.

„ყანები განადგურდება“.

„ნორჩი ყვაილი დასცვივა ციტრუსოვან ხეებს“.

სწუხდნენ სოფელში.

საღამოობით ხშირად, როცა ზღვის პორიზონტზე თუჯისფერი ღრუბელი გამოჩნდებოდა, სოფელი მშვიდად მიეცემოდა ძილს, მაგრამ

დილით, როცა მზე კვლავ აქაშაშდებოდა მოწმენდილ ცაზე, გულდაწყვეტილი კოლმეურნეები ხელს უმედეოდ იქნევენ.

მეხუთე კვირას, დილით, ანდრომ კოლმეურნეობის გამგეობის საგანგებო სხდომა მოიწვია.

კრებას ოთარიც დაესწრო.

ყველამ ერთი აზრი გამოთქვა: რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ყანები უნდა მოირწყასო.

— მდინარისპირა ყანებს კიდეც შეიძლება მთელი სოფელი დაეახვიოთ და მოერწყათ, მაგრამ შარაგზის მარცხენა მხარეზე, ნახევარი კილომეტრის საველ გზაზე წყალი როგორ უნდა ვზიდოთ? — განაცხადა ერთმა.

— ციტრუსებსაც მოერწყვა უნდა?

— უნდა მოირწყას, თორემ მთელი წლის სარჩო გველუპება! — წამოიძახა ანთიმოზმა.

მართლაც, ამდენი ყანისა და პლანტაციის მოერწყვა ერთი შეხედვით წარმოუდგენელი იყო. მდინარე, რომელიც დაბლობში მიედინებოდა, გადასაგდებად უვარგისი იყო, ხოლო კოკებით წყლის ზიდვა მხოლოდ ახლომახლო პლანტაციებში თუ შეიძლებოდა.

სიტყვა ოთარმა აიღო.

— გამოსავალი არის, ამხანაგებო. — თქვა და წამოდგა.

— გისმენთ. — უთხრა თამაზმა.

— მდინარეზე წყალსაქაჩი მანქანები უნდა დიდგას.

— მერე? — შეეკითხა ოთარის აზრს მიმხედარი ნესტორი.

— მდინარის ნაპირზე ორმოებს გაუთხრით. მდინარიდან წყალს ორმოში გადაექაჩავთ, აქედან კი პლანტაციებისა და ყანებისაკენ გაუშვებთ.

— მანქანები? — წამოიძახა ტარასიმ.

— ორს მე ავაწყობ დღესვე გარაჟში. ორს მეთვეზეთა ბრიგადას გამოვართმევ. — მიუგო დაიმედებული ხმით

ოთარიძე. — მხოლოდ საჭიროა ორმოე-
ბე გაითხაროს სასწრაფოდ.

— გადაწყდა! — წამოიძახა თამაზმა
და ზეზე წამოიჭრა.

ყველანი წამოიშალნენ.

— აბა, ანთიმოზ, ტარასი, აღმასხანი
ახლავე დაუარეთ ბრიგადირებს. ხალხი
ორ საათში სამუშაოზე უნდა იყოს გა-
მოსული. მთელ სოფელს აცნობეთ.—
ეუბნებოდა გამგეობის წევრებს ანდ-
რო. მერე ანთიმოზს მიუბრუნდა:— მე
და თამაზი ახლავე შევეუდგებით ორ-
მოების გასათხარელი ადგილების დანი-
შენას. ოთარი გარაჟში წყალსაქაჩავე-
ბის აწყობას მოჰკიდებს ხელს.

ნაშუადღევს მთელი სოფელი მდინა-
რის პირას მოგროვდა. სადღესასწაულო
განწყობილება სუფევდა ხალხში. მამა-
კაცები ბარებით ხელში ვეფხვებივით
ტრიალებდნენ. მიწას თხრიდნენ. ქა-
ლებს თხრილებიდან თოხებით მიწა
ამოჰქონდათ. ბავშვები დოქებითა და
ჭიქებით ხელში დარბოდნენ — მოწყუ-
რებულთ წყალს აწვდიდნენ.

სამასამდე მამაკაცი და ასამდე ქალი
ათ ბრიგადად დაიყო. მზის ჩასვლამდე
სულმოუთქმელად მუშაობდნენ.

მეორე დღეს გარიჟრაჟიდანვე კიდევ
უფრო მეტი მუშახელი გამოცხადდა სა-
მუშაოდ.

საუზმე და სადილი ხონჩებითა და
თაბახებით მოჰქონდათ ქალებს. ნაშუა-
დღევს სოფლის მუშა-მოსამსახურეთა-
გან მეთერთმეტე ბრიგადა ჩამოყა-
ლიბდა.

სადამოს კედლის გაზეით გამოვიდა.

მუშაობა არნახული ტემპით მიმდინა-
რობდა. ყანები და ბაღები არზე-
ბით ისერებოდა. ისმოდა მხიარული
ჟრიაშული და სიმღერები. სახეზე ყვე-
ლას ისეთი სიხარული აღბეჭდოდა,
თითქოს უხვი მოსავლის ნაყოფით სავ-
სე უკანასკნელ გოდრებს ბედლებისა-
კენ ეზიდებიანო. მესამე დღის კედლის
გაზეთის მესამე ნომერში ოთარის სუ-

რათი გამოჩნდა. მის შესანიშნავ ინ-
ციატივას ქება-დიდებას ასხამდნენ.

მედია სიხარულთან ერთად სიამაყე-
საც განიცდიდა. ჩიტივით უფართო-
ლებდა სიყვარულით გამოთბარი გული.
რა უფერულად ეჩვენებოდა ახლა თა-
ვისი წარსული, როცა მის გულში ამ
ყველაზე ლამაზი გრძნობის ნაპერწკა-
ლიც კი არ ბუუტავდა. ახლა მიხვდა მე-
დია, რომ სიყვარულმა არა მარტო გუ-
ლი გაუთბო, არამედ გონებაც გაუნათა,
სიცოცხლის უფრო მეტი სიყვარული
ჩაუნერგა.

მედია მოუთმენლად ელოდა იმ
დღეს, როცა ის საყვარელი ადამიანის
მკვლავზე თავს ჩამოდებდა და მისი მეო-
რედშობილი სული ნეტარებას იგრძ-
ნობდა. ეს ჟამი, ოთარის სიტყვით, შე-
მოდგომის მიწურულში უნდა დამდგა-
რიყო და ქალი თითებზე ითვლიდა,
დღევებს.

არხების გათხრაზე მთელი სოფელი
მუშაობდა. არ ჩანდა მხოლოდ ოთარი
(ის წყალსაქაჩ მანქანებს აწყობდა),
მაგრამ მედია თავის ბრიგადაში ფრთებ
შესხმულივით დაფრინავდა და მამაკა-
ცებსაც კი ეჯიბრებოდა.

მედეას ეგონა, რომ მისი გულისცემა
მარტო მას ესმოდა, და მისი სიხარუ-
ლის მიზეზი მხოლოდ მან იცოდა, მაგ-
რამ სინამდვილეში ეს ამბავი ნარკიაში
საიდუმლოებას არავისთვის არ წარმო-
ადგენდა. მედია დიდსა და პატარას
ერთნაირად უყვარდა და მისი ბედი
ყველას ახარებდა.

მეოთხე დღის საღამო ხანს სოფელში
მრავალ ადგილზე გაისმა ვაშის ძახილი.
ეს ხმაური არხების გათხრის დამთავ-
რების სასიხარულო ნიშანი იყო.

მთელი ხალხი მდინარის პირას შეიკ-
რიბა და ხუთად გაიყო. ხუთ ადგილზე
უნდა გაეთხარათ ორმო, საიდანაც წყა-
ლი არხებში უნდა გასულიყო.

ოთარის ბრიგადაც გამოჩნდა წყალ-
საქაჩი მანქანებით.

ზღვაში მზე ნახევრად ჩაიძირა, როცა

სანაპიროზე ხუთ ადგილას ხუთი მოტორი ავსუგუნდა.

ორმოცი წყლით იესებოდა, არხები მცენარეთა მაკოცხლებელ ძალას პლანტაციებისა და ყანებისაგან მიაქანებდნენ.

9.

წყალი ღარებს ჩაჰყვა თუ არა, ანდრო და თამაზი ფოსტისაყენ გაემართნენ, რომ ეს სასიხარულო ამბავი რაიკოძის მდივნისათვის ეცნობებინათ.

ფოსტიდან რომ გამობრუნდნენ, თამაზს გზაზე ოთარი შეხვდა. აგრონომს ხელში ლურჯი კონვერტი ეჭირა.

— წერილი, საიდან? — შეეკითხა ოთარი.

— სტამბოლიდან, მამაჩემის წერილია. ჰა, წაიკითხე, სასიხარულო ამბავს იწერება. — უბასუხა ღიმილით თამაზმა და გახსნილი კონვერტი მიაწოდა.

— რაო! რას იწერება? — ჰკითხა ოთარმა ოდნავ არეული ხმით და ბართი გამოართვა.

— ჩასვლას მთხოვს: ჩამოდი, გავყილოთ რაც კი გვაქვს, და ერთად დაებრუნდეთო უკან.

ოთარს ბიძაშვილის სიტყვები თითქოს არ გაუგონიაო, ამღვრეული თვალებით ჯერ კონვერტს დააქცერდა, მერე ბართი ამოიღო და გაფაციცებით ჩაჰყვა სტრიქონებს. წერილი გადაიკითხა, თავისუფლად ამოისუნთქა, კოსტას ხელი იცნო. მიხვდა, რომ ზურაბს ჯერ კიდევ არაფერი არ ჰქონდა გაგებული შვილის შესახებ. როცა სანაპირო ქუჩაში შეუხვიეს, ოთარის აღწეილ სახეს სიმშვიდე დაეუფლა მან კონვერტი ჯიბეში ჩაიღო.

— წაიკითხე? — ჰკითხა თამაზმა ოთარს.

— წაიკითხე. — უბასუხა ოთარმა და სახე გვერდზე მიაბრუნა. თამაზის

თვალეებში რალაც საეჭვო ჩრდილი მოეჩვენა ოთარს. მაგრამ მას ხომ ამის საბაბი არ მიუცია თამაზისათვის? არავითარი საბაბი.

ოთარი ხომ გულმოდგინედ შეუდგა კოლმეურნეობაში მუშაობას. მან განსაკუთრებული ინიციატივა გამოიჩინა და გარაჟის მუშაობა ისე ააწყო, რომ რაიონში სანიმუშოდ გადააქცია. საცოლეც გაიჩინა და სამოსახლო ადგილიც გამოუყვეს.

ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ჰქონია ოთარს ბიძაშვილთან ლაპარაკი სტამბოლზე და თუმცა ოთარს ხმა არ ამოუღია სტამბოლში ცხოვრების სურვილზე, მაგრამ იმას, რომ ოთარს ოსმალეთში დაბრუნება სწაღდა, ალბათ მისი ლაპარაკის კილო და თვალეები გამოხატავდა.

თამაზი იქნებ გრძნობს, რომ ოთარს ყველაფერი არ უთქვამს მისთვის, რომ ოთარი მას განსაკუთრებული სიფრთხილით ექცევა — შორიდან უვლის.

— მერე, როგორ ფიქრობ, უჩვენოდ მოხუცები შეძლებენ ყველაფრის მოგვარებას? — ჰკითხა თამაზმა ოთარს ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— რა მოგახსენო, — უბასუხა ოთარმა და, თითქოს თამაზთან საუბარს ერიდებო, ნაბიჯს უმატა.

თამაზი გაკვირვებული გაჰყვა ბიძაშვილს. ისინი ზღვის ნაპირზე მიდიოდნენ. დასავლეთიდან ქარი უბერავდა. ნაფლეთ-ნაფლეთად წამოშლილი ღრუბლები ზღვაზე ერთდებოდნენ და აღმოსავლეთისაკენ მოილტვოდნენ. ზღვაში ყრუ გუგუნე ისმოდა.

— მგონი გაავდრდება, ოთარ. — უთხრა თამაზმა წინ მიმავალ ოთარს, — სასაცილო არ იქნება, ახლა წვიმა რომ მოვიდეს?

— ნეტავ მოვიდეს. — წაილულულა ოთარმა.

— შენ რალაცს მიმალავ, ოთარ!

გატყობ, რატომღაც ჩემთან გულწრფელი არა ხარ.

— ოთარს პასუხი არ გაუცია. მან ხალათის ზედა ღილი შეიხსნა, სათუთუნე ამოიღო და თამაზს გაუწოდა. პაპიროსს მოუკიდეს.

ციხის ნანგრევებს მიუახლოვდნენ. ხიდზე შედგნენ. ამ ხიდთან ახლოს მდინარე ზღვას უერთდებოდა.

— იქნებ შენი ჩუმი წუხილი მართლაც საგულისხმო იყოს და მეც გავიზიარო, — განაგრძობდა თამაზი. — იქნებ გერიდება ჩემი. ჩვენ ხომ ძმები ვართ? ერთი სისხლ-ხორცი.

ლამე წამოეპარათ.

ოთარმა ხიდის მოაჯირზე ხელი ჩამოკლა და ზურგიტ მიეყრდნო.

— იქნებ არ მოგწონს აქაურობა? იქნებ გული იქითკენ მიგიწევს? — შეეკითხა თამაზი დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ.

— საითკენ?

— საიდანაც მოხვედრი.

— რაო? რატომ მეუბნები ამას? რა დავიმსახურე ასეთი?! — ჰკითხა ოთარმა.

— რატომ გეწყინა, ოთარ, რა შუაშია შენი დამსახურება?

— მამ, რა მოხდა? რატომ უნდა მიმიწევდეს გული იქით?

— იქნებ მე ვცდები, იქნებ მომეჩვენა...

ოთარი გაიმართა, თამაზისაკენ შებრუნდა. ცალი ხელით ისე ჩაებღაუჭა მოაჯირს, თითქოს ხიდიდან გადაგდებას უბირებსო.

— არ შემცდარხარ, თამაზ, მინდოდა ყველაფერი მეთქვა შენთვის, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე.

თამაზმა პაპიროსის ნაწიწავი წყალში გადააგდო და დამშვიდებით შეეკითხა:

— რატომ? რა გიშლიდა ხელს?

— ბევრჯერ ვცადე, სადმე მარტო მომეგდე ხელში სალაპარაკოდ, მაგ-

რამ ვერ შევძელი. შენ, ხან მინდვრებში ხარ, ხან გამგეობაში, თუ შინა ხარ, კარებს ჩაიკეტავ და მთელი დამე წერ და წერ რაღაც გაუთავებელს. თუ არა და, ხან სუხუმში მიემგზავრები, ხან თბილისში. გულით მინდოდა სიმართლე მეთქვა, მეთქვა, თუ როგორ ნატრობს მამაშენი შენს ნახვას, იგი მხოლოდ შენს ბედნიერ ცხოვრებაზე ფიქრობს...

— ბედნიერ ცხოვრებაზე? ნუთუ ახლა უბედური ვარ?

— არა რატომ უბედური! მაგრამ მამაშენი სულ სხვანაირად აზროვნებს. შენისთანა აგრონომები ორი თუ სამი, მარტო მის ეზოს უვლის.

— მერე?

— ნერე ისა, რომ მამაშენმა კარგად იცის, რომ მისი გემი, რომელიც დედამიწის ყველა ზღვასა და ოკეანეში დაცურავს, მთელ შენს ნარკიას იყიდის.

— მერე?

— მამაშენის სეიფში უთვალავი ოქრო და ბრილიანტი ყრია. მამაშენთან უცხოეთიდანაც კი მოდიან ვაჭრები და კომერსანტები...

— ეს ამბავი მეც ვიცი, ხომ მიაბზე? მერე, რა მოხდა!

— ის, რომ გული მტკივა, ჩემო მამო, გული. — ოთარმა სინანულნარევი ხმით მიმართა თამაზს და დამწუხრებულღვით ამოიოხრა.

— რამ გატკინა გული, ოთარ?

— რამ გატკინა და იმან, რომ დღემდე ყველაფერი არ გითხარი. მამაშენი რომ იწერება, ჩამოდი და ქონებას რაც გინდა ის უყავიო, ამით მას ჯერ შენი ჩასვლა უნდა, რომ შენივე თვალით ნახო ყველაფერი და შემდეგ... მოხუცს ჰგონია, რომ უკან დაბრუნებაზე შენ თვითონ იტყვი უარს.

დიღხანს არ ამოუღია ხმა თამაზს. ვერცხლისფრად მბზინავ მდინარეს დაკვიროდა.

— ყური დამიგდე, ოთარ! — დაიწყო მან ბოლოს, შეზღუდულ ხელი გადისვა და განაგრძო: — ისეთ კაცისაგან, რომელიც იმ ქვეყანას შეეთვისა, სადაც ადამიანის გული მხოლოდ ოქროზეა დახარბებული, სადაც კაცი გაიძვერობითა და თაღლითობით ფასდება, ყველაფერ სიაცეს უნდა ელოდე. მამაჩემიც ასეთი კაცია. ვინ იცის, რამდენ ადამიანს პირიდან ლუკმა გამოსტაცა მამაჩემმა. ვის შეუძლია თქვას, რომ ზურაბი ამდენ სიმდიდრეს პატიოსანი შრომით დაეპატრონა?

— ცდები, თამაზ! განა მამაშენი რევოლუციურ მუშაობისათვის არ განდევნეს საქართველოდან?

— რევოლუციურ მუშაობისათვის? — გაეცინა თამაზს. — მამაჩემი რევოლუციონერი არასოდეს არ ყოფილა, ოთარ! მაგრამ დავანებოთ ამას თავი. ჩვენ უნდა ვივარგოთ, ოთარ. არაფერი დავზოგოთ ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენი ადამიანი თავის პირად ბედნიერებაზე მარტო როდი ფიქრობს, იგი ხალხის ბედნიერებისათვის იღწვის და მუშაობს.

— განა მე არ მიყვარს ჩვენი ხალხი?!

— ვიცი, რომ გიყვარს, ამაში ეჭვი არ მეპარება. — უთხრა თამაზმა. — წამოდი, ციხის ნანგრევებზე ავიდეთ. — შეტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით აჰყვა ნახევრად დანგრეულ ციხის კედელს. — ამოდი ზევით. — გადმოსძახა ოთარს, როცა კედელზე ამოსულ ლედვის ხესთან შედგა.

ოთარი წელმოწყვეტილივით აფოფხდა კედელზე და თამაზის პირისპირ გაჩერდა.

ციხის ნანგრევიდან ელექტროშუქით გაღაღადებული სოფელი ხელისგულივით მოჩანდა. ზღაპრულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ზღვაში სოლივით შექრილი ნაძენარით დაჩრდილული აგარაკი, რომლის ნაპირებზე

ფაფარაყრილი ზღვის ტალღები ელნათურების შუქზე მრავალფერად ელავდა. წყალსაქანთა მოტორების გუგუნში მზიარული სიმღერის ხმა იჭრებოდა.

— როგორი სანახავია ნარკია აქედან? როგორ მოგწონს, ოთარ, ეგ სოფელი? — შეეცითხა იგი მის წინ უსიტყვოდ მდგარ ბიძაშვილს.

— განა დღეს ვნახე პირველად ნარკია! — უპასუხა უგულოდ ოთარმა.

— ვინ არი მისი პატრონი, ოთარ? განა ჩვენი არ არის იგი? განა ჩვენი არ არის ეს ცა, ეს ზღვა და გემები? — ზღვიდან მონაბერმა ქარმა ისე შეანჯღრია ლედვის ხე, თითქოს მოგლეჯას უპირებსო.

ოთარი, ქარს რომ არ გადაეგდო, იმ ტოტს ჩაებლაუჭა, რომელზედაც თამაზს ხელი წაეველო.

— ვისია ქალაქები და სოფლები? ვინ არის პატრონი ყველა ამათი, თუ არ მე და შენ. აბა, მაჩვენე ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც თავის უმიწაწყლობაზე, სიღარიბეზე, ან უუფლებობაზე ლაპარაკობდეს. თუ ეს ასეა, მითხარი, შეიძლება თუ არა ჩვენს ადამიანზე მდიდარი იყოს ვინმე?

ქარი თანდათან მატულობდა.

— წავიდეთ, ოთარ, თორემ ქარი გადაგჩხეხავს აქედან, — უთხრა თამაზმა ოთარს.

ფრთხილად ჩამოჰყვენენ ციხის კედელს და ანთიმოზის სახლისაკენ გაუდგნენ გზას.

ქარი გლეჯდა ყველაფერს.

თამაზმა ოთახის კარი შეაღო. მრგვალ მაგიდაზე ვახშამი ელაგა, მასპინძლებს ეძინათ. თამაზი უკანა ოთახში გავიდა.

— მოდი, ხელი დაიბანე, ვივახშმით, — მოესმა ოთარს თამაზის ხმა.

— არა! არ მინდა ვახშამი. შინ წავალ.

ტანისამოსგამოცვლილი თამაზი წინა ოთახში გამოვიდა და ფანჯარა გააღო. ღია კარიდან ქარი შემოიჭრა და

საწერი მაგიდიდან ხელთნაწერები გადმოფანტა. ოთარმა იატაკზე გაფანტული ფურცლები აკრიფა და მაგიდაზე დაალაგა: თამაზმა მაგიდის უკრიდან პორტფელი ამოიღო, გახსნა და შიგ ხელთნაწერები ჩააწყო.

— რა არის ამდენი ხელთნაწერი? — ჰკითხა უგულოდ ოთარმა.

— ესენი? — თამაზმა პორტფელი ისევ უჯრაში ჩადო და განაგრძო: — ეს მთელი ჩემი სიმდიდრეა, ოთარ. ესენია სწორედ ის გაუთავებელი ნაწერები, რომელზედაც შენ მითხარი წელან, მაგრამ თითქმის უკვე მოვათავე.

— რას წერ ასეთს, თამაზ? — გაუმეორა კითხვა ოთარმა და ყურადღებით შეაჩერდა.

— ეს ჩემი შრომაა, ოთარი ამ შრომისთვის დავდიოდი ხან სუხუმში და ხან თბილისში.

— რას ეხება შენი შრომა?

— ყინვისგამძლე მანდარინისა და ლიმონის ჯიშების გამოყვანაზე ემუშაობ, ოთარ.

— მერე, გამოდის რამე?

— გამოდის. რასაკვირველია, გამოდის.

— რამდენს მიიღებ ამ შრომაში?

— რამდენს მივიღებ?! — თამაზს გაეცინა. — ამას რა მნიშვნელობა აქვს, ოთარ.

— ეგ მართალია, მაგრამ ხომ უნდა მოგცენ რაღაც.

— რასაკვირველია, უნდა მომცენ,

მაგრამ ჩვენში ეგ მეორეხარისხოვანი საკითხია. — უპასუხა თამაზმა და განაგრძო: — იქ კი, ვალმა, საიდანაც შენ მოხვედი, ასეთი საქმე მხოლოდ გასამრჯელოთი ფასდება. იქ, მეცნიერების ახალი სიტყვა არა ხალხის კეთილდღეობას, ემსახურება, არამედ ერთი მუჭა მუქთახორათა ინტერესებს. — თამაზი მრგვალ მაგიდასთან მივიდა და სუფრა შეათავალიერა. მერე, მეორე ოთახში გავიდა და კონიაკით საესე ბოთლი და ჭიქები გამოიტანა. — დაჯექი, ვიფანშმოთ. ხელი დაგებანა, ოთარ.

— არა! უნდა წავიდე. — უპასუხა ოთარმა არეული ხმით და კარისაკენ მიბრუნდა.

— მოიცადე. არ გეცმის რა ქარი მძვინვარებს.

— მერე რა, ქარი ხომ ვერ მომიტაცებს? — ცივად წამოიძახა ოთარმა და კარის სახელოს ხელი წაატანა.

— კარგი, წადი, მხოლოდ ერთი ჭიქა კონიაკი მაინც დალიე. — თამაზმა საესე ჭიქა მიაწოდა ოთარს.

ოთარმა კონიაკი გადაჰკრა. თამაზმა კონიაკი დასმელი და ოთარს ჭიქა მეორეჯერ შეუვსო.

— ეს! ჩვენი დღეგრძელობისა იყოს. — ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა თამაზმა, კვლავ გაუცინა და გადაჰკრა.

— აქ დარჩენილიყავი ამალამ, ასეთ საშინელ ქარში რა წაგიყვანს?

— არა, არ შემიძლია, ღამე მშვიდობისა. — ოთარი გავიდა, სწრაფად დაეშვა კიბეზე და აფთიაქის შენობისაკენ გაეშურა.

აკაკი მენაძე

ლექსები მშვილობაზე

★

მოსკოვში მზეა

ბოროტად ბორგავს ჯგალათის ხელი,
ოქროს დოლარით სინდისი მოჰკლეს.
ამერიკაში ღამეა გრძელი,
ამერიკაში დღე არის მოკლე.

— სისხლი გვწყურია ნადირი ღმუის
და თავის ლეკვებს საომრად გეშავს.
— ომიო:— ბორგავს ბოროტის გული.
— ომიო:— შხამი იღვრება თქეშად.

ემუქრებიან რუსეთის ველებს,
ემუქრებიან თბილისს და მოსკოვს,
ჩვენსკენ იწვდიან სისხლიან ხელებს,
რომ ქვეყანაზე სიცოცხლე მოსპონ.

არ უწერია სიცოცხლის დღენი
შავი ზრახვებით მახვილის მღესავს.
სიკვდილს მოიმკის სისხლიან ხელით,
ვინც ქვეყანაზე სიკვდილსა თესავს.

— : —

მოსკოვი

★

— ასე საამო რა სიმღერაა,
ან მზე ასე რამ ააგიზგიზა:
— ეს კომუნისმის დიდი კერაა,
ეს დღეა არის კომუნისმისა.

მოსკოვს არასდროს არ ეძინება,
 მოსკოვს მოხატულს ნაირფერადით.
 აქ დგას მსოფლიო ხალხის იმედად
 სიცოცხლის მზე და ღიდი ბელადი.
 მე აღტაცება არ მსურს დავმალო,
 წმინდა გული რა დასამალია.
 — მოსკოვის შუქი ათბობს სამყაროს,
 კრემლი — მსოფლიოს ნატერის თვალია.

— : —

მიხეილ ძვლივიძე

კახეთი

★

I

ცაზე ღრუბელი ყოჩივით,
 მთა მთაზე გადაჯვარული,
 სოფლები — თმაქოჩრილი,
 კაკლებით შემოჯარული.

მზე — მარად დაუხარჯავი
 და სივრცე დაუსაბამო,
 დაღვიბებული მაჭარი
 და ღვინისფერი სალამო.

დაღვიბებული მაჭარი
 ქვევრებში დადუღებული,
 ტყეში ნაძვი და კანჯარი,
 ხოხობი დაფეთებული,

დაფეთებული ხოხობი
 და მასთან შენი მსგავსება,
 სალამობით — ორლობის
 ურმულთან გაბაასება.

თეთრი და თვალბეკამკამა
 კოლმეურნეთა ბინები,
 შარაზე ავტომანქანა
 და შინდვრად კომბაინები

ხალისიანი შეჯიბრი
 და სიმღერების გუგუნა,

ელსადგურების ჯებირთან
 გადაჩეხილი უკუნი.

ალეებით მოჩარდახული
 ხმატკბილი იავნანური,
 ყურძენი კარდანახული
 და ხილი მანხანური.

ერი — გულადი, პურადი,
 ერი — იმერ და ამიერ,
 კავკასიონის ყურამდი
 მისული „მრავალკამიერ!“

გლეხკაცი დარბაისელი,
 ღინჯი და დაფიჭრებული,
 გულლია, მაგრამ ფხიზელი,
 შრომით და ჯაფით ქებული.

გულუხვი, ტკბილმოუბარი,
 პატრონი მარნის, ბელღისა,
 ამ წუთისოფლის სტუმარი
 და მასპინძელი ქვეყნისა!

— — —

II

გრიგალმა სად არ გატარა
 სახლიდან როცა გახვედი,
 შორს იყო შენი პატარა
 სოფელი, შენი კახეთი.

შორს იყო დედა, ცოლშვილი,
 ცრემლით გეწვოდა თვალები,
 აღერსი ისე მოგშვიდა,
 ლუკმა პურს ანაცვალაღბდი.

მაინც ყველაფერს გაუძელ —
 მტერს ვაეკაცურად მუსრავდი,
 დაბრუნდი, ოჯახს გაუძელ
 არ დააკელი სურსათი.

შრომაშიც კარგი გამოდქე,
 აბა, რა გასაკვირია ?!
 სოფელში შენზე ამბობენ:
 „პირველი ბრიგადირია“!

— . —

ორბის თვალით გადახედავს ყანას —
 შოთას ტყბილი შაირივით ნაცნობია!

ყანას მისი ვაეკაცობაც დასტყობდა,
 მისი, მაგრამ ის ერთი ვანა?
 — ყოველდღილით ლხენით და
 მონღომებით
 გამოდიან ნაომარი ლომები...

და შუადღე ფიქრებივით მაღალი,
 ხედავს: მიწა ბედნიერი მით არი,
 რომ იფეთქებს მოსავალი ახალი
 რუსთაველის შაირივით მდიდარი...

მაღე პურით აივსება ბეღელი
 და მოხუცი ჯანით გაუტეხელი
 სუფრის თავში ტოლუმბაშად დაჯდება,
 ამხანაგებს გადაავლებს თვალებს,
 კიდევ ერთხელ იტყვის: „მაშ
 გამარჯვება“,
 და ს ტ ა ლ ი ნ ი ს სადღეგრძელოს
 დააღებს!

მეღა კახიძე

ჩონგური



ჩონგური იყო ქართველის გულის სიმების გუგუნი,
 დაჭრილ ფიქრების მალამო, თეთრი მტრედების ლულუნი.
 დარდების გამქარებელი ნუგეში ქართველ ერისა,
 ტყბილი და დაუვიწყარი როგორც ამბორი დედისა.
 სატრფოს ცრემლების შემშრობი, ბულბული ქართულ კერისა,
 გმირების მოსაგონარი, მომთხრობი მტრების ძლევისა.
 მასში ჩაღერილა სიმღერა, ჯადოქარული, ზღაპრული,
 უბრალო ხისგან შექმნილა საკრავი მამაპაპური.
 როცა ბინდდება სოფელში, მზე სხივებს მთებზე ახევენს,
 ნისლი გზას მისცემს, ვარსკვლავებს, ტატნობის მზეთუნახავებს.
 ფოთლებშრილა ვერხვის ქვეშ ახმინადება ჩონგური,
 ვერ გაიხარებს ამქვეყნად მოღალატე და ორგული.
 ჩონგური სიყვარულია გულიდან ამონაბეჭდი,
 სულში მბორგავი გრიგალი, სიმებში ამონაბეჭდი.
 ჩონგური არის ქართველის გულის სიმების გუგუნი,
 მხნე სიმღერების ძახილი, მტრედების ტყბილი ლულუნი.



ბელნიკაბა



ოპერის თეატრიდან გამოსული ქეთევანი და გივი, რუსთაველის გამზირს გაყვნენ. შუალაშე გადასული იყო. გრილი ნიავი ელამუნებოდა მათ სახეს. ნათურები მარგალიტების ყელსაბამივით გასდევდა ყვავილნარს; მათი შუქი მანქანების კრიალა ზედაპირზე სხვადასხვა ფერად ლივლივებდა.

ხალხი ნელა იშლებოდა. ისმოდა მანქანების საყვირის ხმა, მზიარული სიცილი, საუბარი. ყველა ალტაცებას გამოთქვამდა ეთერის როლის შემსრულებელ ახალგაზრდა მსახიობ ქალზე, რომელიც დღეს პირველად მონაწილეობდა „აბესალომ და ეთერში“.

ქეთევანი დაფიქრებული იყო. ტკივილი და სინანული იხატებოდა მის ფერმკრთალ სახეზე, ცისფერ თვალებში. გივი გრძნობდა, რაზე ფიქრობდა ქეთევანი, რა ტკივილი აწუხებდა. თვითონ იყო ამ ფიქრის და ტკივილის მიზეზი.

ქეთევანმა სამი წლის უკან სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა. იგი მალე ოპერის თეატრში მიიწვიეს, მაგრამ გივიმ სთხოვა, უარი ეთქვა. და ქეთევანიც ვერ აღუდგა ქმრის ნებას. ქეთევანი იმ დღიდან არც ერთ კონცერტს არ დასწრებია, არც ოპერაში ყოფილა და ერთხელაც არ უმღერია.

გივიმ იცოდა, რატომ არ ესწრებოდა ქეთევანი კონცერტებს, არ დადიოდა თეატრში, არ მღეროდა. კონსერვატორიის ამხანაგებსაც კი ჩამოშორდა. სახლში ჩაიკეტა, იცოდა ამის მიზეზი, იცოდა რა მძიმე იყო ქეთევანისათვის

იმ საქმის მიტოვება, რასაც ხუთი წელიწადი გატაცებით სწავლობდა, მიღწეა ბრწყინვალე შედეგს, შეეძლო გამხდარიყო სცენის შესანიშნავი ოსტატი და ამას ზურგი შეაქცია მხოლოდ იმიტომ, რომ შეუღლეს არ უნდოდა.

ქეთევანს ერთხელაც არ უთქვამს საყვედური გივისათვის. ცდილობდა, არ ეგრძნობინებია მისთვის, თუ რა მწუხვედ განიცდიდა სცენის მიტოვებას. თავი ისე ეპირა, თითქოს სულ არ ფიქრობდა ამაზე. მაგრამ ახლა ვერ ახერხებდა მწუხარების შეკავებას. გრძნობდა, ვერ ფარავდა ამას, გული გამალბებით უცემდა, სუნთქვა ეკეროდა. არ ეგონა, ასე თუ იმოქმედებდა ეს სპექტაკლი, ამხანაგის ნახვა სცენაზე, მისი წარმატება. ქეთევანსაც „აბესალომ და ეთერში“ უნდა ემღერა. ახლა ეთერის როლში თავისი კლასის ამხანაგს რომ უყურებდა, ხედავდა, თუ რამდენად უკეთ შეეძლო შეესრულებია თვითონ ეს როლი, ხედავდა, თუ რა დიდ წარმატებისთვის შეეძლო მიეღწეა, თუ რამდენად საჭირო იყო იგი სცენისათვის, რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო საოპერო ხელოვნებისათვის, ხალხისათვის.

ქეთევანს გაახსენდა, რომ ხვალ რაიკომის მდივანთან იყო დაბარებული. ხალხური თვითშემოქმედების ოლიმპიადისათვის ემზადებოდნენ თბილასისა და საქართველოს რაიონები. ქეთევანმა იცოდა, მდივანი იმიტომ იბარებდა, რომ ოლიმპიადაში მიეღო მონაწილეობა.

ლეობა. მდივანი იცნობდა ქეთევანს. კონსერვატორიის სტუდენტთა გამოაშვებ საღამოზე მოუსმინა მას პირველად. იცოდა, რომ ქეთევანი ოპერაში მიიწვიეს, ისიც გაიგო, რომ ქეთევანმა უარი თქვა ამ მიწვევაზე. მაშინ რაიკომის მდივანმა გამოიძახა ქეთევანი და მიწეზი კითხა. ქეთევანმა ავადმყოფობა მოიმიზეზა. ეს ტყუილი დღემდე ვერ უპატიებია ქეთევანს თავის თავისთვის.

ხვალ რაღა უთხრას რაიკომის მდივანს, ახლა რაღა მოიმიზეზოს?

— გივი, ხვალ რა პასუხი გაცეცე რაიკომის მდივანს? — ასწია თავი ქეთევანმა.

— რის შესახებ? — გამოერკვა ფიქრებიდან გივი. მისი გონება ქარხნის საამქროს დასტრიალებდა. გივი დაზვის გადაკეთებაზე მუშაობდა და უკანასკნელი თვეები საამქროდან არ გამოდოდა. — ჰო, ჩემი აზრი შენ უკვე იცი, ქეთევან. მე ახალს ვერაფერს გეტყვი.

— უარი უთხრა?

გივის არ უპასუხია.

— რა მიზეზით უთხრა უარი, გივი?

— რა მიზეზით... — დაბნეულით წარმოსთქვა გივიმ. — განა არ იცი, ქეთევან, მიზეზი. ხომ გახსოვს ჩვენი პირობა, ჩემი თხოვნა: თუ მე გიყვარე, სცენა დასთმე-მეთქი. სცენა და ოჯახი ერთად არ ეწყობა. ან სცენა, ან ოჯახი.

გაჩემდა, ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ. გივიმ პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და ყრუდ განაგრძო:

— ახლა მით უფრო არ მოხერხდება შენი სცენაზე მუშაობა. ბავშვს რა ვუყოთ, ქეთევან, ძიძას ხომ არ მივცემთ? — სიყვარულით შეხედა მეუღლეს. — გუშინ საბავშვო რკინიგზაზე რომ წავიყვანე, ვაგონში ჩაჯდა თუ არა, ეს დედიკოს ადგილიაო, — დაიძახა, და თავის გვერდით არავინ დასვა.

ქეთევანი ყურს არ უგდებდა გივის ლაპარაკს. მას ესმოდა მეუღლის სიტყ-

ვები, მაგრამ ისე ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც უცხო ლაპარაკობდა, თითქოს მას არ ეხებოდა, რასაც გივი ეუბნებოდა.

„ღმერთო ჩემო, რატომ არ ესმის გივის, რა ძნელია საყვარელი საქმას მიტოვება, რა ძნელია საკუთარ ნაჭუქეში ცხოვრება, როცა იცი, რომ შენც შეგიძლია რაღაც წვლილი შეიტანო შენი ქვეყნის ცხოვრებაში. როცა იცი, რომ შენ საჭირო ხარ და იმალება, იმალები მხოლოდ იმიტომ, რომ შენი მეუღლის აზრით, თითქოს სცენა და ოჯახი ერთად არ შეეწყობა...“

— გივი, — აღმოხდა უცებ ქეთევანს. მკლავში ხელი გაუყარა მეუღლეს. — გივი, ერთი წუთით წარმოადგინე, რომ შენს დაზგებს და მანქანებს მოგწყვიტეს. — აღელვებისაგან ხმა აუკანკალდა. იგრძნო ვეღარ შეიკავებდა თავს და ყველაფერს ეტყოდა ახლა გივის, ყველაფერს, რასაც ფიქრობდა, რაც აწუხებდა, გულში იკლავდა და უმაღავედა მეუღლეს. მაგრამ როგორც კი შეხედა გივის მისკენ გაოცებით მიპყრობილ სახეს, ინანა. „არა, არ უნდა მეთქვა, აღარ ვეტყვი არაფერს“.

— რატომ მეუბნები მაგას, ქეთევან? სად დაზგა, ქარხანა და სად სიმღერა და ცეკვა-თამაში. ჩვენი ქარხანა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეს აკეთებს. აბა, შეხედე რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ლითონის ჭრას, იმ ჩქაროსნული მეთოდის შემუშავებას, რომელზედაც მე და ჩემი კოლექტივი ვმუშაობთ ახლა. მთელი საბჭოთა მანქანათმშენებლობი აღივსებენ თვალს ჩვენს მოშაობას. ვაიხსენე უკრაინელ მანქანათმშენებელთა წარიღი, მათი ზრუნვა და ინტერესი ჩვენი ქარხნისადმი, ჩემი საქმისადმი. აბა, შენ თვითონ წარმოიდგინე ერთი წუთით, რომ მე მართლაც მივატოვე ქარხანა, დაზგები. რა მოყვება ამას?...“

— ჰო, ეს ჩემთვის წარმოუდგენელია, გივი, — სთქვა შიშით ქეთევანმა

და მისდაუნებურად ჯიუტად დაუმატა: — და სწორედ ამიტომ გვეითები...

— ამის წარმოდგენა მართლაც შეუძლებელია, ქეთევან. — ცივად მიუგო გივი. — მაგრამ იმით, რომ შენ არ მღერი ოპერის თეატრში, სახელმწიფოს არაფერი უშავდება.

— რა თქმა უნდა, გივი, იმით რომ მე არ ვმღერი, ქვეყანას არაფერი უშავდება, მაგრამ თუ შენსავეთ იფიქრა ყველა ინჟინერმა და ოჯახში ჩაიკეტა ცოლი, რასაკვირველია, ქვეყანას ბევრი რამ დაუშავდება. — ქეთევანს სუნთქვა შეეკრა, ფეხი აერია. პირველად ელაპარაკებოდა გივის ასე პირდაპირ, მოურიდებლად.

— მე არ ვიცი, როგორ ფიქრობენ სხვები, — გაჯავრებით წამოიძახა გივი. — ეს არც მაინტერესებს. მე ჩემი აზრი და შეხედულება მაქვს ოჯახზე, ცოლზე. შენ ეს თავიდანვე იცოდი, ქეთევან. ახლა გვიანაა ამაზე ლაპარაკი.

— არა, არა, გივი, არ არის გვიან. მე შემძლია ვიმღერო ისევ. ვიმღერო ისე, როგორც მაშინ. მე ამაში ახლა დავრწმუნდი, ამ სპექტაკლით.

— ქეთევან... ერთხელ და სამუდამოდ შეეწყვიტოთ ამ საკითხზე ლაპარაკი.

— გივი! — ტყვილით აღმოხდა ქეთევანს.

გივიმ ნაბიჯს აუჩქარა. ქეთევანს ხელიდან გამოეცალა მისი მკლავი, ჩამორჩა.

— გივი! — წაიბუტბუტა ჩურჩულით ქეთევანმა და დაცარიელებულ ქუჩაში, როგორღაც უმწუოდ გაისმა მისი ხმა. ეგონა გივი შედარებოდა, დაუცლიდა, მაგრამ გივი სწრაფად მიდიოდა წინ და მათ შორის მანძილი თანდათან იზრდებოდა.

•
•

დაირღვა სულიერი წონასწორობა, გაწყდა შემაერთებული ძაფი, რომე-

ლიც ორ გულს აკავშირებდა. მშვიდი ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდა.

ქეთევანისათვის დღეები საუკუნეებად იქცა. იმედით ნაკვესმა ცეცხლმა მხოლოდ წუთით გაიღვია და კვლავ ჩაიფერფლა. კიდევ უფრო ჩაბნელდა, ჩამუქდა გარემო, ნაცნობი საყვარელი საგნები, რომელნიც თევობით მასთან მეგობრობდნენ, თითქოს მის ბოლმსა და სიხარულს იზიარებდნენ, ახლა გულგრილად შეკუურებდნენ მის გულისტკივილს.

ქეთევანის ცხოვრების მიზანი კიდევ უფრო დაბატარავდა, შეიზღუდა, სიყვარული დიდ მისწრაფებას შეეკიდა. და განა სიყვარული? სიყვარული თვით ამ მისწრაფების უცილობელ ნაწილს შეადგენდა, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო თვით დიდი ბედნიერებაც. ღამით ხშირად გულისცემით ეღვიძებოდა, ვერ ისვენებდა, ვერაფერი გადაეწყვიტა.

გივის თითქმის მთელი დღე ვერ ხედავდა. ამჩნევდა, რომ მასთან შეხედრას ერიდებოდა, თითქოს არც სიამოვნებდა მისი დანახვა, ნერვიულობდა, ბავშვსაც უმიზნოდ უჯავრდებოდა; ქეთევანი ხმას არ იღებდა, გული სიმწარით ევსებოდა.

წინათ ცოლ-ქმარი ათას რამეს უყვებოდნენ ერთმანეთს, გივი გატაცებით ელაპარაკებოდა ქარხანაზე, თავის პროექტზე, უზიარებდა ყოველივეს, რაც მას აღუღებდა, აწუხებდა. როგორი ბავშვური ცნობისმოყვარეობით უსმენდა ჩეთევიანი, როდისაც გივი პავლე ბიკოვის შესახებ უამბობდა.

უკრაინელმა სტახანოველმა კიროვის ქარხანას წერილი მოსწერა, ატყობინებდა: „ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდებს დავეუფლეთ და ახლა ჩვენი საწარმოო გამოცდილება გავინდა ქართულ ხარატებსაც გავუზიაროთ...“ მაშინ ქეთევანმა წერილის შინაარსი დაწერილებით გამოაკითხა გივის. არ დაავიწყდება, ბოლოს როგორი აღტაცებით

წამოიძახა: „აი, ჩვენი დროის მოწინავე ადამიანი ის ბიკოვი ყოფილა“. მერე თვალეში ჩახედა გივის და მტყიცედ დაუმატა: „გივი, გენაცვალე, ძალიან მინდა, რომ შენც იმ პავლე ბიკოვისთანა იყო“. ამ სიტყვებმა თითქოს ფრთები შეასხა გივის. გაასკეცებული ენერგიით შეუღდა ახალ დაზვის პროექტზე მუშაობას. თითქმის წელიწადი სრულდებოდა, რაც ამ პროექტზე მუშაობდა, მაგრამ ნაფიქრის საჯაროდ გამოტანას ვერ ბედავდა, ჯერ კიდევ ყოყმანობდა. ბიკოვის წერილმა ცხადად დაუმტკიცა თავისი პროექტის სისწორე. ქეთევანმაც გააშხნევა, ძალა შემატა. და აი სწორედ ახლა, როდესაც საქმე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ასე საჭიროა ქეთევანი მისთვის, ახლა ჩამოვარდა მათ შორის უთანხმოება.

ქარხანაში პავლე ბიკოვის წამოწყობას სიხარულით შეეგებნენ. მთელი კოლექტივი ფეხზე დადგა, ფუტკრებით სავსე სკასავით აგუგუნდა ქარხანა. სტახანოველებმა, მუშებმა, მოსამსახურეებმა მრავალი ახალი წინადადება შეიტანეს. ყველა ეს წინადადება რაღაცას მატებდა დეტალების დასამუშავებელი დროის შემცირების საქმეს.

გივი თავს არ ზოგავდა, გამალეებით მუშაობდა. ყველაფერი მოაშხალდა, დარჩა მხოლოდ მექანიკური მასრა დეტალების ავტომატურად დამგრობისათვის. გააწვალა ამ მასრამ, ბევრი ღამე ათეინა, მაინც ვერას გახდა. ბოლოს გაჭირვება თავის მეგობარს, გამოცდილ სტახანოველს, ივანე კობრეიძეს გაუზიარა. ფიცხი კაცი იყო ვანო, სიტყვა-დაურიდებელი. თუ რაიმე ჭკუაში არ დაუჯდებოდა ადამიანს შიგ ბირში მიახლიდა: „გეტყობა ტვინის ხრახნები შეგქანჯალეზია, ბიკო“, მაგრამ თუ რამე თვალში მოუვიდოდა, მსწრაფლ აენტებოდა და გატაცებით შეუღებოდა საქმეს.

გივის თხოვნაზე ვანომ არაფერი უპასუხა, თითქოს გულგრილად მოუსმინა. გაუკვირდა გივის; უწყინა გაევიდა რამდენიმე დღე, მასრა კვლავ არ ეწყობოდა დაზავზე, პროექტის ჩაბარების ვადა ახლოვდებოდა, გივი ნერვიულობდა. ერთხელ საწარმოო თათბირის შემდეგ, ვანომ განზე გაიხმო გივი და რაღაც ქაღალდი შეაჩეჩა ხელში.

— ეს რა არის? — შეეკითხა გივი.

— მექანიკური მასრაა, — მოკლედ მოუჭრა ვანომ.

გივიმ პროექტი გადაათვალიერა: შესანიშნავად იყო დამუშავებული; დროისა და ფიზიკური ძალის დიდ ეკონომიას იძლეოდა. „რა საოცარია ადამიანის გული, ძირამდის ვერ ჩასწვდები, ფსკერს ვერ მოუსინჯავ. მაშინ მეგონა, რომ ვანო გულგრილად მომეტყვა, არ დააინტერესა ჩემმა საქმემ. აი, თურმე რა არის ადამიანი“. გაიფიქრა გივიმ.

დანიშნულ დღეს გივი დილით ადრე მოვიდა ქარხანაში. დიდ, ნათელ სამქროში ყველაფერი მზად იყო. გივი გაკრიკლებული დაზგების გრძელ მწყრევებს შორის მოუსვენრად ბოლთასა სცემდა, ლელავდა.

სრულ ათ საათზე კომისია მოვიდა, მათ მოჰყვა რაიკომის მდივანი ლევან ლებანიძე.

დენი ჩართეს, გასინჯვა დაიწყო, ყველანი გაფაციცებით აღევნებდნენ თვალს ლითონის ბრტყელ ფურცელს, რომლის გლუვ ზედაპირზე საოცარი სისწრაფით ივრანგებოდა ნაირნაირი ხაზები. ბრტყვილა ბურბუშელა პაერში იფანტებოდა.

დაზვის გამოცდა დამთავრდა. რაიკომის მდივანმა გივის გულთბილად ჩამთართვა ხელი და ქარხნის მთელ კო-

ლექტიეს გამარჯვება მიულოცა. ლევან ლებანიძის შეუქიან თვალბში გვიმ გულწრფელი სიხარული ამოიკითხა.

ამხანაგები შემოეხვივნენ, აქეთ-იქით ეწეოდნენ, ყველა ცდილობდა რაიმე ძალიან, ძალიან სასიამოვნო ეთქვა მისთვის. ახალი გამარჯვება ყველას უხაროდა.

მალე კლუბში მიტინგი დაიწყო.

გვიის ცოტა დააგვიანდა. კლუბს რომ მიუახლოვდა, მრავალხმიანი გუგუნი მოესმა. ტრიბუნაზე ვანო კობრეიძე აღიოდა. ხმაური შეწყდა. კობრეიძემ სახეზე ცხვირსახოცი მოისვა, ჩაახველა და დაბალი ხმით დაიწყო:

— ამხანაგებო, ჩვენს შრომას შემოქმედებითი შრომა უწოდა ჩვენმა ბელადმა. შემოქმედებით შრომაშია საბჭოთა ადამიანის დიდი სიხარული. მას არ სურს ომი, მას სურს თავისი ღირსი სამშობლო უფრო შეძლებული, უფრო ძლიერი, უფრო ლამაზი გახადოს. მას არ სურს ომი იმიტომ, რომ ბედნიერი აწყოთი ხარობს; იმიტომ, რომ თავის ხელით ნათელ მომავალს აშენებს, აშენებს არა მარტო თავისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს პატიოსან ხალხებისათვის... მთელი მსოფლიოს მშრომელები საბჭოთა ხალხში ხედავენ თავდადებული ბრძოლის, თავდადებული შრომის უბადლო მაგალითს. ყოველი მათგანი, რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, თავის თანამომხმეთ ასწავლის: „ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძვის საბჭოთა ადამიანი. ვიშრომოთ ისე, როგორც შრომობს საბჭოთა ადამიანი. — გაჩუმდა, კვლავ მოისვა ვაჟაკურ სახეზე ცხვირსახოცი და განაგრძო: „მართლაც. ამხანაგებო, რაც სამი ათეული წლის განმავლობაში ჩვენი ადამიანი საოცრად დავაჯაცდა, გამოიბრძმედა, შემოქმედდა იქცა... არც ერთ ქვეყანას, არც ერთ საოკუნეს ასეთი სწრაფი, ასეთი ბრწყინვა-

ლე ზრდა არ ახსოვს... მაგრამ მოგეხსენებათ — კარგ შეგიბრძნა კარგი ოსტატი უნდა ზრდიდეს... მის გარეშე ვერცერთი ჩვენგანი სხვისი მისაბაძი ვერ გაეხდებოდა. ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს ჩვენს დიდ აღმზრდელსა და მამას მშობლიურ სტალინს!

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ტაშმა იგრილა. სიხარულის ძლიერი ტალღა ყელში მოაწვა გვიის. „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“ — გაისმა დარბაზში პირველი შეძახილი. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... გუგუნი შეუწყვეტელ ვაშად იქცა. იდგა კობრეიძე ტრიბუნაზე და იცდიდა, სანამ ტაშის ხმა და შეძახილები შეწყდებოდა. სახეზე წელი ღიმილი ეჭინა. ხმაური არ წყდებოდა, კობრეიძემ მარჯვენა ხელი ოდნავ ასწია.

— ამხანაგებო, — განაგრძო მან, როდესაც დარბაზში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. — ჩვენ არ გვინდა ომი. ჩვენ გვსურს მეგობრულად, მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ხალხებთან. იმიტომ ყოველი ჩვენგანი სრული შეგნებით იზიარებს და იწონებს მშვიდობისმოყვარეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მანიფესტს. მას იწონებს მშენებელი, იგი აგებს საუკეთესო შენობებს და, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს, რომ უოლსტრიტის კაცობრივებმა განადგურონ ისინი. ხელს აწერს კოლმეურნე და არც ის დაუშვებს, რომ მტერმა გაავერანოს შრომით მოპოვებული მდიდარი სარჩო-საბადებელი: ხელს აწერს მასწავლებელი: იგი იცავს ათასობით ნორჩ მოსწავლეს, რომელთაც კომუნისტების ბედნიერ ხანაში უნდა იცხოვრონ.

დარბაზში ტაშის მძლავრმა ტალღამ გადაიარა.

„რა შთამაგონებელი ძალა აქვს ხალხს, მის ნებასურვილს“, — გაიფიქრა გვიმ. — იგი განთებს, ძალას გაის-

კეცებს... აგერ ვანო, ერთი კაცი, მრავალის სურვილს გამოთქვამს, სჯერა, რომ მის ნათქვამს ასეულების გულები გამოეხმაურება“. ხალხს გადახედა. მათ სახეზე უთქმელი ფიჭვი ამოიკითხა, იგივე ფიჭვი, იგივე სურვილი. კვლავ ყური მიუგდო.

— ყოველი დიდი მიზანი, დიდი საქმე ჩვენი ხალხისათვის ახალი გამარჯვებების სტიმულად იქცევა შრომის ფრონტზე. ახლა, ამხანაგებო, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის სახელით დიდი მოძრაობა იშლება. ჩვენი ქარხანაც, რომლის კოლექტივის დიდი თუ პატარა წევრი, მშვიდობის ერთგული მომხრეა, ამ შესანიშნავ მოძრაობას უნდა შეუერთდეს. დღეიდან ჩვენი საამქრო მშვიდობის სტახანოვურ ეახტზე დგება... უნდა ვიშრომოთ ისე, რომ ჩვენს ქვეყანას უძლეველობის გავაზანი შევასხათ მტრის საეაღალოდ და მოყვართა საკეთილდღეოდ.

გობრეიძის შემდეგ სიტყვით ბევრი გამოვიდა. გვიცი აიყვანეს ტრიბუნაზე.

— ომი ბერლინში დაეამთავრე, — მიმართა მან დამსწრეებს. — ოთხჯერ ვიყავი დაპირილი. ვისწავლე ბრძოლა, და ახლა ვიცი, რა არის ომი. ამიტომ მე არ მაშინებს ომის სიძნელეები, ომის სიღრმეები... მაგრამ არც ერთი ჩვენგანი არ იბრძოდა იმისათვის, რომ ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზტებმა კვლავ დაარღვიონ ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. ამიტომ, ჩვენ მშვიდობას ვი არ ვთხოულობთ, არამედ მოვითხოვთ. ჩვენ ყველადერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მშვიდობა დავიცვათ. მშვიდობას იცავს ყოველი ჩვენი საქმე. მშვიდობას იცავს ის დაზგა, რომლის გამოცდა ჩვენ ახლა დავამთავრეთ. მშვიდობას იცავს, ყოველი ტრაქტორი, სალენი მანქანა, მშვიდობას იცავს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე დახარჯული ყოველი საათი. გავამრავლოთ ეს საა-

თები, გავამრავლოთ დაზგები, ტრაქტორები, გავზარდოთ მოსავალი. მაია კოვსკი ამბობდა, ყოველი ფუთი საბჭოთა ხორბალი ეს ცრემლია კაპიტალისტის თვალშიო. დიან, ცრემლია ამხანაგებო, დაე, ამ ცრემლებმა ჩაკლან მისი აგრესიული სული.

მიტინგი დამთავრდა. გვიი სახლისაგან მიისწრაფოდა. საესე გული თანამოზიარეს თხოულობდა.

მზიარულად შეალო სასტუმრო ოთახის კარი. ქეთევანი სახლში არ დაუხვდა. ეწყინა. „რა სიჩუმეა, აუტანელი სიჩუმე, რა ცარიელია ბინა... ვაჟა მაინც იყოს“. უეცრად როიალზე ნოტებს მოკრა თვალი, ხელში აიღო... ლიზას არია „პიკის ქალიდან“. „რა კარგად მღეროდა ქეთევანი ამ არიას; სიმღერას მთელს გულსა და სულს ატანდა. თითქოს ახლაც ესმის მეუღლის წკრიალა ხმა“.

ქეთევანიც დიდი ბედნიერებისაგან მიისწრაფის და გვიი გასაქანს არ აძლევს, უშლის, უშლის?... ო, როგორ ეჯავრება გვიის ახლა ის „რაოაც“, მის გულში რომ ზის... ის უშლის, ის უჩიჩინებს: „კიდევაც რომ ნება დართოს ოლიმპიადაში მიიღოს მონაწილეობა, ქეთევანი ამით არ თამაყოფილდება, მერე სცნავ მოუხდება“. აი რა უღრღნის გულს...

ის იყო მესამე საათი დაიწყო, რომ ქეთევანმა გულის ფანტკალით აირბინა რაიკომის შენობის ფართო კიბე და მისაღები ოთახის კარი შეალო.

მაგიდასთან ქერა ქალიშვილი იჯდა. ოთახში რამდენიმე კაცი იცდიდა. ქეთევანმა მათ თვალი გადააგლო. ორი ყმაწვილი იქვე კარებთან ცხარედ კამათობდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა მათი ლაპარაკი: „ზედნაშენი კატეგორია...“

ბაზისი... სემასიოლოგია... — ოთხი ელემენტი“. სამი-ოთხი ნაბიჯის დაშორებით კედელთან იჯდა ჭაღარა, სათვალეებიანი მოხუცი, რომელიც ღიმილით შეჰყურებდა მოკამათებებს; მის წინ მოუსვენრად ბოლთასა სცემდა ჩია ტანის მამაკაცი. ღილის ოდენა გულზეიად აღბეჭდილი ცხვირი უმწყო სიჯიუტეს გამოხატავდა. მოკამათებების მარცხნივ იჯდა ვილაც დარბაისელი მანდილოსანი, რომელიც ხშირ-ხშირად პენსნეს ისწორებდა და არწივით მიშტერებოდა კარს, თითქოს თვალის ცეცხლით მის გარღვევას ლამობდა.

რაიკომის მდივნის ოთახში მკვეთრად გამოირჩევა კაკლის ხის სადა ავეჯი. დიდ საწერ მაგიდის თავზე მოვარაყებულ ჩარჩოიანი სურათი ჰქვიდა: შორით მოჩანს ჩამავალი მზის შუქით მოჭრული გორი, ახლოს—კლდოვანი ბილიკი, რომელსაც შავგვრემანი ჭაბუკი მიჰყვება. ნაცრისფერი მაზარის კალთებს და თეთრ ყელსახვევს ნიავი არხევს. ჭაბუკის მალა აზიდული მკერდი ხარბად ისუნთქავს მშობლიურ ჰაერს. ოცნებით შებინდულ თვალებში რაღაც იდუმალი მისწრაფება, იდუმალი ნატვრა კრთის, მათი შთამავონებელი ძალა უნებლიედ იზიდავს, აჯადოებს მაყურებელს.

ღია ფანჯარასთან ლებანიძე დგას. იგი ხნიერი, ბრგე მამაკაცია. მალა, ოდნავ ამობურთულ შუბლზე ღრმად ჩაწოლილა ორი ნაოჭი. ზევით ავარცხნელ შავ თმას სიგრძეზე ვერცხლისფერი ბრშია მიჰყვება. ორ ღილზე შეხსნილი თეთრი კიტელის საყელოდან მზით-დამწვარი ძარღვიანი კისერი მოჩანს. მის წინ, სავარძელში ივანე კობრეიძე ზის.

— საელმავლო დეპოში უკვე შერჩეულია ცეკვისა და სიმღერების საუცხოო ანსამბლი. — ეუბნება რაიკომის მდივანი კობრეიძეს. — ესეა სატრი-

კოტაეო კომბინატიდან დამირეკეს. ქალთა გუნდი უნდა მიჩვენონ დღეს.

— ჰო... ჩვენ მაინც ვერ გვაჯობებენ, — უპასუხა ვანომ — ისეთი მოპლერლები მყავს, იქნებ ოპერამაც არ დამიწუნოს.

— შენი იმედი კი მაქვს, ვანო, — ღიმილით უთხრა კობრეიძეს რაიკომის მდივანმა. — მაგრამ აი, კიროვის ქარხანაში ვერ ემზადებიან კარგად. დღესვე ადგილკომის სხდომა მოიწვიე. საოლიმპიადო კომიტეტი გამოჰყავით და სიები შემიდგინეთ, — ლებანიძე საწერ მაგიდასთან მივიდა და კალენდარში რაღაც ჩაინიშნა. მაგიდის კიდეს მიეყრდნო.

— ხალხის ამბავი ხომ იცი, — დაარღვია სიჩუმე ვანომ. — ცეკვაც იციან, სიმღერაც, ხუმრობა-ოხუნჯობას ხომ ნულარ იტყვი, მაგრამ პირველად მაინც ვერ ბედავენ გამოსვლას. ატყობ, ზოგს ძალიან უნდა, მაგრამ მუნჯივით ხმას არ იღებს; ზოგიც ეჭვით იჩეჩავს მხრებს, თითქოს ამბობდეს: მოდი, გერ სხვის სეირს ეუყურო.

— ჰო და სწორედ იმიტომ ვაწყობთ, ჩემო ვანო, ამ ოლიმპიადას, რომ ხალხი გამოვიყვანოთ. ჩვენი ხარატები არა მარტო თავის პროფესიას უნდა ეუფლებოდნენ, ისინი კარგი სპორტსმენებიც უნდა იყვნენ, კარგი მომღერლები, ისევე კარგად უნდა იცოდნენ დასვენება, როგორც შრომა.

— მართალია, ლევან.

კობრეიძე წამოდგა, მაგიდის წინ გაიარა-გამოიარა, პაპიროსს მოუკიდა და ასანთი ხელის ფართო მოქნევით ჰაერში ჩააქრო. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ქუჩაში ტრამვაიმ წყრილით ჩაივრილა, სადღაც, შორს მანქანის გაბმული საყვირის ხმაც გაისმა და უცებ გაწყდა.

— ჰო, მართლა, ლევან, — მობრუნდა კობრეიძე რაიკომის მდივანისაკენ. — შენთან რომ მოვდიოდი, ქუთუვან იმედაძეს მოვკარი თვალი გვი

იმედაძის მეუღლეს. მგონი, შენთან მოდიოდა.

— მე დავებარე. მინდა ოლიმპიადაში მივალე, მონაწილეობა, მაგრამ ამბობენ ქმარი ნებას არ მისცემსო.

— ვინ, გივი?! — გაოცდა კობრიძე. — გივი არ მისცემს ნებას?! შეუძლებელია.

— რატომ გაგიკვირდა?

— გივი ნებას არ მისცემს. — გაიმეორა კობრიძემ, რაიკომის მდივნის წინ შედგა: — ვერ დავიჯერებ ამას ამხანაგო, ლევან.

— შენ იქნებ არც ის დაიჯერო, რომ სამსახურისათვის ქმარმა გაანებებია თურმე თავი, ქეთევანს. ოპერაში რომ მიიწვიეს, მაშინაც მას არ მიუცია ნება...

— შეუძლებელია. გივი ხელისგულზე ატარებს ქეთევანს, თავზე ევლებს, შხე და მთვარე ამოდის მათზე... გივი სამაგალითო ადამიანია მთელ ქარხანაში და გასაოცარია მისი ასეთი საქციელი.

— ცუდად იცნობს, ამხანაგო ვანო, ქარხანა თქვენს „სამაგალითო“ ადამიანს.

— ამას კი არ მოველოდი, — თქვა კობრიძემ და სავარძელში ჩაჯდა. — მართლა ძნელია ადამიანის ცნობა. ხშირად გგონია, რომ ყოველმხრივ იცნობ მას, ბოლომდე ჩაწვდი მის სულს, მაგრამ უეცრად ისეთი მოულოდნელი რამ გამოჩნდება, რომ სახტად დარჩები.

— არა, ვანო, ადამიანის ცნობა არ არის ძნელი. თქვენ იმედაძეს იცნობთ მარტო მისი მუშაობით, იმით, თუ რას აკეთებს იგი ქარხანაში, მაგრამ ადამიანის შესწავლა მარტო მისი მუშაობით ხომ არ შეიძლება. მისი მუშაობა ნაწილია მისი ცხოვრების. თქვენ არ იცნობთ იმედაძეს წარმოების გარეთ, ქარხნის კედლების იქით. შენ კი ამბობ ადამიანის ცნობა ძნელიაო. არ არის ძნელი. უნდა იცოდე, როგორ უნდა შეისწავლო, უნდა დაინტერესდე ადა-

მიანის, როგორც საზოგადოებრივი, ისე მისი პირადი ცხოვრებით... კობრიძე დაფიქრებით უგლებდა ყურს ლევანს.

— ჩვენი ადამიანები რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლაც სამაგალითონი არიან, ხშირად პირად ცხოვრებაში მთელი საუკუნით ჩამორჩებიან დღევანდელ დღეს. ამაში ყველაზე მეტი ბრალი ოჯახს, მშობლებს მიუძღვის. გერ კიდევ ზოგიერთი მშობელი დიდ სიკეთესთან ერთად დიდ უბედურებას ახვევს თავზე ახალ თაობას. იგი არ უკვირდება ცხოვრებას, არ უღებს მას ალლოს, ისე, დინებით მიჰყვება: რაც თითონ უსწავლია, იმას ასწავლიან შვილსაც. ის კი ავიწყდება, რომ შვილს სულ სხვა დროში, სხვა ხალხში უხდება ცხოვრება. ამ მშობლებს, თითქოს ორი ცხოვრება აქეთ, ერთი საზოგადოებრივი, მეორე პირადი, ოჯახური, მათი აზრით, თითქოს ამ ორ ცხოვრებას, ერთმანეთთან არაფერი კავშირი არ აქვს. მათი ფსიქიკა მეტად კონსერვატიულია, ეს ადამიანები ხარბად ეკიდებიან დრომოქმულ ჩვევებს, რათა ისინი ოჯახში მაინც შეინარჩუნონ. აი ასეთმა ოჯახმა აღზარდა თქვენი სამაგალითო ადამიანი. თქვენ კი ვერ მოეხმარეთ მას, და ჩვენ, რაიონულმა კომიტეტმა გვიან, ძალიან გვიან შეიხედა გივი იმედაძის ოჯახში.

— არ გვეპატიება ეს ამხანაგო, ლევან. — თქვა ყრულ კობრიძემ და სახეზე ცხვირსახოცი მოისვა. — ცუდად გიმუშავნია, თქვენ კარგად თქვით, მართლაც ჩვენ კარგად ვიცნობთ ჩვენს ხალხს წარმოებაში, ქარხნის კედლებს შიგნით, მაგრამ ნაკლებათ ვიცით მათი ოჯახური ცხოვრება. ახლავე უნდა დავეხმაროთ გივის. მას არ აქვს ნება იყოს ასეთი, ეს მთელი ქარხნის, მთელი ჩვენი კოლექტივის სირცხვილია. პირველსავე პარტიულ ბიუროზე განვიხილავთ ამ საკითხს...

— არა, მოდი აქედან ნუ დავიწყებთ. — შეაწყვეტინა ლევანმა კოხრე-
იძეს. — რა მონაწილეობას ლეხულობს
იმედაძე ოლიმპიადის მოწყობის საქ-
მეში?

— არავითარს.

— ჩააბით თვითონ ამ საქმეში.

ვანო მცდელი თვალებით შეაჩერდა
რაიკომის მდივანს, მიუხედა აზრს.

კოხრეიძის წასვლის შემდეგ ლევან-
მა ქეთევან იმედაძე გამოიძახა. ქეთე-
ვანი შემოვიდა, და უცებ შედგა: სა-
წერ მაგიდასთან მხიარულად იღიმე-
ბოდნენ ლებანიძის შუჭიანი თვალები.

— გამარჯობათ, ამხანაგო, ქეთე-
ვან. — მიესალმა რაიკომის მდივანი
ქეთევანს. — თქვენ, მგონი, იცით რის-
თვის დაგიბარეთ?

ქეთევანი, თითქოს არ მოელოდა ასე
უცებ რომ მოუხდებოდა პასუხის გაცე-
მა. რა უბრალოდ ეკითხებოდა რაიკო-
მის მდივანი იმ საქმეზე, რომელიც ქე-
თევანს სიცოცხლის ფასად უღირდა.
შეშინებული და ოდნავ გაკვირებული
თვალებით შეყურებდა რაიკომის მდი-
ვანს შუა ოთახში შემდგარი. გრძობ-
და რომ აგვიანებდა პასუხს.

— დაბრძანდით, — მიუთითა ლე-
ვანმა სავარძელზე და თვითონ თავისი
ადგილი დაიკავა.

წამიერი სიწყნარე ქეთევანისათვის
მთელ საუკუნესავეთ გაგრძელდა.

— იცით, ამხანაგო ლევან... მე ვერ
მივიღებ მონაწილეობას ოლიმპიადის-
ში. — თავაულებლად წარმოსთქვა ქეთე-
ვანმა და სწრაფად დაუმატა: — ბავშვი
მყავს სუსტად, აგარაკზე უნდა წავიყ-
ვანო. — თავი ასწია და დამნაშავესა-
ვით შეხედა ლევანის მისკენ დაფიქრე-
ბით მიპყრობილ თვალებს. შენიშნა,
ლევანი ხედავდა, რომ მართალს არ
ეუბნებოდა ქეთევანი. აღმური მოეკი-
და სახეზე, მზად იყო წამომდგარიყო
და გავარდნილიყო კარებში.

— ო. ეს, რათქმა უნდა, სერიოზუ-
ლი მიზეზია, მაგრამ თქვენ ყველაფერი

არ თქვით. რა გიშლით კიდევ ხელს? —
იმდენი უშუალობა და მონაწილეობა
იყო რაიკომის მდივანის ამ ნიტყვევებში,
თან იმდენი მზრუნველობის კილო და
სითბო ისმოდა მის ხმაში, რომ ქეთევა-
ნი კი არ დააბნია ამ პირდაპირ დას-
მულმა კითხვამ, პირიქით, დაამშვიდა,
თავი ისე იგრძნო, თითქოს თავის უახ-
ლბეს მეგობართან იჯდა.

— არაფერი არ მიშლის ხელს, ამხა-
ნაგო ლევან. მე მივიღებ მონაწილეო-
ბას ოლიმპიადისში. — უპასუხა მან
უცებ რაიკომის მდივანს გადაწყვეტი-
თ და მტკიცედ. — მე თქვენ ორჯერ არა
სწორი პასუხი მოგახსენეთ, მაპატიეთ,
ამხანაგო ლევან, ამ შეცდომას მე ვე-
რასოდეს ვერ დავივიწყებ.

•
•

გვი სახლში გვიან დაბრუნდა. ის
ოლიმპიადის მომწყობ კომისიის თავ-
მჯდომარედ აერჩიათ ქარხანაში და
ცულ ხასიათზე იყო. ისე შევიდა სამუ-
შაო ოთახში, რომ ქეთევანისათვის არც
კი შეუხედავს. დიდხანს იცვლიდა ტან-
საცმელს, იბანდა ხელპირს, აგვიანებდა
სასადილოდ გამოსვლას. კერძი ცივდებ-
ოდა. ბოლოს ქეთევანმა ვერ მოითმუ-
ნა და თვითონ შევიდა მეუღლის
ოთახში.

— რა მოხდა, გვი, ცუდი ხომ
არაფერი შეგემთხვა?

— დიახ, თქვენდა გასახარად, — მკვა-
ხედ მიუგო გვიმ. იგი ლოგინზე პირად-
მა იწვა და ხელები თავქვეშ ამოეწყო.
ქეთევანს არ უყურებდა, პერს შესცქე-
როდა.

— რა მოხდა მითხარი, გვი? — ახ-
ლო მივიდა ქეთევანი.

— იმ საქმეში ჩამაბეს, რასაც მე
სხვებს ვუშლი... ოლიმპიადის მომწყობ
კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს.

— მერე სადა გაქვს მაგის დრო შენ
ახლა, გვი? განა არ იციან, რომ ახალ
პროექტზე მუშაობ?

— მშვენივრად იციან.

— მერე?

— ასე მითხრეს, ოლიმპიადაც ისევე საჭირო საქმეაო, როგორც ყოველი პროექტი, ყოველი მანქანა.

ქეთევანს სახეზე წელი ღიმილი შეეფინა.

— ეს რომ სხვა! ეთქვა, არ გამიკვირდებოდა, — განაგრძობდა გივი, — მაგრამ კობრეიძემ... აი, ვისგან არ ველოდი.

— რატომ? განა არიან ადამიანები, ვისაც არ უყვართ სიმღერა, თეატრი, ლიტერატურა.

— ვინა თქვა ადამიანს არ უნდა უყვარდესო თეატრი, ცეკვა, მუსიკა? — წამოჯდა გივი, — მაგრამ ყველა როდი უნდა მონაწილეობდეს ამ საქმეში. — კუშტად შეხედა ქეთევანს, — გაიხარე, ოლიმპიადაში მონაწილეთა სიაში პირველი შენ შეგიტანეს.

— მე?! მერე მე ხომ...

— შენ ხომ, შენ ხომ, — გაჯაერებით წამოიძახა გივი. — შენ ხომ გინდოდა.

— მაგრამ, შენ ხომ არ გინდოდა?

— დიახ, არ მინდოდა და არც ახლა მინდა.

— მერე რატომ არ თქვი..

— რატომ არ ვთქვი? იმიტომ არა ვთქვი... — დაბნევით წაიბუტბუტა გივიმ, თვალი მოარიდა ქეთევანის მისკენ მიბრუნებულ სახეს. — ბოლოსდაბოლოს, ვისადილებ, თუ არა მე დღეს? — წამოიძახა და სასადილო ოთახში გავიდა. — შეგიძლია მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მე მაინც ჩემს აზრზე ვრჩები. — სასადილო მაგიდას მიუჯდა.

გამოვიდა ქეთევანიც.

— გივი, თუ შენ შენს აზრზე რჩები, როგორ დათანხმდი ოლიმპიადის მომწყობი კომისიის თავმჯდომარედ შენს არჩევას?

— ეს ჩემი საქმეა... ეს საზოგადოებრივი დავალებაა... ცივია კერძი, მარილი აკლია... რამდენჯერ გთხოვე ერთ-

ხელ და სამუდამოდ შევწყვიტოთ მეთქი ამ საკითხზე ლაპარაკი.

— გივი, შენ თვითონ დაიწყე ამაზე...

გივის სამუშაო ოთახიდან ტელეფონის ზარის ხმა მოისმა.

— კობრეიძე იქნება. უთხარი ახლავე წამოვა-თქო. შენც ხარ დაბარებული დღეს.



ოპერის თეატრი საზეიმოდაა მორთული. სცენაზე ალისფერ ხავერდის სტენდზე ოქროსფერ სხივების ჩარჩოში ლენინისა და სტალინის პორტრეტები მოსჩანს.

მეოთხე დღეა გრძელდება ოლიმპიადა. სცენაზე გუნდი გუნდს სცვლის. გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიმღერა მსმენელთ იზიდავს არა წლობით დამუშავებული არტისტული ხელოვნებით, არამედ გრძნობის სიახლით, განცდათა უშუალობით, ხალხურობით.

ინდივიდუალურ შემსრულებელთა შორის ყველაზე დიდი წარმატება ქეთევანს ხვდა. აი ახლა მას უსმენს მთელი დარბაზი. ქეთევანი მაროს არიას მღერის მთელი სიბალისით და მგზნებარებით. ისმის მისი მზურვალე ვედრება უცნობი ვარსკვლავისადმი, ყოვლისშემძლე მზისადმი, რათა მან ქვეყანას ბედნიერება უწყალობოს, რომ კეთილმა ბოროტს სძლიოს.

გივი ჩიურის წევრთა შორის ზის აღელვებისაგან საფეთქლები ტიკვა. გახარებული მისჩერებია ჩიურის წევრთა ალტაცებით გაშუქებულ სახეებს.

აი, იგი ხედავს, რა აღელვებით უსმენს მოხუცი, გრძელწვერებიანი პროფესორი ქეთევანს, მის თვალბში სიხარულის ცრემლებიც კი ბრწყინავს, ასევე გატაცებით უსმენს ცნობილი ქართველი კომპოზიტორი. აი ლევან ლებანიძეც, რატომ იხედება იგი ხშირად გივისაკენ,

რატომ უკრთის სახეზე ეშმაკური ღიმილი.

— თქვენ თქვით, რომ მას კონსერვატორია აქვს დამთავრებული?

ესმის გივის ჩურჩული სიბნელეში. ვერ ბედავს მიიხედოს იქით.

— დიახ, ერთ დროს ოპერაშიც მიწვიეს, მაგრამ...

გივის სუნთქვა შეეკრა მოლოდინით.

— ...ავადმყოფობამ შეუშალა თურმე ხელი.

გივიმ ოფლი მოიწმინდა. ასე ეგონა ყველა მას შეჩურჩებდა, ყველამ იცოდა იმის მიზეზი, თუ რატომ თქვა მეტევანმა ოპერაში მიწვევაზე უარი. სირცხვილისაგან სახე აელანდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, უნდოდა გასულიყო ლოკიდან, მაგრამ ამ დროს ტაშმა იგრიალა. გუგუნებდა მთელი დარბაზი. ისმოდა მოწონების შეძახილები.

მოხუცი პროფესორი, ლევან ლებანიძე და მთელი ლოკა ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. გივი ^{სკი} იდგა დაბნეული, გახარებული და დარცხვენილა. მერე იმანაც უნებლიედ ასწია ხელი და შემოკრა ტაში, მაგრამ უცებ ლევანის ღიმილით მიპყრობილ სახეს მოჰკრა თვალი და შეჩერდა.

— დაუკარით, დაუკარით, — უთხრა ლევანმა — დაე, დაინახოს მან, რომ თქვენ ტაშს უკრავთ. — მოკიდა ხელი და წინ წამოსწია მოაჯირისაკენ.

ქეთევანი იდგა სცენაზე ბედნიერი, გახარებული, ესროდნენ ყვავილებს, უკრავდნენ ტაშს, შეხაროდა მთელი დარბაზი, მაგრამ იგი მარტო ერთ ლოკას ხედავდა. ხედავდა, რა ალტაცებით უკრავდა ტაშს გივი, ხედავდა ლევან ლებანიძის მოლიმარ სახეს, პროფესორის სიბარულით აცრემლებულ თვალებს, იდგა სცენაზე და გრძნობდა, იცოდა რომ იგი დარჩებოდა სცენაზე.

გივი ბოგინაიშვილი

ორი მოთხრობა

★

ცისარტყელა

ელექტრომაველმა უკანასკნელად იკივლა, უხმოდ შესრიალდა სადგურში, შეჩერდა. მგზავრები ვაგონების გასასვლელ კარებს მიაწყდნენ. წამოდგა ნოდარიც.

ბაქანზე დამხვდურები ჩამოსულებს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ხელს ართმევდნენ.

თბილისი!

დიდი ხანია არ ყოფილა ნოდარი თავის მშობლიურ ქალაქში. ომის დაწყე-

ბისთანავე ჯარში გაიწვიეს. უკანასკნელ წელიწადს განსაკუთრებულ დავალებას ასრულებდა და წერილის მოწერის საშუალება არ ჰქონდა.

და აი, იგი კვლავ თბილისშია.

სადგურის საათს შეხედა. ცხრას ოცი წუთი აკლდა. ნოდარმა მაჯიდან საათი მოიხსნა და ისრები ერთი საათით წინ გადასწია.

არავისთვის უცნობებია ჩამოსვლა. არც დედ-მამა ჰყავდა, არც და-ძმა-

სხვას კი... სხვას, თუ ის კვლავ ელოდებოდა, მოულოდნელი ჩამოსვლით უფრო გაახარებს.

სადგურის მოედანზე გავიდა. გაზაფხულის მზემ თვალი მოსჭრა. ტრამვაი წკარუნით ავსებდა ჰაერს, ავტომობილებისა და ავტობუსების სირენები სძენას ჰკვეთდნენ. წინათ ასეთი მოძრაობა არ ენახა ამ მოედანზე. ეზიდებოდნენ სამშენებლო მასალებს: აგურსა და თიხას, ცემენტსა და ხე-ტყეს. სადგურის მოედანი გაეფართოებინათ. აქვე მრავალსართულიან უზარმაზარ შენობას აგებდნენ. მძლავრად ფეთქავდა ქალაქის სასიცოცხლო ძარღვი.

ერთხანს ყოყმანობდა, არ იცოდა საით წასულიყო.

ომამდე მას პატარა, სტუდენტური ოთახი ჰქონდა. დიდი ხანია სამშობლოში არაფერი მოუწერია. ალბათ ყველანი დაღუპულად სთვლიდნენ.

ტრამვაის უკანა ვაგონზე ავიდა და სკამზე ჩამოჯდა.

დაიწყო გაჩერებათა თვლა, მაგრამ ძალე აერია. ხარბად გასცქეროდა ქუჩებს, სახლებს, ფილაქანზე მოსიარულე ხალხს. რაღაც სხვაგვარი ელფერი შენიშნა მათში. თვითონ რომ მთელი არსებით ხარობდა, ასე ეგონა, სხვებიც ინაწილებდნენ მის აღტაცებას.

აი, მისი გაჩერებაც. ვაგონიდან ჩამოვიდა და აღმართს აპყვა. ქავეკავადის ქუჩის აღმართი რომ დაიღვეა, ჯერ ხელმარჯვნივ უნდა შეუხვიოს, შემდეგ ხელმარცხნივ, კვლავ ხელმარჯვნივ. იქ, პატარა შესახვევში გავა, ორიოდ სახლს გაივლის და მუდამ ხალხით სავსე ეზოს მიადგება. მოაგონდა, მეგობრები რომ ოხუნჯობდნენ: მითოლოგიურ ლაბირინტში შესვლა უფრო იოლია, ვიდრე ნოდარის ბინის მიგნებაო.

აღმართი რომ მოათავა, შედგა. ქალაქს გადახედა. გაზაფხულის ფერმკრთალი ნისლი გადაჰკროდა თბილისს. მზის სუსტ სხივებში წითლად ჩანდა სახლების სახურავები.

პატარა შესახვევში გავიდა. თითქმის არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ძველებურად დახვდა: ქვის ფილაქანზე ამობურცული რკინის მილიც კი, რომელზედაც ნოდარს საღამოობით ბევრჯერ წაუტრავს ფეხი, რადგან ვერაფრით ვერ დაეხსომებია ფილაქანის რომელ მხარეზე იყო იგი ამოშვებული.

თავის ეზოს შესასვლელთან მოხუც კაცს წამოეწია. თითქოს იცნო, მისი ოთახის ქვემო სართულში მცხოვრები პენსიონერი მუშა, შიო უნდა ყოფილიყო. მაგრამ სწრაფად შეიცვალა აზრი, რადგან მოხუცს მზუთის წვეთებით დაწინწკლული სამუშაო ხალათი ეცვა. ძია შიოს ჰგავდა, მაგრამ შიომ ჯერ კიდევ ნოდარის ჯარში წასვლამდე მიანება თავი მუშაობას მოხუცებულობის გამო. ეს მოხუცი კი ქარხნიდან ბრუნდებოდა.

მოხუციც ნოდარს, დაკვირვებით დააკერდა და შეპყვირა:

— ბიჭოს, ნოდარი არა ხარ შენ? — პასუხს არ დაუცადა, ხელები გაშალა და გულში ჩაიკრა, მერე უკან დაიწია, მთელი ეზოს გასაგონად ხმამაღლა შესძახა: — ხალხნო, ჩვენი ნოდარი ჩამოვიდა, სტუდენტი, ნოდარი!

წინათ არასოდეს არ გამოუჩენია შიოს განსაკუთრებული ყურადღება ნოდარისადმი. პირიქით, მუდამ ბუზღუნებდა: „საღამოობით ეგ წყეული სტუდენტები აღარ მასვენებენ, ჩემი ოთახის თავზე ყირაზე გადადიანო“.

გაოცებული შესცქეროდა ნოდარი შიოს.

— კი მაგრამ, ძია შიო, თქვენ ხომ აღარ მუშაობდით ისევე დაუბრუნდით ქარხანას?

— მაშა, მაშა, ჩემო ნოდარ, — უპასუხა შიომ, — ფრონტს საჭურველი სჭიროდა, ქარხანას კი მუშა-ხელი აკლდა, შინ რა გამაჩერებდა. რა დროს შენი მუშაობააო, მეუბნებოდნენ, მაგრამ ჩემი მაინც გავიტანე. რაც მუშაობა დავიწყე, ქარებიც კი მომირჩა...

ეზო უცხად გამოცოცხლდა. ყველანი გარეთ გამოვიდნენ. პატარებიც კი აერამულდნენ, ეზოდან შესახვევში გაეციდნენ, შესახვევიდან ქუჩაში და მიდამოს ყვირილი მოედო:

— ძია, ნოდარი ჩამოვიდა!

— სტუდენტი ნოდარი ჩამოვიდა.. ლაიბნა ნოდარი. არ მოელოდა ასეთ შეხვედრას. წინათ, ეზოში რომ შევიდოდა, ორიოდე ახლო მეზობელს მორიდებულად სალამს თუ მისცემდა.

მამაკაცები ძმაკაცურად ეხვეოდნენ. მათ არც ქალები ჩამორჩნენ. ბავშვებმა კი ორდენები კინალამ ჩამოაგლიჯეს, მკერდიდან.

ბოლოს, მის გვერდით მცხოვრებმა მეზობელმა ელენემ ნოდარს ხელი ჩასჭირა და წინ გაუძღვა. სხვებმა ხელბარგი წამოუღეს.

ნოდარი რომ თავის ოთახში შევიდა, ვლარც კი იცნო იგი. ვილაცას საფუძვლიანად შეეკეთებინა ბინა. კედლები და ქერი ახლად შეეღებნათ. საღადა იყო ნავთქურის ქვარტლისაგან გამურული და ფორმულებით დაჯღაბნილი კედლები, უსწორმასწორო იატაკი, კარადა არეული წიგნებით. ნოდარი ყველაფერ ამას, თითქოს კი არ ხედავდა, გრძობდა. მისი თვალები კი ერთ წერტილს მისჩერებოდნენ. მაგიდასთან კედელზე დაკიდულ ნანის სურათს.

მეზობლების მოლოცვებს დასასრული არ უჩანდა. არა თუ მისი ეზოს, მთელი შესახვევის მცხოვრებლები მოვიდნენ ნოდარის სანახავად. ისეთი აღამიანები ესტუმრნენ, რომლებიც წინათ სალამსაც არ აძლევდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ქალებმა ელენეს რალაც წასაჩუქრულეს. ელენე ნოდართან მივიდა.

— ახლა იბანავე, შვილო. ჩვენს ქალებს შენთვის წყალი გაუცხებლებიათ. ნამგზავრი ხარ, მოგიხდება. თუ რამე გინდა, დედაშვილობას, ნუ მომერიდები..

ნოდარი რომ ოთახში შემობრუნდა, გაშლილი სუფრა დახვდა. სანგზავრო ჩანთიდან ძეხვები, კონსერვები და პური ამოიღო. მაგიდის თავთან შიამამჯღარაყო. ნოდარი გვერდით მოისვა. წითელი ღვინით სავსე ჭიქა აიღო:

— ილღეგრძელე, ჩემო ნოდარი! სახელოვანი ვაგაკაცი ხარ და სახელოვნად დაგვიბრუნდი. შენ იქ იბრძოდი და გაიმარჯვე, თუმცა არც ჩვენ ვიყავით გულხელდაკრეფილნი. ყველა მომლოდინე, ღმერთმა ისე გაახაროს, როგორც შენი ჩამოსვლით ჩვენ გაგვახარე. შენს ჩამოსვლას მეტი ეკუთვნის, მაგრამ ჯერ ეს იყოს. ჩვენი ნოდარის ჩამოსვლისა იყოს, მეზობლებო, ჩვენი სტუდენტი ნოდარის ჩამოსვლისა!

ნოდარი მადლობასაც ვერ ახერხებდა. გაოგნებული იჯდა. იქ, ფრონტზე, ბრძოლებს შორის შესვენებისას, მხართეძოზე რომ წამოწევებოდნენ ბიჭები, სამშობლოში დაბრუნებასა და შეხვედრაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ამ სინამდვილეს ის ოცნებაც კი არ შეედრებოდა.

მეზობლები სამადლობელს უცდიდნენ. ნოდარი ფეხზე წამოდგა. სიტყვა ყელში ეჩხირებოდა, გული ბაგაბუგით უცემდა. ჯერ ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, მერე ხმაში თანდათან სიმტკიცე ჩაუღდა.

— გამადლობთ, მეზობლებო, რა გითხრათ?.. ასეთ სიხარულს არ მოველოდი. მაგრამ თქვენი სახით მე ჩემი სამშობლოს სიხარულს ვხედავ. ეს მხოლოდ ჩვენთან შეიძლება, ჩვენს ქვეყანაში.. ასეთი ხალხისათვის, კვლავ რომ დაგვჭირდეს, არ დავიშურებ სიცოცხლეს.

ღვინო ჩჭარა მოეკიდა. სუფრასთან დიდ ხანს არ მჯღარან. მეზობლები წავიდნენ. ქალებმა სუფრა აალაგეს.

ნოდარს თავი უხურდა. თუმცა დაღლილი იყო, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. ნანის სურათს შესტკეროდა. სურათიდან ნაცნობი ღიმილი გამოკრ-

თოდა. შავი წარბები ღამაზად დამსხ-
დარიყენენ თვალზემოთ. ხუჭუქი თმა,
როგორც ყოველთვის, უწესრიგოდ
ეყარა.

შესახვევთან ავტომ მოაყვირა, ერთ-
ხანს ითუხთუხა და მერე ნოდარის
ეზოს შესასვლელთან გაჩერდა. აქ ავ-
ტო იშვიათი სტუმარი იყო. ერხელ ნო-
დარი და მისი ამხანაგები ავტოთი ამო-
ვიდნენ. შესახვევამდე არა უშავდა რა,
მაგრამ შესახვევში ხელით შემოაგო-
რეს.

ნოდარი ფანჯარას ეცა, ავტოში არა-
ვინ იყო, ჩანდა მასში მჯდომი უკვე
ეზოში შემოსულიყო. გადაწყვიტა, აი-
ვანზე გასულიყო, მაგრამ კიბეებზე ჭა-
ლის ფეხსაცმლის ჩქარმა ბაკუნმა შეა-
ჩერა.

უცებ შესასვლელი კარები ხმაურით
გაიღო და პატარა ჩარჩოში ჩასმული
სურათის ჩვენება კარის ზღურბლზე
შედგა. კართან ნანი იდგა. გულამომ-
ჯდარი სულს ძლივს იბრუნებდა.
ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდნენ
ერთმანეთს გაოცებულნი და გახარე-
ბულნი. შემდეგ ნანი ადგილს მოწყდა
და ნოდარისაკენ გამოქანდა. მკლავებ-
ში ჩაუვარდა. სახით მკერდზე მიეკრა
და ატირდა.

— ასე უნდა.. ასე უნდა.. — მკვი-
თინებდა ნანი.

ნოდარი ისე დაიბნა, რომ არ იცოდა
რა ექნა.

— ნანი, შენ ტირი, შენ ტირი, ნა-
ნი. — ლულუღებდა, თმასა და ხე-
ლებს უკოცნიდა ნანის, ცრემლებს
უმშრალებდა და სადღაც გონებისა და
სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ეს
სიხარულის ცრემლები იყო. — ვინ ვით-
ხრა ჩემი ჩამოსვლის ამბავი, ნანი?

— ძია შიომ დამირეკა. — უთხრა
სლუკუნით ნანიმ. — რა სულელი ვარ,
ნოდარ, მამატიე, მეტს აღარა... მეტს...
აღარ ვიტყვებ, ნოდარ... — ამბობდა
სლუკუნით, თმას ისწორებდა, მერე გა-
იციხა, ცრემლებით გაბრწყინებულ

თვალეში შეანათა ნოდარს. — როგორ
გამოცვლილხარ, ნოდარ. დავაქცე-
ბულხარ!

— შენ, ნანი... გაზრდილხარ... სულ
სხვანაირი ხარ, ნანი. სად გაშავდი მზე-
ზე ასე?

— მშენებლობაზე, ნოდარ.

— როგორ, მუშაობ? სწავლა, ინს-
ტიტუტი მიატოვე?

ნანის გაეცინა, მხიარული, ბავშვური
სიცილით.

— რატომ? ინსტიტუტი უკვე დავამ-
თავრე, ნოდარ.

— რას ამბობ, ნანი? — გაოცდა ნო-
დარი. — თითქოს ეს გუშინ იყო. გაზ-
სოვს, როგორ ვაბარებდით გამოც-
დებს? შენ უკვე ინჟინერი ხარ! — გა-
ჩუმდა, თითქოს კიდეც არ სჯეროდა
რომ ნანი ინჟინერი იყო. — მე კი მე-
ორე კურსის სტუდენტი...

— და გვარდიის კაპიტანი. — უთხრა
ნანიმ და ალტაცებით მიაჩერდა ორდე-
ნებითა და მედლებით გაქედილ გაბრწყ-
ინებულ გულმკერდს.

— სად მუშაობ, ნანი?

— სამგორში.

— სადა?

— სამგორის მშენებლობაზე. აი,
ჩვენი სამგორი. — გაიშვირა ხელი ფან-
ჯარაში მახათას მთისაკენ და უცებ გა-
ინაბა. — ნოდარ, შეხედე, ცისარტყე-
ლა. — შესძახა ალტაცებით. — რა მშვე-
ნიერია, ღმერთო ჩემო.

ნოდარი ფანჯარასთან მივიდა. შხა-
პუნა წვიმა მოლიოდა. ცა თეთრი
ღრუბლებით იყო მოჯარული. სამგორ-
ზე გადარკალური ცისარტყელა სულ
უფრო მძლავრად იფერებოდა.

— როდის დაიწყო სამგორის მშე-
ნებლობა, ნანი?

— მეორე წელიწადია, ნოდარ, და
იცო რამდენია გაკეთებული. ვერ იც-
ნობ სამგორს. მკვდრეთით დგება უსუ-
ლო მიწა. მთელი საქართველო ამე-

ნებს მას. სადაურ კოლმეურნეს, ინეინერს და მუშას არ ნახავ ჩვენთან — აფხაზს, გურულს, სევანს, მეგრულს, ხევსურს, იმერულს. რომ იცოდე, რამდენი ომგადახდილი ოფიცერი და ჯარისკაცი მუშაობს ჩვენს მშენებლობაზე. ერთი ფრონტიდან მეორეზე მოვედითო, ამბობენ ისინი და იცი, როგორ მუშაობენ, ნოდარ...

— შენ რას აკეთებ, ნანი?

— დიუკერი გამყავს.

— რა?

— დიუკერი, ეს ისეთი ნაგებობაა...

— შენ ნამდვილი ინჟინერივით ლაპარაკობ, ნანი.

— ჰო, — გაცივანა ნანის, — მე ხომ ნამდვილი ინჟინერი ვარ, ნოდარ.

— რას აშენებთ კიდეც, ნანი? მე არაფერი ვიცი ამ მშენებლობის შესახებ.

— სულს ვუღდამთ მრავალათას კექტარ მკედარ მიწას. მდინარე იორი მლაშე ტბების აუზში ჩამოგვყავს. გაერთიანდება სამი ტბა და შეიქმნება პატარა ზღვა — თბილისის ზღვა, ნოდარ.

— თბილისის ზღვა?!

— ზღვის ნაპირებზე გაშენდება კოტეჯები, ზღვაზე იალქნიანი და მოტორიანი ნაგები ისრიალებენ. ზღვა სავსებით შესცვლის ჰავას. ჩვენს ქუჩებში გრილი ნიავე შემოიჭრება. გარშემო მდებარე მთა-ველი ხეხილის ბაღებითა და ტყით შეიმოსება.

— მთებს, მთებს როგორღა მორწყავთ?

— ხელოვნური წვიმით.

— ხელოვნური წვიმით?!

— არხებიდან წყალი მთებზე ამოვაცად აიჭრება და იწვივებს. იწვივებს ყოველ ამინდში, მზიანში, ღრუბლიანში, როცა დაგვეკირდება და სულ სხვაგვარი ცისარტყელა გადაირკლება სამგორის თავზე. — ნანის სახე ოცნებით გაებადრა, ნოდარისაკენ მობრუნდა. — აღამიანის ხელით შექმნილი ცისარტყელა, ნოდარ.

— აღამიანის ხელით შექმნილი ცისარტყელა. — გაიმეორა ნოდარმა და თვალი მაგიდაზე მდგარ ბელადის სურათს მიაპყრო უნებლიედ.

— და იგი არ ემგვანება, — განაგრძობდა ნანი, — არც ერთი ქვეყნის, არც ერთი ცისა და მიწის ცისარტყელას. — მივიდა, გვერდში ამოუღდა ნოდარს და ხელი მხრებზე გადახვია: — ეს ჩვენი ცისარტყელა იქნება, ნოდარ.

— არა მარტო ჩვენი, ნანი. — თქვა დაფიქრებით ნოდარმა. — მე თითქმის მთელი ევროპა შემოვიარე ამ ომის განმავლობაში და, იცი, რამდენი ხალხი ელის ასეთ ცისარტყელას. ჩვენ ისე უნდა ვაშენოთ, ნანი, რომ იქაც გადაირკლოს ეს ცისარტყელა.

— ნოდარ, — თქვა ჩურჩულით ნანი და თავისკენ მოაბრუნა ნოდარი. — რა კარგად ლაპარაკობ, ნოდარ. ისე უნდა ვაშენოთ, რომ იქაც გადაირკლოს ეს ცისარტყელა.

ისინი ისხდნენ ხელინელგადახვეულგები, ოცნებითა და ბედნიერებით სახევაშუქებულნი და სიყვარულით შესცქეროდნენ ბელადის სურათს.

ფანჯრის რაფაზე წვიმის წვეთები წყაპა-წყუპით ეცემოდა და ოთახში მზე ბრწყინავდა.

აჩილის დედა.

ხიდზე რომ გაცივანა, შემოდგომის სუსხიანმა ქარმა გულმკერდი გაუღელა შოთას და კინალამ ქული მოსტაცა. შედგა, ხიდის მოაჯირს დაეყრდნო და

თვალი მტკვარს გაუშტერა. ელექტრონათურები ზედ დანათოდნენ მდინარეს. ჩანდა, თუ როგორ მოღილავდა მტკვარი, ტალღებს მოაგორებდა, ხიდის სა-

ძირკველს ეხეთქებოდა და, მას რომ ვერაფერს აკლებდა, ფაფარაყრილი მიეჭანებოდა.

შოთამ ხიდი სასწრაფოდ გაიარა და ქუჩას დაჰყვა. ქარმა ქუჩის გასწვრივ ფოთლებშემომძარცულ ერთ-ერთ ხეს უკანასკნელი ფოთოლი მოჰგლოჯა, პაერში დაატრიალა, შემდეგ უცებ შოთას სახეზე მიახალა.

მთელს ტანში ერთხანტელმა დაუარა.

— არჩილ!.. ძმალ!..

შხოლოდ ახლა იგრძნო რომ მკერდი გაღვლილი ჰქონდა. მაზარა ყელამდი აიწია და ნელი ნაბიჯით გზა განაგრძო.

ფიქრებიდან გამოერკვა. შედგა, ორსართულიანი სახლის კარებზე წარწერას მოჰკრა თვალი. წაიკითხა: „კბილის ექიმი მარინე ქართველიშვილი“.

ანგარიშმიუგებლად არჩილის ბინაზე მისულიყო, თავისი მეგობრის, ომში დაღუპულ არჩილის ბინაზე.

შოთამ ზარის დიღს ხელი დააქირა.

კარებს ვილაცის ნაბიჯი მოუახლოვდა, საეკტი ვადასწია და გააღო.

შოთა დერეფანში შევიდა. მის წინ მოხუცი ქალი იდგა. ქალარას მთლიანად დაეთრთვილა მისი თმები.

— ვინ გნებავთ? — შეეკითხა იგი შოთას.

ოდნავ ბნელოდა, მაგრამ შოთამ უცხად შენიშნა ცელილება არჩილის დედის სახეზე.

— დეიდა მარინე, ვერ მიცანით?

მარინემ შოთას დიდხანს უცქირა, ბოლოს იცნო, კივილი აღმოხდა და შოთას გადაეხვია.

— შეილო, შოთა! — ეხვეოდა მარინე შოთას და თან ქვითინებდა: — ვაი, შენს დედას, ჩემო არჩილ!.. ვაი, შენს დედას ჩემო, ბიჭიკო!.. — ხელის გულთ შუბლი მოისრისა: — ყურადღებან ნუ მომაქცევ, შეილო, უბედურებამ ხულ დამაბნია, რალა დერეფანში ვღგვევართ, შინ შევიდეთ.

მარინემ შოთას ხელი მოხვია, წინ გაძილოლა და კვლავ აცრემლდა: — რა იქნებოდა, ასეთი ბედნიერება! მეც ჰღირსებოდა, ჩემო არჩილ! ჩემო შეილო!

ოთახში დალაგებული ნივთები სოსუფთავით ქათქათებდნენ. კედლები არჩილის სურათებით იყო მორთული. არჩილის სამუშაო მაგიდაზე წიგნები ელაგა. იქვე წითელი ფერის საწერ-კალამი და ნახევრად-დაწერილი თეთრი ქალაღი იდო. თითქოს აგერ სადაცაა შემოვა არჩილი და დაუმთავრებელი წერილის წერას განაგრძობსო.

შოთა მაგიდას მიუახლოვდა.

— ჩემი არჩილის დაუმთავრებელი ლექსია, მაგას ენაცვალოს მისი დედა.

შოთამ ქალაღს დაჰხედა. ხელში აღება ვერ გაბედა. ლურჯი მელანი გახუნებულყო ქალაღზე. ქალაღის ნაპირებზე რალაც ფიგურები დაეხატა არჩილს. სტრიქონებიც ბევრგან წაეშალა.

— სულ დავიბენი, მაზარის გახდაც არ გთხოვე.

— თქვენ ნუ სწუხდებით, მე თვითონ, დეიდა მარინე.

— შენ იცოცხლე, ჩემო შოთა. როდის დაბრუნდი, როგორა ხარ? დაჭრილი ხომ არა ხარ?

— გმადლობთ, კარგადა ვარ, დეიდა მარინე, ამ დღიღთ ჩამოვედი.

— იბედნიერე, შეილო, იბედნიერე. რაც ჩემს არჩილს წლები დააკლდა, შენ შეგემატოს.

შოთამ არჩილის ლექსი აიღო.

— ეს ლექსი, — უთხრა მარინემ, — ვაზიანში, სალეიტენანტო კურსების დამთავრების შემდეგ ფრონტზე წასვლისას დასამშვიდობებლად რომ ჩამოვიდა, მაშინ დაიწყო. ენაცვალოს დედა, ველარ მოასწრო დამთავრება. სასწრაფოდ გაიძახეს. უკანასკნელად რომ

გადამეხვია, ასე მითხრა, ჩამოვალ და დავამთავრებო. მეც, უბედურმა, შეეუწნახე, როგორც იღო, ისე დაეტოვე. მელანსაც ყოველკვირა ვუსხამ სამელნეში. ასე უყვარდა, ჩემს არჩილს, წერისას მელანი სამელნეში პირამდე საესე უნდა ჰქონოდა. არ ვიცოდი, თუ კი... აი, — ეკლავ ჩემს დარღს ეუბრუნდები და შენს ამბავს კი არ გეკითხები! სად იყავი, შვილო, სად იბრძოლე? ეგებ ჩემი არჩილი შეგხვდა სადმე?

— არა, დეიდა მარინე, არჩილი არ შემხვედრია. ისე კი, სად არ ვიბრძოლე.

— უიმე ჩემს თავს, — შეიცხადა მარინემ, — განა შენს ჩამოსვლას ასე უნდა შეეხვდე. სადღაც, მგონი, ერთი ბოთლი ღვინო მაქვს, საუზმეც, მცირესათვის ნუ დამძრახავ.

— აბა, რა საჭიროა, დეიდა მარინე!

— არჩილის დედას არ უნდა აწყენინო, არჩილის ოჯახში შენ სტუმარი არა ხარ, შვილო, — ლაპარაკობდა მარინე და თან სუფრას შლიდა.

საუზმის შემდეგ, მარინემ არჩილის მაგიდის უჯრიდან წიგნი და ჟურნალგაზეთები ამოიღო.

— აი, ჩემო შოთა, აქ ჩემი არჩილის ნაწერებია დაბეჭდილი. დიდი მადლობელი ვარ კომკავშირის, ხელმძღვანელი ამხანაგებისა და მწერლებისა. არ აკლებენ ყურადღებას ჩემს არჩილს. შენც იცი, ომში წასვლამდეც იბეჭდებოდა არჩილის ლექსები, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც ახლა. მისი ხელთნაწერები წაიღეს, ფრონტიდანაც გამოგზავნა რამდენიმე ლექსი და დაბეჭდეს. წელს მისი ლექსების წიგნიც გამოვიდა. როგორ ოცნებობდა ჩემი არჩილი, მისი ლექსების პირველი წიგნი ენახა. ეღვარ მოეწრო, ჩემი იმედი. მისი ლექსები მაძლევენ ნუგეშს და მისი მეგობრები. თითქმის ყოველდღე მოდიან ჩვეთან ბიძინა, ნოდარი, ქეთო, ზეინაბი...

შოთამ გადაფურცლა არჩილის ლექსების წიგნი. გულდასმით კითხულობდა ყოველ მათგანს. *სიმღერები*

— დეიდა მარინე, არ იცით სად და როგორ დაიღუპა არჩილი?

— ვაიმე, პირველად ის ბარათი უნდა შეჩვენებინა... 1944 წელს 13 იანვარს პატარა ქალაქზე დაბეჭდილი ცნობა მომივიდა. ხომ იცი, როგორ სწერენ: „გმირულად დაიღუპა“ და სხვადასხვა... უცხად ვერ გავერკვიე, არა, არ დავიჯერე, არ დავიჯერე, რადგან არ შეიძლებოდა ამ ნაბეჭდს ქალაქზე დაბეჭდილი ჩემი არჩილის სიკვდილის ამბავი. ათი დღის შემდეგ კი აი, ეს ბარათი მივიღე და ჩემი არჩილის საბუთები... მაშინ კი დავრწმუნდი, რომ არჩილი აღარ მყავდა. — ხმა გაეზზარა მარინეს. — მისი ფრონტელი მეგობრები მწერდნენ, — აკანკალებული ხელით მაგიდის ერთ-ერთი უჯრიდან სამად დაკეცილი ქალაქი ამოიღო და შოთას გაუწოდა — აი, ხმამალა წამიკითხე, შვილო.

შოთამ ბარათი გამოართვა და წაიკითხა:

„ჩვენო დედა!

ამ ბარათს ფრონტლები გწერთ, თქვენი არჩილის ქვეგანაყოფის მებრძოლები. არ ვიცით ეს ბარათი, როგორ დაეწყოთ; რა მოგწეროთ ისეთი, რომ ნუგეში გცეთ... თქვენ, ალბათ უკვე იცით... მძიმეა თქვენი დანაკლისი, ძალიან მძიმე. უბრალო ბარათით ვერ გაგიჭარწყლებთ მძიმე დარღს, მაგრამ, ეგებ ოდნავი ნუგეში მაინც ჰპოვოთ მასში.

არჩილი ჩვენი სული და გული იყო. იგი ბრძოლაშიაც პოეტი იყო, თვალმანთებულო, უშიშარი, შეუღრეკელი.

მას სურდა თავისი შემოქმედებით შეექმნა ჩვენი სამშობლოსათვის თავდადებული გმირები და ცხოვრებამ კი იგონამდელი გმირად აქცია, ისეთად, რომლის სახელითაც იამაყებს ჩვენი ქვეყა-

ნა, ჩვენი თაობა, ჩვენი შვილები და შვილისშვილები. იამაყებთ თქვენც, ჩვენო დედა, თქვენი მწუხარებით.

იგი დაეცა ბრძოლის ველზე, როგორც შეპფერის სტალინის ჯარისკაცს, ახლა ვისვენებთ იმ საშინელი ბრძოლის შემდეგ, რალაც უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი ვდუმვართ და ჩვენი ფიქრები ერთად იყრიან თავს. ჩვენი ფიქრები ჩვენი საყვარელი მეთაურის გარშემო იბურებიან. და გადაეწყვიტეთ ეს საერთო ბარათი მოგწეროთ.

როდესაც მოვა ჩვენი საბოლოო გამარჯვების დღე, და ჩვენ, რომლებსაც გეიწერია სიცოცხლე, მოვალთ თქვენთან, ჩვენო დედა, გადაგხვევით, როგორც მშობლიურ ადამიანს.

ერთსაც გაგიმელავენებთ, ჩვენო დედა. თქვენს მეზობლად ზეინაბი რომ ცხოვრობს, მიღით მასთან. ხშირად უამბნია ჩვენს მეთაურს იმ გოგონაზე, მათ სიყვარულზე, რომელსაც რატომღაც თქვენ გიმაღავდათ...

მიღით მასთან და უთხარით, რომ ბა-

რათი მოგვეწეროს. უთხარით, რომ არჩილს იგი მუდამ უყვარდა და ბოლო ღროს დადარდიანებული იყო ზეინაბისაგან ბარათის მიუღებლობის გამო.

ნახვამდის, ჩვენო დედა.

ქვემოთ მებრძოლები აწერდნენ ხელს. ვინ არ იყო მათში: რუსი, უკრაინელი, ტაჯიკი, ბელორუსი.

— ზეინაბი თითქმის ყოველდღე მოდის ჩემთან.— თქვა მარიხენ და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:— ომი რომ დამთავრდა, არჩილის ფრონტელი მეგობრები მესტუმრნენ. ხუთნი იყვნენ, ყველა თავისთან მეპატიეებოდა, დედობას მთხოვდა... მერე გადაწყვიტეს რიგრიგობით ჩამოსულიყვნენ ჩემთან, ხუთი ვაჟკაცის დედობილი ვარ, შემოველოთ მაგათ არჩილის დედა!..

უჯრიდან სურათი ამოიღო. ხუთ მებრძოლს მარინე შუაში ჩაესვა და მშობლიური სიყვარულით შემოხვეოდნენ მოხუც ქალს. ხუთი ვაჟკაცი ღიმილით შესცქეროდა მას, თითქოს სურდათ დაეცვათ მწუხარებისაგან არჩილის დედა.



რუსლანი და ლილღილა

პოემა



ქება პირველი

ზღვის პირას მწვანე მუხაა დიდი,
 ოქროს ჯაჭვი აქვს შემორკალული:
 ჯაჭვზე დღედაღამ, დინჯი და მშვიდი,
 დაიარება კატა სწავლული.
 მარჯვნივ რომ წავა; სიმღერას იწყებს,
 მარცხნივ წასული ზღაპარსა ჰყვება.
 იქ თავში ხელებს ტყისკაცი იცემს,
 იქ ზღვის ასული ხის ტოტზე ჯდება.
 იქ ყოველის მხრით ტყე იტყება
 უცხო მხეცების უცხო კვლებითა,
 იქა სდგას ქოხი ქათმისფეხება
 დახშულის კართით და სარკმლებითა.
 მოჩვენებათა დასნი ჩნდებაიან,
 ზვირთნი განთიადს ეხეთქებიან,
 ლოკავენ ნაპირს კლდოვან ფუძითა,
 და ოცდაათი მოყმე ბრწყინვალე,
 ზღვით გამოსული, მიჰქრის წინ მალე
 იქ თავიანთი მამამძღობითა;
 იქ ახალგაზრდა ხელმწიფის შვილი
 ატყვევებს მეფეს ავს და ზვიადსა,
 იქ ჯადოქარი ნამცეცა, წვრილი
 ცაში მიაფრენს გმირ გოლიათსა.
 იქ ტყვე მეფის ქალს ცრემლი სდის
 ცხელი,
 ემსახურება მას რუხი მგელი.
 იქვე როდინი კუდიანითა
 მიეხეტება გზით ქვიანითა.
 იქ ძუნწს უყრია წინ ოქროს ფული;
 იქ რუსეთია... რუსული სული!
 მეც მივდგომივარ იმ კუთხის კარსა,
 იქ მწვანე მუხა მინახავს დიდი,
 სწავლული კატა, დინჯი და მშვიდი,
 ზღაპრებს მასმენდა მუხის ქვეშ
 მკდარსა.
 ხსოვნაში ჩამრჩა ერთი მათგანი,

ისაა ჩემი თბრობის საგანი...
 მინდა გაიმზოთ ამბავი ძველი,
 ღრმა წარსულიდან დღემდე მოსული.
 მზე-ვლადიმირი, მთავარი ქველი,
 ვრცელ სასახლეში, გარემოცული
 მხნე შეილებით და მეგობრებითა,
 ლხინს ეძლეოდა დიდის შვებითა, —
 აქორწინებდა ის უმცროს ქალსა,
 სიძედ დაესვა რუსლანი გმირი;
 მათ ულოცავდა ცხოვრების კვალსა
 და ჯამს პირველმა შეახო პ.რ.ი.
 ხანდაზმით სქამდნენ ძველები ჩვენი,
 ნელა ბრუნავდნენ გარს მიძალებით,
 აღჭაფებულნი სალხინო წვენით,
 ვერცხლის თასები და ფიალები.
 გულში ასხამდნენ ისინი წვიმად
 სიამესა და სიხარულს მწვავსა;
 მერიქიფენი ავსებდნენ იმათ
 და სტუმრებს დაბლა უკრავდნენ თავსა.
 იქ საუბარი იქცა ხმაურად,
 ერიოლებს ლალად სტუმართა ჯარი.
 მაგრამ გაისმა ხმა საამური —
 ტკბილი საკრავის ბგერები ჩქარი.
 დადუმდა ყველა, ყურისმგდებელი
 მაღალი მგოსნის — ბაიანისა:
 იყო ის ქების მალაღებელი
 ლილღილასი და რუსლანისა.
 მაგრამ დაქანცულს მხურვალე ვნებით
 რუსლანს ჰამა-სმა დავიწყებოდა.
 ოხრავს, ბრაზობს და თვალბერს
 გზნებით
 ძვირფას მეგობარს მისჩერებოდა.
 იწიწყნის უღვაშს უთმენის ხელით
 იგი იქ, ყველა წუთების მთელელი.
 მაგიდას უზის დაღონებული,
 წარბებშეკრული, დადუმებული,
 ჯერ ახალგაზრდა ვაჟკაცი სამი.

თასებს, გარშემო რომ ატარებენ,
 ისინი ხელსაც არ აკარებენ,
 თითქოს იმათთვის ღვინოა შხამი.
 ხობბა არ ესმით ბაიანისა,
 ძირს დაუხრიათ მძიმედ თვალები.
 სამი მეტოქე მხნე რუსლანისა,
 ტრფობის ისრებით შენამსკველები,
 გულში საშინელ მტრობასა ჰფარავს.
 ეს შეუღლება სამივეს ჰზარავს.
 ერთი—როგდაი, სწრაფი, ვით ქარი,
 მარჯვედ მომქნევი ბასრი ხმალისა.
 შორს გადასწია იმ გმირმა ზღვარი
 კიევის უხვი მიწა-წყალისა.
 მეორე — ფარლავ, მყვირალა, ცეტი,
 სმაში, ქეიფში ყველაზე მეტი,
 მაგრამ ბრძოლაში ნაკლებ ძალისა.
 მესამე — მწველი ფიქრით მოცული:
 ჰაბუკი რატმირ, ზაზართა ხანი.
 უტყვი, ფერმკრთალი და გულმოსული
 ზის იქ სამივე ამდენი ხანი.
 გათავდა ლხინი; ზეზე დგებთან.
 ნეფე-დედოფალს მისჩერებია
 მოერიამულე სტუმართ კრებული.
 დანაღვლიანდა უეცრად ქალი,
 დაბლა დახარა მწუხარე თვალი;
 ვაჟი კი ბრწყინავს გახარებული.
 წყვლიადი მიწას თავს ეფარება
 და შუალამის ჩამოდგა ეამი.
 შინ გაიკრიფნენ ბოიარები
 დამძიმებულნი სმითა და ჰამით.
 აღზნებულია ყმაწვილი ქმარი,
 გაულო ძვირფას ოცნებას კარი:
 ფიქრით ნაზ ასულს ეალერსება.
 ლოცავს მათ მამა — დიდი მთავარი,
 შეენის მას შუბლზე სხივთა ჯავარი,
 გული კი რალაც სევდით ეესება.

საწოლ ოთახში წასაყვანადა,
 აჰა, პატარაძლს მოჰკიდეს ხელი.
 ცეცხლები ჩაქრა და გაანათა
 ღამის ლამპარით ოთახი ლელიმ.
 იწვის მოთმენა ტრფიალის ალზე,
 მალე სულ მარტო მუნ დარჩებიან
 და ცარეგრადულ დიდებულ ხალზე
 ტანით ფარჩანი ჩაიშლეზიან...
 თქვენ ხმა მოგვსმით ალბათ კოცნისა,

სასიყვარულო ჩურჩული წყნარო,
 უბიწოების და სიძორცხვისა...
 ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყვედრება?
 ჰგრძნობს ნეტარებას წინასწარავე;
 და აი კიდევ ეწვია... მაგრამ
 უცებ იქვეა იქ შემზარავად,
 იელვა თანაც, ლამპარი ჩაქრა,
 კვამლი ავარდა, ჩამოწვა ბნელი,
 და რუსლანს სუნთქვა შეეკრა ცხელი...

გამეფდა ირგვლივ სიჩუმე ავი.
 მერე გაისმა ხმა უყნაური
 და კვამლის ბინდში ვილაცა შავი
 მალა აიჭრა მკვეთრი ხმაურით...
 საწოლ ოთახში კვლავ სიწყნარეა.
 რუსლანი თითქოს შიშით მკვდარია,
 სღის ოფლი ცივი; მთრთოლვარე
 ხელით
 გარშემო სივრცე მოსინჯა ბნელი.
 ვაგლახ: გამქრალა ძვირფასი ქალი,
 გატაცებული უცნობი ძალი!

თუ უიმედო სიყვარულითა
 შეყვარებული წამებულთა,
 სიცოცხლე უმძიმს დაჭრილ გულითა,
 და სიცოცხლე მას მაინც სწყურია.
 მაგრამ თუ ბევრი გასულა წელი,
 ვიდრე შეპყრიხარ საყვარელ ქალსა,
 ვისიცა გქონდა სურვილი მწველი,
 ვის გამო ცრემლი სდიოდა თვალსა,
 და მყის ხელიდან ის გაჯკრობია, —
 ამით აღზნებულ წამების აღსა,
 ძმებო, სიკვდილი ბევრად სჯობია!

მაინც რუსლანი კვლავ ცოცხალია,
 მაგრამ რალა სთქვა დიდმა მთავარმა?
 საზარელ ამბით გულდანაღარმა,
 მან რისხვა სიძეს გადაალოა, —
 იხმო ისა და კარის კრებული:
 „სად არის ჩემი ძვირფასი ქალი?“
 მათ ეკითხება მთავარი მწყურალი,
 ჯაჟრისგან სახე-დანაცრებული.
 რუსლანს არ ესმის. „ძმებო, შვილებო,
 ჰირში და ლხინში ჩემთან ზრდილებო!
 მე მახსოვს ბევრი ამავი თქვენი:
 არ რამიბნელოთ მოხუცსა დღენი!
 ვინ შესძლებს უკან გასდიოს ქალსა,

ვინ იხსნის ბედშავს ჭირთაგან
ბრძოლით? —

მეუღლედ შეერთო — სირცხვილი
მხალსა,

ვინც ვერ დაიცვა თავისი ცოლი —

ჩემს ლიუდმილას მისი მდევარი,
სამეფოც მივსცე მას ნახევარი!
აბა, ვინ არის ამის მსურველი?”

— მე! ამბობს სიძე ოფლის მწურველი.

„მე! მე! მე! — ერთხმად გაეხმიანა
როგდაი, ფარლავ, ხანი რატმირი.

მზად ვართ ქვეყანა მოველოთ
მთლიანად.

მოვლახით ყველა მისი ნაპირი
რომ, ჩვენო მამავ, გიპოვოთ ქალი
ნუ გეშინიან: ვიქნებით მალი“.

მოხუცს აევსო ცრემლებით თვალი,
და მათკენ იგი, ტანჯული დიდად,
მადლობის ნიშნად ხელებსა სწვდიდა.

ოთხივე ერთად გამოდის გარეთ.

რუსლანს უკვნიება სახე ბროლისა:
გულს უკლავს იმას და სტანჯავს

მწარედ
დაკარგვა ახლად შერთულ ცოლისა.

ფეხმალ მერნებზე სწრაფად სხდებიან,
დნებრის ლალ ნაპირს მიუყვებიან,

მიჰქრიან, მტვერით იგარსებიან
და შორს თვალთაგან იკარგებიან.

აღარ მოსჩანან უკვე მხედრები...
და შორს თვალთაგან იკარგებიან.

მეფე იჩრდილავს თვალეებზე ხელსა:
მწუხარე ფიჭრით და ღვთის ვედრებით

გასცქერის იგი ცალიერ ველსა.
რუსლანს თავი სულ ძირს დაეხარა,

ვიდოდა ისე დახშულ გონებით.

ფარლავს დოინჯი შემოეყარა
და ყოყორი თაემოწონებით

უკან მისდევდა ჰაბუკ რუსლანსა.
ამბობდა: „აჲ მე რა მედარდება?

შეღირსა ლალად განავარდება!
გოლიათს, ჩემგან შესამუსრავსა,

თუ შევეყრები მალე ნეტავი?
სისხლი დაღვარო, ისე ვით წყალი,

რომ მოვიხადო სატრფოს წინ ვალი!
გამხიარულდეს აჲ ჩემი ხმალი,

ჩემი მერანი ლაგმის მკენეტავი!“

ხაზართა ხანსა ოცნების ძალით
მკერდზე მიეკრა ხელმწიფის ქალღ.

ის უნაგირზე ლამის ცეკვავდა.

გული იმისი თითქოს რეკავდა,

მზერაცა ჰქონდა იმედიანი.

ხან წინ მიჰქროდა, თითქოს ფრთიანი,

ხან მერანს ყალყზე შეაყენებდა,

ხან კვლავ ზორცეებზე მიაჰქენებდა.

როგდაი სდუმდა, შეეკრა წარბი.

მას აძრწუნებდა ბედი ფარული.

იყო წამება იმისი ჭარბი

ეკვით მოშხამულ ღრმა სიყვარულით.

ხშირად ეკირა რუსლანზე თვალი,

მფეთქავი შურის და მტრობის აღით.

ასე საერთო გზით მოქიშვინი

ვიდოდნენ მთელს დღეს განუყრელად;

ჩრდილმა მოიცივა დნებრის კიდენი,

აღმოსავლეთში უკვე ბნელოდა.

დნებრმა ნისლები შემოიჯგარა;

ცხენები მხედრებს ძლივსლა ზიდავენ.

აი ფართო გზა გადაიჯგარა

გორაკის ძირას ფართო გზითავე.

„აჲ ვაეყარეთი!“ წარმოსთქვა ყველაჲ.

„თვის ბედს მიენდოს თითოეული“.

და ამის შემდეგ სულ ცალკე სთელა

ყოველმა ცხენმა გზა არჩეული.

ბედშავო რუსლან, რას შვრები მარტო

ყრუ უდაბნოში მოხეტიალე?

ლიუდმილასათვის ფიხიელი დარდობ,

სიზმარშიც ალბათ მას შესტრფიალებ.

ზუჩი წარბებზე ჩამოგიფხატავს,

აღვირისათვის ვიშვია ხელი,

მიგარწვეს ცხენის ნაბიჯი ნელი,

ოცნება იმედს აღარ გინატავს,

წაგერთო რწმენა, ჭირთაგან მხსნელი.

ერთ ქებას მიადგა. ოდნავ მგზნებარე

კონა მოსჩანდა შიგ სხივებისა.

შედის. თავს ადგას თალი მთვლემარე,

ხნით თანატოლი თვით ბუნებისა.

რას ხედავს ქებაში ყრმა სევდიანი?

სახენათელი, თეთრწვერიანი

მასში მოხუცი ზის დიდებული.

უდგას ლამპარი წინ ანთებული.

გადაუშლია მას წიგნი ძველი,

ბევრის მეტყველი, მრავალის მთქმელი.
 „გწყალობდეს, ჩემთან მოსულო,
 დმერთი!“

მიჰმართა რუსლანს მან ლიმილითა:
 „აქ ვიმყოფები მე ერთად ერთი,
 დამწყნარი ოცი წელის ჩრდილითა.
 ხოლოს მელირსა ეს დღე, რომელიც
 წინასწარ სულში მე ჩამენათა.
 სვე იყო ჩვენი შეყრის მდომელი;
 დაჯექ ჩემს წინ და იქეც სმენადა.
 შენ, ლიუდმილას დამკარგველ
 რუსლანს,

გდაგავს ნალველი, სახმილი გმუსრაქს.
 მაგრამ სწრაფია ეგ შავი წამი:
 ბედმა მცირე ხნით გარგუნა შხამი.

იმედით, რწმენით ხალისიანით
 წინ გაემართე გმირი ქებული;
 მტყიცე მკერდით და ხმალით ფხიანით
 გზა გაიწალდე ჩაბნელებული.
 შენი შემრცხვენი და ამკლებელი
 ის — ჯადოსანი ჩერნამორია,
 მშვენიერ ქალთა მიმტაცებელი.
 აქედან მისი საბრძანებელი,
 ბნელეთის მთები, კიდევ შორია.
 მის ბინას ფარდა ვერკინ ახადა,
 არის ყველასთვის განუტყვერტელი;
 შენ კი, მმუსრაყო შეაბნელ ზრახვათა,
 მისკენ იქნები გზის გამკვეთელი.
 დაიღუპება ის, ბიწიერი, —
 მას მოსპობს შენი მკლავი ძლიერი.
 მთქმელი არა ვარ ამის მეტისა.
 გზა გასაქვლელი კიდევ დიდია
 და სიავკარგე შენის ბედისა
 აწ, შევილო ჩემო, შენზე ჰკიდია“.

დაემხო ვაჟი მოხუცის წინა
 და ხელს უკონის გახარებული.
 მას მძიმე ჭირი გადქეცა ლხინად,
 დღე გაუბრწყინდა ჩაღამებული.
 ის გამოცოცხლდა; და უცებ კვალად
 სახე ნათელი გაუხდა ბნელი;
 „ვგრძნობ, რა ნალველიც მოგედო
 ალაღ,

მაგრამ ჩაქრობა არ არის ძნელი,
 უთხრა მოხუცმა: შესაზარია

ტრფიალი ბერი ჯადოქარისა.
 დამშვიდდი, გწამდეს: იგი მტყნარია,
 იმის ბილწ ხელში უშიშარია
 უმანყოვება ნორჩი ქალისა.

იგი ზეციდან ვარსკვლავებს ლალავს,
 დაუსტვენს — მთვარეს შიში ერევა,
 მაგრამ ვამთასვლას ვერ უსპობს ძალას,
 სუსტობს აქ მისი მეცნიერება.
 ექვით პყრობილი, მკაცრი მცველია
 თვისი სასახლის კლიტეთა ისა.
 მხოლოდ უძღური მწამებელია
 იგი თავისი ლამაზი ტყვისა.
 გადაქცეული უშრეტ სურვილად
 ქალს გარს ევლება, ვით მოჩვენება...
 მაგრამ, კაბუჯო, დღე მიწურვილა,
 გკირდება ძილი და მოსვენება“.

რუსლანი მიმქრალ ცეცხლის წინ
 წევა,

მისი საგები ხავსია ღბილი.
 მაგრამ სატრფოზე ფიქრი არ სწყდება,
 არ ეკარება მის თვალებს ძილი.
 ბრუნავს... დაკარგა მან მოთმინება
 და ამბობს: „მამავ, არ მეძინება!
 რა ვუყო: ჩემს სულს შეჰყრია სენი,
 სიცოცხლე, თავი მომბეზრებია.
 კვლავ საუბარი მასმინე შენი,
 წყლულნი ამით თუ მომირჩებიან.
 ნუ მიწყენ კითხვას მე, კადნიერსა,—
 მითხარ: ვინა ხარ, კეთილშობილო,
 უცნობი ბედის უცხო ძმობილო?
 რა გსურს, რა გინდა აქ მიწიერსა?“

ამოიოხრა მოხუცმა მწარედ,
 მაგრამ პირს შერჩა ლიმილი ტყბილი:
 „ალარც კი მახსოვს მე ჩემი მხარე,
 ვარ მე პირქუში ფინეთის შეილი.
 მარტოდენ ჩვენთვის ნაცნობ
 მინდვრებში
 ახლო სოფლების ფოგს ვაძოვებდი.
 იქ მე, გართული ჩემსავ ფიქრებში,
 სიამესა და სიტყბოს ვპოვებდი.

მზიბლავდნენ ტბანი და ხეობები,
 ტყე და სიმაღლე კლდეთა კიბისა.

მე მიტაცებდნენ გასართობები
ჩვენი ველური სიღარიბისა.
მაგრამ ცხოვრება ამ სიწყინარეში
მე არ დამცალდა ძვირფას მხარეში.

იქ ჩვენი სოფლის არემარეში,
ცხოვრობდა ერთი ყმაწვილი ქალი,
ტოლ-მეგობრების შვენება, თვალი —
ნაინა. ერთხელ მე აღრე დილით
ჯოგით მივადექ ველს საამურსა.
თანაც ვუკრავდი ტყილ სალამურსა.
მქუხარე ნაკადს ჰფარავდა ჩრდილი.
ნაკადის პირას გვირგვინსა სწნავდა
ერთი ასული ტურფა იერიით.
იგი სანატრელ ოცნებას ჰგავდა...
ნაინა იყო ის მშვენიერი!
გავსწიე მისკენ — დამდაგველ ალით
მან კადნიერი დამიწვა თვალი,
და სიყვარული ვიგრძენ ძლიერი
მისი ციური ნეტარებითა,
იმისი ტანჯვით და წამებითა.

სულ ნახევარი გავიდა წელი:
გავსწოდე მისკენ ვედრებით ხელი,
ვლთხარ: ეს ჩემი გული შენია.
მაგრამ თითქოს მას არც კი სმენია
სიტყვები კრძალვით ჩემგან
თქმულები —
არ შემომხედა იმედინად.
მერე კი ცივად გამეხმინა:
მე არ მიყვარხარ, მწყემსო,
სრულებით!

დღე აღარ იყო ჩემთვის მზიანი
სწრაფი ნაკადი, ველი ცვრიანი,
მუხნარი, მე რომ ჩრდილს მაფარებდა,
მწყემსთა შექცევა ხალისიანი —
არლარა სეიდას არ მიქარებდა.
მწუხარებაში ჰქნებოდა გული.
ბოლოს ამ ფიქრით ვიკურნე წყლული:
უნდა დამეგდო ფინეთი ჩემი,
ზღვა გამერღვია დაუნდობარი,
აბჯარასხმული და მტერთა მგვემი
წამესხა ჩემი ტოლ-მეგობრები
და მომეხიბლა გმირულ სახელით
ის, რომელმაც მე ცივად მკრა ხელი.

მხნე მეთევზეთა ვიწყე გროვება,
რათა ოქრო და საშინოროება
გვეძებნა ერთად მე და მამათა.
შეშფოთდა მშვიდი მხარე მამათა:
პირველად ესმათ ქღერა ხმლებისა,
თანაც ხმაური კატარლებისა.
გავემგზავრენით, მიეფარდით თვალსა
მე და ეს ჩემი გმირთა კრებული.
ჩვენ მტერთა სისხლით თოვლსა და
წყალსა

ათ წელს ვღებავდით გაათრებულნი.
ხმა გამოვარდა: აკრთობდა შიშით
უცხო მეფეებს ჩემი სახელი.
რბოდა მათი სპა ვაით და ვიშით
ჩრდილოელების ხმალთა მნახველი.
ხალისიანად, მკაცრად ვიბრძოდით,
ვიყოფდით ხარკს და ძღვენს
მიღებულსა,
მერე კი სუფრის გაშლა ვიცოდით,
მტერს გვერდს ვისევამდით

დამარცხებულსა.
მაგრამ ბრძოლის და ლხინის ხმაური
ჩემში ნაინას დარდს ვერ აქრობდა,
მქენჯნიდა სევდა მე საცნაური,
გული ფინეთის ნაპირს ნატრობდა.
ეთქვი: დროა, ძმებო, შინ მიქცევისა!
აწ დავასვენოთ ხმალი ძღვევისა
საკუთარ ქოხში დაბინავებით.
ეთქვი—და წაცურდნენ მყისვე ნაევბი.
უკან დაეტოვეთ ძრწოლა და შიშა.
როს მივებახელ მშობელ კიდესა,
გავიხარენით ჩვენ უდიდესად. —
გვეგონა, თითქოს ხელახლა ვიშვით.
აღსრულდა ჩემი დიდხინის ნატერა
და წრელ შეიკრა გზა ვანათელი:
გული შეხვედრის წუთებით დათვრა,
ისევ იხილა თვალმა ნათელი
ენახე მე კვალად ამაყი ქალი,
სიტურფის ასლი თუ მაგალითი.
წინ სისხლიანი დავუღე ხმალი,
ოქრო, მარჯანი და მარგალიტი.
ჩემს წინ ისევე აღსდგა წარსული,
ენება მხურვალე ჟრგოლსა მგვრიდა.
ვიდექ ტყვესავით, შემოგარსული
იმის შურიან დობილთა წრითა.
მაგრამ თვალებში ჩამიქრა სხივი

ქალწულის ნაცნობ გადიდგულებით —
 მან გაძაგონა პასუხი ცივი:
 მე არ მიყვარხარ, გმირო, სრულებით!

რა საჭიროა ვიამბო, შვილო,
 ამბავი ძნელად მოსათხრობელი?
 დღესაც მიხრწნილი, ამაოდ ვცდილობ
 ჩაეიქრო სევდა ჩაუქრობელი.
 მე გული ახლაც, სამარის პირად,
 წარსულზე ფიქრით დამიღონდება,
 და გაათვრებულ ჩემს წვერზე ხშირად
 ცრემლი მწუხარე ჩამოგორდება.

მისმინე: სადაც ვარ მე შობილი,
 მეზადურების ღარიბულ წრეში,
 მისნობის ძალა არის ცნობილი.
 ყრუ სიჩუმეში, უსიერ ტყეში
 მოხუცებული ჯადოსნებია.

ფიქრი იმათი უცდომლად აგნებს
 მალალი სიბრძნის უხილავ საგნებს,
 რასაცა სხვები ვერ მისწვდებიან.
 აღვიძებს მათი ხმა გულსაკლავი
 მას, რაც ყოფილა და რაც იქნება;
 თვით სიყვარული, თავად საფლავი
 ემორჩილება მათ სასტიკ ნებას.

ვიფიქრე მაშინ სევდით მზებნელმა —
 მე, სატრფიალო წამლის მძებნელმა,
 ძვირფას ნაინას მოჯადოება,
 მისი მოხიბლეა და მოპოება,
 ვისურვე, ცივი, ზვიადი ქალი
 ტრფობით აღმეგზნო თილისმის ძალით.
 თავს ვგრძნობდი სოფლად, ვით
 ტყეობაში,

წაველ, მოვლახე ტყეები ვრცელი
 და ჯადოსანთა შეგირდობაში
 დავყავ, არ ვიცი, რამდენი წელი.
 ბოლოს დამიდგა დრო სანატრელი,
 დიდი ზეიმი ჩემის ნებისა, —
 გამიმახვილდა აზრი ნათელი
 და საიდუმლო სცნო ბუნებისა:
 მე შევიცანი შელოცვის ძალა,
 ბედნიერებამ ვარამი სცვალა!
 ჩვენ გავიმარჯვეთ: ასე ვფიქრობდი,
 რომ აწ ნაინას გულს დავიპყრობდი.
 ზედა ბედისწერას ნამდვილად ძლევა —
 სულ თანა მდევდა მე მისი წყევა.

იმედს გავუღე გულის კარები
 ცხოველ სურვილთა სითამამეში,
 შელოცვას ვამბობ მე აჩქარებით
 მოვუხმობ სულებს — და ტყის ღამეში
 ელვის ისარმა ქუხილით გაპკრა,
 მიწა ირყევა ჩემს ფეხქვეშ მაგრად.
 მერე ბუნება ისევ იძინებს...

უცებ: ზის ჩემს წინ ჰალარა ქალი,
 მას ღრმა სიბერის ემჩნევა კვალი,
 კუზიახია, თავს აქიცინებს
 და კიდევ მაინც უბრწყინავს თვალი...
 ნაინა იყო იგი, რაინდო!

ვაგლახ, ეამთა სელამ არც ის დაინდო...
 შარდაცემულსა დამება ენა,
 საშინელ აჩრდილს ვაკვირდებოდი,
 მეგონა მაინც, ეგებ ვცდებოდი...

ბოლოს კი იწყეს ცრემლებმა დენა.
 შეეძახე: შენ ხარ, ნაინა? შენა?!
 სად არის, მითხარ, შენი შვენება?
 ნუთუ ეს ციურ ძალას ენება,
 ასე საშინლად რომ შეიკვალე?
 მითხარი, ბევრი გავიდა ეამი,
 რაც განშორების დავლიე შხამი,
 გარდახვეწილმა რაც მე ვიწვალე?

„სწორედ ორმოცი შესრულდა წელი“,
 მესმა პასუხი მე გულის მწველი:

„დღეს შემისრულდა სამოცდაათი, —
 ამბობს ნაინა ხმით ხრინწიანით, —
 წლები გარბოდნენ, როგორც საათი,
 და მოგვაყენეს დიდი ზიანი, —
 მათ გაზაფხული წაიღეს ჩვენი.
 მაგრამ, ძვირფასო, ამ ეამთა დენით —
 არ დაგვლეკია მთლიანად დღენი.

კი, მე დაბერდი, ვარ კუზიანი,
 აღარ ვარ იგი, რაც ვიყავ ძველად,
 სახე არა მაქვს კვლავ სხივოსანი
 და ჩამცივინია კბილები ყველა,
 მაგრამ (ეს მითხრა ხმადაბლა, ნელა)
 გამოგიტყდები: ვარ ჯადოსანი.
 და ეს ვიგრძენი მაშინვე შეცა.
 მრესჩერებოდი მიხდილ ცნობითა.

მე გამოეჩანდი იმის წინ ბეცად
 მთლიანად ჩემის ჯადოსნობითა.
 მაგრამ ვაი, რომ ჩემს თილისმასა
 ჰქონდა ნაყოფი გამოღებული:
 ტრფობით აღეგრზნო შელოცვის ხმასა

ჩემი ღვთაება დაბერებული.
 მას დაუმანკა ღიმილმა პირი,
 და საზარელი, ისე ვით ჭირი,
 მთაღერსება, მეთამამება.
 წარმოიდგინე ჩემი წამება!
 მე თავდადრეცილს მაკანკალებდა.
 ჩამჩურჩულებდა იგი ხველებით,
 გარს მეხვეოდა ხმელი ხელებით
 და ამნაირად თავს მაძალებდა:
 „შევიცან ახლა ცხოვრების გემო
 და გულიც გახდა ჩემთვის ცნობილი:
 იგი, მე ვხედავ, ძვირფასო ჩემო,
 ნაზი ვნებისთვის არის შობილი.
 გრძნობაა ჩემში გაღვიძებული,
 და სიყვარულის ამსხმინ ფრთებით...
 შენდამი ტრფობით ვარ აღზნებული...
 ო, სანატრელო, მიშველე! ვკედები...“
 და, რუსლან, თანაც თავაწული
 ეს მინაზებით თვალებს ხუჭავდა;
 თან ხელი მისი ჩონჩხად ქცეული
 ჩემი სამოსის კალთას ბლუჯავდა.
 გონსა ვკარგავდი, ვახსენე ღმერთი,
 შიშისგან თითქოს ლანდად ვიქეცი.
 მეტი ვერ შევძელ, შევეყირე ერთი,
 დავსძვერ ხელიდან და გავიქეცი.
 თან მომძახოდა: სირცხვილი შენი
 უმანკო ქალწულს ნათელი დღენი
 გამიტიალე! ვერაგო, თავი
 ჯერ შემაყარე მე გატაცებით,
 მერე გაიქეც—ღალატი შავი!
 აი, ესა ხართ მამაკაცები!
 თავს თვით შევეყარე მე საქმე ავი;
 იმ დაწყველილმა მომაჯადოვა,
 როცა მომხიბლა, მერე დამტოვა...
 ჰო, მიღალატი! მტანჯე, მაწვალე!
 მაგრამ, ქალწულთა ქურდო, მაძალე!“
 ასე დაეშორდით ერთმანეთს. შემდეგ
 მარტოობაში ვცხოვრობ მე დღემდე,
 გულგატეხილი, ბედისგან კრული.
 ზუნება, სიბრძნე, სიმშვიდე სრული—
 ჩემი ნუგეში ქვეყნად ეს არი.
 საფლავში მიდგას მე ფეხი ცალი;
 მაგრამ ძველ გრძნობას ბებერი ქალი
 აღარ ივიწყებს ბრაზით მკენსარსი.
 ნაგვიანვეი თვისი ტრფიალი

იმან შესცვალა შხამის ფიალით.
 ვარ მიხვედრილი უთუოდ, აქ მეთქმე...
 შენც შესძულდები იმ მებრტყნასს...
 აე ჯადოქარსა, გულით მუხანათს;
 მაგრამ მოკლეა ბოროტი საქმე“.

ისმენდა მოყმე ყურადღებითა
 მოხუცის ამბავს; თვალები მნათი
 არ დასჩრდილეია ღამის ფრთებითა,
 არც გაუგია ფარფატი მათი
 მას, გარემოცულს ღრმა ფიქრებითა.
 მაგრამ აღმოხდა შუჭი ძლიერი
 მზისა, და მაშინ ყრმა მადლიერი
 გადაეხვია მოხუც მისანსა;
 იმედობს—ეგებ მისწდეს მიზანსა;
 გამოდის გარედ. მოახტა მარდად
 რუსლანი მერანს მოჭიხენესა.
 „ჩემზეც ინალვე სხვა ნალელის
 გარდა, —

ესლა შესძახა მოხუც ფინელსა
 და გააჰენა მინდორზე ცხენი.
 ყმაწვილ მეგობარს მისძახის ბრძენი:
 „არ მოგეშალოს მტერთა ძლევენი!
 გიყვარდეს, შვილო, მეუღლე შენი,
 და სულ გახსოვდეს ჩემნი რჩევანი!“

ქება მცორა

ომის ოსტატო, გულდამშვიდებას
 ნუ მოისურვებთ, ბრძოლით იხარეთ;
 ხარკი მთართით პირქუშ დიდებას
 და ერთმანეთზე ჯავრი იყარეთ!
 დე თრთოდეს თქვენს წინ ქვეყანა
 შიშით,

მკაცრი ზეიმი მას გააკვირვებს:
 არავინ გიგლოვთ ვით და ვიშით,
 ხელშეშლას არვინ არ დააპირებს.
 სხვა ოსტატებო, სხვა მეტოქენო,
 თქვენ, პარსასის მთის ფიცხნო
 მოყმენო,

ერთმანეთზე რომ მიიწ-მოიწვეთ,
 ხალხში სიცილსა მით გამოიწვეთ.
 იგინეთ, მაგრამ, რაც შესძლოთ,
 ფრთხილად.

თქვენ, მეტოქენო სიყვარულისა,
 ძმურად იყავით, იცხოვრეთ ტყბილად!



გწამდეთ სიმართლე ჩემგან თქმულისა:
ვისაც იღბალმა გაუჭრა ცაში,
ვინცა ქალწულის გულსა სწყურია,
ის გაიხარებს, ანჩხლობა მაშინ
სასაცილო და სულელურია.
როცა როგდაი, ავი და მქისი,
ყრუ წინათგრძნობით გულჯაერიანი,
ცალკე წავიდა, მან გეზი თვისი
წარმართა იქით, სადაც ტყიანი
გადაშლილიყო უდაბნო ვრცელი.
არ ასვენებდა მას ფიქრი მწველი.
სულს უშფოთებდა მანენ, წყეული
და შხამ-სამსალას ასმევდა მწარსა,
ის ჩურჩულებდა, ვით შერყეული:
„მოველაე!.. დავაქცევ ყოველგვარ
ზღვარსა...“

არსლანი მწყურთან მე სისხლი შენი!..
წასკდება ქალწულს ცრემლი
ღვარებად...“

მან მოაბრუნა უეცრად ცხენი
და ისევ უკან მიიჩქარება.
ამავ დროს ფარლათ, მხნე გმირთა
გვიარად,
დილა ძილში რომ გალია წყნარად,
შუადღის სიციხეს განრიდებოდა
და წინაშე გრილ ნაკადულისა,
რათა შეეცხო ძალა სულისა,
ზალეთად იჯდა და ნაყრდებოდა.
უცებ შეხედა: ვიღაცა ველად
ცხენს მიაქანებს, ისე ვით ქარი.
ფარლათმა დასთმო სადილი ხელად,
ჯავშანი, შუბი, ჩაფხუტი, ფარი,
მოახტა ცხენს და, როგორც მწვეარი,
გარბის — მიჰყვება უკან მღვდარი.
ფარლათს მისძახის იგი: „საბრალო!
ლაჩარო, მხდალო, შიშით გამჭრალო!
ნესდექ, ლტოლვილო, გაწიღინო
მკლავი“

გაგაგდებინო უმალვე თავი!“
ხმა როგდაისა ფარლათმა იცნო
და შიშისაგან სულს ძლივს დაფავდა,
მოახლოება სიკვდილის იგრძნო,
ცხენს მიაფრენდა უფრო სწრაფადა.
ასე კურდღელი, შიშით მპყრობილი,
მირბის კისერზე ყურწაწყობილი,

ახტება ბორცვებს, მიჰქრის
ტყეულად,
უკან კი მიჰყეფს ძალი მღვდელად.
ამ სასახელო ლტოლვის მოედანს
გაზაფხულის მზით გამდნარი თოვლი,
ვევებერთელა ფართობის მოვლით,
მღვრიე ღელეთა ქსელი მოედვა.
გიჟმაეი ცხენი მიადგა ხრამსა,
თეთრ ძუა-ფაფარს უშლიდა ქარი,
ერთი ისკუბა და იმავ წამსა
იგი ხრამს იქით აღმოჩნდა მღვდარი;
ზოლო მხედარი ფეხაშვერილი
ნაპრალის ლაფში გადაყირავდა,
ორ ბეჭობს შუა გამოჭერილი
სატრფოსთვის უკვე სულსა სწირავდა.
როგდაიმ ცხენი იქ მიჰქენა
და მოსაქნევად შემართა ხმალი;
როცა დასწყევლა და შეაჩვენა,
მან მსხვერპლი თვისი მოსინჯა
თვლით...“

იცნო ფარლათი და მყის მახვილი
დაუშვა დაბლა; განრისხებისა,
სინანულის და გაკვირვებისა
იყო იმ წუთში გამომსახველი
გმირის თვალწარბი. მან კბილთა
ღრქენით
ხრამს მოაშორა თავისი ცხენი.
ბრაზობდა იგი, მნახიელი ამის,
მაგრამ სიცილი კი წასკდა ლამის.

მ:შინ ერთ მთაზე იგი ავიდა
და შეხედა ბებერს ქალს კუზიანსა,
სულ გათეთრებულს და ჭუჭყიანსა.
მან მიუთითა საბჯენ კავითა
ჩრდილოეთისკენ, თან იყო თქმული:
„შენ საძებარი იქ ნახო შენი.
გაუხალისდა როგდაის გული
და სიკვდილისკენ აფრინა ცხენი.
ჩვენი ფარლათი? ხრამში გდებული
მძიმედ სუნთქავდა, შიში იპყრობდა.
თუ ცოცხალი ვარ ნეტავ? —
ფიქრობდა, —
სად გაჰქრა მტერი გამხეცებული?
უცებ—მიეცა იმედი მსხნელი—
ბებრუხანას ხმა ჩაესმა ნელი:
„აღსდექ, მამაცო; დიდი ხანი“

სიწყნარე სუფევს გარშემო ველად;
 აი, მე ცხენი მომიყვანია,
 ზეზე წამოდექ და შეჯექ ხელად".
 ამოვლებული ტალახში მთელად,
 ხოხებით ამოდის მოყმე ხრამიდან.
 ის იშხირება გარს დარცხვენილი
 და ამბობს ჩუმაღ: „გადარჩენილი
 ვარ მე ფვნებლად; მეტი რა მინდა?“
 „გწამდეს!“ განაგრობს ბებერი ქალი:
 „აწ ლიუდმილას პოენა ძნელია—
 ის შორს გაფრინდა, ვერ მისწვდეს
 თვალი,

ვერც თუ ადვილი მისასვლელია.
 ტყე-ველად რბენა და ღამის თევა
 საშიშარია. ეს ჩემი რჩევა,
 ქაბუჯო ჩემო, გაიზიარე:
 რა გზითაც მოხველ, იმ გზით იარე.
 კიევის ახლოს, იქ, სიწყნარეში,
 საკუთარ სოფლის არემარეში,
 ვერჩიოს ისევ ღზინი, შექცევა.
 ლიუდმილა კი ვერ გაგვექცევა“.
 სთქვა ეს და გაქრა. და ჩვენი გმირი,
 რომ აიცილოს თავიდან ჭირი,
 ცხენს მიაგლევეს უკან წასული.
 მას დააიწყდა სახელი ძვირი,
 თვით მშვენიერი მეფის ასული,
 ის აღარაფერს არა სჩიოდა.
 აკრთობდა ტყე და მთელი ბუნება;
 სულ რაღაც ჩქამი, გაფართუნება
 კმაროდა—შიშით ხვითქი სდიოდა.

ამდროს რუსლანი ცხენს შორს
 აჭენებს —
 უდაბურ ტყეში, უკაცურ მხარეს.
 ფიქრი, სიზმარი ყველგან აჩვენებს
 ლიუდმილასა. საყვედურს მწარეს
 ამბობს კენესით და ოხვრით სულ ისა:
 „სად ხარ, მეუღლე ჩემი სულისა?
 თუ ლა ვიხიოო თვალები შენი?
 თუ შესაუბრო კვლავ ტბილის ენით?
 ეგებ ტყეედ ყოფნა სულ დაგებდა
 იმ საშინელი ჯადოქრის ხელში?
 ვისაც გფარადა ზრუნვა მეფეთა,
 აწ უნდა დაჭკნე დილეგის ბნელში?
 ეგებ მოვიდეს მოპირდაპირე?
 არა, დათმობას მე არ ვაპირებ.

წელზე მარტყია მე ხმალი კვლად,
 არცა თუ მკლავში მაკლია ძალა“.
 ერთხელ მდინარის კლდოვანი კიდიით
 იგი ბინდის ეამს ვიღოდა მშვიდი.
 სდუმდა გარემო. უეცრად ისმის
 მოულოდნელი ზუზუნი ისრის,
 შემოძახილი, ბექთრის ქლარუნნი
 და ყრუ მინდორზე ფლოქეთა თქარუნნი.
 შესდექ დასძახა მქუსარე ხმამან.
 უკუიხედა, მას, თითქოს ფრენით,
 მოსდევს მრისხანე მხედარი სტვენით
 შუბშემართული; და მაშინ ამან
 მის შესახვედრად გაქუსლა ცხენი.
 მოყმე მამაცი უყვირის ქშენით:
 „ჰა, მოგეწიე მე, მეგობარი!
 გვექნება ბრძოლა დაუნდობარი —
 უნდა დაჰყარო აქ ძვლები შენი;
 მერე ეძიე საცოლვე ნაზი“.
 მაშინ რუსლანი აინთო ბრაზით,
 შეიცნო მყისვე გამყვივარი ხმა...

დაეტოვოთ ორი ეს მედგარი ყმა;
 დაუებრუნდები მე მალე იმათ.
 ფიქრი მიიწევს ქალწულის მიმართ,
 თითქოს მზე იყოს იგი ჩასულო.
 მაშინახოთ ახლა მთვარის ასული —
 უმანკო, ნორჩი, ტურფა, მწყაზარი,
 და ჩერნამორი ის შესაზარი.

მესაიდუმლე ჩემის ოცნების,
 დარაჯი მისი გასხვიონების —
 ვარ მე მისივე გამამკლავნები.
 გიამბეთ: ვიდაც, სავეს ავ ნებით,
 მოფრინდა ღამის ღრმა სიბნელიდან
 და გამოსტაცა რუსლანს ხელიდან
 მისი ოცნება, ნატარა, სურვილი,
 უეცრად ნისლით შემობურცილი.
 ო, ლიუდმილა! მანემ ვილიცამ
 როს მძლოარი ხელით ზე აღგიტაცა
 შენ ქორწინების სარეცელიდან,
 მერე ქარვით აიჭრა ზევით,
 შავი კვამლის და ღრუბელის რღვევით,
 და, წარტყევილი მშობელ ველიდან,
 თავის მთებისკენ სწრაფად გატარა.
 ჯადოქრის კოშკში, გონწართმეული,
 ათრთოლებული, ფერგალეული,
 შენ მოექცევი ტყვის დასადარად.

მომიკრავს ჩემი ქოხიდან თვალი: გარბის ეზოში დედალი მხდალი, უკან საქათმის სულთანის მისდევს — ჩემი მამალი, დამთვრალი ვნებით, და, აი, ლამის კიდევაც მისწვდეს იგი სატრფოს და მოხვიოს ფრთები; ამდროს მათ ზემოთ წრეების წერით დაჰფრენს ქათამთა სასტიკი მტერი — ქორი ეშმაკი. მყის, ელვის მსგავსად, ის დამფრთხალ დედალს დააცხრა თავსა

და გაიტაცა ბასრი ბრწყინებით იქ, სადაც იმას კლდის ნაპრალები აურჩევია თავის ბნელ ბუდედ. ხოლო მამალი, მამალად ქებული, შეწუხებული, შეშინებული, ზეცას ამაოდ შესცქერის მრუდედ... სკვრეტს მხოლოდ ბუმბულს ქარით რწეულსა და ყვავილივით მიმოზნეულსა.

შესაბრაალისი მთავრის ასული! იწვა დიღამდე ის გულწასული. ის აეტანა ცახცახს და ძრწოლას ვით საზარელი სიზმრით ვნებული. წამოიხარა ბედკრული ბოლოს ბუნდოვან შიშით შეძრწოვებული; სულსა სწყურია სიამე მწველი, ეძებს ვიღაცას იმისი ხელი, სად არის იგი, ძვირფასი ქმარი? უზმობს და უცებ გახდა ვით მკვდარი. გარს იცქირება აჩრდილის დარი, — ოთახი თვისად ვერ შეუცვნია. ფირი წასვლია, თმები აქვს შლილნი მიწოლილ ქალწულს; ბალიშნი ღებულნი მის გარეშემო შემოუწყვიდათ ვრცელ გავალაკში, რომლის ფარდები, ფოჩვიანები და ნაქარგები, განზე არიან გადაწეულნი. ტურფად ბრწყინავენ გარს

ფარჩეულნი, ირგვლივ ღველფივით ეღვარებს ლალი. სდგანან საწვავნი საკმეიელისა, აღმამეიელნი ნაზ სურნელისა. კმარა... მეტი მე არ შემწევეს ძალი.

შეხერხადამ ჩემზე წინ კარგად ასწერა სახლი ჯაღოქარისა, მგვრამ ის სახლი განა კი? კარგად, მანა სადაც ძვირფასი მეგობარისა ხილვა არ არის შესაძლებელი? სამი ქალწული ნაზ იერიითა, შესამოსელით მშვენიერიითა, მივიდა მასთან, ვითა მხლებელი, და მიესალმა დიდ მორიდებით. უკან დასტოვა იქ ერთმა სხვები, მიდგა ახლოს და მსუბუქ თითებით დაუწნა ოქროს ბადალი თმები მთავრის ასულსა დიდ ოსტატობით, რომლის აწ დარჩა მცირედი კვალი. მერე შეუშვა შუბლი მნათობა — გარს შემოავლო გვირგვინის რკალი. შემდეგ მეორემ თავი დახარა და მოიტოვა ზურგსუკან სხვანი; თითქოს ლაქვარდი გადააღვარა, ისეთი კაბით შეუშვა ტანი; თმების კულული, სხივების დარნი, უსპეტაკესი გულმკერდი, მზარნი ჰფარა ლეჩაქმა ნისლისებურმა. შესამოსელმა ამ ღიდებულმა დაჰკოცნა, როგორც შურით საგვსმან. მშვენიერება ცის შესაფერი; ფეხზე — სად არის მისი მსგავსება? — დაშვენდა ქოში უცხოდ ნაკერი. მესამე ქალმა შუქთამფინარი მისცა ქამარი მარგალიტისა. გალობდა ვიღაც იქ უჩინარი, მსგავსად ხმატკბილი უცხო ჩიტისა. ვაგლახ, ვერც ფარჩა, ვერცა ბისონი, ვერც ქვანი შუბლზე რომ კამკამებენ, ვერც სიმღერანი სახალისონი ქალწულის გულსა ვერ ამებენ. ამაოდ სარკის პირი არეკლავს მის შვენებას და სამკაულებსა; მის გულს, ეტყობა, სევდა მწარე ჰკლავს,

თვალი ამკლავნებს ნაღველს უღვესა მაშინ, როდესაც აღამიანი ჭეშმარიტების მოყვარულია, სავსებით მისთვის გარკვეულია, რომ ქალსა, თუა ის ნაღვლიანი და სარკეში კი თვალტრემლიანი,

თუნდაც ფარულად, არ იხედება,
მართლაც სახშილი გულზე ედება.

კვლავ მარტო დარჩა მთავრის ასული,
არ იცის რა ჰქნას; ფიქრში წასული
მიეყრდნო სარკმელს რიკულებიანს;
თვალები ნალვლით იყურებია
შორს, შორს... მკედარია იქ

ყველაფერი.

გაშლილა ველი თოვლით ფენილი,
მთები მოსჩანან ცად აწვდენილი,
თანაბრად ყველა თეთრად ნაფერი;
არც შარიშური, არც სიარული,
არც კვამლის ზოლი ასული ცაში;
არც სადმე ბუკის ხმა მხიარული
მონადირეთა არ ისმის მთაში.
მხოლოდ ჭარი თუ ხანდახან სტევენით
ველს გადაურბენს დაღუმებულსა,
და შორს, ჭაღარა ცის კიდეს, ტყენი
არხევენ თავებს გატიტვლებულსა.

და ლიუდმილა ტანჯვით გვემული
საბრალოდ კენესის, ცრემლს აფრქვევს
მწარედ.

სდგას გაუნძრევლად ზარდაცემული,
მერე აწყდება ის ვერცხლის კარებს.
მყისვე გაიღო მუსიკით კარი.

გაოცებული ჩვენი ასული
აღმოჩნდა ზღაპრულ ბაღში გასული.
ეს იყო მისი ტყვეობის ზღვარი:

ბალი რა ბალი! იმისი დარი
სოლომონ მეფეს არა ჰქონია,
არც თავრიდის ხანს, ასე მგონია.
მის წინ ირხევა, შრიალებს ნაზად
აღია გზადაგზა ჩარიგებული,
მუხნარიცაა იქ დიდებული.

დაფნა დაურგავთ ერთ გაწვილ ხაზად;
იქვეა ტვია სურნელოვანი,
კვიპაროსები ზე აღმართულან,
და ფორთოხალის ტყე ოქროვანი
ტბის ცივ სარკვეში გამოხატულა.

ყოველ ხის ფოთოლს აქ დარგულისას,
შუქი ახარებს გზაფხულისა.

მისის სით ეხვევა ლბილად
მოჯადოებულ წაღკოტებს ძილში;
ვალბს ჩინური ბუღბუღი ტკბილად

ათრთოლებული რტოების ჩრდილში.

აღმასის ცეარნი შადრევენებისა;
ხალისიანად აღმა ფრინავენს;
ქანდაკებანი მათ ქვეშ ბრწყინავენ,
თითქოს წამი აქეთ გაცოცხლებისა.
თვით ფიდიასი — გამომსახველი
ოლიმპიელთა ძლიერებისა —
გაოცდებოდა მათი მნახველი
და, აღესებული შურით მწველითა,
წყის გააგდებდა ყალამს ხელიდან.
ნაკადულები, სირმად გრეხილნი,
რბიან ბუჩქებში ქვებზე ქვებიდან
და ჩანჩქერები, გადატეხილნი
მარმარილოთა ჯებარებიდან,
აღმასის ფერად ირკალებიან.
ხოლო აქა იქ სქელ სუროებში,
განსასვენებლად სიმყუდროეში,
ფანჩატურები იმალებიან;

ყველგან ბილიჯზე ცოცხალი ვარდი
ჰყვავის, ან ახლად აკოკრებულა;
მაგრამ ნაზ ასულს აწუხებს დარდი,
წამითაც არსად შეჩერებულა:
სძაგს თილისმური ეს მდიდრულობა,
აღონებს მისი ნებვირულობა.
არც იცის, თუ სად დაეხეტება,
უელის გარშემო ჯადოსნურ ბაღსა;
ცხარე ცრემლები ძირს ეწვეთება,
თანაც შეჰყურებს ცივ ზეცის თაღსა.

უცებ გაბრწყინდა, ასწია თავი,
ბაგზე თითი მიიღო ნელა;
იბადებოდა განზრახვა ავი...
გზა საშინელი გამოჩნდა მხსნელად:
ნაკადს ბოგირი აღვას მალალი,
ის ორ კლდეზეა გადადებული;
მიდის ქალწული გულის კანკალით,
და მქუხარე წყალს აცრემლებული
დასცქერის; უნდა დაიღრჩოს თავი:
კმარა, ეყოფა, რაც თავს გადახდა
შემოიფარა თვალებზე მკლავი,
მაგრამ წყალში კი აღარ გადახტა.

გზა გააგრძელა. მაგრამ, დილიდან
მზეზე ნავალმა, აწ იგრძნო დაღლა
და, მიზიდულმა ხეთა ჩრდილითა,
გოლში იფიქრა: დრო არის ახლა!
მწვანეზე როგორც თავის ბინაში,

დაჯდა, მოავლო გარს თვალი ნელა. უცხო კარავმა იმის წინაშე გრილი წიაღი გაშალა ხელად. მის წინ სადილი სჩანს დიდებული, სულ ბროლისაა ჭურჭელი მდგარი, ხეთა სქელ რტოებს შეფარებული იქ სიჩუმეში აქლერდა ქნარი.

გაოცდა დიდად ქალი მთავრისა, მაგრამ თან ფიქრობს: „მზრდელი ჯავრისა, საყვარელს ჩემსას მოშორებული, სიკვდილს არ უნდა ვნატრობდე განა? ო, შენ, ვინც ვნებით ხარ აღგზნებული, ვინც მანებვირებ და მტანჯავ თანაც, ვერ შემაშინებ ძლიერებითა: მე შევძლებ სიკვდილს ჩემის ნებითა! მძაგს შენი სუფრა, შენი კარვეები, სიმღერა, სევდის მოსაქარვეები. მე როდი მინდა სადილი შენი, სჯობს გავატარო მშვიერმა დღენი, მოვკვდები აქვე, მე შევძლებ ამას!“ ეს გაიფიქრა და მოსდგა კამას.

ქალწული ადგა. უცებ ყოველი: სუფრა, ჭურჭელი სხივთა მთოველი, კარავი, ქნარი თვალს მიატარდება და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდება. ისევ მიმოსვლა მან იწყო მაშინ, ყველა წალკოტი განვლო, გალია; მთვარე ნელინელ მიცურავს ცაში — იგი ხომ ღამის დედოფალია. დაიწყო დენა ყოველი მხრიდან ბინდმა, ღღის შუქის დამამხობელმა; მთვლემარე ქალი ძირს თავსა ხრიდა, და უცებ ძალამ შეუცნობელმა ის, გაზაფხულის სიოსავითა, გადააფრინა ნაზის მკლავითა ციხე-დარბაზში და დააწვინა ლბილ სარეცელზე ძალმილეული. იქ მუშაკამბარი იყო კმეული; იმ საწოლს ბერი ცრემლი აწვიმა შემდეგ ასულმა... გაიღო კარი, და კვლავ გამოჩნდა მხევალი სამი, შესამოსელი, მზის შუქის დარი, რომ გაეხადნათ იმისთვის ღამით.

თანაც იმათი თვალითა ნაღველი, ნაძალადევი დღემილი მათი, იყო იმისი გამომსახველი, რომ ებრალოდათ ქალწული მნათი. მაგრამ ვინქაროთ: ფაქიზი ხელით მძინარსა ხდიან ისინი კაბას. შერჩა სპეტაკი პერანგი თხელი, მოუჩანს ტურფა გულშეკრდი, ყელი, და ძილ-მღვიძარე თვალებსა ნაბავს. თავსა უქრავენ ოხვრით ქალები, გადიან უხმოდ და გამალებით, ფრთხილად მიხურეს კარები ფართო, და დარჩა ჩვენი ტყვე-ქალი მარტო. თრთის ფოთოლივით, სუნთქვა ძნელდება, შიშმა გააყინა, თვალთ უბნელდება და წუთიერი უქრება რული; გაამახვილა მან სმენა მეტად; წყველიადს დაუწყო უძრავად ჭკრეტა. მღუმარებაა გარშემო მკედარული. ესმის, თუ როგორ უტოკავს გული, თითქო სიჩუმემ აიდგა ენა... საწოლისაკენ — მისკენ მიდიან: მან ბალიშებში ჩამალა თავი — უცებ... სიხმარი, ო, ეს როდია! — ესმა გრიალი; წყველიადი შავი შუქით გაიჩრღვა უეცართა და შემოვიდა ღია კარიდან ზვიადი რხევით, ღრმა მღუმარებით, შიშველი ხმლების აელვარებით, ზანგების რაზმი დამწყარიებული და წესისამებრ დაწყვილებული. მათ ბალიშებზედ დასვენებული მოაქეთ ვეება ჰალარა წვერი; კისერაწვედილი, ზვიადი მზერით ჯუჯა მოპყვება მათ კუხიანი; აი ის თავი გადაპარსული და რალაც ჩაჩით შემოგარსული იყო ასეთი წვერებიანი. მკუხალოვდა, და მაშინ ქალი ზეზე აიქრა, ეკვეთა ჯუჯას, ჩანს ცალი ხელით მის თავზე ბლუჯავს, მთრთოლვარე მუშტად შეკუმშვა

ცალიც

და დაიკვილა ისეთის ძალით შეშინებულმა, რომ ყურთა სმენა

დაუხშო ზანგებს; შეშინდა ჯუჯაც,
 გაფითრებული თვალებსა ხუჯავს,
 ჩავარდნილი აქვს მუცელში ენა;
 სცადა გაქცევა; მაგრამ, ვით ქსელში,
 გამოიხლართა საკუთარ წვერში,
 დავარდა ადგა, დავარდა კვალად;
 ხოლო მისი სპა, იმისი ძალა —
 შავი ზანგები, მთლად აირია:
 მირბი-მორბიან, ხტიან, ყვირიან,
 ჯუჯას მისცივიდნენ ბედდათარსულსა,
 თავის წვერიდან გამოაძვრინეს,
 ხელი მოხვიეს, გარედ აფრინეს,
 ჩაჩი კი დარჩა მთავრის ასულსა.

გახსოვთ ორი ყმა პირისპირ მდგარი,
 მათი ამბავი შემწყდარი ზემოთ?
 აიღე შენი ფანქარი ჩქარი,
 დახატე ბრძოლა, ორლოვსკი ჩემო!
 მთვარეს მოერწყო სხივებით ველი;
 გმირს ეომება გმირი ქებული.
 მათ უკვე შუბებს შეუშვეს ხელი,
 ხმლები შემართეს გაშიშვლებული.
 ბექტრებს ჩასდიან სისხლისა ღვარნი,
 ცვივიან დაბლა ნალეწნი ფარნი;
 ცხენდაცხენ სტაცეს ერთმანეთს ხელნი,
 მათი მერნებიც, ლაგმების მღრღნელნი,
 იბრძვიან, მკერდით მკერდს

ასკდებიან,

და დედამიწას ბრდღენიან ფოლებით.
 რკინის ხელებით ჩასჭიდებიან
 ერთიმეორეს მხნე მებრძოლები.
 ძვრა აღარა აქვთ უკვე გმირებსა,
 თითოთს დაჰკვირიან უნაგირებსა.
 გაჰქაიებია მათ სხეულები,
 მაგრამ ბრაზით კი უცემთ გულები,
 ძარღვებში უვლით ცეცხლის ნაკადი...

ვერ შეასრულა ჯერ დანაქადი...
 ვერც ერთმა... ძალა გამოუღწია
 ერთ-ერთის მარცხი უქვევლია...
 აქ რუსლანს ბრაზი ეღება ცხელი,
 მხედარს ცხენიდან ძლიერის ხელით
 მოჰგლეჯს და, შიშით

ათრთოლებულსა,

აჩერებს მალა ატაცებულსა.
 თვალს დამცინავად გაუყრის თვალში
 და მერე ისვრის შუაგულ წყალში,
 თანაც მისძახის: მანდ ჩაკვდი, მტერო,
 აწ, შურით სავესმ, ველარა მზვერო!

ჩემო მკითხველო, შენ მიხვდი ალბათ,
 თუ ვის შეჰყარა რუსლანმა ჭირი.
 ვინც სამუდამოდ ცივ წყალში ჩაღბა, —
 ეს იყო თვითონ როგდაი გმირი,
 კიეველების დიდი ნუგეში.
 უყვარდა ცურვა სისხლის გუბეში
 მას, ლიუდმილას მალმერთებელსა.
 გასდევდა იგი დნებრის ნაპირებს,
 რათა შეჰყროდა მოპირდაპირეს;
 აქ ბრძოლის ღმერთის ერთგულ
 მხლებელსა

უმტყუნა ბედმა და ძალამ ძველმა —
 შემუსრა იგი მოქიშპის ხელმა.
 ხმა გამოისმა, რომ როგდაისა
 ყმაწვილი აღი იმა წყალისა
 შემოეხვია ცივ მკლავებითა,
 დაჰკოცნა იგი დიდის ვნებითა
 და ჩაიტანა სიცილით ფსკერზე.
 მას შემდეგ დიდხანს, როდესაც ველზე
 ღამის წყვილიადი დაეშებოდა,
 იქ, შეგლესილი მდინარის ჩოიშით,
 მოყმის ვიება ლანდი ჩნდებოდა
 და მეთევზეებს ჰზარავდა შიშით.

თარგმანი კონსტანტინე ზიზინაძისა

(გაგრძელება იქნება)



სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ყრილობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობის ოცი წლისთავისათვის



პარტიის XIV ყრილობა მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ორი ისტორიული პერიოდის მიჯნაზე და თავისი გადაწყვეტილებებით მოასწავებდა აღდგენითი პერიოდიდან სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის პერიოდზე, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდზე გადასვლის დასაწყისს, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა, რომლის საფუძველზეც მოპოებულ იქნა დიდი ისტორიული გამარჯვებანი.

XIV ყრილობაზე პარტიამ გაანადგურა ტროცკისტ-ზინოვიეველთა ზროვა, თავიდან მოიშორა ბურჟუაზიის ტროცკისტი და ბუხარინელი აგენტები და ამით გზა გაუკაფა სოციალიზმის მშენებლობას სსრ კავშირში.

საერთაშორისო მდგომარეობა XIV ყრილობის მომენტისათვის ხასიათდებოდა ძალთა დროებითი წონასწორობით საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

რევოლუციური მოძრაობა გერმანიაში, იტალიაში, ბულგარეთში, პოლონეთში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ჩახშულ იქნა II ინტერნაციონალის შემთანხმებულ პარტიათა ბელადების დახმარებით. აღინიშნა ნაწილობრივი სტაბილიზაცია. მაგრამ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა და აძლიერებდა წინააღმდე-

გობებს შრომასა და კაპიტალს შორის, მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის, სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის.

იმპერიალისტური ბანაკის სისუსტის საფუძველს წარმოადგენდა ის გარდუვალი წინააღმდეგობანი, რომელთა ვითარებაში ყალიბდებოდა საერთაშორისო მდგომარეობა. კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია მოასწავებდა კაპიტალისტური მეურნეობის მხოლოდ ერთგვარ გაუმჯობესებასა და ბურჟუაზიის პოლიტიკური ხელისუფლების ნაწილობრივ განმტკიცებას. ეს იყო დროებითი სტაბილიზაცია, რომელიც, ამხანაგი სტალინის სიტყვით რომ ეთქვამთ, დამპალ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. თავისი დროებითი სტაბილიზაცია ევროპამ მოიპოვა ამერიკისადმი ფინანსიური დამორჩილების ფასად. ეს კი აუარესებდა მუშათა მდგომარეობას და ევროპულ ქვეყნებს აყენებდა რევოლუციურ გზაზე.

ამერიკა და ნაწილობრივ ინგლისი გახდნენ მსოფლიოს ძირითადი ექსპლოატატორები და მისი კრედიტორები. ამაში იყო დაფარული კაპიტალისტური სტაბილიზაციის არამტკიცე, მერყევი ხასიათის ერთ-ერთი მიზეზი.

კაპიტალიზმის ნაწილობრივ სტაბილიზაციასთან განსხვავებით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მტკიცე სტაბი-

ლიზაციის პროცესი, რაც მოასწავებდა სოციალიზმის ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ძლიერების ახალ ზრდას.

განუხრელად მტკიცდებოდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა. კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ერთი მეორის მიყოლებით აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირთან.

უდიდესი შეუპოვრობითა და სიმტკიცით მუშაობდნენ ბოლშევიკები სახალხო მეურნეობის აღდგენაზე, მეურნეობისა, რაც უკვე უახლოვდებოდა ომამდელ დონეს. 1924/1925 სამეურნეო წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია შეადგენდა ომამდელი დონის 87,3%, ხოლო სათესი ფართობი — 88,8%-ს. სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობა 1925 წელს უკვე იძლეოდა ომამდელი სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 3/4-ს. აშკარა იყო უქვეყნო წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე. მაგრამ ჩვენი ქვეყანა მაინც რჩებოდა ტექნიკურად ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყნად. სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციის ორ მესამედს შეადგენდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო მრეწველობის წილი — მხოლოდ ერთ მესამედს.

საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში მემკვიდრეობად მიიღო უაღრესად სუსტი ინდუსტრიული ბაზა. ლენინი წერდა, რომ მეფის რუსეთი იყო არაჩვეულებრივად, წამროუდგენლად ჩამორჩენილი, ლატაკი და ნახევრადველური ქვეყანა, რომელიც ოთხჯერ უფრო ნაკლებ იყო აღჭურვილი თანამედროვე საწარმო იარაღებით, ვიდრე ინგლისი, ხუთჯერ უფრო ნაკლებ, ვიდრე გერმანია და ათჯერ უფრო ნაკლებ, ვიდრე ამერიკა.

სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარი საბჭოთა ქვეყანა ვერ დაკმაყოფილდებოდა სახალხო მეურნეობის

განვითარების ძველი, ჩამორჩენილ დონით. საჭირო იყო წინსვლა, და პარტიის წინაშე დაისვა საკითხი ჩვენი შემდგომი განვითარების ხასიათის შესახებ, სოციალისტური მეურნეობის შექმნის შესაძლებლობის შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზით; დაისვა საკითხი სოციალიზმის ბედის შესახებ ჩვენს ქვეყანაში.

სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორიით შეიარაღებულმა ბოლშევიკების პარტიამ ამ კითხვებს ნათელი და მკაფიო პასუხი გასცა.

ჯერ კიდევ XIV პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1925 წლის აპრილში შესდგა, მიიღო ლენინის მიზანდასახულობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის შესახებ და აქცია იგი პარტიის კანონად, ყველა კომუნისტისათვის სავალდებულო კანონად. პარტია გამოდიოდა იქიდან, რომ სსრ კავშირში შეიძლება და კიდევ უნდა იქნას აშენებული სრული სოციალისტური საზოგადოება, რომ ჩვენს ქვეყანას ამისათვის გააჩნია ყოველივე აუცილებელი.

ამ მიზანდასახულობის წინააღმდეგ გაილაშქრნენ ლენინიზმის მტრებმა — ტროცკისტებმა, ბუხარინელებმა, ზინოვიეველებმა.

ტროცკისტები ცდილობდნენ ლენინ-სტალინურ მიზანდასახულობისათვის დაებრისპირებინათ უაღრესად მტრული, მენშევიკური „თეორია პერმანენტული რევოლუციისა“. ამ მიზნით მათ გააჩაღეს სიცრუისა და ცილისწამების კამპანია ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების წინააღმდეგ. ბუხარინელები ქადაგებდნენ კულაკის მშვიდობიან შეზრდას სოციალიზმში. „ბუხარინელების მიხედვით გამოდიოდა, რომ სოციალიზმის გამარჯვებზე ბურჟუაზიის ლიკვიდაციას კი არ მოასწავებს, არამედ მის გამოზრდას და გამ-

დირებს“ (საკავშირო კ. 3. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 334). ზინოვიევის დაჯგუფებამ, ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, „ახალმა ოპოზიციამ“, პარტიის ხაზს დაუპირისპირა თავისი ანტილენინური, ანტიპარტიული პლატფორმა რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში. კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის წინააღმდეგ ზინოვიეველებმა წამოაყენეს გამცემლური გეგმა, დაინებით იცავდნენ რა იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირმა არც კი უხდა განიზრახოს საკუთარი მრეწველობის განვითარება, არამედ უნდა დარჩეს მიწათმოქმედების ქვეყნად, რომელიც დაამზადებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ნედლეულს უცხოეთისათვის. ეს გეგმა კაპიტალისტების სამოწყალოდ ხდიდა სსრ კავშირს, ამზადებდა კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ საბჭოთა ქვეყნის დამონებას და, მასასადამე, სოციალიზმის დაღუპვას. გლეხობის საკითხში ზინოვიეველები იცავდნენ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პოლიტიკას და ამით ცდილობდნენ მუშათა კლასისაგან ჩამოეშორებინათ და მისთვის დაუპირისპირებინათ გლეხობის ძირითადი მასა.

ყველა ეს ანტიპარტიული ჯგუფი მან ფორმალურად ცალ-ცალკე მოქმედებდა. მაგრამ ისინი ერთიანნი იყვნენ სოციალისტური მშენებლობისა და ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლაში, ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ატარებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პოლიტიკას.

ასეთი იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიური და საერთაშორისო მდგომარეობა აღდგენითი პერიოდის დამთავრებისას: შინაპარტიული ბრძოლის ასეთ დამბულ ვითარებაში შეიკრიბა საკავშირო კ. 3. (ბ) XIV ყრილობა, რომელიც გაიხსნა 1925 წლის 18 დეკემბერს.

ყრილობას დაესწრო 665 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 641 დელეგატი

სათათბირო ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 643 ათას წევრს... და 445 ათას კანდიდატს. *სოციალისტური*

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით ყრილობაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინი.

თავის მოხსენებაში ი. ბ. სტალინმა მოგვცა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობისა და კაპიტალისტური ქვეყნებში არსებული მდგომარეობის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, ნათელყო რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და გეხიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამოცანები საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში. ამხანაგმა სტალინმა დაგვიხატა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერების ზრდის ნათელი სურათი და ამოწურავი პასუხი გასცა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანებისაგან გამომდინარე ყველა ძირითად საკითხს.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში მოგვცა ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემის ურთიერთობის ღრმა ანალიზი.

„მას შემდეგ, რაც საბჭოთა ქვეყანა გაჩნდა, მას შემდეგ, რაც ძველი რუსეთი საბჭოთა კავშირად გადაიქცა, — ამის შემდეგ — მთელ მსოფლიოში აღარ არის ყოველსიმომცველი კაპიტალიზმი. მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო: იმპერიალიზმის ბანაკად და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბანაკად... კაპიტალიზმის ქვეყნებს სათავეში უდგება ორი ძირითადი ქვეყანა — ინგლისი და ამერიკა, როგორც ინგლის-ამერიკის კავშირი. უკმაყოფილოებს და იმპერიალიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ მე-ბრძოლებს სათავეში უდგება ჩვენი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი“ (სტალინი თხზ. ტ. 7, გვ. 309).

ორ ბანაკად გაყოფილ მსოფლიოში, — მიუთითებდა ამხანაგი სტალინი, — აღმოცენდა მიზიდულობის ორი ცენტრი და ამის შესაბამისად ამ ცენტრებისკენ მიზიდვის ორი მიმართულება: ინგლის-ამერიკა — ბურჟუაზიული მთავრობებისათვის და საბჭოთა კავშირი — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველა პროგრესული ძალებისათვის.

„ინგლის-ამერიკა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — იზიდავს თავისი სიმდიდრით, მათთან შეიძლება კრედიტების მიღება. საბჭოთა კავშირი იზიდავს თავისი რევოლუციური გამოცდილებით, კაპიტალიზმისაგან მუშებისა და იმპერიალიზმისაგან ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გამოცდილებით“ (იქვე გვ. 309 — 310).

ამხანაგმა სტალინმა უბადლო შორსმჭვრეტელობით იწინასწარმეტყველა, რომ იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმის ძალები, რომელთაც შეურიგებელი შიხაგანი წინააღმდეგობანი ღრღინს, გარდუვალად შესუსტდება, სოციალიზმის ძალები სულ უფრო და უფრო გაიზრდება და განმტკიცდება.

ამხანაგ სტალინის ეს დებულება განსაკუთრებული ძალით გაისმის ახლა, როდესაც სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები და მათთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა ერთიანი ფრონტით გამოდიან იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენს მთავრობის საგარეო პოლიტიკის საფუძველს, — მიუთითებდა ამხანაგი სტალინი, — მშვიდობის იდეა შეადგენს. „ჩვენი ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლა, ახალი ომების წინააღმდეგ ბრძოლა, ყველა იმ ნაბიჯის გამოაშკარავება, რომლებსაც დგამენ ახალი ომის მოსამზადებლად, ისეთი ნაბიჯების გამოაშკარავება, რომლებიც სინამდვილეში ომის მზადებას პაციფიზმის

დროშით ფარავენ“ (იქვე, გვ. 325 — 326).

ი. ბ. სტალინის ეს სიტყვები ყოველგვარ გასაღებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გაგებისათვის, საბჭოთა კავშირისა, რომელიც არის მშვიდობის მედროშე და თანამიმდევარი იმპერიალისტური აგრესორებისა და ახალი ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

ემყარებოდა რა ლენინის მიუთითებებს ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა უმნიშვნელოვანესი დებულებანი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, როგორც ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და სოციალიზმის მატერიალური ბაზის შექმნის გადამწყვეტი პირობის შესახებ. ყოველმხრივ გამოაშკარავა რა საბჭოთა სოციალისტური ხოსტემის უპირატესობანი კაპიტალისტური სისტემის წინაშე, ამხანაგმა სტალინმა ღრმა მეცნიერული დასაბუთება მისცა პარტიის გენერალურ ხაზს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში.

როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა დაწყებული პერიოდის მთავარი წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პოლიტიკური ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება, და ჩამორჩენილი ტექნიკურ-ეკონომიური ბაზა. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შეუძლებელი იყო სხვა გზით, თუ არა მძიმე მრეწველობის ყოველმხრივი განვითარებით, რაც გზას უხსნიდა მრეწველობის ყველა სხვა დარგისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას.

სოციალისტური რევოლუციის განხორციელებით და სახელმწიფოში თავისი ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფით, მუშათა კლასმა პოლიტიკურად დაამარცხა ბურჟუაზია. მაგრამ ამით გადაჭრილი იყო მხოლოდ ამოც-

ნის ერთი მხარე. მეორე მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ მოესპო კაპიტალიზმი ეკონომიკის დარგში, გახედვენა იგი სახალხო მეურნეობის ყველა დარგიდან.

„მაშინ, 1917 წელს, — წერდა ამხანაგი სტალინი, — საქმე ეხებოდა იმას, რომ გადავსულიყავით ბურჟუაზიის ხელისუფლებიდან პროლეტარიატის ხელისუფლებაზე. ახლა, 1925 წელს, საქმე, ეხება იმას, რომ ახლანდელი ეკონომიკიდან, რომელსაც მთლიანად სოციალისტური არ შეიძლება ეწოდოს, გადავიდეთ სოციალისტურ ეკონომიკაზე, იმ ეკონომიკაზე, რომელიც სოციალისტური საზოგადოების მატერიალური საფუძველი უნდა გახდეს“. (იქვე გვ. 277).

პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე იდგა ამოცანა — ლიკვიდირებული ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წარმოშობილი წინააღმდეგობა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პოლიტიკურ წყობილებასა და ჩამორჩენილ ეკონომიურ ბაზას შორის.

ასაბუთებდა რა პარტიის გეზს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ, ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში ყრილობაზე ამბობდა: „გადავაქციეთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც უნარი შესწევს თავისი საკუთარი ძალებით დაამზადოს საჭირო მოწყობილობა, — აი რა არის ჩვენი გენერალური ხაზის არსი, საფუძველი. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ სამეურნეო მუშაკთა ზრახვები და მისწრაფებანი სწორედ იქითკენ იყოს მიმართული, რომ ჩვენი ქვეყანა მოწყობილობის შემომტანი ქვეყნიდან, ამ მოწყობილობის მწარმოებელ ქვეყნად გადავაქციოთ“. (იქვე გვ. 388).

მხოლოდ ამ გრანდიოზული ამოცანის შესრულებით საბჭოთა ქვეყანას შეეძლო უზრუნველყო თავისი სამეურნეო დამოუკიდებლობა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, შეექმნა სოციალისტური

ეკონომიკის საძირკველი და აგებნები სოციალისტური საზოგადოება.

ჩვენი მთელი ძალღონე უჭდა მრევლმართო იმას, რათა ჩვენი ქვეყანა გავხადოთ ეკონომიურად დამოუკიდებელ, საშინაო ბაზარზე დაყრდნობილ ქვეყნად, ისეთ ქვეყნად, რომელიც კერა იქნება ყველა იმ სხვა ქვეყნების მოსაზიდავად, რომლებიც თანდათანობით შორდებიან კაპიტალიზმს და სოციალისტური მეურნეობის კალაპოტში ექცევიან“. (იქვე გვ. 328 — 329).

ამხანაგი სტალინის უდიდესი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან არა მარტო დაამუშავა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამა, არამედ გვიჩვენა მისი განხორციელების ახალი, საბჭოთა მეთოდი, რომელიც ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური მეთოდისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაცია იწყება მსუბუქი მრეწველობით. მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ, რომლის განმავლობაში მსუბუქი მრეწველობა აგროვებს მოგებას და თავს უყრის მას ბანკებში, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება დაგროვილი კაპიტალის თანდათანობით გადაქაჩვა მძიმე ინდუსტრიაში. ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს საჭიროებს. არ ივიწყებდა რა ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მძიმე ინდუსტრიის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა, რომ უიმისოდ შეიძლება დიალექტის საბჭოთა ხელისუფლება, ბოლშევიკების პარტიამ ამხანაგი სტალინის ინიციატივით უკუაგლო ინდუსტრიალიზაციის „ჩვეულებრივი“ გზა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმე დაიწყო მძიმე ინდუსტრიის გაშლით. ინდუსტრიალიზაციის ამ ახალმა, საბჭოთა მეთოდმა, რომელიც დიდმა სტალინმა დაამუშავა, გამოიწვია ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა ინდუსტრიულ ქვეყნად არჩვეულებრივ ხანმოკლე ვადაში.

ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის წინააღმდეგ გამოვიდნენ ჩვენი პარტიის მტრები—ზინოვიეველები. ისინი ამჟამად ილაშქრებდნენ სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების წინააღმდეგ. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ პარტიის მიერ აღებული გეზს ისინი უპირისპირებდნენ გეზს სსრ კავშირის აგრარიალიზაციისაკენ, და ცდილობდნენ გადაექციათ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური ქვეყნების უბრალო დანამატად — ნედლეულის წყაროდ.

ამხანაგმა სტალინმა ღირსეული პასუხი გასცა ოპორტუნისტებს. მან ნათელაჰყო, რომ ოპოზიციის მოთხოვნები წარმოადგენს მსოფლიო კაპიტალიზმის წინაშე კაპიტულაციის პროგრამას, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის პროგრამას, სსრ კავშირის ეკონომიური დამონების პროგრამას. მისი მიღება ნიშნავდა სოციალიზმის საქმის დასამარცხებას. XIV ყრილობამ უკუგადო „ახალი ოპოზიციის“ გეგმა და მიიღო ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გეგმა, პარტიის კანონად აქცია იგი.

საჭირო იყო დიდი სტალინის გენიალური შორსმჭვრეტელობა, მისი უღრმესი პრინციპულობა, რევოლუციური პერსპექტივის სიცხადე, განსაკუთრებული სიმტკიცე და ბუმბერაზული მუშაობა, რათა მხილებული ყოფილიყო სოციალიზმის მტრების მანევრები და ჩაშლილიყო მათი შავი ზრახვები.

ამხანაგ სტალინის მოხსენებამ XIV ყრილობაზე პარტია შეაიარაღა სოციალისტური მეურნეობის განვითარების კანონებისა და კონკრეტული გზების ცოდნით, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენით, პარტია და მუშათა კლასი დარაზმა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ამოცანების გადასაჭრელად. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინურ გეგმას

მტკიცედ მოჰკიდა ხელი და მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მუშათა კლასმა და ყველა შრომელმა, რადგან მათ წინაშე შლიდა სოციალიზმის ამენების გრანდიოზულ პერსპექტივებს. პარტიის გენერალური ხაზი, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა იქცა მთელი საბჭოთა ხალხის მოქმედების გენიალურ ხაზად.

თავის მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხებს. მან პარტიას დაუსახა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას ამხანაგი სტალინი ამუშავებდა სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის საკითხთან მჭიდრო კავშირში. „სოციალიზმი არის მეურნეობის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მრეწველობასა და მიწათმოქმედებას საწარმოო საშუალებებისა და იარაღების განსაზოგადოების საფუძველზე. მეურნეობის ამ ორი დარგის გაერთიანების გარეშე შეუძლებელია სოციალიზმი“. (იქვე, გვ.326).

ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალიზმის გამარჯვების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მუშათა კლასის მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან. მან მიუთითა ორ გადახრაზე პარტიაში, რომლებიც ემუქრებოდნენ ამ კავშირის განმტკიცების საქმეს ჩვენს ქვეყანაში ყველა კლასის პოლიტიკური აქტივობის გამოცოცხლებისა და საშუალო გლეხობაზე გავლენისათვის კაპიტალისტურ ელემენტთან პროლეტარიატის ბრძოლის გაძლიერების ვითარებაში. „პირველი გადახრა — ეს იყო კულაკური საფრთხის შეუფასებლობა და დამცირება, — ჯეორჯ — პანიკა, შიში კულაკის წინაშე და საშუალო გლეხის როლის შეუფა-

სებლობა“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 336).

მემარჯვენე გადახრასაც, რომელსაც ბუხარინელები ნერგავდნენ, და „მემარცხენე“ გადახრასაც, რომელსაც ზინოვიეველები ატარებდნენ, — ორივეს შეეძლო გამოეწვია კულაკის გავლენის გაძლიერება, მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტა გლეხობასთან და პროლეტარიატის დიქტატურის დაღუპვა.

ამხანაგი სტალინის წინადადებით ყრილობამ მოუწოდა პარტიას გადაწყვეტი ბრძოლისაკენ ორივე გადახრის წინააღმდეგ. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა გლეხობის ძირითადი მასების ფართოდ ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში კოოპერაციის განვითარებით, საბჭოების მუშაობის გამოცვლებით და სხვ. ყრილობამ მოითხოვა, რომ ეს მუშაობა დაკავშირებოდა ბრძოლას კულაკის პოლიტიკური იზოლაციისათვის. ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ღარიბთა ჯგუფების შესახებ, ღარიბთა კლასობრივი დარაზმვის შესახებ, როგორც პროლეტარიატის საყრდენისა საშუალო გლეხისათვის ბრძოლაში კულაკის წინააღმდეგ.

ოპოზიციონერები ყრილობაზე გამოვიდნენ ცილისმწამებლური მტკიცებით, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მთლიანად უკანდახევას, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებას ნიშნავს.

ამხანაგმა სტალინმა დაიცვა და თეორიულად განაუთარა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლენინური გაგება, როგორც პოლიტიკისა, რომელიც ადვილებს ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკველის მშენებლობას. საბოლოო სიტყვაში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა კლასიკური განმარტება მისცა სახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ეს განმარტება მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში შევიდა როგორც ნიმუში

მარქსისტული დიალექტიკის გენიალური გამოყენებისა საზოგადოებრივი მოვლენების რთული მოვლენებში მართ.

„ახალი ეკონომიური პოლიტიკა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომელიც გულისხმობს კაპიტალიზმის დაშვებას, თუ მზრძანებელი მწვერვალები პროლეტარული სახელმწიფოს ხელშია, გულისხმობს კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების როლის ზრდას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, გულისხმობს კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას, გულისხმობს კლასების მოსპობას, სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს აგებას“. (იქვე, გვ. 398).

ამ განმარტებამ პარტიას მისცა სოციალიზმის გამარჯვების ნათელი პერსპექტივა. იგი იღუტრად ამსხვრევდა ტროცკიზმისა და „ახალი ოპოზიციის“ ცდებს გამოეყენებიათ ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

XIV ყრილობამ მიიღო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამა და დასახა ღონისძიებანი პარტიის ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

იმისათვის, რომ გაძლიერებულიყო მუშათა კლასის აქტივობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმის შესასრულებლად, საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, თვით პარტიის აქტივიზაცია, რათა თვით პარტია მტკიცედ და გადაჭრით დამდგარიყო შინაპარტიული დემოკრატის გაშლის გზაზე, რათა პარტიულ ორგანიზაციებს სოციალისტური მშენებლობის საკითხების განხილვაში ჩაება ფართო პარტიული მასები.

XIV პარტიულმა ყრილობამ მიუთითა, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში საჭიროა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი განმტკიცება. ამხანაგმა

სტალინმა საანგარიშო მოხსენებაში ყრილობაზე აღნიშნა: სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელი იქნებოდა რომ კომუნისტური პარტია თავის ამოცანების სიმძლავრე არ იდგეს, რომ იგი არ იზრდებოდეს და არ მტკიცდებოდეს.

„ამ მხრივ, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — პარტიის, როგორც ხელმძღვანელი ძალის მნიშვნელობა განუზომელია. პროლეტარიატის დიქტატურა ზორციელდება არა თვითღიწებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პარტიის ძალებით, მისი ხელმძღვანელობით. პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე, კაბიტალისტური გარემოცვის თანამედროვე პირობებში, პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა. საკმარისია შეარყო, შეასუსტო პარტია, რომ მყისვე შეირყეს და შესუსტდეს პროლეტარიატის დიქტატურა“.

(იქვე. გვ. 376).

საანგარიშო მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ XIV პარტიულ ყრილობაზე გამოვიდა ამხანაგი ვ. მ. შოლოტოვი. მან შეაჯამა პარტიის მუშაობა პროფკავშირებში და მასობრივ საზოგადოებებში, საბჭოებში და კოოპერაციაში, კომკავშირში და წითელ არმიასში. ამხანაგმა მოლოტოვმა წამოაყენა შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების ამოცანა, როგორც პროლეტარული დემოკრატიის განვითარების ძირითადი წინაპირობა.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება პროფკავშირებისა და კომკავშირის მუშაობის შესახებ. პროფკავშირების წინაშე დასახული იყო მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის აქტიურ ბრძოლაში მუშათა მასების ჩაბმის ამოცანა.

კომკავშირის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საკავშირო ოლქის VII ყრილობამ დაამუშავა სოცია-

ლისტურ მშენებლობაში კომკავშირის აქტიური მოხაწილობის კონკრეტული გეგმა.

გეგმაში

XIV ყრილობამ დაამტკიცა პარტიის ახალი წესდება, რომელიც ითვალისწინებდა მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას. წესდება აგრეთვე უფრო მკაფიოდ განსაზღვრავდა პარტიის წევრებისა და კანდიდატების უფლება-მოვალეობას. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ბათილდებოდა საკანდიდატო სტაჟის მნიშვნელობა პარტიის რიგებში მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების შერჩევისა და მომზადებისათვის. ამიტომ XIV ყრილობამ პარტიის წესდებაში შეიტანა სათანადო დამატებანი, მკაფიოდ განსაზღვრა პარტიის წევრებისა და კანდიდატების უფლება-მოვალეობანი, და მოითხოვა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება. ითვალისწინებდა რა პარტიის რიგებში მუშათა სისტემატური ჩაბმის მნიშვნელობას, ყრილობამ შეამსუბუქა წესდებით მათი შესვლის პირობები, შეამცირა რა რეკომენდაციის მიმცემთა რიცხვი. ამავე დროს ყრილობამ სპეციალურ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ ყოველმხრივ უნდა შეამოწმოს პარტიაში მისაღებ თვითელი პირი, არ დაუშვას ხელაღებით მიღება და იხელმძღვანელოს ინდივიდუალური შერჩევის ნაცადი ბოლშევიკური პრინციპით.

სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებით შეცვლილ იქნა პარტიის სახელწოდება. XIV ყრილობამ გადაწყვიტა სახელი შეეცვალა რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიისათვის და დაერქვა მისთვის საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური ორგანოები და აღნიშნა პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერების საჭიროება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ყრილობამ ცენტ-

რალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას დაავალა გადაწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინა პარტიის მთლიანობის დარღვევის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ.

XIV ყრილობაზე მხილებული და დამარცხებული „ახალი ოპოზიცია“ არ დაემორჩილა ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობის დამთავრებისთანავე, დაბრუნდნენ რა ლენინგრადში, ზინოვიევი და კამენევი განაახლეს თავისი ანტიპარტიული საქმიანობა. ისინი ქმნიდნენ ფარულ წრეებს, ამზადებდნენ არალეგალურ ზინოვიევი-ტროცისტულ პარტიას, კავშირს აბამდნენ კაპიტალისტური სახელმწიფოების დაზვერვებთან.

XIV ყრილობის დამთავრებისას ლენინგრადში მივლინებულ იქნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ყრილობის დელეგატები — ამხანაგები კიროვი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ანდრეევი და სხვ. თავიანთ გამოსვლებში ლენინგრადის უდიდეს საწარმოთა პარტიულ კრებებზე ისინი ახასიათებდნენ ლენინგრადის დელეგაციის დანაშაულებრივ, ანტიბოლშევიკურ საქციელს ყრილობაზე. მათ გახუმარტეს ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას პარტიის ლენინური გზა, რომელსაც მიეყვართ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ, სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. პარტიული მუშები აქვე კრებებზე აღშფოთებით გამოდნენ, სამარცხვინოდ აღს ასეამდნენ ზინოვიევი-კამენევი-ტროცისტულ მონაპირებს. ლენინგრადის ბოლშევიკებმა ერთსულოვნად დაჰკმეს ანტიპარტიული ზინოვიევი-ტროცისტული „ახალი ოპოზიცია“ და მოიწონეს XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ტროცისტულ-ზინოვიევი-ტროცისტული ოპოზიციონერები ამინებდნენ პარტიას სიძნელეებით და ამრიგად ცდილობდნენ მოეხდინათ მუშათა კლასის დემორალიზაცია, შეერყიათ მისი რწმენა ჩვენს

ქვეყანაში სოციალიზმის ამინების შესაძლებლობისა. მაგრამ სოციალიზმის მტრების ეს გეგმაც მხილველად ამხანაგი სტალინი, გამოხატავდა რა პარტიისა და მუშათა კლასის ძალები-სადმი ღრმა რწმენას, ამბობდა „...მაგრამ გარედან დაუხმარებლად ჩვენ იმედს არ დავკარგავთ, საშველად არავის დაუძახებთ, ჩვენს მუშაობას არ მივატოვებთ და სიძნელეებისა არ შეგვეშინდება. ვინც დაიღალა, ვისაც სიძნელეები ამინებს, ვინც გონებას კარგავს, — დაე მან გზა მისცეს იმას, ვინც მამაცობა და სიმტკიცე შეინარჩუნა. ჩვენ ისეთთა რიცხვს არ ვეკუთვებით, ვისაც სიძნელეები ამინებს. იმიტომ ვართ ბოლშევიკები, იმიტომ მივიღეთ ლენინური წრთობა, რომ კი არ გავურბოდეთ, არამედ პირისპირ ვხვდებოდეთ სიძნელეებს და ვძლეოდეთ მათ.“ (იქვე, გვ. 383).

თავის მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგი სტალინი მიუთითებდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემის უდიდეს მნიშვნელობაზე პარტიული კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისა და პარტიის რიგების ყოველმხრივი განმტკიცების საქმეში. ჩვენთვის ბედნიერებაა, რომ შევძელით ლენინის თხზულებათა რამდენიმე გამოცემის გამოშვება... გადაგვარებაზე ყვირილით ახლა ვერავის შეამინებ... მათ შეუძლიათ იყვირონ რამდენიც ნებავთ, მათ შეუძლიათ ამინონ ციტატებით, რამდენიც ნებავთ, — საშუალო პარტიული მოუსმენს და გაეკვევა, ვინაიდან მას ახლა ხელთ აქვს ლენინის შრომები. ეს ფაქტი იმის ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა, რომ ჩვენი პარტია ლენინიზმის გზას არ გადაუხვევს.“ (იქვე, გვ. 375).

გადაწყვეტილებანი XIV ყრილობისა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში შევიდა როგორც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ყრილობა,

ახალ თავს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის განვითარების ისტორიაში.

ამხანაგ სტალინის მოხსენებას და საბოლოო სიტყვას საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალიზმის ბედისათვის ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ცენტრალური პრობლემა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის განსაზღვრა, გლეხობის ძირითად მასებთან მუშათა კლასის კავშირის საკითხი, რომლებიც დამუშავებულია ამხანაგი სტალინის მოხსენებაში — წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარებისა და პარტიის მტრების, მუშათა კლასის მტრების ხელყოფისაგან მისი დაცვის კლასიკურ ნიმუშებს.

აჯამებდა რა XIV ყრილობის მუშაობას და მის გადაწყვეტილებებს, ამხანაგი სტალინი წერდა:

„საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო ძირფესვიანად გამოეაშკარაებინა „ახალი ოპოზიციის“ შეცდომები, უკუაგდო მისი ურწმენობა და წუწუნი, ნათლად და მკაფიოდ დასახა სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის გზა, მისცა პარტიას გამარჯვების პერსპექტივა და მით პროლეტარიატი შეაიარაღა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების რწმენით“ (თხზ. ტ. გვ. 99).

საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი აღფრთოვანებითა და ენერგიით განახორციელა ინდუსტრიალიზაციის გენიალური სტალინური პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედო სტალინურ ხუთწლედებს.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბრწყინვალე წარმატებებმა არსებითად გააუძგობესა მშრომელთა მდგომარეობა, უზრუნველყო მათი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი აღმავლობა. სოციალიზმის გამარჯვებამ სამუდამოდ მოსპო უშუშეერობა ჩვენს ქვეყანაში, მოსპო სილატაკის ფესვები. სახე შეიცვალა ჩვენმა ქალაქებმა, ფართოდ გაიშალა სოფლების კეთილმოწყობა, საბჭოთა ხალხი გამოვიდა შეძლებული, ბედნიერი და კულტურული ცხოვრების გზაზე.

ინდუსტრიალიზაცია გახდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი განმტკიცების ბაზა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას საბჭოთა კავშირს ჰქონდა მძლავრი ეკონომიური ბაზა და ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიასთან წარმოებულ ბრძოლის ძლევამოსილად დამთავრებისათვის.

საბჭოთა კავშირის გამარჯვება დიდ სამამულო ომში მომზადებული იყო სოციალისტური. მშენებლობის მთელი მსვლელობით, და, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის შესრულებით. სსრ კავშირის გამარჯვება სამამულო ომში ნიშნავდა ეკონომიურ გამარჯვებასაც ისეთ მტერზე, რომლის ხელთ იყო მთელი ევროპის ეკონომიური რესურსები.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით, მძლავრ საბჭოთა ინდუსტრიაზე დაყრდნობით, მტკიცედ მიდის წინ სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის გზით.



ლადო მესხიშვილი



ვლადიმერ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი დაიბადა 1857 წლის 16 (28) თებერვალს, ქალ. თბილისში ექიმის — სარდიონ დიმიტრის-ძე ალექსი — მესხიშვილის ოჯახში. ლადო ადრე დაობლდა. 11-12 წლის ბავშვი ბიძამისმა კიევის კადეტთა კორპუსში გაგზავნა სასწავლებლად. შემდეგ ლადო სწავლობდა მოსკოვში სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა სწავლისათვის, მასწავლებლობის მოწმობა აეღო და საქართველოში წამოსულიყო. იგი ერთხანს მასწავლებლობდა. თბილისში ლადომ დაიწყო მონაწილეობის მიღება რუს სცენისმოყვარეთა წრის წარმოდგენებში. ერთ-ერთ ასეთ წარმოდგენაზე, 1881 წელს ლადოს არტისტული ნიქს ყურადღება მიაქციეს ილია ქავჭავაძემ, დავით ერისთავმა და მიხ. ბებუთაშვილმა. ლადო კურჩაევის როლს თამაშობდა ჩერნიშოვის პიესაში, რომელიც შემდეგ იეკერესელიძემ „დაქცეული ოჯახის“ სახელწოდებით გადმოაყეთა. იმავე წლის 10 (22) ოქტომბერს ლადოს ქართულ სცენაზე ვხვდავთ მელიორაჰაში „შეშლილია“ — ვილკენის როლში. ამას მოჰყვა იმავე კურჩაევის როლის შესრულება ქართულად. 1882 წლის 20 იანვარს ლადო ასრულებს ლევან ხიმშიაშვილის როლს დ. ერისთავის „სამშობლოში“ და ერთბაშად პირველხარისხოვან მსახიობთა რიგში ღვება. ლადოს მიერ ლევან ხიმშიაშვილის როლის შესრულების გამო ი. ზურაბიშვილი, „ოთხ პორტრეტში“ წერს:

„თუ შეიძლება ერთი აღამიანში განხორციელდეს მთელი ერის ზოგადი სიტურფე და სილამაზე—ერთი ფოკუსში მოქცეული — მაშინ ლადო ლევანი სრული ხატება იყო ქართული სილამაზისა, სილამაზისა, რომელშიც გამოიხატებოდა არა მარტო ხორციელი სინატიფე, არამედ აგრეთვე ცოცხალი სული ერისა“.

ლადოს საოცრად გამომეტყველი თვალეები და მეტად ცოცხალი სახე ჰქონდა. მაყურებლებს იგი ხიბლავდა არა მარტო თავისი შესანიშნავი თამაშით, არამედ მოხდენილი შესახუნდობითაც. მისი ხმა — ხვერდოვანი ტემბრის ბარიტონი — ყოველთვის იმ გრძნობისა და ვნებათაღელვის შესატყვისად ჟღერდა, რომელსაც ამა თუ იმ როლში ანსახიერებდა სცენის ეს დიდი ოსტატი. ეგ ხმა ალერსის დროს ხაზი იყო, ალგუნების ეპოს — მთრთოლვარე და რისხვისას — გრგვინვასავით მქუხარე, სამწუხაროდ, ასეთი ხმა მას ბოლომდე ვერ შერჩა. ყელის ავადმყოფობისა და შემთხვევითი ხიფათის შედეგად ხმა ჩაეხლიჩა (ერთხელ „ყაჩაღებში“ ფრანც მოორის როლში შეცდომით მართლა ჩამოეკიდა ქალზე და დახრჩობას ძლივს გადაარჩინეს). 1894 წლიდან დასუსტებული ხმა 1903 წლისათვის ლადომ თითქმის სულ დაჰკარგა და მხოლოდ საზღვარგარეთ (ვენაში) მკურნალობამ ნაწილობრივ დაუბრუნა მას ხმა. მთელი უკანასკნელი პერიოდი ლადო ჩახლეჩილი ხმით თამაშობდა. მაგრამ მისი მომხიბლველი თამაშის ზეგავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ

მას ამ ხმაჩაღუნელობაშიაც ბაძვე-
დნენ.

ლადო მესხიშვილის ცხოვრება და
მოღვაწეობა მეტად შინაარსიანი და
მრავალფეროვანია. მისი შემოქმედება
მთელი ეპოქაა ქართული თეატრის ის-
ტორიაში.

ეროვნული დრამატურგიის იმ მხატვ-
რულ სახეთა შორის, რომლებსაც
ბრწყინვალედ ანსახიერებდა ლადო მე-
სხიშვილი, ლევან ხიმშიაშვილის შემ-
დეგ დასახელებულ უნდა იქნას გონა
აკაკის „თამარ ციხერიდან“. მწერალი
სოფრომ მგალობლიშვილი 1913 წელს
ალტაცებით იგონებდა მესხიშვილის მი-
ერ ამ როლის შესრულებას: „ლადოს
ტკბილი ხმა, მისი მშვენიერი კილო,
მისი საოცარი მიხვრა-მოხვრა, გაპირო-
ვნება მგონისა, უნებლიედ ხიბლავდა
მსმენელს, მიჰყავდა იგი მალა-მალა
საღღაც საოცნებო ქვეყანაში და უნებ-
ლიედ აბნევიებდა თვალთაგან ალტა-
ცებისაგან გადმონადენს ცრემლებსა“.
გაიოზ ფაღავა, ვალ. გუნიას „და-მამში“
მესხიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო
სახეთაგანი იყო. ოსმალთა ბატონობის
წინააღმდეგ მებრძოლი გმირი პატრიო-
ტულ აღფრთოვანებას იწვევდა მთელს
დარბაზში. ლევანი (ვას. ყოფიანის
დრამაში „სამეგრელოს მთავარი ლე-
ვანი“) და სოლეიმან-ხანი (ა. სუმბათაშ-
ვილის „ღალატში“) — შედეგებია
მესხიშვილის შემოქმედებაში. ამ რო-
ლების განსახიერების დროს ლადო,
როგორც ხელოვანი, უდიდეს სიმძლვე-
ზე ადიოდა თავისი სიდიადით, განსაც-
ვიფრებელი პლასტიკით მიხვრა-მოხვ-
რაში, თავდაპირვით და პარტნიორებთან
ბუნებრივი ურთიერთობით. არ ვსახე-
ლებ ათეულ პატარა როლს, რომლებიც
მას თავისი დიდი ნიჭის მეოხებით პირ-
ველხარისხოვანი როლის მნიშვნელო-
ბამდე აყავდა.

მესხიშვილის დამსახურება, როგორც
არტიტისა, ორიგინალური რეჟერტუა-
რის შესრულებით რადი განისაზღვრე-

ბა. მესხიშვილის დიდ დამსახურებას
შეადგენს ისიც, რომ მან ქართულ თე-
ატრის რეპერტუარში დაამკვიდრა რუ-
სული და დასავლეთ ევროპის დრამა-
ტურგია.

1883 წლის 20 თებერვალს ლადო
პირველად გამოვიდა ჰამლეტის როლ-
ში. ახალგაზრდა მსახიობის პირველი
გამოსვლა ასეთ რთულსა და საპასუხის-
მგებლო როლში არ ყოფილა ისეთი
ბრწყინვალე, როგორც ორიგინალურ
რეპერტუარში, მაგრამ თვით ფაქტი
შექსპირის „ჰამლეტის“ შეტანისა ქარ-
თული თეატრის რეპერტუარში მეტად
მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

შემდეგში მესხიშვილი დიდხანს და
ბევრს მუშაობდა ამ როლზე და არა-
ერთხელ შეუხრულებია იგი თანდათან
მზარდი წარმატებით. დასავლეთ ევრო-
პის დრამატურგიიდან მესხიშვილი ას-
რულებდა არა მარტო ჰამლეტს, არა-
მედ რომეოს, ოტელოს, ედგარს — შექ-
სპირის პიესებიდან, ედმონდ კინს —
ალ. დიუმას (მამის) ამავე სახელწოდე-
ბის პიესიდან, კარლოსს და ფრანც მო-
ორს შილერის „ყაჩაღებიდან“ ურიელ
აკოსტას — გ. გუცოვის ამავე სახელ-
წოდების ტრაგედიიდან. მათ შორის
ფრანც მოორი, ედგარი და განსაკუთ-
რებით ურიელი შესანიშნავად ჰქონდა
დამუშავებული ლადოს. მისი ურიელ
აკოსტა იყო არა მარტო ბრწყინვალე
არტიტული ქმნილება, არამედ ნამდ-
ვილი გმირი — რევოლუციონერი. ამ
როლის შესრულებით ლადო ყოველთ-
ვის რევოლუციონურ ალტყინებას იწ-
ვევდა მაყურებლებში. „ურიელ აკოს-
ტას“ ერთ-ერთ წარმოდგენას, რომელ-
შიაც ურიელის როლს ლადო ასრულებ-
და, ასე აგვიწერს დამსწრე:

„1901 წელია. თბილისის მუშებმა
ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით პირ-
ველად აღმართეს რევოლუციის დროშა
და გამართეს დემონსტრაცია. უდიდე-
სი მნიშვნელობის ამბავი მოხდა. სილა-
რიბის ბნელ გარემოცვაში პირველად

ეღვა იმედის სხივმა და უფლებააყრილმა მეშათა კლასმა პირველად აღიშალა პროტესტის ხმა მეფის ტირანის წინააღმდეგ. საყოველთაო აღრევის, ხელისუფლების დაბნეულობისა და მეშათა ალტყინებული მდგომარეობის დროს ლადო მესხიშვილი დგამს — „ურიელ აკოსტას“. თეატრი ხალხით იჭედება, ქანდარა მუშებით და მოსწავლე ახალგაზრდობით არის ავსილი. ტაშის გრიალით ხედებიან ყველასათვის საყვარელ ლადოს გამოჩენას ურიელ აკოსტას როლში. პიესა ვითარდება. აკოსტა თეთრ ტოგაში ფერწასული, მაგრამ კონცენტრირებულის ყურადღებით, განმარტობით დგას რამპასთან და ხელთ უარყოფის აქტი უჭირავს. ეტყობა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას განიცდის — ერთი მხრით მისი ამაყი გონების კარნახი და მეორე მხრით მოსიყვარულე გულის ძლიერი ვნებათაღელვა ქიდილში არიან, სარწმუნოებრივი ფანატიზმით დაბრმავებული რაბინები ჯოჯოხეთის შავ-ბნელ ძალებით და წყევლა-კრულვით ემუქრებიან აკოსტას, თუ იგი არ უარყოფს თავის აზრებს, რომელნიც მან თავის ტრაქტატში აღიარა. ამ წყევლა-კრულვას მოთმინებიდან გამოჰყავს ქანდარა და იგი ერევა მსახიობთა თამაშში, თავგამოდებით უყვირის რაბინებს: — ძიი... რს, ძირსო.

ქანდარის საერთო მრისხანე ძახილისა და პარტერის წესიერების მოწოდებისაყენ მიმართულ ხმაურში მესხიშვილი იხელთებს წამიერ სიჩუმის მომენტს, ნაბიჯს წინ წასდგამს და მეხისებური ხმით და ექვემოქტანელი ტონით მტკიცედ გასტყორცნის დარბაზში: — მაინც ბრუნავსო.

ტაშის გრგვინვა, ოვაციები და ალტაცებული შეძახილები: „ვაშა, აკოსტა“, „ვაშა, მესხიშვილი“, — ანგრევენ იქაურობას. ქანდარის ეგზალტაციის დამტკიცებელ საბუთებად ქუდები მიფრინავენენ სცენაზე და დიდხანს, დიდ-

ხანს არ აძლევენ მსახიობებს წაათმოდენის გაგრძელების საშუალებას“ („ხეარია ვოსტოკა“, № 316, 1930 წ., 23/24).

ასეთი შემთხვევები მრავალი იყო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობაში. ასეთსავე აღფრთოვანებას იწყევდა მისი კაიუს გრაჰნი, რუი ბლაზი, ეანი და სხვა.

მოვიხსენოთ მესხიშვილის მიერ შექმნილი სახეების მეორე ჯგუფი: „ავადმყოფი ხალხი“, ეგრეთწოდებული „ნევრასტენიკები“. ასეთი ტიპები იწყება პარლეიკით მელიოდრამაში „შეშლილია“. მესხიშვილის მიერ ამ როლის შესრულებას სპეციალური წერილი უძღვნა ილია ჭავჭავაძემ: „განსაკუთრებით გაგვაოცა არტისტმა პირველ მოქმედებაში... ამ ჭკვიანმა და ნიჭიერმა არტისტმა სწორეთ მთელი დრამა შექმნა და ამით ძლიერ შეძრა მყურებელთა გული“.

უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი როლი — ტამილინისა, როკმანინის მელიოდრამაში „გულისტქმა“. აქაც ლადო მთავარ როლს თამაშობდა. „ეს იყო მაღალი ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ვიქტორ ჰიუგო ამბობს — ძნელია ადამიანის სულში ჩაიხედო, მით უფრო დამნაშავეისა, — ლადომ განსაცვიფრებელი ოსტატობით და ბუნებრიობით ჩაგვახედა დამნაშავეის სულის საშინელ უფსკრულში“¹. სახეთა ამ ჯგუფს ეკუთვნიან რობერტი ჰაუპტმანის „ავადმყოფი ხალხი“ და ოსვალდი იბსენის „მოჩვენებებში“. მრავალთა მოწმობით მესხიშვილი ოსვალდის როლში სჯობნიდა ამ როლის ცნობილ შემსრულებელს — პ. ორლენევს.

მესხიშვილის როლების მესამე ჯგუფი — კომიკური როლებია. მათ შორის აღსანიშნავია გოროდინი გოგოლის „რევიზორში“, იუსოვი ოსტროვსკის

1921 წლის იანვრის ფურ. „ხელოვნება“, № 3. ქუთაისი.

„შემოსავლიან ადგილში“, ნუნამოვი იმავე ავტორის კომედიაში „უღანაშაულოდ დამნაშავენი“, ტარტიუფი მთლიერის ამავე სახელწოდების კომედიაში და რასპლუევი სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინებაში“. მესხიშვილის მიერ ამ როლის შესრულებას სპეციალური წერილი უძღვნა გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“.

ერთ-ერთი რეცენზენტი, აღარებდა რა ერთმანეთს მესხიშვილსა და ვარლამოვს (ცნობილი რუსი მსახიობი იყო), ამბობდა: „ვარლამოვის გენიალურმა კომიზმმა ცი ვერ დაჩრდილა ამ როლში მესხიშვილის დრამატული ნიჭი“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მესხიშვილის მარკოზ ბრწყინვალე ბარეტის „ახალ ქვეყანაში“ და პეტრონიუსი სობოლშიცოვ-სამარინის მიერ სენკევიჩის რომანის „ვიდრე ხვალ“-ის ინსცენირებაში. ამ როლებში მყოფრებულთა თვალწინ იდგა გაცოცხლებული ანტიკური ქანდაკებანი.

დასასრულ, ცალკე უნდა გამოვეყოთ ლადოს რევოლუციონერები: კაიუს გრაკხი მონტის ამავე სახელწოდების პიესიდან, ჟანი ოქტაე მირბოს „ჟან და შადლენადან“, რუი ბლაზი ვიქტორ ჰიუგოს დრამიდან. ამ პიესების წარმოდგენა ხალხში უდიდეს აღტაცებას იწვევდა და ხშირად ეს აღტყინება დემონსტრაციებში გადადიოდა. მყოფრებულნი არა ერთხელ წასულან ლადოს წარმოდგენებიდან რევოლუციური სიმღერებით. ამას მოწმობს შემდეგი საბუთიც: „25 აგვისტოს წარმოდგენის შემდეგ თეატრიდან გამოსული ხალხი რამდენიმე ჯგუფად გაიყო და ქალაქის სხვადასხვა მხარეს გაემართა „მარსელიოზას“ და სხვა რევოლუციური სიმღერების მღერით“ — საიდუმლოდ მოახსენებს თავის უფროსს ქუთაისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს უფროსი ნი-

კოლაევი სპეციალური, 1905 წლის 27 აგვისტოს მიმართებით № 3134¹.

ლადო მესხიშვილი იყო თავმჯდომარე იმ მიტინგისა, რომელიც 1905 წელს გაიმართა ქუთაისში ღია ცის ქვეშ სობორის წინ, სადაც აშეამად სტალინის ქანდაკებაა ამართული. სცენიდანაც ამბობდა ლადო რევოლუციურ სიტყვებს. „აწ . 25 აგვისტოს ქუთაისის თეატრში, ქართველ მსახიობთა დასის წარმოდგენის დროს, მეორე მოქმედებაში არტისტმა ალექსი-მესხიშვილმა ქართულად წამოსთქვა სიტყვა, რომლითაც იგი ხალხს მთავრობასთან საბრძოლველად მოუწოდებდა“ — მოხსენებულა იმავე დოკუმენტში.

ლადო მესხიშვილი გაბედულად ილაშქრებდა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. ერთხელ, როდესაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზე ერთმა თავადმა უსაყვედურა ლადოს — ჩვენს მიერ შეკრებილი ფულით განკურნებული არტისტი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ აქ კაიუს გრაკხისთანა პიესებით ხალხს გვიბუნტებსო, მესხიშვილმა იქვე გასცა მას საკადრისი პასუხი: „თავად-აზნაურობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, იგი წინ ელობება თავისი საქციელით დღევანდელ მოძრაობას, იგი იგონებს რაღაც უმნიშვნელო და უაზრო საშუალებას და ფიქრობს ამით გამანთავისუფლებელი წინსვლა შეაჩერესო. თქვენ თუ კავშირი და მოქმედება გინდათ, შეუერთდით ხალხს სავრთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, — აი ნამდვილი და უებარი წამალი. მე აზნაურობას არ ვეკუთვნი. მე ვეკუთვნი მთელ ერს. ფულს როდი ვეშახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერაერთარი სასყიდელით ვერავინ მომისყიდის და ვერ მათქმევენებს

¹ ცენტრარქივი, ფონდი 63, კაიუსის მიდხ ნაცელის კანცელარიის საქმე. № 18.

იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგებაო“¹.

1906 წელს, როდესაც მეფის მთავრობამ დამსჯელი ექსპედიცია მიავლინა დასავლეთ საქართველოში, მესხიშვილი თავისი დასით ქუჩაში გამოვიდა და თეატრის წინ ბარკადები აღმართა, საიდანაც ძლივს მოხსნეს რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

„თეატრალურ ხელოვნების ძველ კორიფეებსა და ქართული თეატრის ძირითად მუშაკთა შორის ყველაზე ახლოს რევოლუციასთან თავისი აზროვნებით და განწყობით ვლადიმერ სარდიონის-ქეაღუქსი-მესხიშვილი იყო. გადაუშეტებლად შეიძლება ითქვას, რომ ვლ. მესხიშვილი რევოლუციური პათოსის ცეცხლით იყო გაუღნითილი, მთელი არსებით სძაგდა ცარიზმის ბნელი ეპოქა და თავისი გენიალური თამაშით არა ერთხელ აუყვანია მსმენელთა მასა რევოლუციურ ექსტაზამდე. მისი კლასიკური რეპერტუარის გმირები გრძნობას ატყვევებდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდობას გაბედული გამოსვლების და უშიშარი გმირობის ჩასადენად შევბნეული რეაქციის წინააღმდეგ... („ზარია ვოსტოკა“, იგივე ნომერი).

ლადო მესხიშვილი ქართული თეატრის ერთი თვალსაჩინო რეჟისორთაგანი იყო. რეჟისორობა მან დაიწყო 1894 წელს, მხოლოდ დადგმის საკუთარი სტილი 1902 წლისათვის გამოიმუშავა, ქუთაისში ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებულის“ დადგმის დროს. ამ დროიდან ლადო იწყებს თანამედროვე პიესების დადგმას, ეს პიესები უმთავრესად ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჩვენი სცენის ვირტუოზთა 80-იანი წლების კონცერტული წარმოდგენებისა და სხვა დროის ანალოგიური სპექტაკლების შემდეგ ლადო მესხიშვილმა

პირველმა შექმნა ანსამბლიანი წარმოდგენები თანამედროვე გაგებით.

თბილისის გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ ქუთაისის დასის მიერ 1908 წელს ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით გამართულ წარმოდგენების იშვიათ ანსამბლს. რეალიზმის ერთგულ ხელოვანს უყვარდა გმირობის რომანტიკული ამალეობა, სოციალური კონფლიქტების პირველ პლანზე წამოწევა და ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნა. მესხიშვილი ყოველთვის ჯანსაღი რეალისტი ხელოვანის, სცენის მაღალი ოსტატის და მოწინავე მეტრძოლი მოქალაქის სიმალლეზე იდგა.

ლადო შესანიშნავი იყო აგრეთვე როგორც პედაგოგი, როგორც ახალი არტისტული ძალების გამომვლინებელი. ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ვალ. შალიკაშვილი, ალ. იმედაშვილი, ხ. გვარამია, შ. დადიანი, ნატ. ჯაფარიშვილი, ი. ზარდალიშვილი და სხვანი მისი სკოლის მოწაფეები არიან.

ლადომ სცენაზე 40 წელი იმუშავა. აქედან 26 წელიწადი იგი ემსახურებოდა ქართულ სცენას, 14 წელიწადს კი — რუსულ სცენას.

1906—07 წლის სეზონში ლადო მიწვიეს მოსკოვის სამხატვრო თეატრში და საპასუხისმგებლო როლები დააკისრეს. ამ დროს ეს თეატრი გატაცებული იყო სიმბოლიზმით, რაც ლადოს ბუნებას ეწინააღმდეგებოდა. ერთხელ, როდესაც კნუტ ჰამსუნის პიესის „ცხოვრების დრამის“ რეპეტიციის დროს ლადოს უთხრეს, დეკორაციებს შეეგუეთო, მან უპასუხა, მერჩია დეკორაციები ჩემი თამაშისათვის შეეგუებიანთო. ასე განმორდა მესხიშვილი ამ თეატრს. თუმცა შემდეგში მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელებსა (კ. სტანისლავსკი და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო) და ვლ. მესხიშვილს შორის კარგი განწყობილება იყო. მანამდე და ამის შემდეგაც მესხიშვილი დიდი წარმატებით მუშაობდა რუსეთის სხვა-

¹ 1905 წლის 24 აპრილის უფრ. „მოგზაური“ № 15.

დასხვა ქალაქებში. 1509 წელს ლადო მუშაობდა უკრაინაში — ოდესაში. 1916 — 1917 წლებში იგი რიაზანსა და არხანგელსკში უძღვებოდა ზამთრისა და ზაფხულის სეზონებს.

1913 წელს თბილისში ლ. მესხიშვილს გადაუხადეს 30 წლის იუბილე. ამ იუბილეს საქართველოს უდიდესი პოეტი აკაკი წერეთელი ედგა სათავეში. არ დარჩენილა არც ერთი კულტურული საზოგადოება და პრესა, არა მარტო საქართველოში, არამედ მოძმე ხალხებშიც, — და საქართველოს მუშათა არც ერთი ორგანიზაცია, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ ამ იუბილეში. ქართველმა პოეტებმა, მათ შორის ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა, გ. ქუჩიშვილმა, ვ. რუხაძემ და სხვებმა, ლექსები უძღვნეს ლადოს.

თბილისის შემდეგ ლადოს იუბილე გადაუხადეს ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, სუხუმში, ზონში, ოზურგეთში, ბორჯომში, თელავში, ბაქოში და როსტოვში. რუსეთის ყველა კუთხიდან აუარებელი დეპეშები მოდიოდა. კომპოზიტორმა ნიკ. სულხანიშვილმა იუბილარს სპეციალური საგუნდო ნაწარმოები უძღვნა. მუსიკა ვაჟა-ფშაველას ლექსზე იყო დაწერილი. ნაძალადევის (ახლანდელი ლენინის რაიონის) მუშები სწერდნენ იუბილარს: „ჩვენ ვამაყობთ თქვენი ნიჭით და თავი მოგვაქვს უცხოელთ წინაშე, რადგანაც თქვენით მტკიცდება ხიჭიერება ჩვენი ხალხისა. თქვენი ნიჭის მეოხებით ქართველმა ხალხმა შეიყვარა შექსპირისა და სხვა გამოჩენილ მსოფლიო დრამატურგთა ნაწარ-

მოებნი; ზურგი შეაქცია ფუქსავატ უბრალო გასართობ-ვოდვეილ-კომედიებს. თქვენი თანაშრომლების დაუღალავი შრომით ისე გაიზარდა სიყვარული თეატრისადმი, რომ განაპირა უბნებშიც ამენდა თეატრები, რომელთაც თქვენ არ ივიწყებთ, ეწვევით და ატეობთ განაპირა უბნის მცხოვრებთაც თქვენი უნიჭიერესი თამაშით“.

ლადო მესხიშვილი კინოშიც დებულობდა მონაწილეობას. ლადოს თავის წვლილი აქვს შეტანილი ლიტერატურაშიც. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესის თარგმანი.

1920 წლის 23 ნოემბერს, ღამით 3¼ საათზე გულის სიღამბლით გარდაიცვალა დიდი არტისტი.

ლადოს კუბოს, თანახმად დამკრძალავ კომისიის დადგენილებისა, ამკობდა ერთადერთი გვირგვინი ზედ წარწერით: „ქართული სცენის სიამაყეს — ლადო მესხიშვილს. საქართველოს მოქალაქენი“.

მესხიშვილი დასაფლავებულია დიდუბეში ქართულ მოღვაწეთა პანთეონში.

მადლიერმა ხალხმა, საბჭოთა მთავრობის სახით, ღირსეულად შეაფასა დიდი ქართველი არტისტი და გარდაცვალებიდან 10 წლისთავზე, 1930 წელს მხანიჭა მას სახალხო არტისტის წოდება. სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1940 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით ქუთაისის თეატრს უწოდა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი.

გიორგი მერჩულე

ძარბაველი მხარაი მათე საუკუნისა *

VIII

ისტორიული გეოგრაფიის დამახინჯება
 საქართველოს სამხრეთი მხარეების (მესხეთისა და სამხრეთი ქართლის)
 ისტორიის საკითხავში.

ჩვენი მიმოხილვა გიორგი მერჩულის ძეგლში დაცული საისტორიო ცნობებისა მესხეთის მხარეთა შესახებ არ იქნება სრული, თუ ჩვენ აქ სპეციალურად არ შევეჩერდებით ერთ საკითხზე.

საქმე ის არის, რომ საისტორიო ლიტერატურაში ფართე გავრცელება აქვს ისტორიული ჭეშმარიტების ერთ დიდს დამახინჯებას, რომელიც ეხება ორი მოძმე ქვეყნის, საქართველოსა და სომხეთის ისტორიულ წარსულს.

სახელდობრ საისტორიო ლიტერატურაში მე-19 — 20 საუკუნეებში ფართე გავრცელება მიიღო შეხედულებამ, ვითომც მესხეთის უდიდესი ნაწილი (მესხეთის ყველა სამხრეთი პროვინციები) და ნახევარი ქართლისა (სამხრეთი ქართლი) ეს თითქოს არის ნაწილი ისტორიული სომხეთისა, რომელიც უფრო გვიან ხანაში საქართველომ ვითომც სომხეთიდან დაიპყრო და გააქართულა.

ეს კონცეპცია, რომელიც გამოთქმული ჰქონდა ზოგიერთ მწერალს და მიღებული იყო მხითარისტების საისტორიო სკოლის მიერ, თანდათანობით განმტკიცდა ევროპის არმენისტეში.

ცნობილი ევროპელი არმენისტი ანტუან-ჟან სენ-მარტენი, რომელიც მხითარისტების სკოლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, და რომელმაც პირველად გააცნო ევროპას სომხეთის ისტორიული წარსული, თავის ცნობილ შრომაში *Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie*, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში (1811 — 1819 წლებში) გამოქვეყნდა, იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ისტორიული სომხეთის ძირითად ნაწილს შეადგენდაო მთელი ქოროხის ხეობა მესხეთისა, ასევე მთელი ზემო-მტკვრის ხეობა მესხეთისა, აგრეთვე მთელი სამხრეთი ნახევარი ქართლისა.

სახელდობრ სენ-მარტენის მტკიცებით ძველი ისტორიული საზღვარი სომხეთისა ვითომც იწყებოდა ქოროხის ხეობის ქვემო ნაწილში (აქარასთან), აქედან გასდევდა ახალციხეზე და აწყურზე (მთელი ახალციხის მხარის, ჯავახეთის და ყველა ამის სამხრეთით მდებარე მესხეთის პროვინციების სომხეთში ჩათვლით), ხოლო შემდეგ გადმოდიოდა თრიალეთზე (ასევე მთელი სამხრეთი ქართლის სომხეთში ჩათვლით). სენ-მარტენის დასკვნით, აქ აღნიშნული საზღვარის ხაზის სამხრეთით მდებარეობდნენო სომხური ქვეყნები გ უ გ ა რ ქ ი და ტ ა ი ქ ი, რომლებიც სომხეთის სამეფოს დასუსტებისა და დაცემის შემდეგ საქართველომ შეიერთაო.¹

* გავრცელება. იხ. „შნაობი“ №16 10, 11 (1949 წ.), 1, 3, 4, 7, 8 (1950 წ.).

¹ იხ. ა.ე. სენ-მარტენი, *op. cit.*, I, გვ. 74—86.

ეს შეხედულება სენ-მარტენისა სამხრეთ-საქართველოს ისტორიული პროვინციების სომხეთისადმი კუთვნილების შესახებ ფართოდ გავრცელდა და მტკიცედ დამკვიდრდა ევროპულ არმენისტეიაში მე-19 საუკუნის მანძილზე.

კერძოდ ამავე შეხედულების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა პროფ. პ. კიპერტი, განთქმული მეცნიერი კარტოგრაფი, რომლის ცნობილ ისტორიულ რუკებზე საქართველოსა და სომხეთის საზღვრები ამ კონცეპციასთან შეფარდებით არის აღნიშნული. (ხოლო პ. კიპერტის მიდევნებით, ყველა ისტორიულ რუკებზე, რომლებიც შემდეგ ევროპაში ქვეყნდება, საქართველოსა და სომხეთის ისტორიული საზღვრები ასევე დამახინჯებულად არის ნაჩვენები).

ზემოთ-აღნიშნული შემცდარი კონცეპცია საქართველო-სომხეთის ისტორიული საზღვრების შესახებ გავრცელებით სარგებლობს აგრეთვე მე-20 საუკუნის ევროპულ არმენისტეიაში ვიდრე დღემდე. ამ კონცეპციას იზიარებდნენ კერძოდ ი. მარკვარტი და პ. ჰიუბშმანი.

ორიენტალისტს ი. მარკვარტს თავის ნარკვევებში Eranschahr საქართველო-სომხეთის ისტორიული საზღვარი ვიდრე ახალციხემდე მოჰყავს: ი. მარკვარტი იმეორებს ა. ე. სენ-მარტენის შეხედულებას, ვითომც სომხური პროვინციის ტაიქის მიჯნა ვიდრე ახალციხემდე აღწევდომ (ახალციხის ჩათვლით). ი. მარკვარტს ისტორიული სომხეთის ნაწილად მიაჩნია, მესხეთის ქვეყნებთან ერთად, აგრეთვე ქვემო-ქართლი.

არმენისტმა პ. ჰიუბშმანმა სომხეთის ისტორიულ გეოგრაფიას ვრცელი ნაშრომი უძღვნა (*Die altarmenischen Ortsnamen, mit Beiträgen zur historischen Topographie Armeniens*. 1904 წ.). პ. ჰიუბშმანს სომხეთის ისტორიულ ნაწილად მიაჩნია ქვემო-ქართლი მთლიანად (ვიდრე თრიალეთის ხაზამდე); რაც შეეხება მესხეთს, პ. ჰიუბშმანი ჩრდილოეთ ნაწილს მესხეთისას საქართველოს მიაკუთვნებს, ხოლო მესხეთის სამხრეთ ნაწილს (ტერიტორიულად უდიდეს ნაწილს მესხეთისას) — სომხეთის ნაწილად სთვლის. სახელდობრ მესხეთის ქვეყნებიდან საქართველოს (იბერიის და კოლხეთის) ნაწილად მიჩნეულია პროვინციები: სამცხე, აჭარა, შავშეთი და ნიგალი; ხოლო სომხეთის ნაწილად მიჩნეულია პროვინციები: ჯავახეთი, არტაანი, კლარჯეთი (რომლებიც ვითომც სომხურ გუგარქის ნაწილს შეადგენდნენ), ტაონი (სომხ. „ტაიქ“, რომლის ფარგლებშიაც ვითომც შედიოდა როგორც სამხრეთი ტაო, ისე ჩრდილოეთი ტაო — ბანა-ოლთისის სექტორი, ამის გარდა მტკვრის ხეობაში მდებარე არტაანის კოლა) და სპერი (ქვემო-სპერის პროვინციის მითვლით).

პ. ჰიუბშმანის დასკვნით, ყველა ეს ქვეყნები, როგორც ქვემო-ქართლი, ისე მესხეთის დასახლებული პროვინციები (ჯავახეთი, არტაანი, კლარჯეთი, ტაონი და სპერი) სომხეთის შემადგენლობაში ვითომც შევიდა სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროსვე, მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა. ამ დროიდან მოკიდებული მთელი ანტიკური ხანის მანძილზე დასახლებული ქვეყნები ვითომც სომხეთის ფარგლებში იყვნენ მოქცეული; მხოლოდ მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში ახალი წელთაღრიცხვისა, სომხეთის სამეფოს დამცრობისა და ორად გაყოფის დროს, ქართველებმა ვითომც დაიპყრეს სომხეთიდან ქვემო-ქართლი ვიდრე თრიალეთის ხაზამდე და მესხეთის პროვინციების ნაწილი: ჯავახეთი, არტაანი და კლარჯეთი. (რაც შეეხება მესხეთის უკიდურეს სამხრეთ სექტორს, ტაოსა და სპერის პროვინციებს, მათი შემოერთება საქართველოსთან კიდევ უფრო გვიან ხანას მიეკუთვნება).

ზემოთ-აღნიშნული კონცეპცია საქართველოსა და სომხეთის ისტორიული საზღვრების შესახებ (კონცეპცია, რომელიც, როგორც შემდეგ დაჯინახავთ, არსებითად მცდარია და ისტორიული ქეშმარიტების დამახინჯებას წარმოადგენს) — ისე გამუდმებით, იმდენად სისტემატიურად მეორდება საისტორიო ლიტერატურაში მე-19 — 20 საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე დღემდე, რომ ამ შეხედულებამ ფართედ გაიდგა ფესვები.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ ეს შეხედულება ჩვენ გვხვდება არა მარტო მხოლოდ სპეციალურ საისტორიო ლიტერატურაში, არამედ იგი მიღებულია სასკოლო სახელმძღვანელოებშიაც კი, რომლებიც თვით ამ ბოლო დრომდე ქვეყნდება.

ასე საშუალო სკოლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, რომელიც 1944 წელს გამოქვეყნდა, სომხეთის საზღვრებში აღნიშნულია ისტორიული ტერიტორიები სამხრეთი ქართლისა და მესხეთისა ზემო-მტკვრის და ჭოროხის ხეობებში, რომლებიც სომხური გუგარქისა და ტაიქის სახელით არიან მონათლულნი. ამ სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში, სადაც მოცემულია მიმოხილვა სომხეთის ისტორიული ტერიტორიისა, ჩვენ ვკითხულობთ:

„К северу и северо-западу от Айрарата находились области Гугарк и Тайк (в верхнем течении реки Куры и среднем течении Чороха, на границах с Грузией)...

Горная область Тайк, где течет река Чорох, расположена севернее „Высокой Армении“ [Бардзер-Хайк, провинции Великой Армении]...

К востоку от Тайкской области, в северной части Великой Армении расположен бассейн верхнего течения р. Куры. Еще восточнее идут горы Малого Кавказа — Мокрыя горы [Джавахетские горы], Триалетский хребет и Сомхетские горы с вершинами Лож и Лалвар.

В пределах северной Армении находятся озера Чалдыр и Арпа...

В северной части Армении, между Мокрыми и Сомхетскими горами, расположено вулканическое Лорийское плато...»¹ და სვ.

მოკლედ ისტორიული სომხეთის ნაწილად აქ ჩათვლილია სამხრეთი ქართლისა და სამხრეთი მესხეთის ტერიტორიები ზემო-მტკვრისა და ზემო-ჭოროხის ხეობებში.

ავილთ აგრეთვე ამ ბოლო დროს, 1948 წელს გამოცემული „Атлас Истории СССР, часть I, для средней школы“ (под общей редакцией проф. К. В. Базилевича, И. А. Голубцова, М. А. Зиновьева. Утвержден Министерством Просвещения РСФСР). ამ ატლასში, რუკებზე 3, 3-в, 5-а და 5-в ისტორიული საზღვრები სომხეთისა ნაჩვენებია ზემოთაღნიშნულ კონცეპციასთან შეფარდებით.

რუკაზე 3-а, სადაც აღნიშნულია სომხეთის საზღვრები მე-3 საუკუნისა (ძველი წელთაღრიცხვით) სომხეთის ფარგლებში ნაჩვენებია მტკვრის სათავეები, ჭოროხის ხეობით.

რუკებზე 5-а და 3 სომხეთის საზღვრები მეორე პირველი საუკუნეებისა (ძველი წელთაღრიცხვით, 189 წლიდან მოკიდებული ვიდრე პირველი საუკუნის შუა წლებამდე) ასე აღნიშნული: სომხეთის საზღვრებში მოქცეულია მთელი სამხრეთი ქართლი ვიდრე არმაზ-მცხეთამდე, და ამას გარდა მესხეთის უდიდესი ნაწილი, სახელდობრ ტერიტორია შემდეგი 7 პროვინციისა: ჯავახეთისა, არტანისა, კლარჯეთისა, შავშეთისა, ნივალისა, ტაოთა და სპერისა-მესხეთის ქვეყნებიდან სომხეთს გარეთ დარჩენილია სამცხე და აჭარა.

¹ ს. ბ. История Армении, 1944 წ. გვ. 8, 3.

რუკაზე № 8, სადაც აღნიშნულია სომხეთის საზღვრები პირველი საუკუნიდან მეოთხე საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვით (62—387 წ.), სომხეთის ფარგლებში ნაჩვენებია ეგვიპტე, ტერიტორია, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ სომხეთის ფარგლებს გარეთ დატოვებულია ნივალისხევი (რომელიც დასავლეთ საქართველოსთან არის მთელილი); სომხეთთან აქ მთელილია მთელი სამხრეთ-ქართლი ვიდრე მცხეთა-არმაზამდე და მესხეთის 6 პროვინცია (ჯავახეთი, არტანი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაონი, სპერი).

საქართველო-სომხეთის ისტორიის აქ დასახელებულ საკითხთა დამახინჯებით ვაშუქებაში თავისი „წვლილი“ შეიტანა კერძოდ აკადემიკოსმა ნ. მარმა.

აქ საჭიროა საგანგებოდ შეეჩერდეთ ამ საგანზე, რადგან ნ. მარმა თავისი მცდარი დებულებანი დაუკავშირა სწორედ იმ ძეგლის განხილვას, რომელიც აქ ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს, გიორგი მერჩულის ნაწარმოებთან — ცხობრება გრიგოლ ხანძთელისა.

სახელდობრ მესხეთის ის ნაწილი, — კ ლ ა რ ჯ ე თ ი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის უშუალო ასპარეზს წარმოადგენდა, კლარჯეთი, სადაც მე-8 — 9 საუკუნეთა მანძილზე, განთმული ქართველი მოღვაწეების გრიგოლ ხანძთელისა და იბერიის მეფე-კურაპალატის აშოტ I დიდის დროს დაირწა აკვანი საქართველოს კულტურული და პოლიტიკური აღორძინებისა, — ეს მხარე, კლარჯეთი, ნ. მარმა ეთნოგრაფიულ სომხეთად გამოაცხადა.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ საისტორიო ლიტერატურაში იყო სისტემატიური ცდა სამხრეთი ქართლისა და მესხეთის მხარეების, მათ შორის კლარჯეთის, სომხეთის პროვინციებად გამოცხადებისა, მაგრამ ნ. მარმა ამ მხრივ, ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯებაში, შეიძლება ითქვას — ერთგვარ მწვერვალს მიაღწია.

სახელდობრ ის მკვლევარნი, რომელნიც გამოსთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ქვემო-ქართლისა და მესხეთის მხარეები, მათ შორის კლარჯეთი, სომხეთის ნაწილს შეადგენდაო, ამას მაინც მიაკუთვნებდნენ შედარებით შორეულ წარსულს; ხოლო ნ. მარმა თარიღი მნიშვნელოვნად გადმოსწია ახალი საუკუნეებისაკენ.

ასე მაგალითად არმენისტები პ. პიუბშმანი და ნ. აღონცი იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ დიდი ნაწილი საქართველო-სომხეთის „სადაო“ სანაპირო ტერიტორიებისა ქართველებმა შეიერთესო ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დასასრულს, მე-4 საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა. პ. პიუბშმანისა და ნ. აღონცის დასკვნით ამ დროიდან (მე-4 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვისა) — საქართველოს საზღვრებშია მოქცეული სამხრეთი ქართლი მთლიანად და მესხეთის პროვინციების მთავარი ნაწილი, მათ შორის კლარჯეთი. მხოლოდ შემოერთება საქართველოსთან მესხეთის უციდურესი სამხრეთი ნაწილისა — ტაოს ზონისა — მიკუთვნებულია უფრო გვიანი ხანისათვის, მე-8 საუკუნის შემდეგ.

ხოლო ნ. მარის მტკიცებით შემოერთება საქართველოსთან როგორც ტაოს ზონისა, ისე აგრეთვე კლარჯეთისაც, ვითომც მხოლოდ ამ გვიან ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეებში მოხდა.

მაგრამ ეს ცოტაა. ნ. მარის დასკვნით, თუმცა კლარჯეთი, ტაოსთან ერთად შემოერთებულ იქნაო საქართველოსთან მე-8 — 9 საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი ვითომც ამის შემდეგაც სომხური დარჩა. კლარჯეთი, ისევე როგორც ტაო, დასახლებული იყო სომხებით, რომლებიც სარწმუნოებით ქალკედონიტები (ე. ი. მართლმადიდებლები) იყვნენო. კლარ-

ჯეთისა და ტაოს მოსახლეობას ვითომც აერთებდა საქართველოსთან მხოლოდ ეს სარწმუნოებრივი ერთობა (მართლმადიდებლობა — ქალკედონიტობა). ამ სარწმუნოებრივი ერთობის ნიადაგზე მოხდაო თანდათან დაახლოვნება კლარჯეთის და ტაოს სომხობისა ქართველობასთან და შემდეგ თანდათან მათი გაქართველებაო. ეს პროცესი კლარჯეთისა და ტაოს სომხური მოსახლეობის გაქართველებისა, რაც ნ. მარის დასკვნით ვითომც მე-8 — 9 საუკუნეებში დაიწყო, გაგრძელდაო ამის შემდეგ მთელი საუკუნეები და არ იყოო დასრულებულ თვით მე-11 საუკუნის დასასრულსაც კი; ამ დროისათვის, მე-11 საუკუნის დასასრულისათვის, კლარჯეთისა და ტაოს მოსახლეობა ჯერ კიდევ ვითომც ორ-ენიანი იყოო და თუმცა ქართული შეთვისებული ჰქონდა, მაგრამ სომხური დედა-ენა ჯერაც ვადავიწყებული არ ჰქონიაო. ამ-რიგად ნ. მარის მტკიცებით კლარჯეთისა და ტაოს მოსახლეობა, თვით შემდგომ ხანაშიც, ეს იყვნენ არა ქართველები, არამედ ძირითადში გაქართველებული სომხები.

ასეთია ნ. მარის კონცეპცია მესხეთის ამ მხარეების — კლარჯეთისა და ტაოს ისტორიის შესახებ.

ჩვენ მოგვიხდება დეტალურად განხილვა ნ. მარის ამ შეხედულებათა, საიდანაც ცხადი გახდება, რომ ნ. მარის ეს კონცეპცია თავიდან ბოლომდე მცდარია და ყალბი.

მაგრამ წინასწარ საკირო იქნება უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ნ. მარის დებულებებს აქ აღძრულ საკითხთა გამო ნ. მარის სხვადასხვა დროის ნაწერების მიხედვით.

პირველი ნარკვევი, სადაც ნ. მარმა ფართოდ გაშალა ეს კონცეპცია კლარჯეთისა და ტაოს მხარეთა შესახებ, ეს არის ნ. მარის წერილი „Аркауи, монгольское название христиан, в связи с вопросом об армяцах халкедонитах“, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა. ეს წერილი ერთგვარა შესავალია იმ გამოკვლევისა რომელიც შემდეგ ნ. მარმა დაურთო გიორგი მერჩულის ძეგლის — გრიგოლ ხანძთელის ცხორების გამოცემას.

„Аркауи“-ში ნ. მარი შემდეგსა სწერს კლარჯეთისა და ტაოს მხარეთა შესახებ, რომელთა მოსახლეობას ვითომც სომეხი ქალკედონიტები (სომეხი მართლმადიდებლები) შეადგენდნენ.

„... В связи с национализацией армянской антихалкедонской церкви, в среде халкедонитов (армян) происходит обратное явление, именно денационализация, нанесшая армянскому народу громадный ущерб, и численный и нравственный... Благодаря этому процессу денационализации армян-халкедонитов, Грузия обогатилась двумя областями, в высшей степени производительными, прямо таки блестящими в культурной жизни Грузии. Речь идет о Тао и Кларджетии...“

„В начале 9-го века положение армян халкедонитов в Армении... было еще настолько прочно, что они стремились к господству. Северо-западная Армения, с областями Клардж (Кларджетия) и Тайк (Тао), в это время была в их руках. Халкедонитство здесь находило горячую поддержку не только в греках, но и в грузинах. Артануджские Багратиды, владельцы края, были уже халкедониты, и это не мало способствовало торжеству халкедонитов на этой окраине...“

„... Здесь (в Кларджетии и Тао) обосновываются молашествоующие грузины, все на сидевших армянских постройках... И в эту же эпоху, в 9-ом, даже в 10 веках, грузины монахи были окружены хотя и единоверным, но все-же инородным армян-“

ским населением, и несмотря на политическое господство грузин, право называть страну грузинской, они основывали на том, что в церквах богослужение проходило на грузинском языке.¹

1906 წელს ნ. მარმა გამოსცა არაბული ვერსია გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, რომლის შესავალში ნ. მარი ეხება იმავე საკითხს კლარჯეთისა და ტაოს შესახებ. ნ. მარი აღნიშნავს, რომ არტანუჯში ვითომც არსებობდა სომხური საპიტიახშო („Артануджское бдшехство“ — „армянское бдшехство в бассейне реки Артанудж“); ამ სომხური საპიტიახშოს არსებობამ არტანუჯში ვითომც გასტანა მე-8 საუკუნის ნახევრამდე, რის შემდეგაც ეს მხარე, ნ. მარის სიტყვით, ქართველების გავლენის ქვეშ მოექცაო. „Со второй половины 8-го века, — წერს ნ. მარი, — в Тао-Кларджетии начинается грузинское церковное строительство, армянское халкедонитское население грузинируется“.

ხოლო საკითხავია, საიდან სჩანს, რომ მე-8 საუკუნის ნახევრამდე არტანუჯში ვითომც არსებობდა სომხური საპიტიახშო?

ამის საბუთად ნ. მარი იმას ასახელებს, რომ გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში ვითომც მოიხსენება არტანუჯის საპიტიახშო, როგორც შემადგენელი ნაწილი სომხეთის სამეფოსიო.

ჩვენ უკვე გვეჩონდა შემთხვევა გამოგვეჩვენა, რომ ნ. მარის ეს ცნობა არტანუჯის სომხური საპიტიახშოს შესახებ ტენდენციურს, ყალბ ცნობას წარმოადგენს. გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში, როგორც გამოიჩვენა, არავითარ არტანუჯის საპიტიახშოს შესახებ არაა საუბარი; გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში დასახელებული ყოფილა არა არტანუჯის საპიტიახშო (რომელიც იბერიაში, ქოროხის ხეობაში მდებარეობდა), არამედ არზანენის საპიტიახშო, რომელიც სულ სხვა ზონაში, ტივროსის ხეობაში მდებარეობდა².

მაგრამ ნ. მარის ცნობათა ტენდენციურობისა და მცდარობის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით შემდეგ გვეჩვენება საუბარი.

1911 წელს ნ. მარმა გამოაქვეყნა ტექსტი გიორგი მერჩულის ძეგლისა — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა, რომელსაც შესავალის სახით დაურთო გამოკვლევა.

ამ შესავალ გამოკვლევაში ნ. მარი ეხება რა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის უშუალო ასპარეზის — კლარჯეთის მხარის ისტორიას, აღნიშნავს, რომ ვითომც კლარჯეთის მხარეში რამდენჯერმე შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობა.

ნ. მარი კლარჯეთის მხარის ისტორიის გამო აყენებს შემდეგ დებულებებს:

1. კლარჯეთი ანტიკურ ხანაში, უძველეს პერიოდში („на заре исторической жизни“), ნ. მარის დასკვნით დასახლებული იყო „თუბალ-კაინური“ (მეგრულ-ქანური) ტომებით;

2. შემდეგს მეორე პერიოდში კლარჯეთი ვითომც შედის სომხეთის ფარგლებში და მოსახლეობაც აქ სომხური ხდება;

3. კლარჯეთის ისტორიის მესამე პერიოდში, რომელიც დაიწყო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან (ახალი წელთაღრიცხვით) კლარჯეთი ვითომც მოექ-

¹ იხ. ნ. მარი, Архаун..., გ. 16 — 17, 6, 22.

² იხ. ზევით, თავი VII („მნათობი“, № 8, გვ. 119 — 126).

ევეა ქართველების გავლენის ზონაში და ვითომც მომდევნო მე-9 — 11 საუკუნეთა მანძილზე სწარმოებს კლარჯეთის სომხური მოსახლეობის თანდათან გაქართველებად;

4. უკანასკნელ მეოთხე პერიოდში (მე-16 საუკუნიდან მოკიდებული) მოხდა კლარჯეთის მოსახლეობის გათურქება.

5. მარი, გრიგოლ ხანძთელის ცხორების გამოცემასთან დაკავშირებით შესავალ წერილში წერს:

„Поле ближайшей деятельности Григория Хандзтйского, окрещенное тогда же в Грузинский Синай (=Кларджетия или Кларджия), настолько изолировано природой, что казалось бы, течения окружающей исторической жизни должны были без особого следа проходить мимо. Между тем все сколько нибудь серьезные и длительные исторические процессы, а их в жизни края были несколько, оставили глубокие следы в Кларджии...“

„...Кларджия, и тесно связанная с ней область Тая, на заре исторической жизни является с тубал-кайским (= мегрело-чанским) населением, родственным грузинскому...“

„Органической и реальной историей края, серьезными и длительными историческими процессами объясняется то, что население края из «фетических племен тубал-кайской (= мегрело-чанской) группы перерождается в армян, из армян перерождается опять в яфетидов, но грузин, из грузин перерождается в турок.“

„Перерождение грузин в турок, составляющее последний период в жизни края, заслуживает достаточно хорошо. Процесс отуречения прошел три момента. Сначала шло политическое вращение края в турецкий государственный организм, затем религиозная переработка — обращение в мусульманство, довершившееся лишь в XVIII — XIX веках, и наконец лингвистический момент процесса“.¹

ამის შემდეგ, ნ. მარი ეხება კლარჯეთის ისტორიის უძველეს პერიოდს, როდესაც ვითომც „თუბალ-კაინური“ კლარჯეთი სომხეთში გადავიდა და მოსახლეობაც კლარჯეთისა სომხური ვახდა: ნ. მარი წერს:

„Для древнейшего исторического процесса, перерождения тубал-кайнов нашего края в армян, мы располагаем столь скудными данными, что пока можем утверждать самый факт, но не можем представить исторического развития этого дела“. ნ. მარი ასახელებს ერთადერთ წყაროს, იოანე მამიკონიანის მატიანეს, რომელიც მე-7 საუკუნეს ეხება, და საიდანაც ვითომც ირკვევა, რომ აქ ადგილი ჰქონდა „სომხური იმიგრაციულ მოძრაობას“².

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ იოანე მამიკონიანის მატიანეს და ვნახავთ, რომ არაფერი ამის მსგავსი ამ ავტორს მოთხრობილი არა აქვს. პირიქით იოანე მამიკონიანის მატიანიდან სულ სხვა რამ ირკვევა, სახელდობრ ის, რომ კლარჯეთი მე-7 საუკუნეში ქართულ მხარეს წარმოადგენდა. ნ. მარი სრულიად თვითნებურაა და ტენდენციურ განმარტებას აძლევს იოანე მამიკონიანის ტექსტს. ისევე როგორც „არაზანენა“ ნ. მარის ხელში „არტანუჯად“ იქცა, ასევე ტენდენციურია და მცდარი ნ. მარის ინტერპრეტაცია იოანე მამიკონიანის მატიანისა.

მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. აქ კი ჯერ დავუბრუნდეთ ნ. მარის ხარკვევს. ნ. მარი ამის შემდეგ ეხება კლარჯეთის ისტორიის შემდეგს პერიოდს, როდესაც ეს ვითომცდა სომხური მხარე — ქართულად გადაიქცა („среднего исторического процесса, обращения края из армянского в грузинский“);

¹ იხ. ნ. მარი, დასახელებული გამოცემა, გვ. II—III.

² იხ. იქვე, გვ. III—IV.

ნ. მარის მტკიცებით ამ პროცესმაც ვითომც სამი ფაზა განვლო: პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და ენობრივი: „процесс грузинизации края [обращение края из армянского в грузинский] — прошел также три момента: политический, религиозный и лингвистический“¹.

ნ. მარის მტკიცებით კლარჯეთის მხარე საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში ვითომც მოექცა მე-8 საუკუნის ნახევრის შემდეგ. ამ დროიდანვე, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში ვითომც პირველად სწარმოებს ქართული სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში. და ქართული ეკლესიის გავლენის განმტკიცება ამ მხარეში; ამას კი ვითომც შედეგად მოჰყოლია კლარჯეთის სომხების ქართულ ეკლესიასთან დაკავშირება, რაც კიდევ უფრო გააძვილა იმ გარემოებამ, რომ ამ მხარის სომხობა მართლმადიდებლობას (ქალკედონიტობას) მისდევდაო. ნ. მარის ცნობით ვითომც ირკვევა, რომ კლარჯეთის მხარის მკვიდრი მოსახლეობა — „армянское население было халкедонитское (православное), и оно после появления грузинских обитателей, продолжало долго, вплоть до конца 14-го века, сохранять параллельно с грузинским родной армянский язык, из которого в тоже время в местную грузинскую речь и в грузинские литературные памятники, возникавшие на месте, естественно входила лексические и иные арменизмы.

„Есть и в самом житии намек на то, что грузинский язык в Кларджии был лишь церковным, а не разговорной речью всего населения даже в половине 10-го века, когда писал Георгий Мерчул“².

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ნ. მარის მტკიცებით განთქმული ქართული სავანეები კლარჯეთში ვითომც არაა ქართული წარმოშობისა, ეს სავანეები აღრიზნულ ხანაში ვითომც სომხების მიერ იყო დაარსებული. ქართველები კლარჯეთში მოსვლის დროს, გვიან ხანაში (მე-8—9 საუკუნეებში) მხოლოდ დამკვიდრდნენ სომხების მიერ აშენებულს ამ მონასტერ—სავანეებში, რომლებიც სომხების მიერ მიტოვებულ იქმნენ არაბების შემოსევების შედეგად.

ნ. მარი წერს:

„Грузинские монахи и в Кларджии нашли армянские монастырские постройки в состоянии полного разорения или запущенности, после какого-то разрушения. „Во всем крае, пишет агнограф, был всего один монастырь, Опиза, по всей видимости уже грузинский“.³

ნ. მარი შენიშნავს ოპიზის შესახებ:

„Первая грузинская монастырская колония в Кларджии [Опиза] осела на одном из совершенно свежих пепелищ армянских обитателей, так как арабы предали край огню и мечу при Халифе Хишаме (724 — 744) в 730-м или 731 году...“⁴

ამრიგად, ნ. მარის ცნობით, ოპიზა ვითომც სომხურს მონასტერ — სავანეს წარმოადგენდა, რომელიც შემდეგ ქართველებმა დაიჭირესო. მაგრამ ეს ცოტაა. ნ. მარის დასკვნით ვითომც სომხური წარმოშობისა იყო არა მარტო ოპიზა, არამედ კლარჯეთის ყველა დანარჩენი სავანეები. ნარკვევში „Аркауи...“ ნ. მარი წერდა: „Здесь (в Кларджетии и Тао) обосновываются монашеские грузины, все на овдовевших армянских постройках...“⁵

¹ იხ. იქვე, გვ. IV.

² იხ. იქვე, გვ. XVI.

³ იხ. იქვე, გვ. XV.

⁴ იხ. იქვე, გვ. XXII.

⁵ იხ. Аркауи, გვ. 22.

მასხადამე, ნ. მარის დასკვნით გამოდის, რომ ვითომც სომხური წარმოშობისა ყოფილა საქართველოს სინაის ყ ვ ე ლ ა განთქმული ქართული საეწეები, როგორც ოპიზა, ისე შატბერდი, მერე, დაბა, მიძნაძორთი, ბარეთელთა, წყაროსთავი, ბერთა, ჯემრკი, პარენი, დოლისყანა...

აქეს კი რაიმე საერთო ნ. მარის ამ მტყიცებას ისტორიულ სინამდვილესთან? როგორც შემდეგ დავინახავთ, არავითარი!

აქ ისტორიული კეშმარიტების ტენდენციური დამახინჯება მართლაც რომ ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

ასეთია ის შეხედულებანი, რომელიც გამოსთქვა ნ. მარმა გიორგი მერჩულის ძეგლის — გრიგოლ ხანძთელის ცხორების — შესავალ წერილში, სადაც მან გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ადგილი — კლარჯეთის მხარე — არაქართულ ქვეყანად აღიარა, ხოლო საქართველოს სინაის ყველა ქართული სავანეები არა-ქართული წარმოშობისად გამოაცხადა.

ეს შეხედულება კლარჯეთის შესახებ ნ. მარს განმეორებული აქვს მთელ რიგ სხვა ნარკვევებში.

ცალკეა აღსანიშნავი ნ. მარის ნარკვევი: „**Батум, Ардаган, Карс, — исторический узел межнациональных отношений Кавказа**“, რომელიც ლექციად იყო წაკითხული 1918 წელს და შემდეგ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1922 წელს.

ამ ნარკვევში ნ. მარი ეხება როგორც კლარჯეთსა და ტაოს, ისე მესხეთის სხვა მხარეთა საკითხსაც.

1. კლარჯეთის შესახებ ნ. მარი კვლავ იმეორებს და ავითარებს თავის ძველ კონცეპციას, რომ კლარჯეთი ვითომც მხოლოდ მე-8 საუკუნის შემდეგ ხდება ქართულ მხარედ¹.

2. ზემო-მტკვრის ხეობის — არტაანის მხარის შესახებ ნ. მარს გამოთქმული აქვს მოსაზრება (სრულიად დაუსაბუთებლად!), რომ ვითომც არტაანის მხარე ისტორიულ წარსულში ყოველთვის არ იყოო საქართველოს ფარგლებში, არამედ ზოგჯერ სომხეთისადმი კუთვნილ ყარსის მხარესთან იყო დაკავშირებული².

3. ნ. მარს გამოთქმული აქვს მოსაზრება, აგრეთვე სრულიად დაუსაბუთებლად, რომ გოგარენი — გუგარქი (რომელიც ერთხანად ანტიკურ ხანაში სომხებს ჰქონდა დაპყრობილი), ვითომც შეიცავდაო კერძოდ სამცხესაც, ე. ი. ახალციხის მხარეს³. ნ. მარი ამ-რიგად „აფართოებს“ ჰ. ჰიუმბმანისა და ნ. აღონცის მიერ მოხაზულს გოგარენის ტერიტორიას. (ჰ. ჰიუმბმანისა და ნ. აღონცის დასკვნით სამცხე — ახალციხის მხარე გოგარენის ფარგლებში არ შედიოდა).

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარის ეს ნარკვევი **Батум, Ардаган, Карс** — აშკარად ტენდენციურ ხასიათს ატარებს. ამ ნარკვევში საქართველოსა და სომხეთის ისტორიის სრულიად ნათელი საკითხები ტენდენციურად არის ერთგვარ ბურუსში გახვეული.

ნ. მარის სიტყვით მესხეთის მხარეებში იმდენად გადაჯაჭვულიაო ერთმა-

¹ იხ. გვ. 40—43, 21 და სხვ.

² იხ. გვ. 5—6.

³ იხ. გვ. 6.

ნეთთან კავკასიელ ხალხთა ისტორია, რომ ეს მხარე წარმოადგენს კავკასიელ ხალხთა ეროვნული ინტერესების ერთგვარ გაუხსნელ კვანძს; ნ. მარტი წერს: „...наш край не только узел, но и неразвязываемый узел общих кавказских интересов, и армян, и грузин, а ныне и турок мусульман“¹.

ცალკე აღსანიშნავი ნ. მარის ორქოფული პოზიცია არტაანის (არტაან-კოლას) და აგრეთვე ტაოს მხარის ეროვნული კუთვნილების საკითხში, საკითხში — თუ რომელ ერს აქვს ამ მხარეებზე ისტორიული უფლებები. თუმცა ნ. მარი ამ ორი მხარის არტაანის (არტაან-კოლას) და ტაოს ეროვნული კუთვნილების საკითხის გამო მთელი ნარკვევის მანძილზე პირდაპირსა და გარკვეულს არას ამბობს და ბუნდოვანი შენიშვნებით კმაყოფილდება, მაგრამ საბოლოო დასკვნებში იგი ამკლავებს თავის პოზიციას. ნ. მარი ამ დასკვნებში იმ აზრს ატარებს, რომ ბათომის მხარე უნდა ჩაითვალოს საქართველოს ეროვნულ ტერიტორიად, ხოლო ყარსის მხარე — სომხეთის ეროვნულ ტერიტორიად². ხოლო რამდენადაც არტაანისა და ოლთისის ოლქები ადმინისტრაციულად ყარსის მხარეში იყო მოქცეული, ამდენად ნ. მარი არტაანისა და ოლთისის ოლქებს (ე. ი. ისტორიული მესხეთის არტაან-კოლასა და ტაოს პროვინციებს) გამოირიცხავს საქართველოს ეროვნული ტერიტორიის შემადგენლობიდან.

როგორც ცნობილია, ნ. მარი კავკასიის ხალხთა ისტორიის დიდ და გახუცულ ავტორიტეტად ითვლებოდა და ამიტომაც ნ. მარის ზემოთაღნიშნულმა შეხედულებამ მესხეთის მხარეთა ისტორიის საკითხთა გამო, შეხედულებამ, რომ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის უშუალო ასპარეზი — კლარჯეთის მხარე ვითომც არ იყო ძირეული ქართული ქვეყანა, ამ შემდარმა და ტენდენციურმა კონცეპციამ ფართე გავრცელება მიიღო. ეს შეხედულება განმტკიცდარუსულ და ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში.

ამ შეხედულებას მიმდევრები და დამცველები გამოუჩნდნენ ქართველ მკვლევართა შორისაც.

კერძოდ ნ. მარის ეს კონცეპცია თავიდანვე გაიზიარა აკად. კ. კეკელიძემ, რომელიც დღემდე მის დამცველად გამოდის. ასე მაგალითად ქართული ლიტერატურის ისტორიის უკანასკნელ გამოცემაში, რომელიც 1941 წელს გამოვიდა, კ. კეკელიძე კვლავ იმეორებს იმ აზრს, რომ კლარჯეთი (ტაოსთან ერთად) ვითომც უკავშირდება საქართველოს მხოლოდ მე-8 საუკუნის შემდეგ, და რომ ეს მხარე კლარჯეთი, ეთნოგრაფიულად ვითომც არ იყო ქართული ქვეყანა. კ. კეკელიძე, ეხება რა ქართველ-სომეხთა ლიტერატურულ ურთიერთობას მე-9 — 10 საუკუნეებში, წერს:

„აღნიშნულ ხანაში [მე-9 — 10 საუკუნეებში] ქართველებს თითქმის იმავე ერიბთან აქვთ ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა, რომლებთანაც პირველ პერიოდში [მე-9 საუკუნემდე] ბერძნებთან, ასურელებთან და სომეხებთან“ ახლაც [მე-9 — 10 საუკუნეებში] განაგრძობენ ქართველები სომხური ენიდან თარგმნას. საქმე ისაა, რომ ტაო-კლარჯეთი, სადაც მერვე საუკუნის ნახევრიდან დამკვიდრდნენ ქართველები, და რომელიც ქართული მწერლობის ერთერთ უძლიერეს ცენტრად გახდა, დასახლებული იყო ქალკედონისტ სომეხებით. რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართული საეიენ აქ სომეხთა ნამონასტრალზე გაშენდა³. იი — სწორედ ამ წარსულში,

¹ იბ. გვ. 8.

² იბ. გვ. 47 — 48.

³ კ. კეკელიძე აქ იმეორებს ნ. მარის მცდარ ცნობას კლარჯეთის სივანეთი არა-ქართული წარმოშობის შესახებ.

სადაც სომხები და ქართველები ერთმანეთს პირდაპირ ხედებოდნენ, განავრცობდა არსებობას სომხ-ქართველთა ლიტერატურული ერთობა და კავშირი. მართალია აქაური სომხები უკვე გაქართველების გზაზე იყვნენ დამღვარი, მაგრამ ძლიერნი ლიტერატურულ მემკვიდრეობით და ტრადიციებით, ისინი ჯერ კიდევ აძლევდნენ ერთმორწმუნე ქართველ მწიგნობრებს უშუალო შედეგებისა და სათარგმნ მასალას: ქართველები მათგან სთარგმნიან არა მარტო მე-8—9, არამედ მეთათეზიად...“ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტ., 1941 წლის გამოცემა, გვ. 47).

როგორც ვხედავთ კ. კეკელიძე აქ ახალს არას გვეუბნება... აქ უცვლელად გადმოწერილია ნ. მარის მცდარი, ტენდენციური დებულებანი.

აქ აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომების სერიაში ამ ბოლო დროს (1944 წ.) გამოქვეყნებული ილია აბულაძის წიგნი: „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9—10 საუკუნეებში“.

ეს წიგნი აგრეთვე ეკუთვნის იმ შრომათა რიცხვს, რომლებიც დამახინჯებით წარმოგვიდგენენ საქართველოს სამხრეთი მხარეების ისტორიას.

დასახელებული წიგნი ძირითადად იმეორება იმ მცდარ დებულებებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ მესხეთის სანაპირო მხარეთა ისტორიის შესახებ პ. პიუბშმანსა და ნ. აღონცის. ამავე დროს ამ წიგნში გაზიარებულია აგრეთვე ნ. მარის მცდარი დებულებანი კლარჯეთის და ტაოს ისტორიის საკითხებზე.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა რომ კლარჯეთის და ტაოს ისტორიის საკითხთა გამო პ. პიუბშმანისა და ნ. აღონცის კონცეპციასა და ნ. მარის კონცეპციას შორის ერთგვარი სხვაობაა.

პ. პიუბშმანისა და ნ. აღონცის დასკვნით ქართველებმა ვითომც მე-4 საუკუნეში შეიერთეს კლარჯეთის მხარე (რომელიც ვითომც მანამდე სომხეთის ფარგლებში შემავალი „გუგარქი“-ს ნაწილს შეადგენდა). რაც შეეხება მესხეთის უკიდურეს სამხრეთ სექტორს — ტაოს ზონას, მისი შემოერთება ქართველების მიერ უფრო გვიან ხანისათვის არის ნაგარაუდები, არა უადრეს მე-8 საუკუნისა.

რაც შეეხება ნ. მარს, მას, როგორც მოხსენებული გვქონდა, მთელი ჭოროხის ხეობის ვითომცა „გაქართველების“ თარიღი უფრო ახალი დროებისაკენ აქვს გადმოწეული: ნ. მარის მტკიცებით, როგორც ტაო, ისე კლარჯეთიც, ვითომც მხოლოდ მე-8 საუკუნიდან მოექცა საქართველოს გავლენის ზონაში.

ილ. აბულაძის წიგნში ჩვენ გვაქვს ამ ორი ზაზის, ერთის მხრით პ. პიუბშმანისა და ნ. აღონცის უფრო „ზომიერი“ დებულების, ხოლო მეორეს მხრით ნ. მარის „მაქსიმალისტური“ დებულების ერთგვარი შეთანხმების ცდა.

ილ. აბულაძე თავის წიგნში უპირატესად ეხება ტაოს ისტორიას (ძირითადად პ. პიუბშმანისა და ნ. აღონცის კონცეპციის მიდევნებით). ილ. აბულაძის დასკვნით ტაოს შემოერთება საქართველოსთან მე-8 საუკუნის დასასრულს მომხდარა (იხ. გვ. 09—010). ამასთან ილ. აბულაძე ვარაუდობს, რომ ეს სომხური ტაო „ტაიქი“ ვითომც შეიცავდა მთელ იმ ტერიტორიას, რომელიც გვიან ხანაში ტაოს ფარგლებში იყო მოქცეული, ე. ი. როგორც იმიერ ტაოს, ისე აგრეთვე იმიერ ტაოსაც (ბანა-ოლთისის ზონას); ამას გარდა სომხური ტაო „ტაიქი“-ს ფარგლებში ვითომც შედიოდა ზემო-მტკვრის ხეობის ნაწილი, კოლას

რაიონი (რომელიც სინამდვილეში არტაანს, ჯავახეთის საერისთავოს ეკუთვნოდა).

ილ. აბულაძის დასკვნით ტაო (ამ ვრცელ საზღვრებში) მოსახლეობის შემადგენლობის მხრით ვითომც ძირითადად სომხურ მხარეს წარმოადგენდა, იგი მე-8 საუკუნისათვის, წერს ავტორი, „ძირითადად სომეხ თუ გასომხებული ელემენტებისაგან შესდგებოდა“-ო (გვ. 010). უფრო გვიან ხანაში ვითომც მოხდა ტაოს ამ სომხური მოსახლეობის გაქართველება. ავტორის სიტყვით — „ტაოს პოლიტიკურად დაუფლებას ქართველთა მიერ და მის ქართველთა სამეფოს ნაწილად გადაქცევას თან მოჰყვა მისი კულტურულად დაუფლება“ (გვ. 010).

ასეთია ავტორის დებულებანი ტაოს შესახებ.

ხოლო როგორი ვითარება იყო, ავტორის აზრით, კლარჯეთში?

ავტორის დასკვნით კლარჯეთშიაც იგივე ვითარება ყოფილა, რაც ტაოში; კლარჯეთის შემოერთება ქართველების მიერ ვითომც აგრეთვე მე-8 საუკუნეში მომხდარა და მოსახლეობის ძირითადი ფენი, კლარჯეთშიაც, ისევე როგორც ტაოში, ვითომც სომხური ყოფილა. ილ. აბულაძე წერს, რომ „ტაო-კლარჯეთის სომხობა—მე-8 საუკუნის გასულიდან „ქართველთა სამეფო“-ში შენოვიდა“ (გვ. 13).

ამრიგად ილ. აბულაძე აქ უცვლელად იმეორებს ნ. მარის კონცეპციას კლარჯეთის შესახებ, რომელსაც იგი ათავსებს და ათანხმებს ჰ. ჰიუმბოლდტისა და ნ. აღონციის კონცეპციასთან. ილ. აბულაძე აცხადებს, რომ ნ. მარმა სწორად გადასწყვიტაო ტაოსა და კლარჯეთის ისტორიის საკვანძო საკითხები და რომ ნ. მარის „Аркау“-ში (რომელსაც ილ. აბულაძე „მეტად საგულისხმო ნაშრომს“ უწოდებს) სწორედ არისო გაშუქებული, თუ როგორ მიმდინარეობდაო ჰეროზის ხეობის სომხობის „ყოველმხრივი გაქართველების პროცესი“-ო.

ილ. აბულაძეს ისტორიული თავგადასავალი როგორც ტაოსი, ისე კლარჯეთისა მე-8 საუკუნის შემდეგ (როდესაც ვითომც კლარჯეთი, ტაოსთან ერთად, შემოერთებულ იქმნა საქართველოსთან), კულტურული ცხოვრება ამ მხარეთა, ასე აქვს წარმოდგენილი:

„ტაო-კლარჯეთის სომხობა, რომელიც მე-8 საუკუნის გასულიდან „ქართველთა სამეფო“-ში შემოვიდა, ქართველთა გავლენის სფეროში მოხვედრით, აკად. ნ. მარის სიტყვით, შეერწყმის ქართველობას. მოწყვეტილი შობილურ ნიადაგს (—სომხეთს), სადაც მისი თანამოაზრენი (სომხები-ქალკედონიტები) უკვე მოკლებული იყვნენ ფართე შემოქმედებით გასაქანს, ის (ტაო-კლარჯეთის სომხობა) ერთხანს მუშაობას მწერლობის დარგში დამოუკიდებლად ეწევა (სომხურ ენაზე). ეველადური რაც მას წინანდელი შემოქმედებიდან ებადა, დაეული ჰქონდა და მის ათვისებას დედა-ენაზედვე (სომხურად) ახერხებდა. მაგრამ დროთა შესვლელობაში... ადგილობრივ ქართულ ელემენტებთან ურთიერთობისა და ქართულ კულტურულ სამყაროსთან აბლო კავშირის გამო მისთვის სომხურ ლიტერატურულ ენაზე არსებული ძველები ადვილად გასაგებ აღარ აღმოჩნდარა. საჭირო გამხდარა ამ ძველების გადმოთარგმნა უფრო ადვილად გასაგებ ენაზე, ამ შემთხვევაში ქართულზე... ამ დარგში (მაგიერაფიული მწერლობის დარგში) ტაო-კლარჯეთის სომხობის შემდეგში საკუთარი წელიც შეუტანია, მაგრამ არა სომხურ ენაზე, არამედ უფრო დასაძლევ ქართულზე... მისთვის (ტაო-კლარჯეთის სომხობისათვის) დედა-სამწერლო ენის მაგიერობას უცხო ენა (ქართული) ეწევა. დედა-ენა (სომხური) თუ ესმის მას, ისევ და ისევ სასულბო და არა სალიტერატურო ენა, ის, მოკლედ რომ მოვკრათ, გაქართველების გზაზეა დამგარი...“ (იხ. გვ. 013).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ილ. აბულაძის მტკიცებით ვითომც ტაო-კლარჯეთის სომხების მიერ არის დაწერილი ქართულად ძველი მწერლობის ძეგლი „მარტვილობა ცხრათა კოლაელთა“. ეს ძეგლი, რომელიც ტაოს მხარეს ეხებათ, დაწერილი არისო ტაო-კლარჯელ სომხების მიერ ქართულ-

ენაზე იმ ხანაში, როდესაც ტაო-კლარჯეთის სომხობა უკვე გაქართველდარ ენობრივად, და სალიტერატურო ენის ადგილი სომხურის ნაცვლად უფრო გასაგებმა ქართულმა დაიჭირაო.

საკითხავია, არსებობს კი მართლაც რაიმე საბუთი, რაც ადასტურებდეს, რომ „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“ ტაო-კლარჯელი სომხების მიერ არის დაწერილი? სინამდვილეში ასეთი საბუთი არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ეს ძეგლი ქართულია, ქართველი ავტორის მიერ არის დაწერილი.

ჩვენ ქვემოთ გვექნება შემთხვევა შევეხვით ამ ძეგლს და ჩვენ დაერწმუნდებით, რომ ილ. აბულაძის მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, მთელი მისი კონცეპცია კვიშაზე არის აგებული.

შესახებ ამ ძეგლისა — „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“ — რომელიც აღინიშნა ხანის ქართული მწერლობის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, ამ თავითვე აღინიშნავთ შემდეგს:

ილ. აბულაძე ჰფიქრობს, ვითომც ამ თხზულებაში აღწერილი ამბავი ტაოს ენება და ამიტომ ტაოში უნდა იყვეს დაწერილიო. ხოლო რაკი ტაოში სომხური მოსახლეობა იყო, ამიტომ ეს ნაწარმოებიც სომხური წარმოშობისად უნდა ვიცნოთო. ასეთია მარტივი ხაზი ილ. აბულაძის არგუმენტაციისა.

მაგრამ აქ ორმაგი შეცდომაა დაშვებული: ჯერ ერთი ეს ძველი, როგორც შემდეგ დავინახავთ, სრულიად უდავოდ ქართული თხზულებაა, და მეორედ ამ ძეგლს არაფერი აქვს საერთო არც ტაოსთან და არც კლარჯეთთანაც.

ამ ძეგლში აღწერილი მოქმედება სწარმოებს, როგორც აღინიშნა თვით ტექსტში „თავსა დიდსა მდინარისასა, რომელსა ჰრქვიან მტკვარი, ხევისა, რომელსა ჰრქვიან კოლა“.

ძველ-ქართულ და ძველ-სომხური წყაროების ჩვენებათა შედარებითი შესწავლადან ირკვევა, რომ არსებულა ორი რაიონი „ხევი“, რომელთაც ეწოდებოდა მსგავსი სახელები: „კოლა“ და „კოლი“. პირველი მათგანი, კოლა მდებარეობდა მტკვრის სათავეებში და შეადგენდა არტანის მხარის (ჯავახეთის საერისთავოს) ნაწილს. ხოლო მეორე მათგანი კოლი მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში და შეადგენდა ტაოს მხარის ნაწილს (იხ. ლეონტი მოძღვარი, ისტორია ხალხთა). შემდეგ ხანაში, ამ მხარის გეოგრაფიის უცოდინარი მწერლები ერთი-მეორეს ურევდნენ ამ ორ რაიონს.

ხოლო ჩვენს ძეგლში, როგორც მოვიხსენეთ, პირდაპირ დასახელებულია მტკვრის ხეობა, და მასასადავთ აქ იგულისხმება არტანის კოლა (ჯავახეთის საერისთავოს ნაწილი).

ამრიგად ამ ნაწარმოებს არაფერი აქვს ტაოს მხარესთან (რომელიც მთლიანად ჭოროხის ხეობაში იყო განდგენილი).

მასასადავთ ილ. აბულაძის არგუმენტაციას ყოველგვარი საფუძველი ეცლება.

აქ აღინიშნავთ ამას გარდა, რომ ეს ძეგლი, მარტილობა ცხრათა კოლაელთა, გარდა იმისა, რომ ტერიტორიულად დაშორებულია ტაოს მხარეს, იგი ქრონოლოგიურადც არ ეკუთვნის იმ ეპოქას, რომელსაც მას ილ. აბულაძე მიაწერს.

ილ. აბულაძე ჰფიქრობს, რომ მან თავისი ლიტერატურული შტუდიებით ტაო-კლარჯეთის ისტორიის კვლევის საქმეში ახალი შუქი შეიტანა. „მგონია, — წერს იგი წიგნის შესავალში, — ეხლა უფრო ნათლად და ხელშესახებლად შეიძლება იმის გათვალისწინება, თუ როდის და როგორ დაიწყო და მიმდინარეობდა ტაოს (sc. ტაო-კლარჯეთის) სომხობის ყოველმხრივი გაქართველების პროცესი, რაც ამ ორმოციოდე წლის წინათ მთავარ ხაზებში წარმოადგინა ნ. მარმა...“ (გვ. 10).

ჩვენ ვფიქრობთ, და მკითხველი ამაში შემდეგ დაერწმუნდება, რომ ვერც ნ. მარმა წარმოადგინა სწორი სურათი ტაო-კლარჯეთის მხარეთა ისტორიისა და ვერც ნ. მარის ამ მცდარი და ტენდენციური ხაზის გამგრძელებელნი ვერა სდგანან მეცნიერული კვლევა-ძიების სწორ გზაზე...

საკითხი, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ამ ბოლო წლებში მანძილზე გახდა პოლემიკის საგანი საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში.

1946 წელს გამოქვეყნდა ნ. ტოკარსკის წიგნი *Архитектура древней Армении* (რედაქტორი აკადემიკოსი ი. ორბელი). ეს წიგნი შეიცავს მთელ რიგ მდარ დებულებებს ორი მეზობელი ქვეყნის სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების ისტორიის საკითხთა გამო, ხოლო განსაკუთრებით ტენდენციურად და ყალბად აშუქებს იგი მესხეთის ხელოვნების ძეგლთა ისტორიის და საერთოდ მესხეთის ისტორიის საკითხებს.

ნ. ტოკარსკის წიგნში მესხეთის არქიტექტურის ისტორიისადმი მიძღვნილია ცალკე სპეციალური თავი (მე-6): „Танкская архитектурная школа X века“ „ტაიქის (ტაოს) არქიტექტურული სკოლა მე-10 საუკუნისა“. სახელწოდება „ტაიქი“ (=ტაო) აქ იხმარება გაფართოებული მნიშვნელობით; ტაოს ისტორიულ მხარეებთან (იმიერ და ამიერ ტაოსთან) ერთად აქ მითვლილია აგრეთვე მესხეთის მეზობელი მხარეები: კლარჯეთი და შავშეთი. „ტაიქის (ტაოს) არქიტექტურული სკოლის“ ძეგლთა სახელწოდებით აქ განხილულია ძეგლები: ოშკი, ხახული, იშხანი (ტაოს მხარეთა), ოპიზა და ფორთა-ხანძთა (კლარჯეთის მხარისა), ტბეთი (შავშეთის მხარისა).

ეს უდიადესი ძეგლები კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრებისა (რომლებიც მეტწილად მე-10 საუკუნეს ეკუთვნიან), ნ. ტოკარსკიმ გამოთიშა ქართული ხუროთმოძღვრების წიაღიდან და სომხური ხუროთმოძღვრების წრეს მიაკუთვნა.

მაგრამ ეს ცოტაა. ნ. ტოკარსკიმ, როგორც ცნობილია, სრულიად უმეცრული გაშუქება მისცა ტაო-კლარჯეთის ისტორიას. ნ. ტოკარსკის აზრით ტაო-კლარჯეთი არათუ მე-8 საუკუნემდე (როგორც ამას დაასკენიდა ნ. მარი), არამედ უფრო გვიან ხანაშიაც, მე-9—10 საუკუნეებში, ეს არისო არსებითად იგივე სომხეთის ნაწილი, რომელიც არა მხოლოდ ეთნოგრაფიულად იყო დაკავშირებული სომხეთთან, არამედ პოლიტიკურადაც სომხური ორიენტაციის გზას აღგაო. ნ. ტოკარსკი თავის უმეცრულ მტკიცებაში იქამდის მივიდა, რომ თვით დავით დიდი კურაპალატი, უდიდესი ქართველი მოღვაწე მეათე საუკუნისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სრულიად-საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, არა-ქართველ მოღვაწედ გამოაცხადა, რომელიც ვითომდა ანტი-ქართული სახელმწიფოებრივი ტენდენციების გამტარებელი იყო...

ნ. ტოკარსკის, საფუძვლიანი პასუხი ვასცა აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ წერილში: „Об одном примере искажения исторической правды“¹. უდროოდ გარდაცვლილი ქართველი მეცნიერის ეს წერილი იმდენად ფართედ არის ცნობილი, რომ ჩვენ შეგვიძლია აღარ გავაგრძელოთ მასზე სიტყვა.

ამ ბოლო დროს (როდესაც ამ ჩვენი წერილის ბეჭდვა უკვე დაწყებული იყო). გამოქვეყნდა აქ აღძრულ საკითხთა გამო წერილი ვ. მიხანკოვასი, სათაურით: „Вопросы истории культуры Армении и Грузии в работах Н. Я. Марра“, რომელიც ძირითადად წარმოადგენს პასუხს ს. ჯანაშიას ზემოთ-დასახელებული წერილისას. ჩვენ შეგვეძლო არც კი მოგვეხსენებინა ეს ავტორი, და თუ ვახსენებთ. მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნარკვევი გამოქვეყნდა ისეთ სერიოზულ სამეცნიერო ჟურნალში, როგორც არის „Вопросы Истории“

¹ იხ. ჟურნალი *Вопросы Истории*, 1947, № 5.

(სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანო)¹. ხაზგასასმელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ „Вопросы Истории“-ს რედაქციამ ს. ჯგუნაშაის წერილი დაბეჭდა შენიშვნით, ხოლო ვ. მიხანკოვას წერილი მოათავსა უშენიშვნოდ.

ვ. მიხანკოვა აღიარებს, რომ ნ. ტოკარსკი შემცდარია, როდესაც მან მე-10 საუკუნის ძეგლები ტაოსი, შავშეთისა და კლარჯეთისა მიაკუთვნა სომხურ კულტურის წრეს; ამ დროს ჭოროხის ხეობის ეს პროვინციები (ტაო-შავშეთ-კლარჯეთი) „ქართველთა სამეფოს“ ფარგლებში შედიოდა და დასახელებული ძეგლები ქართული კულტურის ძეგლებიაო.

მაგრამ რაც შეეხება უფრო ადრინდელ პერიოდს (მე-9 — 10 საუკუნეებზე უფრო ადრინდელ ხანას), ნ. მიხანკოვა სთვლის, რომ ჭოროხის ხეობის ეს პროვინციები (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი...) ეს არ იყო ქართული ქვეყანა, ქართული ენითა და კულტურით, არამედ მხარე, რომელიც პოლიტიკურად და აგრეთვე ეთნოგრაფიულადაც ძირითადად დაკავშირებული იყო სომხეთთან. ვ. მიხანკოვა სთვლის, რომ ნ. მარის კონცეპცია ტაო-კლარჯეთის ისტორიისა ეს არის ურყევი ისტორიული ჰემარიტება და იმეორებს მკითხველისათვის უკვე ცნობილს ნ. მარის დებულებებს.

ამ ბოლო დროსვე ჟურნალში Византийский Временник (1905, III) გამოქვეყნდა ა. იაკობსონის ვრცელი საქმიანი რეცენზია ნ. ტოკარსკის წიგნის გამო (გვ. 257 — 267).

ავტორი, ეხება რა ნ. ტოკარსკის წიგნის შემოთღასახელებულ მე-6 თავს „Тайкская архитектурная школа X века“ სთვლის მას ყოველმხრივ შემცდარ ნარკვევად. ა. იაკობსონი ამასთან შენიშნავს:

„Эта глава книги Н. Токарского подверглась подробному и отрицательному разбору и со стороны академика С. Н. Джанашиа, с выводами которого в этом отношении нельзя не согласиться“ (გვ. 263).

ავტორი იძლევა ტაოსი და შავშეთ-კლარჯეთის მე-9 — 10 საუკუნეთა ძეგლების მეტად საყურადღებო ანალიზს ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით და სრულის დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ ეს ძეგლები უნდა მიეკუთვნოს ნიშნდობლივ ქართულ კლასიკურ ხუროთმოძღვრებას და არა სხვას რომელსამე.

ავტორის დასკვნა გამოიხატება შემდეგის დებულებით:

„Глава VI «Тайкская архитектурная школа X века» выпадает из общей структуры книги, ибо те памятники, о которых идет речь, являются во всех отношениях памятниками грузинской архитектуры, и принадлежат они территории, которая по своей культуре к десятому веку стала уже грузинской“.

აღსანიშნავია, რომ ა. იაკობსონი, რომელიც კარგად არის ორიენტირებული ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებში და რომელიც ტაო-შავშეთ-კლარჯეთის ძეგლების ანალიზით ამტკიცებს მათს კუთვნილებას ქართული ხელოვნების წრისადმი, როგორც ეხედავთ შენიშნავს: ეს ძეგლები ეკუთვნიანო ტერიტორიას, რომელიც თავისი კულტურით მეათე საუკუნისათვის უკვე ქართული გახდაო („... принадлежат они территории, которая по своей культуре к десятому веку стала уже грузинской“).

მაშასადამე თვით ასეთი კარგად ორიენტირებული და მიუდგომელი ავტორი, როგორც არის ა. იაკობსონი, დაჯერებულია, რომ მესხეთის ტერიტორიები

¹ იხ. დასახელებული ჟურნალი, 1950 წ., № 2.

ქოროხის ზეობისა გახდა ქართული მხოლოდ ამ გვიან ხანაში. ასეთია გავლენა. მარის კონცეპციისა მესხეთის მხარეთა ისტორიის შესახებ, რომელიც დღემდე ერთგვარ დოგმად იყო მიჩნეული.

გეოგრაფიული

ჩვენ ამით დავამთავრებთ საკითხის ისტორიის ამ ზოგად მიმოხილვას.

ჩვენ გავეცანით ამ ფართედ გავრცელებულ ისტორიულ კონცეპციას, რომელიც ასეთის სისტემატიურობით მეორდება საისტორიო მეცნიერებაში საუკუნე-ნახევრის მანძილზე, რომ ვითომც სამხრეთი საქართველო, მათ შორის მესხეთის უდიდესი ნაწილი (მესხეთის ყველა სამხრეთი პროვინციები) და აგრეთვე ნახევარი ისტორიული ქართლი (სამხრეთი ქართლი) ეს თითქოს არისონაწილი ისტორიული სომხეთისა, რომელიც უფრო გვიან ხანაში საქართველომ ვითომც სომხეთიდან დაიპყრა და გააქართულა.

თუ ეს შეხედულება მართალი გამოდგებოდა, ჩვენ უნდა გავვეუქმებია, ლეგენდარულად გამოგვეცხადებინა ქართული საისტორიო წყაროები, რომლებიც ამ მხარეებს ძირეულ ქართულ ქვეყანად იგულისხმებენ, და არა მარტო ქართული, არამედ ასევე სომხური და კლასიკური ხანის ბერძნულ-ლათინური საისტორიო წყაროები, რომელთა ჩვენებითაც ასევე დასტურდება ამ მხარეთა საქართველოსადმი კუთვნილება.

მაგრამ, როგორც ირკვევა, გაუქმებას საჭიროებენ არა ეს საისტორიო წყაროები, არამედ ეს შემედარი და ტენდენციური კონცეპცია, რომელიც დამახინჯებით წარმოგვიდგენს ისტორიულ ჭეშმარიტებას!

გადავდივართ ამის შემდეგ ამ შემედარი და ტენდენციური კონცეპციის კრიტიკულ განხილვაზე.

საქართველოსა და სომხეთის ამ ორი მოძმე ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია საჭიროებს უაღრესად გულისხმიერ მიდგომას. ამას გვავალებს კერძოდ ამ ორი მოძმე ერის საერთო ისტორიული თავგადასავალი.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ და სომეხ ხალხს ერთად ეკირათ კულტურისა და პროგრესის მაღალი დროშა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთის სანაპიროზე.

ისტორიულ წარსულში ქართველი და სომეხი ხალხი ერთად იღწოდნენ. ისინი არაერთგზის ერთად, მხარდამხარ იცავდნენ თავის სამშობლოს დამოუკიდებლობასა და ეროვნულ თვითმყოფობას უცხოელ დამპყრობელთაგან.

ხოლო ახლო წარსულში ქართველი და სომეხი ხალხი ერთად განიცდიდნენ ეროვნულ ჩაგვრას.

რასაკვირველია არათუ არა-ობიექტურობა, არამედ არა სათანადო სიღრმით შესწავლა საკითხისა და ერთი ერის კუთვნილების გამოცხადება მეორე ერის კუთვნილებად, ეს არის არა მარტო „აკადემიური“ შეცდომა.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით ყველა არსებული წყაროების გათვალისწინებით სრულის ზედმიწევნით განვსაზღვროთ, თუ როგორი იყო რეალური ისტორია საქართველო-სომხეთის სანაპირო მხარეებისა, თუ რომელი მათგანი, და როდის სახელდობრ, დაკავშირებული იყო პოლიტიკურად ამა თუ იმ ქვეყანასთან, საქართველოსთან თუ სომხეთთან, და როგორ იყო ამ მხარეთა ეთნოგრაფიული სახე.

1.

**კლარჯეთის საერისთავო
 ძველ-ქართული მატრიარქებისა**

(საყოფიერ კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები: შავშეთი, ნიგალი, „ზღვისპირი კლარჯეთი“ ანუ ლაზეთი, „საზღვარი ქართლისა სპერა“ ანუ ქვემო-სპერა, აზიური ტაო).

საკითხებიდან, რომლებიც საქართველოსა და სომხეთის სანაპირო მხარეებს (ქესხეთსა და ქვემო-ქართლს) ეხება, ჩვენ აქ ცალკე გამოვეყოფთ და პირველ რიგში განვიხილავთ კლარჯეთის ისტორიის საკითხს.

ამ საკითხის ცალკე გამოყოფა შემდეგით არის გამოწვეული.

როგორც იცის მკითხველმა, კლარჯეთი არის ის მხარე, სადაც მე-8—9 საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ახალ კულტურულ აღმავლობას და სახელმწიფოებრივ აღორძინებას, მხარე, სადაც მოღვაწეობს გრიგოლ ხანძთელი, და სადაც აშოტ I დიდი კურაპალატი განამტკიცებს მთელი საუკუნეების მანძილზე გაუქმებულს „ქართველთა სამეფოს“, რომლის დედაქალაქად ხდება კლარჯეთში მდებარე ქალაქი არტანუჯი.

ამავე დროს ნ. მარია და მისი მიმდევარნი, როგორც ვნახეთ, გვარწმუნებენ, რომ კლარჯეთი მე-8 საუკუნემდე ვითომც არ იყო ქართული ქვეყანა; უფრო მეტი: კლარჯეთი მე-8 საუკუნეში თუმცა პოლიტიკურად დაუკავშირდაო საქართველოს, მაგრამ ეთნოგრაფიულად იგი ვითომც ამის შემდეგაც უცხო მხარედ რჩება, იგი მეცხრე-მეათე საუკუნეთა მანძილზედაც ჯერ ისევ წარმოადგენდაო არა-ქართულ ქვეყანას, რომელიც მხოლოდ „გაქართველების“ გზაზე იყო დამდგარი.

თუ ჩვენ გავიზიარებდით ამ კონცეპციას, მაშინ ადრეულ საშუალ-საუკუნეთა საქართველოს ისტორიის განვითარება რაღაც უცნაურ ასპექტში უნდა წარმოგვედგინა: გამოვიდოდა, რომ თვით ძირითადი მხარე, რომელიც გახდა ბაზისი საქართველოს კულტურული და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა მე-8 — 9 საუკუნეებში, თვით ეს ძირითადი მხარე ვითომც არ იყო ქართული...

სწორია ეს კონცეპცია?

რასაკვირველია ეს ყოველად დაუჯერებელია, და როგორც შემდეგ დავიხაზავთ ამ კონცეპციას ისტორიულ სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო.

საკითხები ჩვენ ქვემოთ შედეგის თანრიგით გვექნება განხილული:

1. ჯერ განვიხილავთ, თუ რა მოსაზრებებს აყენებენ ნ. მარია და სხვა მკვლევარნი, ვითომც კლარჯეთი ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალ საუკუნეებში პოლიტიკურად და ეთნოგრაფიულად არ წარმოადგენდაო ქართულ მხარეს;

2. შემდეგ განვიხილავთ კლარჯეთის ნამდვილ ისტორიას ყველა არსებული წყაროების გათვალისწინებით, საიდანაც ცხადი გახდება, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანასა და საშუალ საუკუნეებში პოლიტიკურად და ეთნოგრაფიულად ყოველთვის ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

•

**ნ. მარია და სხვა მკვლევართა შემდგარი მოსაზრებანი
 კლარჯეთის მხარის ისტორიის შესახებ.**

გაცნობა იმ მოსაზრებათა, რომელთა მიხედვით დაასკვნიან, რომ ვითომც კლარჯეთი ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალ საუკუნეებში არ იყო ქარ-

თული ქვეყანა, არამედ სომხეთის ნაწილს შეადგენდაო, გვიჩვენებს, თუ რამდენად ზერელეა, და შეიძლება ითქვას, რამდენად ტენდენციურია ეს მოსაზრებანი.

თავდაპირველად აღსანიშნავია შემდეგი.

ა) ქართულ საისტორიო წყაროებში კლარჯეთის მხარე სისტემატიურად, ყველგან და ყოველთვის მოიხსენება როგორც ძირეული ქართული ქვეყანა, პოლიტიკურად და ეთნოგრაფიულად განუყოფელი ნაწილი საქართველოსი. ასეა ეს ყველა ძველ-ქართულ მატრიანებში, ბასილი ზარზმელის თხზულებაში, ყველა სხვა საისტორიო ძეგლებში. ხოლო თუკი კლარჯეთი მთელ საუკუნეთა მანძილზე, თვით მე-8 საუკუნემდე, გრიგოლ ხანძთელის ხანამდე, მოწყვეტილი იყო საქართველოს და სომხეთის ფარგლებში იყო მოქცეული, როგორ მოხდა, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში არ შენახულა ამის შესახებ არავითარი ცნობა, არავითარი ისტორიული მოგონება? ქართული საისტორიო წყაროები სხვა შემთხვევებში ხომ აღნიშნავენ, რომ ესა თუ ის მხარე მოწყვეტილი იყო საქართველოს ამა თუ იმ ხანაში, და როგორ მოხდა, რომ კლარჯეთის შესახებ არსად არავითარი ამის მსგავსი არაა აღნიშნული, არსად არავითარი ხსოვნა ამის შესახებ არ მოიპოვება.

რასაკვირველია ეს ყოვლად დაუჯერებელი ამბავი იქნებოდა, თუ კი მართლაც კლარჯეთი ოდესმე მოწყვეტილი ყოფილიყო საქართველოს.

ეს ერთი გარემოება.

ბ) მეორეს მხრით სომხურ საისტორიო წყაროების განხილვა გვიჩვენებს, რომ კლარჯეთი სომხეთისათვის უცხო მხარეს წარმოადგენდა. როგორც შემდეგ დავინახავთ, სომხურ საისტორიო წყაროებში კლარჯეთის მხარე მხოლოდ გაკერით მოიხსენება რამდენიმეგზის. სომხურ წყაროებში არსად არაა აღნიშნული, რომ სომხეთის ისტორიაში რაიმე როლი ეთამაშოს კლარჯეთს; სომხურ საისტორიო წყაროებში ერთხელაც არაა მოხსენებული კლარჯეთის საგვარეულოები და სანახაროები, კლარჯეთის დეოდალური სამფლობელოები; უფრო მეტი: სომხურ საისტორიო წყაროებში ერთხელაც კი არაა მოხსენებული ვინმე მოღვაწე კლარჯეთიდან. აღსანიშნავია ამას გარდა, რომ სომხურ საისტორიო წყაროებში არაა მოხსენებული კლარჯეთის დასახლებული პუნქტები, არაა მოხსენებული არც არტანუჯი — დედაქალაქი კლარჯეთისა, არც ახიზა, ფორთა და ანჩი, საეკლესიო მეტროპოლიები კლარჯეთისა, არც განთქმული სავანეები კლარჯეთისა — ოპიზა, პარენი, შატბერთი, მერე, დაბა და სხვანი... როგორ მოხდა ყოველივე ეს, თუ-კი კლარჯეთი მართლაც სომხეთის ფარგლებში შედიოდა, და ისიც არა მოკლე დროის მანძილზე, არამედ ვითომც თითქმის ათი საუკუნის მანძილზე. აშკარაა კლარჯეთი არ ყოფილა ნაწილი სომხეთისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე ეს, რასაკვირველია, დაუჯერებელი ამბავი იქნებოდა.

სომხურ საისტორიო წყაროებში ვიდრე მე-9 საუკუნემდე კლარჯეთის მხარის შესახებ საუბარია ოთხ-გზის.

აქედან სამჯერ კლარჯეთი მოიხსენება როგორც ნაწილი საქართველოსი (იბერიისა).

ხოლო ერთგზის ერთ ნაგვიანე წყაროში (რომელიც არაა თანამედროვე იმ ამბებისა, რომელსაც იგი ეხება), დატულია მცდარი ცნობა კლარჯეთის მხარის შესახებ.

ჩვენ ჯერ ამ უკანასკნელ მცდარ ცნობაზე შევჩერდებით. ეს მცდარ ცნობა მოიპოვება გეოგრაფიულ ძეგლში, რომელიც „სომხური უსახელო გეოგრაფიის“ სახელით არის ცნობილი.

ავტორი დასახელებული ძეგლისა — უცნობია. მას მიაწერდნენ სხვადასხვა ავტორებს (მათ შორის ანანია შირაკელს), მაგრამ ამ ძეგლის ავტორობის საკითხი გარკვეული არაა. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ძეგლის თარიღად მიჩნეულია დრო მე-7 საუკუნიდან — მე-9 საუკუნემდე. ძეგლის პირველდენი არაა უადრესი მე-7 საუკუნისა, ხოლო არსებული ვერსიები მე-9 საუკუნით უნდა დათარიღდეს.

დასახელებულ ძეგლში — სომხურ უსახელო გეოგრაფიაში — ჩამოთვლილია როგორც სომხეთის, ისე აგრეთვე საქართველოს (იბერიის) ფარგლებში შემავალი პროვინციები.

საქართველოს (იბერიის) ფარგლებში შემავალად აქ აღნიშნულია მესხეთის მხარეები კოროხის და მტკვრის ხეობებისა და მათ შორის კლარჯეთიც საქართველოს ნაწილად არის დასახელებული.

სომხეთის აღწერის დროს აღნიშნულია, რომ სომხეთის ფარგლებში ძველად შედიოდაო გუგარქის (გოგარენის) მხარე, რომელიც ამჟამად საქართველოსთან (იბერიასთან) არისო შეერთებულია. გუგარქის (გოგარენის) ფარგლებში ძველად შედიოდაო მთელი რიგი კანტონები და ამ კანტონთა შორის გუგარქის ნაწილად დასახელებულია აგრეთვე კლარჯეთიც¹.

როგორც ირკვევა, სომხური უსახელო გეოგრაფიის ავტორი სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ კლარჯეთი ვითომც გუგარქის ანუ გოგარენის ნაწილი იყო.

თავდაპირველად საჭიროა ვიცოდეთ, რომ სომხური უსახელო გეოგრაფია დროის მიხედვით დიდის მანძილთ არის დაშორებული გოგარენის საქართველოსთან შეერთების ხანას.

სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ძველ-ქართული მხარე გოგარენი, რომელიც ერთხანად სომხებს ჰქონდა დაკერილი, ქართველებმა დაიბრუნეს მე-4 საუკუნეში. ხოლო სომხური უსახელო გეოგრაფია, როგორც მოვიხსენიეთ, მე-7 — 9 საუკუნეთა ძეგლია და მაშასადამე სამი-ხუთი საუკუნით არის დაშორებული გოგარენის საქართველოსთან შეერთების ხანას.

ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე რასაკვირველია უშუალო ისტორიული გადმოცემები აღარ არსებობდა და სომხური უსახელო გეოგრაფიის ავტორს, როგორც ირკვევა, შეცდომა მოსვლია გოგარენის მხარის ტერიტორიის ფარგლების აღნიშვნისა და მასში შემავალი კანტონების ჩამოთვლის დროს.

რომ კლარჯეთის რაიონი არ შედიოდა გოგარენის მხარის ფარგლებში, ეს სრულიად უდავოდ ირკვევა როგორც ქართული ისე აგრეთვე ძველ-სომხური და ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული წყაროებით.

ჯერ სომხურ წყაროებზე.

1. მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი ს ჩ ე ე ნ ე ბ ა. — სომეხთა ისტორიკოსი მოსე ხორენელი, როგორც ირკვევა, წინა-არაბული ხანის მწერალია და ყოველ შემთხვევაში იგი უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის, ვიდრე სომხური უსახელო გეოგრაფიის ავტორი. მოსე ხორენელს თავისი ისტორიის მეორე წიგნში აგრეთვე ჩამოთვლილი აქვს გოგარენის ფარგლებში შემავალი კანტონ-

¹ იხ. სომხური უსახელო გეოგრაფია, 1881 წ., გვ. 28, 34 — 5.

ნები და მათ შორის კლარჯეთი დასახელებული არაა (იხ. თავი 8). ხოლო თავისი თხზულების მეორე ადგილას მოსე ხორენელს პირდაპირ აღნიშნული აქვს, რომ კლარჯეთი საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული; საქართველოს ნაწილს შეადგენდა (იხ. წიგნი მესამე, თავი 86)¹.

2. ფ ა ვ ს ტ ო ს ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი ს ც ნ ო ბ ა. — თუ რა ტერიტორიას მოიცავდა გოგარენი და შედიოდა თუ არა გოგარენის მხარის ფარგლებში კლარჯეთი, ამის შესახებ სრულიად ზუსტი ჩვენება აქვს დაცული მე-5 საუკუნის სომეხთა ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს. აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ფავსტოს ბიზანტიელი წარმოადგენს ძირითად სომხურ წყაროს გოგარენის ისტორიის აღსადგენად. იმ დროს როდესაც სომხური უსახელო გეოგრაფია სამი-ხუთი საუკუნით არის დაშორებული იმ ხანას, როდესაც გოგარენი ჩამოშორდა სომეხთს და საქართველოს შეუერთდა, ფავსტოს ბიზანტიელი, მე-5 საუკუნის ავტორი, ახლო დგას ამ ხანასთან და უშუალო ისტორიულ ტრადიციას გადმოგვცემს.

ფავსტოს ბიზანტიელი, რომელიც სპეციალურად ეხება გოგარენის საქართველოსთან შეერთების ისტორიას, აღნიშნავს, რომ გოგარენის მხარე შეიცავდა ორ კანტონს: 1. ძორი და 2. კოლბი. ამის მიხედვით სრულიად ზუსტად ირკვევა, რომ გოგარენის მხარე ეს ყოფილა ყაზახ-შამშადილი (— ე. ი. ყოფილი ყაზახის მაზრა განჯის გუბერნიისა)². ამრიგად გოგარენის მხარეს, რომელიც მტკვრის აუზში მდებარეობდა, არაფერი აქვს საერთო კლარჯეთის რაიონთან, რომელიც სულ სხვა ზონაში, ჭოროხის ხეობაში არის განფენილი.

გადავიდეთ ამის შემდეგ ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა ჩვენებებზე.

3. ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს ც ნ ო ბ ა. — სტრაბონის გეოგრაფიის მე-11 წიგნში (თავი 14, § 5) აღნიშნულია, რომ გოგარენი მდებარეობდა მტკვრის ხეობაში, მტკვრის იმიერ (მარჯვენა სანაპიროზე)³. ამრიგად სტრაბონის ამ სრულიად გარკვეული ცნობის თანახმად აგრეთვე ირკვევა, რომ გოგარენის ფარგლებში არ შედიოდა კლარჯეთი, მდებარე ჭოროხის ხეობაში.

4. პ ლ ი ნ ი უ ს ს ე კ უ ნ დ ი ს ც ნ ო ბ ა. — პლინიუს სეკუნდს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს (იბერიის) საზღვრებში შედიოდა მხარეები ტაშირისა და თრიალეთისა ვიდრე პარიჰედრის მთებამდე (regio Thasie et Thirare usque ad Parihedros montes)⁴, ე. ი. ქვემო ქართლის მხარეები — ბორჩალო წალკით და ლორე-ბამბაკი. პლინიუს სეკუნდის ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ გოგარენი მდებარეობდა ტაშირ-თრიალეთის მხარეთა აღმოსავლეთით და ამრიგად მოიცავდა ყაზახ-შამშადილის პროვინციას (— ყაზახის მაზრას განჯის გუბერნიისა), ე. ი. ზუსტად იმ ტერიტორიას, რომელიც აღნიშნულია სომეხთა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის თხზულებაში.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც შეიცავენ ძველ-სომხური და ბერძენულ-რომაული წყაროები აქ აღძრული საკითხის გამო და საიდანაც სრულიად უდავოდ ირკვევა, რომ კლარჯეთი, მდებარე ჭოროხის ხეობაში, არ შედიოდა გო-

¹ იხ. ზევით, თავი VII (მნათობი, № 8, გვ. 126).

² იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1832 წ., გვ. 211, 159.

³ იხ. ზევით, თავი IV, (მნათობი № 11, 1949, გვ. 137).

⁴ იხ. SC, I, გვ. 155.

⁵ იხ. SC, II, გვ. 181.

გარენის მხარის ფარგლებში, რომელიც სულ სხვა რაიონში, მტკვრის ხეობაში იყო მოქცეული და მოიცავდა შემდეგდროინდელ ყაზახ-შამშადილს (ყაზახ-ხის მხარას განჯის გუბერნიისას).

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე დანარჩენ მოსაზრებათა, რომელთა მიხედვითაც დაასკვნინდნენ, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში და ადრეულ საუკუნეებში ვითომც არ შედიოდა საქართველოში, არამედ სომხეთის ფარგლებში იყო მოქცეული.

თავდაპირველად შევჩერდებით ნ. მარის მოსაზრებებზე ამ საკითხის გამო.

ნ. მარის კონცეპცია კლარჯეთის ისტორიის შესახებ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ასეთია:

კლარჯეთი თავდაპირველად, უძველეს ეპოქაში („на заре исторической жизни“) დასახლებული იყო „თუბალ-კაინური“ (მეგრულ-ქანური) ტომებით. შემდეგ, უკვე ანტიკურ ხანაშივე, კლარჯეთი ვითომც გადავიდა სომხეთის მფლობელობის ქვეშ და მოსახლეობაც აქ ვითომც სომხური გახდა. ხოლო უფრო გვიან ხანაში, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული, კლარჯეთი მოექცევაო ქართველების გავლენის ზონაში და ამ დროიდან მოკიდებული სწარმოებსო კლარჯეთის სომხური მოსახლეობის თანდათან გაქართველებაო.

ამ თავისი კონცეპციის დასადასტურებლად ნ. მარს მოჰყავს შემდეგი საბუთები, ყველა, როგორც ირკვევა, მცდარი და ტენდენციური.

1. 1906 წელს გამოქვეყნებულს გამოკვლევაში „Крещение армян, грузин, абхазов и алан...“ ნ. მარი, როგორც მოხსენებული გვექონდა, გადმოგვცემს, რომ ვითომც გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში მოხსენებულია არტანუჯის საპიტიახშო (— კლარჯეთი) როგორც შემადგენელი ნაწილი სომხეთის სამეფოსი თრდატ მეფის დროს მე-4 საუკუნის დასაწყისში. ამ ჩვენებაზე დამყარებით ნ. მარი ამართლებდა თავის კონცეპციას კლარჯეთის ისტორიის შესახებ.

ჩვენ ზევით უკვე გვექონდა შემთხვევა საფუძვლიანად განგვეხილა ნ. მარის ეს ცნობა, რომელიც როგორც გამოირკვა, მცდარია და ყალბი. გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში, როგორც დავრწმუნდით, საუბარი ყოფილა არა არტანუჯის საპიტიახშოზე (კლარჯეთზე, რომელიც ჭოროხის ხეობაში მდებარეობდა), არამედ არზანენის საპიტიახშოზე, რომელიც სულ სხვა ქვეყანას წარმოადგენდა, სულ სხვა სექტორში, მდინარე ტიგროსის ხეობაში მდებარეობდა. რაც შეეხება კლარჯეთს, იგი, როგორც გამოირკვა, გრიგოლ პართელის ცხოვრების ავტორს, ისევე როგორც მოსე ხორენელს, მ ი ა ჩ ნ ი ა ა რ ა ს ო მ ხ ე თ ი ს, ა რ ა მ ე დ, პ ი რ ი კ ი თ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ა წ ი ლ ა დ. (იხ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ზემოთ, თავი VII, „მნათობი“ № 8, გვ. 119 — 127).

2. 1911 წელს ნ. მარმა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გამოცემის შესავალის სახით გამოაქვეყნა გამოკვლევა, სადაც იგი იცავს იმავე კონცეპციას კლარჯეთის ისტორიის შესახებ. მხოლოდ აქ აღსანიშნავია შემდეგი. 1911 წელს ნ. მარი უკვე აღარ ახსენებს, რომ ვითომც გრიგოლ პართელის არაბულ ვერსიაში დასახელებული იყვის არტანუჯის საპიტიახშო; როგორც სჩანს ნ. მარს შემდეგში აღარ დაუნახავს შესაძლოდ ხელშეორედ გაემეორებინა ეს აშკარად მცდარი ცნობა.

მაგრამ სამაგიეროდ ნ. მარი ამ მეორე შემთხვევაში სრულიად ტენდენციურ ინტერპრეტაციას აძლევს სომხის ისტორიკოსის იოანე მამიკონიანის მატიანის ტექსტს.

ნ. მარი, 1911 წელს გამოქვეყნებულს ამ გამოკვლევაში, ეხება რა კლარჯეთის ისტორიის უძველეს, პერიოდს, როდესაც ვითომცდა მოხდა ძველი „თუბალ-კაინური“ (მეგრულ-კაინური) მოსახლეობის შეცვლა სომხური მოსახლეობით, წერს:

„Для древнейшего исторического процесса, перерождения тубал-кайнов нашего края (Кларджетин) в армян, мы располагаем столь скудными данными, что пока можем утверждать самый факт, но не можем представить себе исторического развития этого дела. Полу-легендарное сообщение о совершившемся уже армянском иммиграционном движении в эту иверскую страну, да притом далее в глубь, к пределам Лазистана, относится к событиям 7-го века. Часть этого сообщения интересна и археологически, так как она явно указывает на существование в крае развалин большого города, некогда епископской резиденции, в эпоху историка Иоанна Мамиконяна, автора сообщения...“¹

ამრიგად თვით ნ. მარი აღნიშნავს, უაღრესი სიღარიბე არისო მასალების აქ აღძრული საკითხის გამო (ე. ი. კლარჯეთის ვითომცდა სომხურობის გამო), და ასახელებს ერთადერთს იოანე მამიკონიანის მატიანეს, რომელიც ვითომც შეიცავს ცნობას სომხური იმიგრაციული მოძრაობის შესახებ კლარჯეთში.

მკითხველი, ბუნებრივია, არ დაიწყებს იმის ძიებას, თუ რა წერია ამ ძველ და ნაკლებად ცნობილი ავტორის იოანე მამიკონიანის მატიანეში და ირწმუნებს ნ. მარის ამ უწყებას, რომ იოანე მამიკონიანის მატიანე მართლაც შეიცავს რაიმე ჩვენებას სომხების იმიგრაციული მოძრაობის შესახებ კლარჯეთში.

მაგრამ თუ კი მკითხველი ხელში აიღებს იოანე მამიკონიანის მატიანეს, იგი შეუძლებელია განცვიფრებული არ დარჩეს. არაფერი ამისი მსგავსი იოანე მამიკონიანის მატიანეში არ წერია... იოანე მამიკონიანის მატიანე არათუ არ მოგვითხრობს სომხური იმიგრაციული მოძრაობის შესახებ კლარჯეთში, არამედ პირიქით იოანე მამიკონიანის მატიანიდან სულ სხვა ირკვევა, სახელდობრ ის, რომ მე-7 საუკუნეში მესხეთის მხარეები, მათ შორის კლარჯეთი, ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

ამრიგად ნ. მარი, სამწუხაროდ, აქაც ტენდენციური აღმოჩნდა... ისევე როგორც ნ. მარის ტენდენციური განმარტებით არზანენის საპიტიახშო (ტიგროსის ხეობისა) გადაიქცა არტანუჯის საპიტიახშოდ (კლარჯეთად), ასევე ტენდენციურია და მცდარი ამ მეორე შემთხვევაშიაც ნ. მარის ინტერპრეტაცია.

მაგრამ გავეცნოთ თვით იოანე მამიკონიანის მატიანის ტექსტს.

(იხ. იოანე მამიკონიანის მატიანე, 1832 წლის გამოცემა, გვ. 56 — 57, 1941 წლის გამოცემა შოტ აბრამიანის რედაქციით, გვ. 283 — 287).

იოანე მამიკონიანის მატიანის განზილვიდან ირკვევა შემდეგი:

ა) მე-7 საუკუნეში ტერიტორია მესხეთის მხარეებისა დაწყებული მდინარე ჭოროხის ხაზიდან ვიდრე ვანანდამდე, ე. ი. საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით, შეადგენდა სამფლობელოს ვაშდენ „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა (ი ვ ე რ ი ე ლ თ ა) მ თ ა ვ რ ი ს ა“. ვაშდენის შემკვიდრე ყოფილა მისი ძე ჯოჯიკი, რომელიც იოანე მამიკონიანის მატიანეში ასევე „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა (ი ვ ე რ ი ე ლ თ ა) მ თ ა ვ რ ი“-ს სახელწოდებით მოიხსენება;

ბ) ტერიტორია მდინარე კოროზიდან ვიდრე ზღვამდე, ე. ი. ის ტერიტორია, რომელიც ძველ ქართულ წყაროებში მოიხსენება როგორც „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ (— იბერიის ლაზეთი) შეადგენდა, იოანე მამიკონიანის მატანიის ცნობით, სამფლობელოს ვაშდენ ქართველთა მთავრის ვასალისა, რომელსაც ერქვა ჰამამი. ეს უკანასკნელი ნათესავად მოხედებოდა ვაშდენ ქართველთა მთავარს, იგი იყო დისწული ვაშდენისა.

საზღვარი ვაშდენის უშუალო სამფლობელოსა და ჰამამის ვასალურ სამფლობელოს შორის ყოფილა მდინარე კოროზი.

ვაშდენ ქართველთა მთავარი, იოანე მამიკონიანის სიტყვით, ყოფილა მფლობელად ამ მხარისა ირანის შაჰის ზოსრო ფარეზის დროს, „უწინარეს ჰერაკლეს (ბიზანტიის კეისრის) სპარსეთში მოსვლისა“, ე. ი. მე-7 საუკუნის დასაწყისში.

ამ დროს, მე-6 — 7 საუკუნეთა მიჯნაზე, ირანისა და ბიზანტიის იმპერიები, როგორც ცნობილია იბრძოდნენ პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისათვის საქართველოსა და სომხეთში. კერძოდ მე-7 საუკუნის დასაწყისში, 604 — 5 წლებიდან მოკიდებული, საქართველო (აბერია) და სომხეთი ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

ვაშდენ ქართველთა (ივერთა) მთავარი, მფლობელი მესხეთის მხარეთა, ირანის პოლიტიკური ორიენტაციისა ყოფილა, ხოლო მისი დისწული ჰამამი (მფლობელი ზღვისპირი მხარისა — ლაზეთისა), ბიზანტიის ორიენტაციის მოღვაწედ სჩანს.

იოანე მამიკონიანი მოგვითხრობს, რომ როდესაც ვაშდენ ქართველთა მთავარმა განიზრახა შეეპყრო ირანის შაჰის ლალატში გარეული ბიზანტიის მომხრე ტარონის მთავარი, ლაზეთის მხარის მფლობელს ვაშდენის დისწულს ჰამამს წინასწარ იდუმალ გაუფრთხილებია წერილით ტარონის მთავარი და გადაურჩენია იგი შეპყრობას.

როდესაც გამოირკვა ჰამამის ეს მოქმედება, ვაშდენ ქართველთა მთავარს განუზრახავს თავისი ურჩი ვასალის დასჯა. იოანე მამიკონიანი მოგვითხრობს, რომ „განრისხებულმა ვაშდენმა გამოიძახა ჰამამი“ და ბრძანა, რათა ჰამამისათვის, როგორც მოღალატისათვის, მოეკვითათ ხელები. ამის შემდეგ ვაშდენს გადაუწყვეტია აგრეთვე დაესაჯა ჰამამის ვასალური სამფლობელო მხარე (ლაზეთი), მისი მორჩილებაში მოყვანა. იოანე მამიკონიანი მოგვითხრობს: „ვაშდენმა გადალაზა კოროზი და შევიდა ჰამამის ქალაქში, რომელსაც ერქვა ტამბური, მისცა იგი ცეცხლსა და მახვილს და წარმოსტყვევნა იგი“. ეს მთავარი ქალაქი ჰამამის სამფლობელოსი (ლაზეთისა მხარისა) საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა. ქალაქი, როგორც ირკვევა მატანიის ცნობიდან, ზღვისპირას მდებარეობდა¹.

ამ ლაშქრობის დროს, როდესაც ვაშდენ მთავარი ტამბურის ქალაქში იმყოფებოდა, იგი გარდაცვლილა.

ამის შემდეგ ჰამამი გაუნთავისუფლებიათ ტყვეობიდან და იგი დაბრუნებულა თავის მხარეში (ლაზეთში). ჰამამს ხელახლა აღუშენებია დანგრეული ქალაქი ტამბური და უწოდებდა თავისი სახელი „ჰამამა-შენი“.

¹ იოანე მამიკონიანის მატანეში ის თავი, სადაც აწერილია ვაშდენ მთავარის ბრძოლა ქალაქ ტამბურთან (ლაზეთის მხარეში), ასეა დასაბუთებული: „...ბრძოლისათვის, რომელიც მარჩილოვანი ზღვის ნაპირას მოხდა“. აქ იგულისხმება შავი ზღვა, რომლის ნაპირას, როგორც ირკვევა, მდებარეობდა ტამბური.

რაც შეეხება ვაშდენის უშუალო სამფლობელოს, ე. ი. მესხეთის მხარეებს (ჰოროხიდან — ვანანდამდე, ე. ი. საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით) — აქ ვაშდენის სიკვდილის შემდეგ მთავრად დამჯდარა ვაშდენის ძე ჯოჯიკი. ბრანის შაჰს ხოსრო-ფარეხს ქართველთა (ივერიელთა) მთავრის ჯოჯიკისათვის უბოძებია ტიტული მარზპანისა.

ჯოჯიკი მესხეთის მხარეთა მთავრად ყოფილა მე-7 საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე. მემატიანის სიტყვით „ვაშდენის-ძე ჯოჯიკ, ქართველთა (ივერიელთა) მთავარი“ ცოცხალი ყოფილა მე-7 საუკუნის შუა წლებშიც, როდესაც კავკასიაში პირველად შემოვიდნენ არაბთა რაზმები.

ასეთია ის მოთხრობა, რომელიც დაცული აქვს სომეხთა ისტორიკოსს იოანე მამიკონიანს და საიდანაც ირკვევა, რომ მე-7 საუკუნეში მესხეთის მხარეები — ჰოროხიდან ვანანდამდე (საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით) — შეადგენდა სამფლობელოს ჯერ ვაშდენს ქართველთა (ივერთა) მთავრისა, შემდეგ ვაშდენის ძის ჯოჯიკ ქართველთა (ივერთა) მთავრისა; ხოლო ჰოროხს გაღმა მდებარე ზღვისპირი მხარე (ლაზეთი) ყოფილა სამფლობელო ვაშდენ ქართველთა მთავრის ვასალის და ნათესავის (დისწულის) ჰამამისა.

საკითხავია ამის შემდეგ, საიდან გამოიყვანა ნ. მარმა თავისი დასკვნა ვითომც იოანე მამიკონიანის ტექსტი შეიცავს ცნობას სომხურ იმიგრაციული მოძრაობის შესახებ ამ მხარეში?

ამის საბუთად ნ. მარი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ლაზისტანის ერთ პატარა კუთხეში, რომელსაც ჰ ე მ შ ი ნ ი ს თემი ეწოდება, ამ ჟამად ცხოვრობენ სომეხი მუსულმანები, ეგრეთწოდებული ჰ ე მ შ ი ნ ე ბ ი.

ნ. მარი, ეხება რა იოანე მამიკონიანის მატიანეს, გაცვრით აღნიშნავს ერთ შენიშვნაში, რომ აქ დასახელებული მთავრები „ივერიელები“ არიან (იმასთან ამას აღნიშნავს იმდენად გაცვრით და ისეთნაირად, რომ მკითხველი ვერც კი გაიგებს კარგად, თუ რაშია საქმე, რა ტერიტორიას მოიცავს ამ ივერიელი მთავრების სამფლობელო და რა აქვს სინამდვილეში მოთხრობილი იოანე მამიკონიანს), ხოლო ამის შემდეგ ნ. მარი მოულოდნელად გადადის ჰემშინის სომეხებზე; ნ. მარი დასახელებულ შენიშვნაში წერს:

„Вашден. истящий и Амаму. — князь иверов; Джоджик, сын его, иверский княжич, марзпан по назначению персидского царя; и Амам, обличавший Вашдена за предание себя персам, племянник (сын сестры) Вашдена; от и Амама, обстроившего Тамбур, и переименовавшего его в и Амамшен, происходят, предполагается, шамшенские армяне в Лазистане“¹.

ამრიგად ნ. მარის ამ ცნობით, ქართველთა მთავრის დისწულის ჰამამისაგან, რომელმაც ააშენა ჰამამაშენი, მომდინარეობს, როგორც ფიქრობენო, ჰამშინის სომეხები ლაზისტანში („происходят, предполагается, шамшенские армяне в Лазистане“).

ეს არის და ეს, სხვას ამ საკითხის გამო ნ. მარი არას ამბობს.

მკითხველი იფიქრებს ნ. მარის წინა განცხადების მიხედვით, რომ იოანე მამიკონიანის მატიანეში რამეა მოთხრობილი სომეხების დასახლების შესახებ კლარჯეთსა და ლაზისტანში მე-7 საუკუნეში და რომ ჰამშინის სომეხები მათი შთამომავალნი არიანო. ნ. მარი, როგორც აღნიშნული გვქონდა, წერს, რომ ცნობა — „о совершившемся уже армянском иммиграционном движении в

¹ იხ. ТР, VII, გვ. IV, შენიშვნა 1.

эту иверскую страну, да притом далее вглубь Лазистана, относится к событиям 7-го века. Часть этого сообщения интересна и археологически, так как она явно указывает на существование в крае развалин большого города, некогда епископской резиденции, в эпоху Иоанна Мамиконяна, автора сообщения...“.

ამრიგად ნ. მარის ამ განცხადების მიხედვით მკითხველი დაასკვნის, რომ იოანე მამიკონიანის მატიაზე ვითომც შეიცავს რაიმე ცნობას სომხების იმიგრაციის შესახებ კლარჯეთსა და ლაზისტანში — მე-7 საუკუნეში. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი იოანე მამიკონიანის მატიაზე არაა მოთხრობილი.. იოანე მამიკონიანის მოთხრობილი აქვს მხოლოდ ის, რაც ზემოთ გვქონდა მოყვანილი და საიდანაც მხოლოდ ის ირკვევა, რომ მესხეთის მხარეები, მათ შორის საკუთრივ კლარჯეთი (და მის მეზობლად მდებარე ლაზეთი) მე-7 საუკუნეში ქართულ მხარეს წარმოადგენდა, ქართველების (იბერიელების) სამფლობელოს, და რომ აქ მე-7 საუკუნეში არავითარი უცხო ელემენტის ჩამოსახლებას ადგილი არა ჰქონია.

ჩვენ დავგრძენია გავაკეთოთ მეტად სამწუხარო დასკვნა: ნ. მარი ამ საკითხის გაშუქების დროს აშკარად ტენდენციურია...

აქ საჭიროა აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა ჰემინების შესახებ, რომელთა საკითხი ნ. მარმა სრულად უადგილოდ დაუკავშირა აქ აღძრულ სხვა საკითხებს (ამ საკითხთა ერთგვარი დაზღვევების მისწინა).

ჰემინელი სომხები ანუ ჰემინები, როგორც ცნობილია, მოსახლეობენ ლაზისტანში, პონტოს მთების ზონაში. მათ უჭირავთ ისტორიული ლაზეთის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი. ლაზეთის ისტორიული ტერიტორია ჯერ მარტო ვიდრე ტრაპიზონის ხაზამდე შეიცავს გვეს დიდ რაიონს: ხოფა, ათინა, რიზე, ოფი, სურმენე, ტრაპიზონი. აქედან ჰემინელ სომხებს უპირავეთ მხოლოდ ერთი რაიონის, სახელდობრ ათინის რაიონის პატარა მთიანი კუთხე პონტოს მთების საზღვართან.

ჰემინელი სომხების თემის მთავარ სოფელს ეწოდება ჰემინი (იგივე ჰამინი, ჰამენი), და აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება: ჰემინელი ანუ ჰემინები.

ნ. მარი ფიქრობს, რომ ეს სოფელი ჰემინი (ჰამინი, ჰამენი) ეს არისო იგივე ძველი ისტორიული ქალაქი ჰამამა-შენი, რომელიც აშენა მთავარმა ჰამამმა მე-7 საუკუნეში.

ამ საკითხის გამო საჭიროა შემდეგი შენიშვნათ.

მართლაც საფიქრებელია, რომ სახელწოდებანი ჰამენი (ჰემინი) და ჰამამა-შენი ერთი და იგივე იყვის, მაგრამ თუ ეს ასეა, უნდა დაკუთვით, რომ სახელწოდება ძველი ქალაქისა ჰამამა-შენი უფრო გვიან ხანაში სხვა ადგილას გადაუტანიათ. ძველი ისტორიული ჰამამა-შენი, როგორც ეს საერთაშორისო იოანე მამიკონიანის მატიაზის მიხედვით, მდებარეობდა ზღვის სანაპირას, ხოლო თანამედროვე ჰამენი მდებარეობს, როგორც აღვნიშნეთ, არა ზღვის სანაპიროზე, არამედ ზღვისაგან დიდად დაშორებულად, პონტოს მთების კალთებზე. ადგილის ასეთი გადაადგილება ცხადია უმიზეზოდ არ მოხდებოდა. საერთაშორისო იოანე მამიკონიანის მატიაზის მიხედვით, რომ ზღვის სანაპიროზე მდებარე ძველი ქალაქი ჰამამა-შენი, მოშლილა და იგი გადაუტანიათ გარეშე მტრებისაგან დაკულს ზეობაში, პონტოს მთების ზონაში, გარეშე მტრების — თურქების გაძლიერების ხანაში (ტრაპიზონის აღების შემდეგ), ე. ი. მე-15 — 16 საუკუნეებში.

ხოლო რა დროიდან განიდა აქ, პონტოს მთების ჰამენში, სომხური მოსახლეობა? ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შენახულა.

საფიქრებელია, რომ სომხური მოსახლეობა აქ შედარებით ახლო დროებში არის მოსული. უფრო შემოხვევაში არც ერთი ძველი წყაროში ლაზეთის შესახებ (ხოლო ასეთი წყაროები, როგორც ცნობილია, მრავლად შენახულა) — არ მოიპოვება არავითარი ცნობა სომხური მოსახლეობის შესახებ ლაზეთში. აღსანიშნავია, რომ თვით ჰემინელი სომხები არ სთვლიან თავს ადგილობრივ აბორიგენებად, არამედ გადმოცემით ისინი შიდა-სომხეთიდან არიან გადმოსულნი.

მაგრამ თუნდაც სომხური მოსახლეობა ჰემინისა ძველი დროისა უფილიყო, ვანა დამტკიცდებოდა ამით, რომ ლაზეთი არ იყო ქართული ქვეყანა?

ვინ უარყოფს, რომ ძველად შესაძლოა არსებულებო სომხური, ბერძნული თუ სხვა კოლონიები ამათუიე ქართულ პროვინციაში? და იმის გამო რომ ლაზეთის ერთ მატარებელ ქუჩაში თუნდაც არსებულებო სომხური კოლონია, განა ამით ლაზეთი შეიცვლიდა თავის ტერიტორიულ სახეს? რასაკვირველია, არა. და მართლაც არაფერია მოსულია აზრად, ჰემშინის რაიონის გამო, ლაზეთი სომხეთად გამოცხადებია, არამედ იგი უოველთვის ლაზეთად მოიხსენება; ლაზეთი იყო ლაზური და ასეთად დარჩა.

რაც შეეხება ჰამშენის საკითხის დაკავშირებას კლარჯეთთან, ეს კი უკვე სრული გაუგებრობაა, მხოლოდ საკითხის დაბუნდოვანების მიზნით მოტანილი. მართლაც რა ტერიტორიული კავშირი აქვს კლარჯეთს, ქალაქ არტანუჯის მხარეს, რომელიც მდინარეების არტანუჯ-მურგაბის ხეობებშია განფენილი, და ჰამშენს, რომელიც სრულებით სხვა ზონაში, პონტოს მარჯვნივ, შიდა-ლაზეთში მდებარეობს? არაერთად.

ნ. მარის ამ მთავარ მოსაზრებათა განხილვის შემდეგ, გავეცნოთ აგრეთვე სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს აქ აღძრული საკითხის გამო კლარჯეთის შესახებ.

ერთ-ერთ საბუთს იმისას, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში ვითომც სომხეთის ფარგლებში შედიოდა, ზოგიერთი მკვლევარი თითქმის ჰპოულობს ანტიკური ხანის გეოგრაფიის კლავდი პტოლემეს თხზულებაში.

სახელდობრ კლავდი პტოლემეს თავის თხზულებაში „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“-ში აღნიშნული აქვს, რომ სომხეთის ფარგლებში მე-2 საუკუნეში (ახ. წ.) სხვა პროვინციათა შორის შედიოდა პროვინცია Katarz-, Katarz-ene, ე. ი. „კატარძ“-ი, „კატარძ-ენე“ (წ. V, თ. XII, § 9) ¹.

პროფ. ჰ. კიპერტმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ ეს დაწერილობა ამ პროვინციის სახელისა კლავდი პტოლემეს თხზულების მოღწეულ დედნებში დამახინჯებას უნდა წარმოადგენდესო და მის ნაცვლად უნდა წერებულებო „კალარძ“-ი, „კალარძ-ენე“. ხოლო ეს უკანასკნელი არისო იგივე პროვინცია კლარჯეთი ანუ კლარჯქ.

ამ მოსაზრების მიხედვით პროფ. ჰ. კიპერტმა თავის რუკაზე Atlas Antiquus, № 4 — კლარჯეთის ტერიტორია ჩასთვალა სომხეთის პროვინციად, ამ თვითნებურად აღდგენილი სახელწოდებით „კალარძენე“, რომელიც სინამდვილეში არც ერთ ხელნაწერში, არც ერთ დოკუმენტში არაა დადასტურებული.

პროფ. ჰ. კიპერტის ეს შესწორება, რომ ვითომც „კატარძ-ენე“ არისო დამახინჯება სახელწოდებისა „კალარძ-ენე“, ხოლო „კალარძ-ენე“ ვითომც არისო იგივე კლარჯეთი, გაიზიარეს მთელმა რიგმა არმენისტებმა, მათ შორის ჰ. პიუბშმანმა ², ე. ი. მარკვარტმა ³, ნ. მარმა ⁴.

მანც ასეთი გაიგივება იმდენად თვითნებურია და იმდენად ხელოვნური სჩანდა, რომ თავიდანვე იწვევდა ეჭვს.

პროფ. ნ. ადონცი, გამოკვლევაში „Дионисий Фракийский и армянские толкователи“, განიხილავს რა დიონისი თრაკიელის სომხურ ეგრისიაში მოხსენებულს ეთნიურ სახელებს „გოდერძ“-ი („გოდერძ-აკან“), და „ტუპ“... კითხვას სვამს: „первое имя („Горердз-акан“) не находится ли в связи с названием области Katarzene у Птолемея, которое обыкновенно принимается за искажение Kalarzene...“ ⁵. ამრიგად ნ. ადონცი ეჭვს ქვეშ დააყენა ეს თვითნებური

¹ ვარიანტი Katarz-ene, ე. ი. კატარძ-ენე.

² იხ. Die altarmenische Ortsnamen, გვ. 212.

³ Eranschahr, გვ. 116.

⁴ იხ. ნ. მარის წერილი, Христианский Восток, т. V, 1916 წ., გვ. 59 — 60.

⁵ იხ. გვ. CLXXII.

შესწორება პტოლემეს მიერ მოხსენებული „კატარძენე“-სი „კალარძენე“-ს სახით და მისი კლარჯეთთან დაკავშირება.

ამავე დროს მთელ რიგ მკვლევართა მიერ აღნიშნულ იქმნა, რომ სახელწოდება პტოლემეს მიერ მოხსენებული სომხეთის პროვინციისა Katarz- (Katarzene) ზუსტად უდგება სახელწოდებას ურარტულ ტექსტებში მოხსენებული პროვინციისას: Katarza (Katarza-ni).

აღნიშნულის მიხედვით ცნობილმა თანამედროვე არმენისტმა აკად. გრ. ლათანციანმა შემცდარად გამოაცხადა მანამდე არმენისტიკაში მიღებული აზრი, ვითომც პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული სომხური პროვინცია 'კატარძენე' იყოს ქართული მხარე კლარჯეთი. წიგნში *Историко-лингвистическое значение топонимики древней Армении* (1940 წ.) (1940 წ.) გო. ლათანციანი წერს (გვ. 19):

„Большую натяжку мы видим в приурочении птолемеевского Katarzene к грузинской области Кларджети. Это греческое имя страны есть несомненно армянское Горедзакан, что непосредственно вместе с народцем Тух передает древние этнические термины клинописных (урартских) текстов Katarza... и Etiuxi.

„На сходство урартского Katarza с греческим Katarzene было обращено внимание и другими учеными (см. напр. у Сандаджлиа Les inscriptions cuneif urartiques стр. 386), хотя дислокация... тут давалась совершенно неправильная“.

გრ. ლათანციანი აღნიშნავს რა, რომ ურარტულ წარწერებში ერთად მოხსენებიან სამი მხარე — „ვიდერუ“, „ლუშა“ და „კატარძა“, — გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ეს სამი მხარე უნდა იყოს აღმოსავლეთ ეფრატის სათავეებში და მის მეზობელ ზონაში მდებარე პროვინციები ძველი სომხეთისა — ბაგრევანდი, წალკოტნი და კოგოვიტი.

ურარტოლოგი პიოტროვსკი ჰფიქრობს, რომ რამდენადაც ამ სამ მხარესთან (ვიდერუ, ლუშა კატარძა) დასახელებულია ხოლმე ერთ ჯგუფში ქვეყნები ეტიუნი, ერახი და იშვიგულუ, რომლებიც სომხეთის ჩრდილო ნახევარში მდებარეობდნენ, ამიტომ პირველი სამი მხარეც, მათ შორის კატარძა, სომხეთის ჩრდილო ნახევარში არის საქმეებელი¹.

იმისათვის რომ საბოლოო დასკვნები გამოვიტანოთ ყველა აქ აღძრული საკითხის გამო, გადავიდეთ თვით კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის ტექსტის ანალიზზე. ჩვენ მოგვიხდება დაწვრილებით და ყოველმხრივ განვიხილოთ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის ეს ცნობა, რადგან სწორედ ეს ტექსტი ითვლებოდა ძირითად წყაროდ, რომლის მიხედვითაც (პ. კიპერტის, პ. პიუბშმანის და სხვათა მიღწევებით) დაასკვნიდნენ, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში ვითომც სომხეთის ნაწილს შეადგენდა.

თავდაპირველად მოგვყავს მთლიანად სათანადო ტექსტი კლავდი პტოლემეს გეოგრაფიიდან; აქ ჩვენ ვკითხულობთ:

«სომხეთის მხარეები, ნაწილში, რომლებიც მდებარეობენ მდინარეებს — ეფრატს, მტკვარს და არაქსს შორის, შემდეგნაირად:

„[1] მოსხის თებთან — კ ა ტ ა რ ძ ე ნ ე. ევროპოლებული „პოხ“-ების ზემოთ; მდინარე მტკვარის მიღევებით; [2] გოგარძენე და [3] ოტენე

¹ Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, 1944, гв. 66, 77.

„მდინარე არაქსის მიდევნებით: [4] კოლოტენე და მის ქვემოთ [5] სოღუკენე, პარიარდის მთებთან [6] სირაკენე და [7] საკაპენე“¹.

თავდაპირველად აღნიშნავთ შემდეგს ორ გარემოებას, რაც ირკვევა მოყვანილი ტექსტის მიხედვით.

1. კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში აქ ჩამოთვლილი 7 მხარე, როგორც ამას აღნიშნავს ავტორი, მდებარეობდნენ ეფფრატის, მტკვრისა და არაქსის ხეობებში. მაშასადამე მხარე „კატარქენე“ არას შემთხვევაში არ შეიძლება იყოს კლარჯეთი, რადგან კლარჯეთი არ მდებარეობს არც ეფფრატის, არც მტკვრის, და არც არაქსის ხეობაში, არამედ სულ სხვა ზონაში, — ჭოროხის ხეობაში; ხოლო აქ ჭოროხის ხეობის შესახებ სრულებითაც არ არის საუბარი.

2. კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის კონტექსტიდან ისიც ირკვევა, რომ „კატარქენე“ ნიშანდობლივ ეფფრატის ხეობაში ყოფილა. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ჩამოთვლილი 7 მხარიდან, რომლებიც ეფფრატის, მტკვრისა და არაქსის ხეობებში ყოფილან განფენილნი, მეორე და მესამე მხარე ეკუთვნიან მტკვრის ხეობას; მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მხარეები ეკუთვნიან არაქსის ხეობას; მაშასადამე პირველად დასახელებული ეფფრატის ხეობისათვის რჩება ასევე პირველადვე დასახელებული კატარქენის მხარე.

მაგრამ განეაგრძოთ ძიება.

რომ კატარქენე არ იყო კლარჯეთი და რომ კატარქენე მდებარეობდა არა ჭოროხის, არამედ ეფფრატის ხეობაში, ეს დასტურდება აგრეთვე სხვა ჩვენებათა მიხედვითაც.

კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში როგორც ვნახეთ აღნიშნულია, რომ კატარქენე მდებარეობდა მ ო ს ხ ი ს მთებთან, ეგრეთ-წოდებული „ბ ო ხ“-ების ზემოთ.

საკითხავია, რომელ მთებს ეწოდებოდა მ ო ს ხ ი ს მთები და სად მოსახლეობდა ანტიკურ ხანაში „ბ ო ხ“-ის ტომი.

ჯერ „ბ ო ხ“-ის ანუ „ბ ო ხ ა“-ს (იგივე „ბოლხარ“ის) ტომის შესახებ.

სტეფანე ბიზანტიელის ცნობიდან ირკვევა, რომ ცენტრი „ბოხა“-ს ტომის ტერიტორიისა ყოფილა კ ა რ ი ნ ი, ე. ი. ეხლანდელი არზრუმის ზონა დასავლეთ ეფფრატის სათავეებში; სტეფანე ბიზანტიელი ბოხაელებს „კ ა რ ი ნ ე ლ თ ა ტ ო მ ს“ უწოდებს².

ირკვევა ამასთან, რომ გარდა კარინისა (რომელიც ბოხას ტომის ძირითადი მიწა-წყალი ყოფილა), ბოხაელთა ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა აგრეთვე: ა) ბასიან-ვანანდი (ეფფრატის ხეობის მიჯნადას — მტკვრის ხეობის მიჯნამდე)³;

ბ) ტაოს უკიდურესი სამხრეთი კანტონი, რომელსაც ერქვა ეს სატომო სახელი „ბოხა“ ანუ „ბუხა“ (იგივე „ბუხათა-ყური“)⁴ და რომელსაც ეპირა მდინარე ოლთის-წყალის სათავეები.

რაკი ამრიგად ბოხაელთა სატომო ტერიტორია გამორკვეულია, ამის შემდეგ შესაძლოა ზუსტად იქმნას განსაზღვრული, თუ რომელი მთებია ნაგულისხმევი კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში „მოსხის მთების“ სახელწოდებით.

¹ იხ. SC, I, გვ. 244. (სახელწოდებანი მეორე და მესამე მხარისა ხელნაწერებში დაზიანებულია და იკითხვის: „ტოსარენე“ და „ტოტენე“).

² იხ. სტეფანოს ბიზანტიელი, სიტყვითან: *Πορχαι*.

³ საზღვრები იხ. იქვე, სტეფანოს ბიზანტიელთან. (ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ქვემოთ).

⁴ უფრო გვიან ხანაში (დამახინჯებით) „ბულათა-ყური“ (იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *543/311, ეპიფანოზის წერილი, გვ. *794/632).

აშკარაა „მოსხის მთები“ რქმევია წყალთა-გამყოფ ქედს, რომელსაც ერთის მხრიდან ადგება არაქსის ხეობა, ხოლო მეორეს მხრით მტკვრის და ქოროზის ხეობები. ეს ქედი იწყება ჩრდილო-აღმოსავლეთით ჯავახეთთან, ილწუნს სამხრეთ-დასავლეთით ვიდრე სპერამდე („შქედისი“-ს მთების შესაყარამდე), ხოლო მისი სამხრეთი განშტოება ადგება ბინგელის მწვერელებს (დევებიონუს შტოზე გავლით). სწორედ ამ მთებს ეკვრის ბოხაელთა ტერიტორია — კარინი, ბასიან-ვანანდი და ბოხას კანტონი.

რომ ანტიკურ ხანაში „მოსხის მთების“ სახელით იგულისხმებოდა სწორედ ეს მთები, ამას ადასტურებს, გარდა კლავდი პტოლემეს გეოგრაფიისა, აგრეთვე სტრაბონის ტექსტი და სხვა წყაროები (იხ. ქვემოთ) ¹.

რაკი ამრიგად გამოჩვეულია ადგილმდებარეობა ბოხაელთა ტერიტორიისა და მოსხის მთებისა, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები შემოთაღძრულ საკითხთა გამო:

1. თავდაპირველად ჩვენ აქ ვღებულობთ ერთ ზედმეტ საბუთს, რომ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული კატარქენე ეს არ არის კლარჯეთი; კლავდი პტოლემეს სრულიად გარკვეული ცნობის თანახმად, კატარქენე მდებარეობდა „მოსხის მთებთან, ეგრეთწოდებული ბოხების ზემოთ“. ხოლო კლარჯეთი, ჯერ ერთი, არ მდებარეობს იმ ქედთან, რომელსაც რქმევია „მოსხის მთები“, არამედ სულ სხვა ზონაშია მოქცეული. მეორედ, — კლარჯეთი არ ეკვრის ბოხაელთა ტერიტორიას (კლარჯეთს და ბოხას შორის მდებარეობენ მთელი წყება სხვა კანტონებისა). მესამედ, — კლარჯეთი ბოხაელთა ტერიტორიის მიმართ არის არა „ზემოთ“, არამედ პირიქით „ქვემოთ“: არტანუჯ-იმერხევის წყალის ხეობა, რომელზედაც მდებარეობს კლარჯეთი, განფენილია ქოროზის ხეობის არა ზ ე მ ო ნაწილში (როგორც ოლთისის-წყალის ხეობა და ბოხას კანტონი), არამედ სწორედ ხეობის ქვემო ნაწილში.

2. კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული კატარქენე, როგორც ირკვევა, უნდა ვეძიოთ არა ქოროზის ხეობაში, არამედ აღმოსავლეთ ეფფრატის ზემო შემდინარეებში, ბინგელის მთების ზონაში, რადგან სწორედ ეს ტერიტორია არის ბოხების „ზემოთ“, მოსხების მთებთან. (რომ კატარქენე ეფფრატის ხეობაში მდებარეობდა, ამის შესახებ, როგორც ვნახეთ, სხვა ჩვენებებიც არსებობს; იხ. ზემოთ, გვ. 129).

საკითხავია ამის შემდეგ, ხომ არ შენახულა ამ სექტორში ეს სახელწოდება კატარქ-ი (კატარქ-ენე), ან მისი რაიმე გვიანდელი სახელწმეცვლილი ფორმა.

როგორც ირკვევა, შენახულა.

კლავდი პტოლემეს ხანიდან ოთხი საუკუნის შემდეგ, უკვე საშუალ საუკუნეებში, ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს მე-6 საუკუნეში კარინის მეზობლად, ე. ი. სწორედ ბოხაელთა ტერიტორიის მეზობლად, ბინგელის მთების ზონაში (აღმოსავლეთ ეფფრატის ხეობაში) მოხსენებული აქვს დიდი ციხე-სიმაგრე სახელწოდებით Kithariz — (Kithariz-ôn) კ ი თ ა რ ი ძ — (კ ი თ ა რ ი ძ-ონ), რომელიც იცავდა რომის იმპერიის საზღვრებს ირანიდან ².

¹ აღნიშნავთ აქვე შემდეგსაც: რომ ანტიკურ ხანაში მოსხის მთების სახელით იგულისხმებოდა როგორც ძირითადი ჩრდილო წყალთაგამყოფი ქედი (მტკვარ-ქოროზსა და არაქსს შორის), აგრეთვე სამხრეთი დევებიონუს შტო (დასავლეთ ეფფრატსა და არაქსს შორის), — ეს სწორედ აქვს ამოცნობილი ვახუშტი ბატონიშვილს (იხ. საქართველოს გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 121, 140).

² იხ. პროკოპი კესარიელი, Aed. III, 3, p. 20; Pers. II, 24, p. 261. კითარინის ლოკალიზაციის საკითხის გამო იხ. ნ. აღონცი, op. cit., გვ. 13—22.

სახელწოდება ამ ციხე-სიმაგრისა ჩვენ გვხვდება აგრეთვე სირიულ, სომხურ და ქართულ წყაროებში¹.

სახელწოდება ამ ციხე-სიმაგრისა კ ი თ ა რ ი ძ — (კ ი თ ა რ ი ძ — ^{კ ი თ ა რ ი ძ} კ მ — კარაა კავშირში იმყოფება ბტოლემეს მიერ დასახელებული მხარის სახელთან **კ ა ტ ა რ ძ** — **კ ა ტ ა რ ძ - ე ნ ე**). ამის მანვენებელია როგორც სახელწოდებათა იდენტივობა, ისე მათი ლოკალიზაცია ერთსა და იმავე სექტორში.

დასასრულ აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე კითხვაზე, თუ რამდენად მართებულია გაიგივება კლავდი ბტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებულ ამ მხარის სახელთან **კ ა ტ ა რ ძ** — **კ ა ტ ა რ ძ - ე ნ ე** დიონისის თრაკიელის თარგმანში მოხსენებული ეთნიური სახელისა **გ ო დ ე რ ძ** — (გოდერძ-აკან) და ურარტულ ტექსტებში მოხსენებული მხარის სახელისა Katarza (Katarza-ni).

პირველი კითხვის გამო, არის თუ არა ბტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული მხარის სახელი **კ ა ტ ა რ ძ** — **კ ა ტ ა რ ძ - ე ნ ე** იდენტიური ეთნიურ სახელთან **გ ო დ ე რ ძ** — **გ ო დ ე რ ძ - აკან**, არაფერი გარკვეულის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან არაერთი ცნობა არ მოლწეულა იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელი ეთნიური ჯგუფი აღინიშნება ამ სახელით, ან სად არის სავარაუდებელი, თუნდაც მიახლოებით, ამ ეთნიური ჯგუფის გეოგრაფიული არე.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, რომელიც გამოთქმული იყო მთელ რიგ მეცნიერთა მიერ, რომ ურარტულ წარწერებში მოხსენებული მხარე Katarza (Katarza-ni) არის იგივე კლავდი ბტოლემეს გეოგრაფიაში დასახელებული მხარე **კ ა ტ ა რ ძ** — **კ ა ტ ა რ ძ - ე ნ ე** ეს არ იწვევს ეჭვს. ჯერ ერთი, სახელწოდება ამ მხარეთა, როგორც ვხედავთ, სავსებით იდენტიურია. ანის გარდა, ლოკალიზაცია ურარტული Katarza(-ni)-ს მხარისა ზოგადად უდგება კლავდი ბტოლემეს გეოგრაფიის კატარძ-ენის მხარის ადგილმდებარეობას. ურარტუს სახელმწიფოს **ე ტ ი უ ნ ი ს** ქვეყნები (რომლის მეზობლადაც მდებარეობდა, ან რომლის კომპლექსშიაც შედიოდა ურარტული Katarza), როგორც ირკვევა მოიცავდა აღმოსავლეთ ეფფრატის (არაწანის) ხეობის ჩრდილო სექტორს და არაქსის ხეობის ზემო ნაწილს. ზოლო კლავდი ბტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული კატარძენეს მხარე, როგორც გამოირკვა იმავე ზონაში მდებარეობდა, აღმოსავლეთ ეფფრატის ხეობის ზემო-ნაწილში.

ჩვენ ამით დავამთავრებთ ამ ექსკურსს კლავდი ბტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული მხარის კატარძენეს შესახებ.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო გარკვეული, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კლავდი ბტოლემეს გეოგრაფიაში დასახელებული მხარე **კ ა ტ ა რ ძ ე ნ ე**, რომელიც ეფფრატის ხეობაში მდებარეობდა, არ არის ქართული პროვინცია **კ ლ ა რ ჯ ე თ ი**, მდებარე ქოროხის ხეობაში.

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე ორიენტალისტის ი. მარკვარტის მიერ გამოთქმული მოსაზრებისა ამავე საკითხთა გამო.

¹ სირიულად: * კიტარიძ ანუ * კიტარიზ —> კიტრიზ) იხ. Gelzer, *Georgii Cyprii descriptio orbis Romani*, 1890, გვ. 174—175. — სომხურად: * კითარიძ (—> კთარიძ), იხ. ასო-ლიკი, 1885, გვ. 86. — ქართულად: კითარიჯი (კითარიჯი), იხ. არსენი საფარელი *ქრონიკები*, I გვ. 829).

ი. მარკვარტი იზიარებდა ზემოთგანხილულ უსაფუძვლო პიპოთიზს, რომ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის კატარქენე ვითომც არისო ქართული პროვინცია კლარჯეთი.

ამ მცდარ დებულებას ი. მარკვარტმა დაუკავშირა მეორე მცდარი დებულება, დამყარებული სტრაბონის გეოგრაფიის ერთი ცნობის არასწორ ინტერპრეტაციაზე.

როგორც ცნობილია, სტრაბონის გეოგრაფიაში, იმ მხარეთა შორის, რომლებიც შევიდა სომხეთის შემადგენლობაში მე-2 საუკუნეში ძვ. წელთაღრიცხვისა, მოხსენებულია მხარე *Χιρζηνή* „ხორქენე“ (იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, 5, 4).

ი. მარკვარტმა ამ მხარის სახელწოდებისა და ადგილმდებარეობის საკითხის გამო შემდეგი მოსაზრებანი წარმოადგინა:

ა. სტრაბონის გეოგრაფიის არსებულ დედნებში დასახელებული სახელწოდება „ხორქენე“ უნდა წარმოადგენდესო დამახინჯებულ დაწერილობას და თავდაპირველ დედანში უნდა ყოფილიყო არა „ხორქენე“ არამედ „ხო[ლა]რქენე“;

ბ. ეს სახელწოდება „ხო[ლა]რქენე“ უნდა იყვესო კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული „კატარქენე“ („კოტარქენე“), რაც აგრეთვე დამახინჯებას უნდა წარმოადგენდესო და მის ნაცვლად თავდაპირველ დედანში უნდა ყოფილიყო „კა[ლ]არქენე“ (ანუ „კო[ლ]არქენე“);

გ. სტრაბონის ეს „ხო[ლ]არქენე“, იგივე კლავდი პტოლემეს „კა[ლ]არქენე“ უნდა იყვესო კლარჯეთი¹.

ი. მარკვარტს ეს მოსაზრებანი არაფრით არ დაუსაბუთებია, იგი კმაყოფილდება ამ პიპოთიზის დეკლარატიული სახით წამოყენებითა.

ი. მარკვარტის ეს მოსაზრებანი მცდარია.

ჯერ ერთი ანგარიშგასაწეია ის ფაქტი, რომ არ არსებობს არც ერთი ხელნაწერი სტრაბონის გეოგრაფიისა, სადაც თუნდაც ერთხელ, გადანაშთის სახით, მოიპოვებოდეს წაკითხვა „ხო[ლა]რქენე“; ყველა ხელნაწერებში ჩვენ გვაქვს „ხორქენე“. (ამნაირადვე არ არსებობს არც ერთა ხელნაწერი კლავდი პტოლემეს გეოგრაფიისა, სადაც თუნდაც ერთხელ გადანაშთის სახით მოიპოვებოდეს წაკითხვა „კა[ლ]არქენე“ ან „კო[ლ]არქენე“). ხოლო სახელწოდებათა ამნაირი თვითნებური გადაკეთებით, „აღდგენით“ (ხორქენეს ნაცვლად ხოლარქენე, კატარქენეს ნაცვლად კალარქენე), რაც არც ერთ ხელნაწერში არ გვხვდება, რასაკვირველია, არაფრის დამტკიცება არ შეიძლება. აქ ჩვენ გვაქვს, თუ გნებავთ, უფრო მკითხაობა ვიდრე მეცნიერული არგუმენტაცია...

რომ სტრაბონის გეოგრაფიის ხორქენე არ არის და არც შეიძლება იყვეს ქართული პროვინცია კლარჯეთი, ამას ადასტურებს სტრაბონის გეოგრაფიის ცნობები საქართველოსა და სომხეთის საზღვრების შესახებ:

I. სტრაბონის ცნობით ჭოროხის ზეობა, ტაოს ჩათვლით, ვიდრე ქალაქ ი დ ა მ დ ე ანუ ი დ ე ს ა მ დ ე საქართველოს (იბერიისა და კოლხეთის) საზღვრებში შედიოდა და მაშასადამე კლარჯეთი, რომელიც მდებარეობს ტაოს ჩრდილოეთით, არ შეიძლებოდა ყოფილიყო სომხეთის საზღვრებში.

¹ იხ. ი. მარკვარტი, *op. cit.*, გვ. 116, 168 — 169.
² იხ. სტრაბონის გეოგრაფია, XI, 2, 17 — 18; I, 3, 21 (SC. I, 137 — 98). სტრაბონის გეოგრაფიის ცნობათა უფრო დაწერილებითი განხილვა წარმოდგენილი გვაქვს ქვემოთ.

2. სტრაბონის ცნობით საზღვარი იბერიისა და სომხეთს შორის გასდევდა „მოსხის მთებს“, და, მაშასადამე, კლარჯეთი, რომელიც მდებარეობს მოსხის მთების ჩრდილოეთით, არ შეიძლება ყოფილიყო სომხეთის ტერიტორიაზე. ამრიგად უდავოა, რომ სტრაბონის გეოგრაფიაში „ხორძენი“-ს სახელწოდებით არ იგულისხმება და არც შეიძლება იგულისხმებოდეს ქართული პროვინცია კლარჯეთი.

საკითხავია ამის შემდეგ, რომელი მხარეა ეს „ხორძენი“, სად მდებარეობდა იგი? ნუთუ მის შესახებ არ შენახულა რაიმე ცნობა?

საქმე ის არის რომ „ხორძენი“ სრულიადაც არ არის რომელიმე მართლაც უცნობი მხარე, არამედ იგი არა ერთგზის მოიხსენება საისტორიო წყაროებში, როგორც სომხურში, ისე ბერძნულში.

სახელდობრ ხორძენის ეს პროვინცია მოხსენებული აქვთ შემდეგ ავტორებს, შემდეგის სახით: „ხორძენი“ — ავტორებს: კორიუნი (1894, გვ. 24), მოზე ხორენელი (1865, გვ. 248), სომხური უსახელო გეოგრაფია, მოკლე ვერსია (1865, გვ. 607).

„ხორძენი“ — ავტორებს: ლაზარე ფარბელი (1875, გვ. 41), ასოლიკი (1885, გვ. 182), არისტაკეს ლასტივერტელი (1844, გვ. 46).

„ხორძენი“ — სომხური უსახელო გეოგრაფია, ვრცელი ვერსია (1881, გვ. 301).

„ხორძენი“ — პროკოპი კესარიელი, Bell. Pers. (I, 1833 წ., გვ. 262).

საისტორიო წყაროების ცნობით ხორძენის ეს პროვინცია მდებარეობდა მდინარე ეფფრატის ხეობაში, სახელდობრ მდინარე ეფფრატის შემდინარის გაილის სათავეებში (ქ. კოლობერდის სექტორში) ¹.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არ არსებულა არაერთი საჭიროება იმისა, რომ შევასწოროთ სტრაბონის ტექსტში დასახელებული სახელწოდება „ხორძენი“ როგორც „ხო[ლა]რძენი“ (რასაც, როგორც მოვიხსენეთ, არც ერთი ხელნაწერი არ ამართლებს) და შემდეგ ეს ხელოვნურად აღდგენილი „ხო[ლა]რძენი“ დავაახლოოთ კლარჯეთის სახელთან... არ მოიპოვება არაერთი საფუძველი ასეთი თვითნებურ შესწორებისათვის, რადგან მხარე სწორედ ამ სახელწოდებით „ხორძენი“ მართლაც არსებობდა.

რომ სტრაბონის გეოგრაფიაში დასახელებული ხორძენი არის სწორედ ეს კარგად ცნობილი ხორძენის მხარე, ამას ეთანხმება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სტრაბონის მიერ ხორძენისთან ერთად მოხსენებული პროვინციები კარინი, დერქანი, აკილისენი, ანტიტაეროსის მხარე (მუქური), მდებარეობენ ეფფრატის ხეობაშივე, ისევე როგორც ხორძენი.

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას ი. მარკვარტის ამ ჰიპოთეზისა, რომელიც გაიზიარეს აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა მკვლევარებმა. წარმოდგენილი განხილვიდან ვფიქრობთ ცხადია, თუ რამდენად ზერელეა და ნიადაგს მოკლებული ი. მარკვარტის ეს დაუსაბუთებელი ჰიპოთეზი.

დასასრულ შევიჩრდებით კლარჯეთის მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაზე.

აკად. ნ. მარს თაყის კონცეპციის კლარჯეთის ისტორიის შესახებ, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში ვიდრე მე-მ საუკუნემდე ეთიოპ სომხეთის პროვინციას შეადგანდა, კერძოდ ამართლებდა კლარჯეთის მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურის მიხედვით, აქ მოიპოვება სომხური გეოგრაფიული სახელწოდებანი.

¹ იხ. სომხური გეოგრაფია, ვრცელი ვერსია, 1881, გვ. 30. (შეად. ვარდანის გეოგრაფია, პ. თ. სენ-მარტენის გამოცემა, გვ. 430).

1905 წელს გამოქვეყნებულს გამოცემაში „Аркауи...“, ნ. მარი წერდა კლარჯეთისა და ტოს შესახებ, რომ აქ პირველად გაჩნდნენო ქართველი მოღვაწეები მხოლოდ მე-8 საუკუნის შორე ნახევრიდან და დიპლომატიის სომხების მიერ მიტოვებული საეპისკოპოსოები, რომლებიც სომხურ სახელებს ატარებდნენო „Здесь обосновываются монастырские грузины все не оwdовеших армянских постройках, в большинстве сохранивших армянские имена...“ (გვ. 5). ასეთ სომხურ სახელებად ნ. მარი ასახელებს კლარჯეთიდან ორს: შატბერდსა და შინძაძორს.

1911 წელს გიორგი მერჩულის ძეგლის გამოცემასთან დაკავშირებით წერდა ნ. მარი ისევ იმეორებს ამავე ცნობას; იგი სწერს რომ მე-8 საუკუნის შორე ნახევარში, როდესაც კლარჯეთში ვითომც პირველად გაჩნდნენო ქართველი მოსახლეები — „Грузинские монахи в Кларджии нашли армянские монастырские постройки в состоянии полного разорения или запущенности: Целый ряд мест, как-то Миднадзор, Шатберд и др. представляли, очевидно, мерзость запустения и только своими армянскими названиями свидетельствовали о лучших днях при культурном господстве соотечественного (армянского) населения“. (გვ. XV—XVI).

ასევე 1922 წელს გამოქვეყნებულს ნარკვევში „Батум, Ардаган, Карс“ ნ. მარი კვლავ იმეორებს ამავე ცნობას; იგი წერს: „В 8-ом веке по Р. Х. впервые появились в Кларджии, в Батумской области, строители грузинских обителей и они... застали опустошенные или опустевшие армянские монастыри и села; их заняли грузины, сохранив старые армянские названия...“ (გვ. 42). ამრიგად ნ. მარის ცნობით სომხურ სახელები შერჩაო როგორც საეპისკოპოსო, ისე სოფლებს. ასეთი ვითომცდა სომხური სახელებიდან ნ. მარი ასახელებს კლარჯეთიდან იმავე ორ პუნქტს: შატბერდსა და შინძაძორს, იმავე დამატებით „და სხვანი“ („и другие“).

როგორც ვხედავთ ნ. მარი თავის ნარკვევებში ათეული წლების მანძილზე სისტემ ტიურად იმეორებდა ამ დებულებას, რომ კლარჯეთის გეოგრაფიული ნომენკლატურა სომხურ ბეჭედს ატარებდა; მაგრამ საბოლოო ნგარიშში იგი ყოველთვის ასახელებდა კლარჯეთიდან მხოლოდ ამ ორად-ორს გეოგრაფიულ სახელწოდებას — შატბერდსა და შინძაძორს, არაფრის არ მოქმედი დამატებით „და სხვანი“ („и другие“).

გეოგრაფიული ნომენკლატურა, რასაკვირველია, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ამათომ შარის ეთნიური ისტორიის აღსადგენად.

მაგრამ იმისათვის, რომ გამოვიტანოთ დასკვნა ამათომ შარის ეთნიური ისტორიის შესახებ გეოგრაფიული ნომენკლატურის მიხედვით, სჭირია, ჩათვა ეს გეოგრაფიული ნომენკლატურა ვაჟავლისწინებული იყვეს მთელს მოცულობით, ხოლო ამოგლეჯა გეოგრაფიული სახელების მთელი წყებიდან ერთი ან ორი შემთხვევითი მაგალითისა, რასაკვირველია არ შეიძლება.

ნ. მარს არ ჩაუტარებია ასეთი შეჯამება კლარჯეთის ისტორიული გეოგრაფიული ნომენკლატურისა მთელის მოცულობით, რომ მართლაც საფუძველი ჰქონოდა რაიმე გარკვეული, შეცნობიერებად ღირებული დასკვნის გამოს ტანად.

ამავად ჩვენ ჩავატარებთ აქ ასეთ შეჯამებას. ჩვენ წარმოვადგენთ სრულ სიას გეოგრაფიული სახელწოდებებისას კლარჯეთიდან, რომლებიც კი მოიხსენება საისტორიო წყაროებში, როგორც ქართულში, ისე უცხოურში.

სულ საისტორიო წყაროებში ჩვენ ვხედავთ 50-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება კლარჯეთიდან.

თი შთაი ნუსხა.

ა) კლარჯეთის ისტორიული ცენტრები:

1. კლარჯეთი (ს ხელწოდება შარისა და პირვანდელი ცენტრისა; შემდეგ სახელწოდება სოფლისა). — 2. თუხარისი ანუ თუხარისი (ციხე-ქალაქი, კლარჯეთის ცენტრი ანტიურა ხანისა და სამუალასაუკუნეთა შიჯანაზე). — 3. არტანუჯი (ციხე-ქალაქი, კლარჯეთის ცენტრი მე-5 საუკუნიდან).

ბ) საეპისკოპოსო კათედრები:

4. ახიზა. — 5. ფორთა. — 6. ნ. ანჩი. —

გ) თორმეტნი საენენი კლ რჯეთისა:

7. ოპიზა.—8. დაბა.—9. შერე.—10. პარები (პარეხნი).—11. ხანთა.—12. შერეხეთი (შარხრდი).—13. მიმნაძროა.—14. წყაროსთავი.—15. ბარათელთა.—16. ბერთა.—17. გეგმურეთი.—18. დოღის-ყანა.—

ღ) დებასოფლები:

19. ქორთა.—20. ტბა.—21. ანკორა.—22. სხლოვანი.—23. ბარეანი.—24. ახალდაბა.—25. ნავოზეთი.—26. საენენი.—27. ციხის-ძირი.—28. ახალდაბა (II).—29. ბოცოს-ჯვარი.—30. აგარა.—31. ქე ყრილი.—32. სხალთა.—33. გიორგიწმიდა.—34. ფანაკარი.—35. ქორკიმი.—36. ლონგოთ-ხევი.—

ვ) ადგილთა სახელები:

37. წერტაინა.—38. ტახარის კლდე.—39. დიდუბისა ხერთვისი.—40. საქათმის კარი.—41. წისქვილის-ხევი.—42. შირიანეული.—43. დახატულა.—44. საერულავი.

ე) მთები:

45. დადო (დადონი).—46. კარჩხალი.—47. ქვაყრილი. (=47¹ არსიანის ქედის შტო).—48. ხოჩასუნთა.—49. ორჯობის მთა.—50. ძეგლი.—51. ქედი ვეიანთა.—52. ქედი ვითაკარი.—

ზ) მდინარეები:

53. უროხი (=53¹ მდინარე სპერისა).—54. შავშეთის წყალი (=შავშური წყალი).—55. სამწყარი (=სამწყარისა წყ ლი).—¹

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ეს ნუსხა მრავლის მეტყველია.

ჩვენ აქ ამ გზის არ შევადევრათ ამ გეოგრაფიულ სახელწოდებათა დეტალურ განხილვას (ამას სხვა ადგილას ვეხებით). აქ კი აღვნიშნავთ შემდეგს ძირითად დასკვნებს, რაც ყველა სპეციალისტის თვის ამჟამად:

1. ეს სახელწოდებანი, გარდა, შესაძლოა, ერთი-ორისა, ვეუთენის ქართულ სამყაროს (ძირითადად დღესქართულს, ნაწილობრივ მეგრულ-ქანურს, აგრეთვე ნაწილობრივ არქაულ კავკასიანურს ენობრივ წრეს). მასთან ეს სახელწოდებანი დამახასიათებელია არა მარტო კლარჯეთისათვის, არამედ ამ ტიპის სახელწოდებანი ჩვენ გვაქვს საქართველოს სხვა მხარეებში: ზოგიერთი სახელწოდება პირდაპირ მეორდება საქართველოს სხვა მხარეთა გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, სხვები კიდე გენეტიურად ენათესავენა შიდა-საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს თავისი ტიპოლოგიით, გრამატიკული სახეობით და სხვ. მოკლედ აქ ჩვენ გვაქვს საქართველოს ტიპური გეოგრაფიული ნომენკლატურა.

¹ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებანი დასახელებულია შემდეგ წყაროებში:

ა) ლონტი მროველი — სახელწოდებანი: 2, 45, 47¹, 53, 53¹.

ბ) „ცხოვრება ვახტანგ გორგასანის.“: 2, 3, 4, 7, 8, 9, 45, 47¹.

გ) ბასილი ზარზმელი: 7, 10, 47¹.

დ) გიორგი შერჩულე: 2, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 45, 54.

ე) გიორგი შერჩულის თხზულების დანართები: 20, 21, 37, 48.

ვ) სუმბატ დავითის-ძე: 3, 6, 7, 18, 26, 45, 53.

ზ) გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ცხოვრბ.: 2, 3.

ც) მელქისედეკ კათალიკოზის სიგელი: 22.

ძ) ბაგრატ IV-ის სიგელი: 7, 13, 23, 38, 39, 40, 51, 52.

წ) ბერთის ოთხთავის ანდერძი: 41, 42.

ჩ) თამთა-აღმწერელი: 7, 13, 45, 46, 47¹, 50, 54.

ცხ) გუჯარი — მცხეთის მამულების ნუსხ.: 2, 3, 18, 24, 25, 26, 27, 28, 29.

30, 31, 32, 33, 47.

ი) სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა: 2, 6, 7, 11, 40, 44, 49.

იღ) სამცხე-საათაბაგოს სათავადოთა ნუსხა (ლონგოს-ძეთა საგვარეულო, რომელსაც კავშირი აქვს გეოგრაფიულ სახელწოდებასთან „ლონგოთ-ხევი“, 36).

იე) ვახუშტი: 2, 6, 34, 37.

ივ) ხელნაწერი — „მეფეთა დივანი“-ს შემცველი (ე. თაყაიშვილის გამოცემა, ძველი საქართველო, II, გვ. 15).

იზ) დინის 505 წლის საეკლესიო კრების აქტები: 5.

იწ) ლონტი მოძღვარი, ისტორიკოსი ხალიფთა: 2, 53.

იძ) უსახელო გეოგრაფია 7—9 საუკუნეთა: 2, 53.

იძ) კონსტანტინე პორფიროგენეტი: 3.

2. ამ სახელწოდებათა შორის ჩვენ არ გვაქვს სომხური სახელწოდებანი (ვარდა, შესაძლოა, ვრთი-ორისა). ამასთან ამ სახელწოდებებს არ შეეძლებათ არავითარი პარალელუბა სომხების გეოგრაფიულ ნომენკლატურაში; სომხეთში არ გვხვდება არც თვით ეს სახელები, არც ამ ტიპის გეოგრაფიული სახელწოდებანი.

კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შემოთხვევანილი სიდიდან მხოლოდ ორი სახელწოდების შესახებ შესაძლოა აღიბრას ექვი მათი სომხური წარმოშობის შესახებ: ესენია შატბერთი (შატბერდი) დ. მიმანაძორთა (მიჯნაძორთა).

როგორც ვნახეთ, ნ. მარი კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა წრიდან მხოლოდ ამ ორად-ორ სახელწოდებას ასახელებს როგორც სომხური წარმოშობის სახელებს.

ჩვენ გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ნ. მარის მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგია ამ სახელებისა მცდარია, და რომ ეს სახელები, კერძოდ შატბერთი (ასეთია პირველადი სახე ამ სახელწოდებისა), ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი ბოლოკიდური ფორმ სტით „თი“ („შატბერ-თი“, რაც ნიშნავს: შატბერისადმი კუთვნილი, შატბერისეული), ქართულ ენობრივ საყაროს ეკუთვნის¹.

მაგრამ დავუშვათ პირობითად, რომ ნ. მარი თითქო მართალია და რომ ეს ორი გეოგრაფიული სახელი ვითომ ქართულ წარმოშობისაა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამის მიხედვით? მხოლოდ ის დასკვნა, რომ კლარჯეთის ამ ორ პუნქტში, შატბერთსა და მიმანაძორში ოდესღაც სომხური მოსხლეობა ყოფილა.

მაგრამ იმის მიხედვით, რომ კლარჯეთის ამ ორ პუნქტში თუნდაც ოდესმე მართლაც სომხური მოსახლეობა ყოფილიყო, ვანა ამით დამტკიცდებოდ, რომ კლარჯეთი არაა ქართული ქვეყანა? ვინ უარყოფს, რომ ძველად ცხადია არსებობდა არა ერთი და ორი არა-ქართული სოფელი (მათივე ქართულ პრიფინციამი. ვანა არ მოიპოვება, მაგალითად ქართლის მხარეებში, ან-და კახეთში, არა-ქართული სოფლები არა-ქართული სახელებით? მაგრამ ამის გამო არავის მოსვლია აზრად ქართლი დ. კახეთი არა-ქართულ ქვეყნებად გამოეცხადებია.

პირიქით ის გარემოება, რომ კლარჯეთში მხოლოდ ამ ორად-ორი პუნქტის შესახებ შესაძლოა გამოითქვას ექვი მათი არა-ქართულობის შესახებ, ზოლო ძირითადად ვი გეოგრაფიული ნომენკლატურა ამ მხარისა ქართულია, რასაკვირველია იმას ამტკიცებს რომ კლარჯეთი ძირეულ ქართულ მხარეს წარმოადგენდა, დასახლებულს ქართველებით.

ჩვენ გავეცანით ყველა ამ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც დაასკვნოდნენ, რომ კლარჯეთი ანტიურ ხანასა და ადრეულ საშუალ საუკუნეებში ვითომც არ იყო ქართული ქვეყანა.

წარმოდგენილმა კრიტიკულმა განხილვამ ვფიქრობთ ცხად-ჰყო, რომ ეს შეხედულებანი სავსებით უსაფუძვლოა და მცდარი.

გადავდივართ ამის შემდეგ ჩვენი გამოკვლევის მეორე პოზიტიურ ნაწილზე; ჩვენ განვიხილავთ ამის შემდეგ კლარჯეთის ნამდვილ ისტორიას, ყველა არსებული წყაროების გათვალისწინებით, საიდანაც ცხადი გახდება, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანას და ადრეულ საშუალ საუკუნეებში პოლიტიკურად და ეთნოგრაფიულად ყოველთვის ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

2.

განხილვა ისტორიული ცნობებისა კლარჯეთის შესახებ ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალ-საუკუნეებში

კლარჯეთის მხარე, მდებარე ჭოროხის ხეობაში, ჭოროხის ხეობის ქვემო-ნაწილის ხანით — უშუალოდ ეკერის სამხრეთი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროს.

ანტიკური ხანის უძველეს პერიოდში, კლარჯეთი, როგორც ირკვევა, შეად-

¹ იხ. ამის შესახებ უფრო დამტკიცებით სპეციალურ შენიშვნებში.

გენდა კოლხეთის ტომთა კოლექტივის ტერიტორიის ნაწილს. ამას მიუთითებს თვით სატომო სახელი *კოლარჯი (კლარჯი), *კოლარჯი.

ეს სახელწოდება, როგორც ირკვევა, იდენტიურია სატომო სახელთან: კოლხი, იგივე კოლაელი ანუ კოლარი¹.

აღსანიშნავია, რომ მესხეთის ისტორიული ტერიტორიებიდან კოლხების სატომო სახელთან დაკავშირებულია სახელწოდება არა მარტო კლარჯების (*კოლარჯების, კოლარების) მხარისა, არამედ მესხეთის ზოგიერთი სხვა რაიონებისა².

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ უძველესი ცნობა მესხების შესახებ ანტიკური ხანის ბერძნულ მწერლობაში, რომელიც ეკუთვნის მე-6 საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვისა, მესხების ტომს კოლხებთან აკავშირებს (იხ. ჰეკატე მილეთელი, ფრაგმენტი 188).

ანტიკურ ხანაში, ძველ წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნიდან მოკიდებული — ვიდრე პირველ საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა, ცნობები მესხეთის ჰეროდოტის ხეობის მხარეთა შესახებ დაცული აქვთ შემდეგ ავტორებს: ჰეკატე მილეთელს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს და სტრაბონს.

1 იმისათვის, რომ მკითხველისათვის ბოლომდე ნათელი გახდეს ეს იდენტირობა, საჭიროდ მივაჩნია მიუთითოთ შემდეგზე.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვეონდა, რომ ქართულ სატომო სახელებში, რომლებიც ბოლოდღეა ბოლოციდურით „ხი“ (კოლ-ხი, ტაო-ხი, ჯავა-ხი და სხვანი), ფუძისიტყვა აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო დაბოლოება „ხი“ გამოხატავს იმავე შინაარსს, რასაც დაბოლოება: „ელი“. ასე ქვეყნის სახელია „ტაო“, ხოლო აქედან მომდინარეობს სატომო სახელი „ტაო-ხი“ ანუ „ტაოელი“, რაც ერისა და იმავეს ნიშნავს.

ასევე ქვეყნის პირველი სახელი: „კოლა“, ხოლო აქედან მომდინარეობს სატომო სახელი „კოლ-ხი“, რაც ნიშნავს იმავე, რასაც „კოლაელი“.

აქ საჭიროა ეიცოდეთ ამასთან, რომ ქართულში ბოლოციდურს „ელი“ ენაცვლება ბოლოციდური „არი“; ასე მაგალითად ჩვენ გვაქვს „ოდიშელი“ და ამის გვერდით „ოდიშარი“, „ცხუმელი“ და „ცხუმაარი“, „ოპიშელი“ და „ოპიშარი“, „აოლთისელი“, და „აოლთისარი“ და სხვანი. ასეთივე წარმოშობისაა „კოლაელი“ და მისი პარალელური „კოლარი“.

ამრიგად სახელწოდებანი „კოლ-ხი“, „კოლაელი“ და „კოლარი“ — იდენტიურნი არიან.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ზანურ (მეგრულ-ქანურ) დიალექტებში ზგერა „რ“ ვადადის ზგერაში „ჯ“ (თავდაპირველად რთული ზგერა: „რჯ“).

ასე ქართული „ხარი“ — ზანურში: „ხოჯი“ (* „ხოჯი“).

ქართული „ფერი“ — ზანურში: „ფუჯი“ (* „ფურჯი“) და სხვანი.

ასევე ზანური ფორმა სახელისა „კოლარი“ არის * „კოლარიჯი“.

ამრიგად ყველა ეს სახელწოდებანი „კოლხი“, „კოლაელი“, „კოლარი“ და „კოლარიჯი“ (კოლარიჯი) ერთი და იმავე სატომო სახელის დიალექტურ სახესხვაობას წარმოადგენენ.

2 ასე, მესხეთის მხარეთა შორის მტკვრის სათავეებში მდებარე რაიონი, როგორც ცნობილია, ატარებდა სახელს: კოლა ანუ *კორა, რომელსაც უკავშირდება სატომო სახელი კოლხი (= კოლაელი), ვარიანტულის ფორმით: „კორა-ხი“. ძველი რომაელი ავტორის პლინიუს სეკუნდის ცნობით (იხ. Naturalis historia. VI, 26) სახელწოდება შეიქმნა, რომლისა, რომელიც აკრავს მდინარე მტკვრის სათავეებს, ვოფილა „კორახის შეები“, რაც მომდინარეობს ამ სატომო სახელიდან კორახი, კოლხი.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ მტკვრის სათავეებში მდებარე პრიონციის სახელთ „კოლა“, „კორა“ დაკავშირებულია აგრეთვე თვით მდინარე მტკვრის სხელწოდება, პირველდღის სახით * „დ-კორი“ (→ მდ-კორი) „კორი“-ს მდინარე. (თავიციური „დ“ არქაული კლასიკტიკური ნიშანია, რომელიც დაერთვის მდინარის სახელწოდებას). სტრაბონის ცნობით მტკვრის ძველად ერქვათ „კორი“ Kόρ-იც (იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, I, 3, 5 1)

ჰეკატე მილეთელის მიხედვით მესხეთის მხარეთა საზღვრები აღწევდა შატერნა მხარემდე, და მაშასადამე მესხეთის ტომთა ტერიტორიის ფარგლებში ამ დროს მოქცეული ყოფილა არა მარტოოდენ ჭოროხის ხეობა, არამედ ამის სამხრეთით მდებარე ოლქებიც, ბასიანის ზონა¹.

პეროდოტეს და ქსენოფონტეს ცნობებით ჭოროხის ხეობა (რომლის ფარგლებშიაც მდებარეობს კლარჯეთის სექტორი) ასევე მესხეთის მხარეთა კოლექტივში შედიოდა. კერძოდ ქსენოფონტეს მესხეთის ქართველ ტომთა ჯგუფიდან მოხსენებული ჰყავს ჭოროხის ხეობის სამხრეთ ზონაში ტაოხები (ტაოში) და ხალდეები — ხალიბები (სპერში), რომელთა ტერიტორია სამხრეთის მხრიდან ემიჯნება კლარჯეთს².

სტრაბონის ცნობით პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა მესხეთის მხარეები ჭოროხის ხეობისა პოლიტიკურად განაწილებულია კოლხეთსა და იბერიას შორის. იბერიის საზღვრებში შედიოდა აღმოსავლეთი ნაწილი ჭოროხის ხეობისა — ვიდრე მოსხის მთების ხაზამდე (მათ შორის აღმოსავლეთი ტაო, ქალაქ იდით ანუ იდესით, რომელიც ოლთისისწყალის ხეობაში მდებარეობს); ხოლო კოლხეთის საზღვრებში მოქცეული ყოფილა დასავლეთი ნაწილი (ქალაქ იდის სექტორის დასავლეთით, ე. ი. დასავლეთი ტაო, ქვემო-სპერითა და ნიგალით, ვიდრე ზღვამდე)³.

რაც შეეხება საკუთრივ კლარჯეთს, იგი მდებარეობს ამ ორი ნაწილის შუაგულში, და ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ცნობა, კოლხეთის ნაწილს შეადგენდა იგი ამ დროს, თუ იბერიისას.

პირველი საუკუნის მეორე მესამედში ახალი წელთაღრიცხვით (იბერიის მეფის ფარსმან I-ის ხანაში) ჭოროხის ხეობა უკვე მთლიანად იბერიის საზღვრებში გადასულა.

პლინიუს სექუნდი (24 — 79 წ.), აგვიწერს რა ლაზეთის ზღვის სანაპიროს ვიდრე აფსარის (სარფის) ციხემდე, აღნიშნავს, რომ ქედს გადაღმა (პონტოს მთების იმეგრ) მდებარეობს იბერია. პლინიუსის ამ ცნობით ჭოროხის ხეობა (პონტოს ქედის იმერი მხარე) იბერიის ნაწილი იყო⁴.

პირველ — მეორე საუკუნეთა საზღვარზე იბერიის საზღვრებში შესულა აგრეთვე კლარჯეთის გვერდით მდებარე ნაწილი ლაზეთისა: შავი ზღვის სანაპირო, დაწყებული არქაბი-ვიწეს (ბიწეს) სექტორიდან ვიდრე აფსარის (სარფის) ხეობამდე. ეს არის ეგრეთწოდებული ძვიდრიტების მხარე (იგივე ძველი ბიწერების მხარე)⁵. ძველ ქართულ მატიაწეებში შავი ზღვის სანაპირო ლაზეთის ამ კუთხეს, რომელიც პოლიტიკურად იბერიასთან იყო დაკავშირებული, ეწოდება: „ბოლო კლარჯეთისა — ზღვისპირი“ ანუ „ზღვისპირი კლარჯეთი“⁶.

¹ იხ. SC, I, გვ. 3 — შატერნების ანუ მარდების მხარის სახელწოდებით აქ იგულისხმება მარდალის პროვინცია არაქსის სათავეებში, რომელსაც ესაზღვრება ბასიანის ზონა.

² SC, I, გვ. 9, 56—57, 71—74, 83—84.

³ იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 17 — 18; 1, 3, 21. (SC, I, 137 — 138, 98).

⁴ იხ. SC, II, გვ. 178.

⁵ ძვიდრიტების მხარის (ძველი ბიწერები მხარის) ტერიტორიული მოცულობის შესახებ შეადარეთ ცნობები მე-2 საუკუნის ავტორის არიანესის და მე-5 საუკუნის ავტორ-წარუწერელი პერაპლუსისა (SC, I, 222, 273).

⁶ იხ. ჯუანშერი, გვ. * 414/196, ლონტი შროველი, გვ. * 121/21, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. * 358/156—157.

არიანეს 134 წლისათვის თავის პერიპლუსში აღნიშნული აქვს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ძვიდრიტების მხარე (ე. ი. ტერიტორია „ზღვისპირი კლარჯეთი“-სა) შეადგენსო სამფლობელოს მეფის ფარსმანისა (იბერიის მეფე ფარსმან II, ფარსმან ქველი) ¹.

ანტიკური ხანის დასასრულისათვის ქრისტიანობა ვრცელდება კლარჯეთში იბერიის სხვა ნაწილებთან ერთად.

საისტორიო ტრადიცია ქართველთა მისიონერის წმინდა ნინოს მოღვაწეობის ასპარეზად ასახელებს, იბერიის სხვა მხარეებთან ერთად, კერძოდ კლარჯეთს.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა მოსე ხორენელის ისტორიის ტექსტი, სადაც ნინოს მოღვაწეობის შესახებ შემდეგი ცნობაა დაცული:

„ნეტარი ნინო გაემგზავრა [მცხეთიდან] რათა დაემოძღვრა თავისი წმინდა ბავებით იბერიის სხვა მხარეები... ვხედავთ განვაცხადოთ, რომ იგი ვახდა რა მოცუქულად [ქრისტიანობისა], იქადაგა დაწყებულ კლარჯეთსა (კლარჯეთიდან), დარიალის ახლო მდებარე [ადგილებიდან] და კასპების [მხრიდან — ვიღრე მასქუთთა მიჯნამდე]“ ².

ძველ-ქართულ მატიანეებში დაცულია მეტად საყურადღებო ცნობა იბერიის მეფის მირდატის შესახებ მე-4 საუკუნეში, რომელსაც უწარმოებია საეკლესიო მშენებლობა კლარჯეთის ქალაქ თუხარისში: „მან (მირდატ) აღაშენნა ეკლესიანი თუხარისისა ციხესა, რამეთუ ხეცსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ შინა დაადგინნა მღვდელი მოძღვრად კლარჯეთა, და მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდის ეკლესიათა“ ³.

გადავდივართ რა განხილვაზე ძველ-ქართულ მატიანეების ცნობებისა კლარჯეთის შესახებ აღრეულ საშუალ საუკუნეებში, აქ საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ ტერიტორიული მოცულობა იმ ადმინისტრაციული ერთეულისა, რომელიც მატიანეებში „კლარჯეთის საერისთავო“-ს სახელით მოიხსენება.

ძველ-ქართულ მატიანეებში (ლეონტი მროველი, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, იუანეშერი) სახელწოდებით „კლარჯეთის საერისთავო“ (აგრეთვე მარტივადაც, სახელწოდებით „კლარჯეთი“) იგულისხმება არა მარტო საკუთრივ კლარჯეთი ვიწრო მნიშვნელობით (ქალაქ არტანუჯის მხარე), არამედ დასავლეთ მესხეთის მთავარი ნაწილი, ტერიტორია — „ზღვივან არსიანთამდე და ხევი, რომელნი მოსდგამენ ღადოთა“ ⁴.

სახელდობრ ძველ-ქართული მატიანეების ჩვენებათა განხილვიდან ირკვევა, რომ სახელწოდებით „კლარჯეთის საერისთავო“ ანუ „კლარჯეთი“ აქ იგულისხმება შემდეგი მხარეები — ერთად აღებული:

- ა) საკუთრივ კლარჯეთი;
- ბ) შავშეთი (— ვიღრე არსიანის მთამდე ⁵;

1 იხ. SC, I, გვ. 222.

2 იხ. მოსე ხორენელი, II, 86.

3 იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 287/112 — 113. — აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ცნობები საეკლესიო მშენებლობის შესახებ ძველ-ქართულ მატიანეებში უძველეს ტრადიციას გადმოგვცემენ და ავთენტური ხასიათს ატარებენ.

4 იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. * 358 156 — 157.

5 იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 121/21, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, loc. cit (კლარჯეთის საერისთავოს მხარეებიდან არსიანის მთას მხოლოდ შავშეთი ეკვრის).

გ) ნიგალი¹;

დ) „ზღვისპირი კლარჯეთი“ ანუ „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირისა“²;

ე) „საზღვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო სპერი)³;

ვ) ამიერი ტაო⁴.

ასეთია ტერიტორიული მოცულობა კლარჯეთის ამ ადმინისტრაციული ერთეულისა ადრეულ საშუალ-საუკუნეებში ვიდრე მე-8 საუკუნემდე.

(უფრო გვიან ხანში, მე-8—9 საუკუნეთა საზღვრიდან მოკიდებულო, კლარჯეთი უკვე აღნიშნავდა არა ამ ექვსი პროვინციის გაერთიანებას, არამედ მხოლოდ პირველ პროვინციას — საკუთრივ კლარჯეთს).

განვიხილავთ ამის შემდეგ საისტორიო წყაროთა ცნობებს კლარჯეთის ამ ადმინისტრაციული ერთეულის — „კლარჯეთის საერისთავოს“ შესახებ — ადრეულ საშუალ საუკუნეებში, მე-5 საუკუნიდან — მე-8 საუკუნემდე.

მე-5 ს ა უ კ უ ნ ე .

საისტორიო წყაროებში დაცულია უაღრესად საყურადღებო ცნობები დიდი მშენებლობის შესახებ, რომელიც ჩატარებულა კლარჯეთის საერისთავოში მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში მეფის ვახტანგ გორგასარის დროს.

ამ დროს, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარი ააგებს კლარჯეთში ციხე-ქალაქს ა რ ტ ა ნ უ ჯ ს, რომელიც ამის შემდეგ ხდება ცენტრი კლარჯეთის საერისთავოსი⁵.

ვახტანგ გორგასარის დროსვე კლარჯეთის საერისთავოში სწარმოებს აგრეთვე ფართე საეკლესიო მშენებლობა. ჩვენ უკვე გვქონდა დადგენილი — ქართული საისტორიო წყაროების — ჩვენებათა საფუძველზე, რომ ამ დროს, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში არის აშენებული კლარჯეთში ო პ ი ზ ი ს საეანე (რომლის დამაარსებელიც ყოფილან ქართველი მოღვაწეები: ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი)⁶. ამ დროსვეა აგებული ეკლესიები: დაბისა, მერი-სა, შინდობნისა (ამათგან პირველი ორი მდებარეობს საკუთრივ კლარჯეთში, მესამე — შინდობანი — შავშეთში)⁷.

აქ ცალკე შევჩერდებით კლარჯეთის საეპისკოპოსო კათედრებზე.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა თანახმად, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის დროს, მცხეთის საკათალიკოსოს დაარსებასთან ერთად, კლარჯეთში დაარსებულა ა ხ ი ზ ი ს საეპისკოპოსო მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ქვეშ⁸.

1 იხ. ლეონტი მროველი, loc. cit., ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, loc. cit., გუანწარი.

2 * 414/196.

3 იხ. გუანწერი, loc. cit.

4 იხ. უფრო დაწვრილებით, გვ. * 432/210 — 211.

5 იხ. უფრო დაწვრილებით თავი VI (მნათობი № 7, გვ. 113 — 115).

6 იხ. იქვე, გვ. 92.

7 იხ. იქვე, გვ. 98 — 97.

8 იხ. ზემოთ, თავი VI, მნათობი, № 8, გვ. 135.

მომდევნო ხანაში საეპისკოპოსოთა რიცხვი კლარჯეთში გაზრდილა: ზღუდ-
მე-5 — 8 საუკუნეებში კლარჯეთის საერისთავოში ოთხი საეპისკოპოსოსი იყავ-
ბულა; ამითგან სამი — ქოროხის ხეობაში: ა ხ ი ზ ა, ფ ო რ თ ა და ა ნ-
ჩ ი; ხოლო ერთი შავი ზღვის სანაპიროზე, ლაზეთში („ზღვისპირი კლარჯე-
თი“-ს მხარეში), ქალაქ ტ ა მ ბ უ რ შ ი¹.

აქ საქმეა ხაზი გავესვათ აგრეთვე შემდეგ გარემოებას.

რომ კლარჯეთი ადრეულ საშუალ-საუკუნეებში საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეად-
გენდა და არ იმყოფებოდა კავშირში სომხეთთან, ამას საისტორიო წყაროების იმ უცილობელ
ჩვენებათა ვარდა, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი (და რაც დამტკიცებთ ჰვემით გვექნება
აღნიშნული), ადასტურებს აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო ისტორიის მასა-
ლები, საქართველოსა და სომხეთის საეპისკოპოსოების ნუსხათა განხილვა.

სომხურ საისტორიო წყაროებში, როგორც ცნობილია, დაცულია ნუსხები სომხეთის ფარგ-
ლებში შემავალი საეპისკოპოსოებისა მე-5—8 საუკუნეთა მანძილზე (ნუსხები 451 წლისა, 505
წლისა, 555 წლისა, 606 წლის, 606—607 წ. წ., 607 წლისა, 644 წლისა, 726 წლისა) და არც ერთ
შემთხვევაში სომხეთის ფარგლებში ნაჩვენებია არაა კლარჯეთის საეპისკოპოსოები, ისევე რო-
გორც არაა ნაჩვენები საეპისკოპოსოები არც ჯავახეთისა (ჯავახეთ-არტაანის) და სამცხისა.

საისტორიო წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ მე-5—8 საუკუნეებში საქართველოს
ფარგლებში შედიოდა, მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ქვეშ, შემდეგი საეპისკოპო-
სოები მცხეთის მხარეებისა:

- ა) კლარჯეთის საერისთავოში: ახიზა, ფორთა, ანჩი, ტამბური;
- ბ) ჯავახეთის (არტაან-ჯავახეთის) საერისთავოში: ერუშეთი, წუნდა, კუმურდო, წყაროს-
თავი, დადაშენი;
- გ) სამცხის საერისთავოში: აწყურთი, წურყაბი².

მ ე-ნ ს ა უ კ უ ნ ე — მ ე-7 ს ა უ კ უ ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ი.
ვახტანგ გორგასარის ეპოქის მომდევნო ხანაში, მე-6 საუკუნის დასაწყისი-
დან მოკიდებული, კლარჯეთის საერისთავო კვლავ ძველებურად საქართველოს
ფარგლებშია მოქცეული.

ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად კლარჯეთი და მცხ-
ეთის მიმდგომი მხარეები მე-6 — 8 საუკუნეთა მანძილზე არის სამფლობელო
საქართველოს ორი მთავარი ფეოდალური სახლისა:

ა. ვახტანგ გორგასარის გვარეულობის უმცროსი შტოსი, — გორგასალიან-
მირდატიანთა გვარეულობისა³;

ბ. მცხეთის მხარეთა — „კლარჯეთის სახლის“ — ბაგრატიონთა გვარეულო-
ბისა, რომლებიც „პიტიახშების“ ტიტულს ატარებენ⁴.

¹ იხ. იქვე, გვ. 127 — 129.

² იხ. ქართლის საეპისკოპოსოთა ნუსხა 505 წლისა (დვინის კრების აქტებ-); ცხორება ვახ-
ტანგ გორგასარისა, გვ. * 391 — 392 179 (ანასეული ნუსხა, გვ. 135); შტრ. აგრეთვე ქართლის
საეპისკოპოსოთა ნუსხა არჩილის დროისათვის მიყთუნებული.

³ იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. 399/184 — 185; ჯუანშერი, გვ. * 400/185,
* 401/186, * 402/186—7, * 406/190, * 407/190, * 428/208, * 430/209—210.

⁴ იხ. ზემოთ, თავი IV (მნათობი, № 1, გვ. 115 — 117).

მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ გვაქვს, როგორც ცნობილია, დიდი ტეხილი საქართველოს — იბერიის სამეფოს ისტორიაში. მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, ხანგრძლივი ბრძოლა, წარმოებული ირანის მიერ პოლიტიკური ბატონობის მოპოებისათვის იბერიაში, დასრულდა ირანის გამარჯვებით. მე-6 საუკუნის 30-იან — 40-იან წლებში ირანმა მოახდინა ოკუპაცია იბერიისა და მოსპო მეფობა.

ქართული საისტორიო გადმოცემით, რომელიც აღბეჭდილია ქართულ მატრიანეებში, მხოლოდ ორი კუთხე იბერიისა გადაჩენია ირანელთა ფაქტიურ ოკუპაციას: კახეთის მთიულეთი და კლარჯეთი. მატრიანის ცნობით — იბერიაში მეფობის მოსპობის შემდეგ „შვილნი ბაკურისნი (ქართველთა მეფისა) დარჩეს მთიულეთს კახეთისასა, და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგ გორგასარის ძი-სანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“; მხოლოდ ეს ორი მხარე, კახეთის მთიულეთი აღმოსავლეთში და კლარჯეთი დასავლეთში, — მემატრიანის სიტყვით, გადაურჩა ირანელთა დაპყრობას, ხოლო „სხვა ყოველი ქართლი“, კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, ირანელებმა დაიკავეს¹.

მე-6 საუკუნის 70-იან წლებში იბერიაში მოხდა აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც დასრულდა ეროვნული ხელისუფლების აღდგენით იბერიაში.

ამ ბრძოლაში დამოუკიდებლობის აღდგენისათვის სიჩანს განსაკუთრებული როლი მიუძღოდა მესხეთის მხარეებს და კერძოდ კლარჯეთს. ირანელ დანაპრობელებს, როგორც სიჩანს, ბოლომდე ვერ მოუხერხებია კლარჯეთის აღება. ქართულ მატრიანეებში კლარჯეთს ეწოდება „ს ა ყ უ დ ე ლ ი“, თავშესაფარი ქართველი საზღვისა ირანელთა მძლავრობის ხანაში, „ოდეს განძლიერდეს სპარსნი“².

რომ ბრძოლაში იბერიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსაკუთრებული როლი მიუძღოდა კლარჯეთს, მესხეთის მხარეებთან ერთად, ამას ადასტურებს კერძოდ ის გარემოებაც, რომ იბერიის ხელისუფლების სათავეში დადგენილ იქმნა შესხეთის მხარეთა მფლობელი — „კლარჯეთის საზღის“ მთავარი. მატრიანეები გადმოგვცემენ, რომ ამ დროს, იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობის აღდგენისას, „ერთად შეკრბა ყოველი ქართლი“, და რომ სრულიად-ქართლის (იბერიის) ერისმთავრად „განაჩინეს“ გვარიამ დიდი³. ჯუანშერის მატრიანის ცნობით გვარამი, ვიდრე მას სრულიად-ქართლის (იბერიის) ერისმთავრად აირჩევდნენ, ყოფილა მთავარი კლარჯეთისა და ჯავახეთისა. სუმბატ დავითისძის მატრიანის ცნობით იგი იყო წევრი ბაგრატიონთა გვარეულობისა, რომლის ძირეულ სამფლობელოს, როგორც დადგენილია, მესხეთის მხარეები, — „კლარჯეთის საზღი“ — შეადგენდა.

¹ იხ. ჯუანშერი, გვ. * 406/190.

² იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. * 309/157.

³ იხ. მოქცევა ქართლისა (OP, II, 724), სუმბატ დავითისძის ქრონიკა (გვ. * 569/339). ჯუანშერი (გვ. * 407/190).

იბერიის ახლად აღდგენილ ხელისუფლებას, რომლის სათავეშიაც არიან ჯერ გვარამ I დიდი, ხოლო შემდეგ გვარამის მემკვიდრე სტეფანოს I, უხდება მყარება ორი გარეშე ძალის — ბიზანტიისა და ირანის იმპერიებს შორის.

მე-6 — 7 საუკუნეთა მიჯნაზე, 591—604 წლებს შორის იბერია ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული. ხოლო შემდეგ, 605 წლიდან მოკიდებული — ვიდრე 620-იან წლებამდე იბერიაში ისევ ირანელთა მფლობელობა დამყარდა.

ამ დროს, 605 წლის ახლო დროებიდან მოკიდებული, როდესაც იბერია ისევ ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, მესხეთის მხარეთა მმართველად ყოფილა ვაშდენ „ქართველთა (ივერიელთა) მთავარი“, რომლის სამფლობელო იწყებოდა შავი ზღვიდან და აღწევდა ვანანდამდე, ე. ი. მოიცავდა კლარჯეთის და ჯავახეთის (ჯავახეთ-არტაანის) საერისთავოებს. ამ სამფლობელოს ფარგლებში ცალკე ვასალურ სამთავროს წარმოადგენდა ზღვისპირი კლარჯეთი (იბერიის ლაზეთი), რომლის სათავეშიაც ყოფილა ვაშდენის ნათესავე (დისწული) ჰამამი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი კლარჯეთის მხარის პოლიტიკური ვითარების შესახებ ვაშდენ ქართველთა მთავრის დროს, და იმ ბრძოლაზე, რომელსაც აქ ჰქონია ადგილი ირანული და ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეთა შორის.

ვაშდენ ქართველთა (ივერიელთა) მთავრის მემკვიდრეა მისი ძე ჯოჯიკი ქართველთა (ივერიელთა) მთავარი ¹.

620-იანი წლებიდან ისევ შეიცვალა იბერიის პოლიტიკური მდგომარეობა. 620-იან წლებში, ირაკლი კეისარის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ მოისპო ირანელთა ბატონობა იბერიაში. დაწყებული ამ დროიდან, 620-იანი წლებიდან — ვიდრე 640 — 650-იან წლებამდე იბერია კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცევა.

ამ დროს, ქართულ მატრიანთა ცნობით, ბიზანტიამ შეიერთა იბერიის ორი სანაპირო კუთხე: „საზღვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო-სპერი) და „ბოლო კლარჯეთის ზღვისპირი“ (ე. ი. იბერიის ლაზეთი)². ამ ორი სანაპირო კუთხის დაკარგვის შემდეგ იბერიის (ქართლის) საზღვრებში დაჩნა კლარჯეთის საერისთავოს ძირითადი ნაწილი, სახელდობრ შემდეგი მხარეები: საკუთრივ კლარჯეთი, ნიგალი, შავშეთი და ამიერი ტაო.

დასახელებული ორი სანაპირო კუთხე იბერიისა „საზღვარი ქართლის სპერი“ (ქვემო სპერი) და „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ (ლაზეთი) საქართველომ დაიბრუნა ბიზანტიიდან მე-7 საუკუნის ნახევრის შემდეგ. სახელდობრ „საზღვარი ქართლისა სპერი“ იბერიას დაუბრუნებია მე-7 — 8 საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს მე-8 საუკუნის დასაწყისისა³. ხოლო „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ ანუ ლაზეთი, აგრეთვე მისი მიმდგომი ქალღია (ქალაქ ტრაპიზონით), მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში შეიერთა ბიზანტიიდან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სამეფომ⁴.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 123 — 125.

² იხ. ჯუანშერი, გვ. • 414/196.

³ იხ. ჯუანშერი, გვ. • 424/204.

⁴ იხ. ზემოთ, თავი VI (№ 4, გვ. 114 — 118).

კლარჯეთის შინაური ცხოვრების შესახებ დასახელებულ ეპოქაში, მე-5 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული ვიდრე მე-7 საუკუნის შუა წლებამდე უღარესად საყურადღებო ცნობებს იძლევა ბასილი ზარზმელის თხზულება „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, რომელიც ამავე ეპოქაში, მე-7 საუკუნეშია დაწერილი და რომლის ავტორი ადგილობრივი მწერალია, კლარჯეთის მკვიდრი.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებით საუბარი.

ბასილი ზარზმელის თხზულებიდან ერთხელ და საბოლოოდ დასტურდება ის უცილობელი ისტორიული ფაქტი, რომ კლარჯეთი ძირითად ქართველ ქვეყანას წარმოადგენდა. მაგრამ ეს ცოტაა; ბასილი ზარზმელის თხზულებიდან ირკვევა ამავე დროს, რომ კლარჯეთი აღრეულ საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იბერიის კულტურულ ცხოვრებაში.

აქ, კლარჯეთში, მე-5 — 6 საუკუნეებში დაარსებულა ქართული საეანეები, რომელთაც ესოდენ დიდი როლი შეასრულეს ქართული განათლების ისტორიაში.

ო პ ი ზ ი ს შემდეგ, რომელიც მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში არის დაარსებული ქართველ მოღვაწეთა მიერ, მე-6 საუკუნის შუა წლებში კლარჯეთში ეწყობა მეორე საეანე — პ ა რ ე ხ ნ ი, რომლის დამაარსებელია შიო ღღვიმელის მოწაფე მიქელ პარეხელი. კლარჯეთში მე-5 — 6 საუკუნეებში შექმნილა ქართული მწიგნობრობისა და მწერლობის მნიშვნელოვანი კერა. აქ ადგილობრივ, მე-6 საუკუნეში ყოფილა დაწერილი ერთ-ერთი უძველეს ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობისა, რომელშიაც აღწერილი ყოფილა მიქელ პარეხელის მოღვაწეობა და რომლის ავტორები ყოფილან მიქელ პარეხელის მოწაფენი (ბასილი და მარკელაოზ პარეხელნი).

კლარჯეთი მე-5 — 7 საუკუნეებში ახლო კულტურულ ურთიერთობაში იმყოფება საქართველოს სხვადასხვა მხარეებთან. თვითონ მიქელ პარეხელი, მოწაფე შიო ღღვიმელისა დაკავშირებულია ქართლთან და, როგორც ამას საგანგებოდ აღნიშნავს ბასილი ზარზმელი, ეს კლარჯი მოღვაწე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოში. კლარჯეთის საეანეებთან კავშირში იმყოფება სამცხის მოღვაწე გიორგი მაწყვერელი.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ კლარჯეთი, როგორც სჩანს ერთ-ერთი მთავარი კულტურული ცენტრი ყოფილა მესხეთის მხარეებისა და კლარჯი მოღვაწეები აწარმოებდნენ კულტურულ მშენებლობას მესხეთის სხვადასხვა კუთხეებში. ასე, მაგალითად კლარჯეთიდან იყვენენ წარმოშობით და კლარჯეთის საეანეებში მიუღიანო განათლება სერაპიონ ზარზმელს და იოანე კვიპრიანესძეს, რომლებიც შემდეგ სამცხეში დაარსებენ საეანეებს — ზარზმასა და იოანე-წმიდას. ასევე კლარჯეთიდან არის, როგორც მოვიხსენიეთ, თვით მწერალი ბასილი ზარზმელი, რომელიც შემდეგ სამცხეში მოღვაწეობს.

მე-7 საუკუნის მეორე ნახევარი — მე-8 საუკუნე.

მე-7 საუკუნის ნახევრიდან ისევ იცვლება პოლიტიკური ვითარება როგორც საქართველოში, ისე ახლო აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში.

მე-7 საუკუნის შუა წლებში კავკასიაში პირველად ჩნდება არაბთა რაზმები. მე-7 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-8 საუკუნეში საქართველოში არაბთა მფლობელობა მყარდება.

ამ ხანაშიაც, მე-7 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-8 საუკუნეში, კლარჯეთი კვლავ საქართველოს ფარგლებშია.

კლარჯეთის მხარე ამ ეპოქაში არის სამფლობელო მესხეთის იმავე ორი ძველი ფეოდალური სახლისა: ვახტანგ გორგასალის დინასტიის უმცროსი შტოსი (გორგასალიან-მირდატიანთა გვარეულობისა) და მესხეთის („კლარჯეთის სახლის“) ბაგრატიონთა გვარეულობისა, რომლებიც კლარჯეთის „პოტიანების“ ტიტულს ატარებენ¹.

ვახტანგ გორგასალის დინასტიის უმცროსი შტოს წარმომადგენელთაგან ქართულ მატიაწეებში ამ ხანაში დასახლებულია მთავარი გვარამ (II), რომელიც მატიაწეთა ცნობით „მთავრობდა კლარჯეთსა და ჯავახეთს“. მისი რეზიდენცია კლარჯეთში ყოფილა. გვარამი ატარებდა კურაპალატის ტიტულს². არაბთა გაძლიერების ამ ხანაში, გვარამს, როგორც ირკვევა, ბიზანტიასთან ჰქონია დამყარებული კავშირი.

გვარამი მთავრობდა კლარჯეთ-ჯავახეთში მე-7 — 8 საუკუნეთა საზღვარზე, მე-8 საუკუნის 30-იან წლების უწინარეს. 738 წლისათვის იგი გარდაცვლილად მოიხსენება და მის მავგიერ ამ დროისათვის მთავრობენ გვარამის შემკვიდრენი³.

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში კლარჯეთს დიდი კატასტროფა დაატყდა თავს: იგი გახდა ასპარეზი არაბთა დამსჯელი ექსპედიციების გამანადგურებელი შემოსევებისა (მურვან-ყრუს მთავარსარდლობით), რის შედეგადაც კლარჯეთი და მისი მეზობელი მხარეები ნანგრევებად იქმნა ქცეულა.

მე-8 საუკუნის 40-იან—50-იან წლებში, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ არჩილ მეფის დროს აღდგენილ იქმნა იბერიის სამეფო, კლარჯეთი, მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად, შედის იბერიის სამეფოს შემადგენლობაში. ქართულ მატიაწეებში არჩილის სამეფოს საერისთავოთა შორის პირველად არის დასახელებული „კლარჯეთი და ჯავახეთი“⁴.

მე-8 საუკუნის შუა წლებში მესხეთის მხარეებში — კლარჯეთში — დამკვიდრდა ბაგრატიონთა მთავარი შტოსი (სრულიად-ქართლის ერისმთავართა სახლის) წარმომადგენელი ადარნასე მთავარი (მამა განთქმული სახელმწიფო მოღვაწის აშოტ I-ისა, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა საქართველოს მომდევნო ისტორიაში).

ადარნასე მთავარი, ქართული წყაროების ცნობით, იყო შეილი სრულიად-ქართლის ერისმთავარის ნერსე I-ისა, რომელიც ნერსე დიდის სახელით მოიხსენება⁵.

ქართლის ერისმთავარს ნერსე I-ს, რომელიც მთავრობდა მე-7 საუკუნის უკანასკნელ მესამედში, დიდი ბრძოლები ჩაუტარებია არაბთა წინააღმდეგ. მას დაუმარცხებია არაბთა სარდალი ბარაბა და განუდევნია იბერიიდან არაბები.

¹ წყაროები დასახელებულია ზემოთ, გვ. 140, შენიშვნა 3 და 4.

² იხ. ჯუანშერი, გვ. * 428/208, * 430/209—210; მოქცევა ქართლისა, OP, II, გვ. 726.

³ იხ. ჯუანშერი, გვ. * 430/209.

⁴ იხ. ჯუანშერი, გვ. * 428/208.

⁵ იხ. მოქცევა ქართლისა, OP, II, გვ. 727.

მაგრამ უფრო გვიან, როდესაც არაბობა ისევ გაძლიერდა, ნერსე I, როგორც ირაკლევა, იძულებული გამხდარა დაეტოვებია იბერია და გადასულიყო ბიზანტიისში.¹

ნერსე I-ის შვილს ადარნესე მთავარს ბიზანტიისში დაუწყია მოღვაწეობა (იგი ყოფილა ერისთავად ბიზანტიის აღმოსავლეთ სანაპიროებზე), ხოლო მე-8 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში დაბრუნებულა. ქართულ მატრიანთა ცნობით, მურვან-ყრუს ლაშქრობის დროს, ე. ი. 738 წლის ახლო ხანებში, ადარნასე მთავარი უკვე საქართველოში ყოფილა „და ტყვეობასა მას ყრუსასა შთასრულ იყო შვილთა თანა გვარამ კურაპალატისათა კლარჯეთს და მუნ დარჩომილ იყო“².

უფრო გვიან, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ აღდგენილ იქმნა იბერიის სამეფო არჩილ მეფის დროს, ადარნასე მთავარი გამხდარა ვასალი არჩილ მეფისა და მიუღია საგანმგებოდ შულავერი და არტაანი³.

ადარნასე მთავარი თანდათანობით გაათავოებდა თავის სამფლობელოებს მესხეთში. ქართულ მატრიანებში აღნიშნულია, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში —

„ადარნასე ბაგრატიონის იცვალა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭრისა, ნივალისა, არსის-ფორისა, არტაანისა და ქვემო-ტაოსა, და ციხეთავანცა, რომელი ჰქონდეს შვილის-შვილთა ვახტანგ მეფისათა (სამცხე-ჯავახეთ-კლარჯეთს)“⁴.

მატიანის ცნობით, მესხეთის ამ სამფლობელოთა ცენტრია კლარჯეთი, სადაც ჰქონია რეზიდენცია მესხეთის მხარეთა მფლობელს ადარნასე მთავარს.

ადარნასე მთავარი გარდაიცვალა მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

ადარნასე მთავრის მემკვიდრეა აშოტ I დიდი, ძე ადარნასესი (მე-8 საუკუნის ბოლოდან — 826 წლამდე), აღმადგენელი ქართველთა სამეფოსი.

ჩვენ ამით დავასრულებთ კლარჯეთის მხარის ისტორიის ამ მიმოხილვას უძველეს დროიდან დაწყებული ვიდრე მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნამდე.

რაც შეეხება მომდევნო ხანას, როდესაც აშოტ I-ის დროიდან მოკიდებული, კლარჯეთი მე-9 — 10 საუკუნეთა მანძილზე ხდება პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იბერიისა, ეს მომდევნო ხანა კარგად არის ცნობილი მრავალი საისტორიო წყაროებით და პირველ რიგში გიორგი მერჩულის ძეგლით; ეს მომდევნო ხანა, მე-9—10 საუკუნეთა პერიოდი, ჩვენ უკვე განხილული გვქონდა ამ გამოკვლევის წინა ნაწილში.

დასასრულ აქ ცალკე შევიჩერდებით კლარჯეთის ისტორიულ ეთნოგრაფიაზე.

საისტორიო წყაროებში დაცულია უაღრესად საყურადღებო ცნობები, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება გავითვალისწინოთ კლარჯეთის საერისთავოს ცალკეულ მხარეთა ეთნოგრაფიული-ტომობრივი შედგენილობა.

1 ნერსე I-ის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. სპეციალურ შენიშვნაში.

2 იხ. ჯუანშერი, გვ. * 430/209.

3 იხ. იქვე.

4 იხ. იქვე, * 441/218 — 219.

ა. კლარჯეთის საერისთავოს ძირითადი მხარე, საკუთრივ კლარჯეთი, დასახლებული იყო ქართველი ტომით, რომლის სახელწოდებაა: „კლარჯეთი“. კლარჯეთი ტომი, როგორც მკვიდრი აზორიგენი კლარჯეთის მხარისა, მოიხსენება როგორც ქართულ, ისე სომხურ საისტორიო წყაროებში.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელის ცნობის თანახმად, ქართველთა განმანათლებელის ნინოს სამოღვაწეო ასპარეზს მე-4 საუკუნის დასაწყისში შეადგენდა იბერიის ფარგლებში შემავალი ქვეყანა კლარჯეთი. მოსე ხორენელის ტექსტში ჩვენ ვკითხულობთ (მოგვყავს ნ. ემინის რუსული თარგმანით): „Блаженная Нунэ отправилась (из Мидхета) наставлять пречистыми устами и другие области Иверии... Дерзаям сказать, что она, став апостолом, проповедывала, начиная от Кларджов... до пределов Маскутов».¹

ასევე ძველ ქართულ მატრიანებში კლარჯეთის მხარის მოსახლეობად ნაჩვენებია იგივე ქართველი ტომი კლარჯეტი.

ლეონტი მროველის საისტორიო ძეგლში დატულია უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა ქართული საეკლესიო მშენებლობის დასაწყისის შესახებ კლარჯეთის მხარეში მე-4 საუკუნეში, როდესაც აქ ახლად ვრცელდებოდა ქრისტიანობა; მემატრიანის სიტყვით მეფე მირდატმა მე-4 საუკუნეში „აღაშენნა ეკლესიანი თუხარისისა ციხესა შინა, რამეთუ ხეცსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია და მუნ შინა დაადგინნა მღვდელი მოძღვრად კლარჯეთი“².

ამრიგად მემატრიანის ცნობით კლარჯეთის მოსახლეობას შეადგენდა ქართველი ტომი — კლარჯეტი და სხვა მოსახლეობა, გარდა კლარჯეთი ამ ტომისა, კლარჯეთში არ მოიხსენება.

ამ ძველ-ქართულ მატრიანის სხვა ადგილებშიაც იგივეა აღნიშნული, რომ კლარჯეთის მოსახლეობა — „მკვიდრნი კლარჯეთისანი“ — არიან „კლარჯნი“³.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ამ სატომო სახელწოდებას „კლარჯი“ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ატარებდა არა მარტო არქაულ ეპოქაში, არამედ ამ სახელწოდებას „კლარჯი“ იგი ატარებს მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე, ახალ საუკუნეებამდე, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე.

ისე ეს სატომო სახელწოდება ადგილობრივი ქართული მოსახლეობისა „კლარჯი“ მოიხსენება საშუალო-საუკუნეთა წყაროებში, როგორც მაგალითად:

სუმბატ დავითის-მის ქრონიკა (გვ. * 583/353).

თ-მარ მეფის პირველი ისტორია — „ისტორია — აზნაუნი შარაენდღოანი“ (გვ. * 610/382).

ქაშთაღმწერელი (გვ. * 758/584, * 774/605, * 793/631, * 827/672, * 923/767, * 924/769).

ბექა და აღბუღას სამართლის წიგნი (თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 257).

ბ. კლარჯეთის საერისთავოს მეორე მხარის შევშეთის ქართული მოსახლეობა ცნობილია სახელწოდებით: „შავეში“⁴. საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ შევშეტი არ წარმოადგენდნენ ცალკე სატომო ერთეულს, არამედ ისინი იმავე კლარჯეთ ტომის განშტოებაა. შევშეთი გამოიყო კლარჯეთის ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით მე-8 საუკუნეში (ახ. წ.) და ეს სახელწოდება ადგილობრივი ქართული მოსახლეობისა „შავეში“ ამ დროიდან ღებუ-

1 იხ. მოსე ხორენელი, ნ. ემინის თარგმანი, 1893 წ., გვ. 133.

2 იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 287/112—113.

3 იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 131/22, * 291/115, * 154/35.

4 იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. 512/281, აგრეთვე თამარის პირველი ისტორიის, ქაშთაღმწერელის და ბექა და აღბუღას სამართლის წიგნის ზემოთ-დასახლებული ადგილები.

ლობს გავრცელებას, როგორც ცალკე სატომო სახელი. ხოლო აღრინდელ ხანაში, ვიდრე მე-8 საუკუნემდე, ქართული მოსახლეობა როგორც საკუთრივ კლარჯეთისა, ისე აგრეთვე შეეშეთისა (არსიანის მთამდე) მოიხსნება ამ მხარის საერთო სატომო სახელით: კლარჯი¹.

გ. კლარჯეთის საერისთავოს მესამე მხარე — ა მ ი ე რ ი ტ ა ო დისახლებული იყო ქართველი ტომით, რომლის ძველი სახელწოდებაა „ტ ა ო ბ ი“, ხოლო შემდეგ-დროინდელი „ტ ა ო ე ლ ი“.

ქართველთა ამ ტომის ტაოხების — ტაოელების შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი (როდესაც შევეხებით ტაოს ორივეს ნაწილის ამიერი და იმიერი ტაოს ისტორიას) და ამიტომ ამ საგანზე აქ აღარ გაავარძელებთ სიტყვას.

დ. ე. კლარჯეთის საერისთავოს დასავლეთ განაპირაზე მდებარე მხარეები ნ ი გ ა ლ ი და ქ ე ე მ ო -ს პ ე რ ი („საზღვარი ქართლისა სპერსი“) ეკვრის შავი ზღვის ზონას. კლარჯეთის საერისთავოს ამ ორ სანაპირო კუთხეში, ნიგალსა და ქვემო-სპერსში, როგორც ირკვევა, ერთი მეორეს ზედებოდა ორი შტო ქართველი ხალხისა: ქართ-იბერიელები და მეგრულ-ქანები.

სახელდობრ ნ ი გ ა ლ ი ს პროვინციაში, ქართ-იბერიელებთან ერთად, როგორც ირკვევა მოსახლეობდნენ მეგრელები.

ხოლო ს პ ე რ შ ი, ასევე ქართ-იბერიელებთან ერთად, მოსახლეობდნენ ქანები.

აქა ინტერესს მოკლებული აღვნიშნით, რომ ეს მრავალტომი ნობა, ქართ-იბერიული, მეგრული და ქანური მოსახლეობის არსებობა ჭოროხის ზეობაში, ნიგალსა და სპერსში, აღბეჭდილია თვით მდინარე ჭოროხის ისტორიულ სახელებში.

საისტორიო წყაროების ჩვენებით, მდინარე ჭოროხი ქართულად (ქართ-იბერიულად) ქანურად და მეგრულად აღრეულ საშულა-საუკუნეებში ცნობილი იყო შემდეგი სახელებით:

ა. ქართულად: „ჭოროხი“ და „მდინარე სპერსისა“.

ბ. ქანურად: „კაკამარი“.

გ. მეგრულად: „კაკამსისი“ ანუ პირველადის სახეობით * [კ]აკამ-ფსისი, ე. ი. კაკამ-მდინარე (აფსისი) — „ფსისი“ მდინარეს ნიშნავს; შეადარეთ რიონის — ფსისის სახელწოდება. მეგრული * [კ]აკამ-ფსისი, ე. ი. კაკამ-მდინარე ენათესავება ქანურს „კაკამარი“).

რომ მე-8 საუკუნეებში „ქართველთა სამეფოს“ აღდგენის ხანაში, ნიგალის მხარეში მეგრული მოსახლეობა იყო (ქართ-იბერიელებთან ერთად), ეს დასატურდება, როგორც ქართული, ისე სომხური წყაროების მიხედვით².

ასევე წყაროებიდან ირკვევა, რომ სპერსში, ქართ-იბერიელებთან ერთად, მოსახლეობდა ქანების ის შტო, რომლებიც ხალდების (ხალიბების) სახელწოდებით იყვნენ ცნობილინი³.

¹ იხ. ლონტი მროველი, გვ. * 129/39, * 291/115, * 131/22.

² იხ. ლონტი მროველი, გვ. * 112/14; სომხური უსახელო გეოგრაფია, 1881 წ. გვ. 35; ლონტი მროველი, ისტორია ხალიფთა, 1887 წ., გვ. 168; პროკოპი კესარიელი, BG, (ს. ყაენხი-შეილის გამოცემა, გეორგიკა, II, გვ. 93).

³ სომხურ უსახელო გეოგრაფიაში (მე-7 — 9 საუკუნეთა) ნიგალი დასახლებულია როგორც ნაწილი „ეგრი“-სა (ეგრისისა) იხ. გვ. 35. — ქართულ ქრონიკულ ცნობაში, რომელიც 826 წელს ეტება, ნიგალისხეველნი მოიხსენიებიან როგორც „მეგრულნი“ (იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 345, შნ. 6).

⁴ ხალდები-ხალიბები ჭოროხის ზეობაში მოხსენებული ჰყავს აქი კიდევ ქსენოფონტის. ქანურ მოსახლეობას ჭოროხის ზეობაში აღნიშნავს პროკოპი კესარიელი. საშულა-საუკუნეებში ჭოროხის ზეობის ზემო ნაწილს „ხალდის-ხევი“ ეწოდება (სომხური წყაროების „ხალდო-თორ“).

3. მეექვსე მხარე კლარჯეთის საერისთავოსი — „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ — ეს არის, როგორც დადგენილია, ნაწილი ისტორიული ლაზეთისა (იბერიის ლაზეთი). ამ მხარეში ისტორიულად იყო და დღემდისაც არის ლაზური (მეგრულ-ქანური ჯგუფის) მოსახლეობა.

ასეთია ისტორიული ეთნოგრაფია კლარჯეთის საერისთავოში შემავალი ცალკე მხარეებისა, — საკუთრივ კლარჯეთისა, შავშეთისა, ამიერ-ტაოსი, ნიგალისა, ქვემო-სპერისა და კლარჯეთის ზღვისპირისა.

ჩვენ დავამთავრეთ კლარჯეთის შესახები ისტორიული წყაროების კრიტიკული მიმოხილვა. განვიხილეთ ამასთან ერთად ის მცდარი შეხედულებანი კლარჯეთის ისტორიის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდათ ნ. მარსა და მთელ რიგ სხვა ავტორებს.

ყოველივე იმის შემდეგ რაც ზემოთ იყო გარკვეული, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

1. ისტორიული კონცეპცია ნ. მარსისა და სხვა ავტორებისა, რომ გარკვეულ პერიოდში ანტიკური ხანისა და ადრეული საშუალ საუკუნეებისა ვითომც კლარჯეთი პოლიტიკურად და ეთნოგრაფიულად არ წარმოადგენდაო ქართულ ქვეყანას, ეს კონცეპცია მცდარია და ყალბი. არც ერთ ხანში ეს არსებითად ტენდენციური კონცეპცია არ მართლდება საისტორიო წყაროების მიხედვით.

2. საისტორიო წყაროებიდან პირიქით სრულიად უცილობელად დასტურდება, რომ კლარჯეთი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც ანტიურ ხანაში, ისე საშუალ საუკუნეებში, ძირეული ქართული ქვეყანა იყო. საისტორიო წყაროების პრეციზულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ არ ყოფილა არც ერთი პერიოდი, არც ანტიურ ხანაში და არც საშუალ საუკუნეებში. როდესაც კლარჯეთი მოწყვეტილი ყოფილიყოს საქართველოს.

3. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა არა მარტო ის გარემოება, რომ კლარჯეთი განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, არამედ ისიც, რომ კლარჯეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იბერიის ისტორიაში ჯერ კიდევ არქაულ პერიოდში, ადრეულ საშუალ საუკუნეებში. ის ვარაუდება რომ კლარჯეთი უფრო გვიან ხანაში, მე-9—10 საუკუნეებში, გახდა კულტურული და პოლიტიკური ცენტრი იბერიისა, ცხადია არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო შემთხვევითი მოვლენა, არამედ ეს შემზადებული იყო კლარჯეთის მხარის წინა ისტორიით. ასე ირკვევა, რომ კლარჯეთი იყო ქართული განათლების, ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის მეტად მნიშვნელოვანი კერა ჯერ კიდევ ადრეულ საშუალ საუკუნეთა ხანაში, მე-5—7 საუკუნეებში. ასე მაგალითად აქ კლარჯეთში ყოფილა დაწერილი მე-6 საუკუნეში ერთერთი უძველესი ძეგლი ძველი ქართული საისტორიო მწერლობისა — ადგილობრივი მოღვაწის მიქელ პარეხელის შესახებ; კლარჯეთის მკვიდრია აგრეთვე მეორე ქართველი მწერალი ამავე ეპოქისა (მე-7 საუკუნისა) ზასილი ზარზმელი. ამრიგად იმ დიდ სალიტერატურო სკოლას, რომელიც შეიქმნა კლარჯეთში მე-8 — 10 საუკუნეებში, გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის დროს, თავისი ძველი ადგილობრივი ტრადიციები ჰქონდა.

აღსანიშნავია ამასთან, რომ კლარჯეთი არა მარტო მე-9 — 10 საუკუნეებში წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ციტადელს.

არამედ, როგორც ამას აღნიშნავენ ძველი ქართველი ისტორიკოსები¹, კლარჯეთი ისტორიულად ითვლებოდა ქართველი ხალხის „საყუდელად“² თავმჯდომარად გარეშე მტერთა „განძლიერების დროს“, „ქამთა მათ ბოროტთა“. ასე მე-6 საუკუნეში, იბერიის დიდი პოლიტიკური კრიზისის ხანაში, როდესაც ირანმა მოახდინა ოკუპაცია იბერიისა, კლარჯეთი ყოფილა იბერიის ის მხარე, რომლის აღებაც ირანელ დამპყრობელებს ბოლომდე ვერ მოუხერხებიათ. ხოლო შემდეგ, როდესაც ქართველმა ხალხმა იმავე მეექვსე საუკუნეში ააფრიალა აჯანყების დროსა და დაამხო ირანელთა ბატონობა, კლარჯეთი, მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად, იყო პირველ რიგებში ამ ბრძოლაში თავისუფლებისათვის, იბერიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ასეთია ის არა მცირედი წვლილი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შეუტანია კლარჯეთის მხარეს ძველი საქართველოს ისტორიაში, ქართველი ხალხის კულტურულსა და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

(გაგრძელება იქნება)

¹ ვახტანგ გორგასალის შემატანავ (გვ. • 359/157), ჯუანშერი (გვ. • 427/207).



ბიბლიოგრაფია



ლიბერატორული აზარი

„ლიბერატორული აჰარის“ მე 13 წიგნი, რომელიც ახლახან გამოისცა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჰარის განყოფილებამ, ნესტორ მაღაზონიას ლექსით იხსენება.

„ჯერ ნასოფლარზე ჯართის გროვია, ნაქალაქარზე — ქვეები და ფერფლი. ჯერ ყველას არც კი მოუვლოვია თქვენი მხაკერული ზრახვების მსხვერპლი. ჯერ რამდენია შეიღუნებათ მამა და ძაძით შორთული დედა; თქვენ კი მოვინდით ომი ახალი, კიდევ ახალი ზოგვა და ელვება! აია და არა! ეს არ მოხდება! ჩამოგვეცალეთ მშვიდობის გზიდან! თქვენ გასულდგამულეთ ომზე ოცნება, ჩვენ კი შრომა და მშვიდობა გვინდა.“

— შრომა და მშვიდობა გვინდა! — ეს დიადი მოწოდება ამოძრავებს დღეს მსოფლიოს ყველა პატიოსან და მშვიდობისმოყვარე ადამიანებს. დღითიდღე შეუწელებელი სიძლიერით იზრდება მთელი მსოფლიოს ხალხთა ნება მშვიდობის დასაცავად. არც ერთმა დრომ, არც ერთმა ეპოქამ არ იცის მშვიდობისმოძრავ ხალხთა ასეთი შეუღწეველი ერთსულელება, ხალხთა ძმური თანამშრომლობა მშვიდობის დაცვის საქმეში.

მშვიდობის დაცვისათვის გაშლილ შეუპოვარ ბრძოლაში მხტრავალ მონაწილეობას ღებულობენ მთელი კაცობრიობის პროგრესული მწერლების საუკეთესო წარმომადგენლები. საბჭოთა მწერლები მათ ავანგარდში დგანან. მშვიდობის დაცვის მებრძო მსოფლიო კონგრესის ტრინიტიდან ა. ფადეევი, ნ. ტინოხოვი, ი. ერენბურგი და შრავალი სხვა საბჭოთა მწერალი თავის სიტყვებში გამოხატავენ მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრებს და ვარძობებს, — საბჭოთა ხალხისა, რომელიც მშვიდობისათვის, სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის მუშაობს და იბრძვის, რომლის ყველა ზრახვა და მისწრაფება შეერთებულია ერთ ურყევ და გაბედულ სიტყვაში: მშვიდობა!

საბჭოთა ადამიანი მშვიდობას იცავს სტახანოვერი შრომით, მაღალი მოსავლის მოწვევით,

რევოლუციური სიფხიზლით, მგზნებარე და მართალი სიტყვით. იგი მშვიდობას არ თხოულობს; მოითხოვს მას, იცავს მას.

„სტალინის დროშა მშვიდობას იცავს, ის ხალხთა ძმობის ეშვლემა არი; უძლეველია ჩვენი სამშობლო, უძლეველია სტალინის ჯარი“.

სწერს პარმენ რურუა. პოეტის ხმაში რისხვა ისმის იმთ მიმართ, „ვინც რომ ყველაფერს ფულით ყიდულობს და ვინც ყველაფერს გაყიდის ფულზე.“ პოეტი აფრთხილებს მათ, თუ ისინი კვლავ გაზედავენ მშვიდობის დარღვევას: „აღდგის მათ დიდი სტალინის ჯარი!“.

პარმენ რურუას ამ ლექსს როგორც ხალხის ერთიანი ხმის ორგანიულად ეხმარება ხემილ ხალხების ლექსი „ჩვენი ბელწერა — ატომზე მძლავრი“. პოეტს სწამს, რომ სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერა, როგორც კაცობრიობის პროგრესული ძალების ნებისყოფის გამოხატულება, ყოველგვარ იარაღზე და ატომზე ძლიერია.

„ეს იარაღი უძლევი არის — მილიონების შვერული სიტყვა, ჩვენი ბელწერა ატომზე მძლავრი, — მან უნდა ჩაკლას ბერუსი შავი“...



„ამანაზში ყურადღებას იქცევს ახლავარდა პოეტი ქალის — ქსენია მეივის ლექსი „ჩვენ მშვიდობა გესურს“. პოეტი უზრავლო სიტყვებში და ნათელ ფერებში გადმოგვექვს საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს, ვეიჩვენებს, თუ რისთვის ილწვიან ჩვენი ადამიანები, გვიხატავს მეორე მსოფლიო ომის სურათებს, საბჭოთა ხალხის შეუპოვარ ბრძოლებს, მის გამარჯვებას, რამდენიმე სტრიქონში გვისახავს შეიღალდებულ დედას, რომლის სახეს ჯერ კიდევ მწუხარების დაღი აზის და ამის შემდეგ მრისხანედ გაისმის დედის ხმა:

„განზე გადადეთ, მტრებო, სურვილი, რა დროს ცეცხლია, რა დროს ომია, ჯერ ბალახს კვამლის ასდის სურნელი, ჯერ მიწას სისხლი არ შესრობია.“

ჯერ არ გამჭრალან ხაზები ცაზე,
ქარიშხლის შეხლით რომ დასწენია,
ჯერ დედებს ისევ ცრემლი აქვთ თვალებზე,
ჯერ ბალებს წვლელი არ მორჩენიათ.”

მთელი ქვეყნის პატოსანი ადამიანები, რომლებიც გაბედულად გამოდნენ ომის წინააღმდეგ იმედით შემოაყურებენ ხალხთა ძმობისა და მშვიდობის ბატარაბატარს — საბჭოთა ქვეყანას.

მისასალმებელია, რომ ასეთ პატარა მოცულობის აღმანახში ვრცელდება წარმოდგენილი ლექსები მშვიდობაზე, იმ თემაზე, რომელიც მკვეთრად დგას ახლა ჩვენი ცხოვრების დღისწესრიგში. რედაქციას ავტორებთან უფრო გულდასმით რომ ემუშავა, ლექსები უფრო გამართულ და დახვეწილ სახეს მიიღებდა.

არ ვარაა ნ. მალაზონიას ლექსში („მშვიდობა გვინდა“) პირველი ორი სტრიქონი: „შე შობული ვარ და უნებურად ცრემლი მერგება პროტესტის ხმაში“. არა, საბჭოთა ადამიანს არ ერევა ცრემლი, როცა იგი მშვიდობაზე ლაპარაკობს, მშვიდობას მოითხოვს.

ბუნდოვანია ზ. ხალვაშის კარგ ლექსში სტრიქონები: „კაცოვით იბრძვის ყოველი ზვირთი, მოსწყინდა ქარი თვით ოკეანეს“. რა ზვირთი იბრძვის კაცოვით? ზვირთი შეიძლება უწოდო აჯახებულ ადამიანთა ლაშქარს, მაგრამ კაცოვით ზვირთის ბრძოლა გაუგებარია, არ არის სახე. გაღვებაშია „მოსწყინდა ქარი თვით ოკეანეს“. ბევრად მოიგებდა ზ. ხალვაშის ლექსი („ჩვენი ზღაღღა — ატომზე მძლავრი“), რომ ეს სტრიქონები არ იყოს შიგ.

აღმანახში ნ. მალაზონიას ლექსის შემდეგ დაბეჭდილია პარმენ ლორიას მოთხრობა „ჩემი პირველი თანამდებობა“. მოთხრობა საინტერესოა თემატიკური სიახლით. საკომედიური სოფელში შესანიშნავი ზღვამდგენელი კადრები აღიზარდნენ. მათ შორის კომედიურების თავმჯდომარეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კომედიურების თავმჯდომარე პარტიისა და მთავრობის დირექტივების გამტარებელია სოფლად. გაიზარდა და გადიდდა მისი უფლებამოსილება. დღეს თუ თავმჯდომარეს მალაი იდენტურობა პოლიტიკური მომხატვება და სპეციალური განათლება არა აქვს, ვერ გაუძღვება მსხვილი კომედიურების დღითიდღე მზარდ ეკონომიკას.

პარმენ ლორიას მოთხრობაში აჭარბული ენობრივი ასლანი თბილისში ეკონომიური ფაქტორების დამთავრების შემდეგ, სოფელში ჩადის, რათა მშობლები ინახულოს და შემდეგ ქალაქში დაბრუნდეს. სამი წელიწადია ასლანი

სოფელში არ ყოფილა. გამოცდილია, გამოდგინებულია კოლმედიურების თავმჯდომარე ნური შესანიშნავად... უძველესად კომედიურებისა, მაგრამ გრძობს, რომ ასლა იმ განათლებით, რომელიც მას აქვს მიღებული, ვერ უხელმძღვანელებს კომედიურებისა და ამიტომ უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება. ასლანის ჩამოსვლა ყველაზე მეტად ნურის გაეზარდება. იი, ვინ შესცვლის მას. მაგრამ ასლანი უარს ეუბნება ნურის.

„— რას ამბობ, ნური — გაეკვირვებით შევაჩერდი, — ნუთუ უნივერსიტეტი იმდენად დავამთავრე, რომ კომედიურების ვიმეშაო?“

— როგორ, არ კადრულობ? — მასაც გაუკვირდა ჩემი სიტყვა. — კომედიურების რა გგონია შენ? მის თავმჯდომარეს ერთი კი არა, ოთხი ფაქტორები უნდა ჰქონდეს დამთავრებული.“

ასლანი რწმუნდება, რომ წარმოდგენა არა ჰქონია კომედიურების თავმჯდომარის როლზე, მის წელიწად სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. ასლანი სოფელში რჩება.

მოთხრობაში კარგადაა ნაჩვენები საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა, მათი ზრდა, მათი განვითარებისა და წარმატების განუზომელი არე. მთელი მოთხრობა გამსჭვალულია ნათელი ოპტიმიზმით. კარგადაა დახატული მთელი რიგი პერსონაჟები.

მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დამომბილი ასლანის მამის კომედიურების თავმჯდომარის მამის მამის, რომელიც სხვა ემიზონებთან შედარებით უფრო სუსტადაა დაწერილი. იი ერთი დიალოგი ამ ამბიდან: ამბედი წინადადებას აძლევს ასლანს მამას საკარმიდამო მიწა ისე დამეშაოს, როგორც კომედიურების ურჩევს.

— „უბნე ხარ, შე ოხერო, ხომ ვაივინე რომ ვითხრეს. იცხოვრე, როგორც შენ გსურს, მაგრამ აკეთე ის, რაც ჩვენ გვსურს!“

რა ლაპარაკია ეს, როგორ შეუძლია ადამიანს იცხოვროს ისე, როგორც მას სურს და აკეთოს ის, რაც მას არ სურს? ასე არ შემოყავდათ გლეხი კომედიურებისაში. ასევე უცნაურ დიალოგშია მოცემული ასლანის აზრი სოციალურზე:

„— არა უშავს, თუ ერთ გულში სოციალურის ალი ავარდა, ის უთუოდ მიორესაც გადაედება... ესეც არ იყოს, მოვახერხებთ გადაედოს!“

განა ერთ გულში სოციალურის ალის ავარდა — უთუოდ იწვევს მეორე გულშიაც ასეთივე „ალის ავარდას?“ ასლანი აქვე დასძინა: „ესეც არ იყოს, მოვახერხებთ გადაედოსო!“

მოთხრობაში არის განმეორებები. ენა დაწმენდას მოითხოვს. მიუხედავად ამ ნაკლოვანე-

ბებისა, „ჩემი პირველი თანამდებობა“ პარმენ ლორიას უდავო წარმატებაა.

გამიტონ რუსიძის მოთხოვნების ციკლი „სოციალური მასინძლები“, „ბაბუა პემუსს ხედარი“ და „მეთევზე ნახიმის ქალიშვილი“ ასახავს თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწაზე მცხოვრებ ლაზების ცხოვრებას, მათ მონობას თურქეთის ბატონობის ქვეშ, ამერიკელ ინტერვენტთა პარპაშს თურქეთში, მწერალი არ იცნობს იმ ცხოვრებას, რომლის შესახებაც წერს. ამიტომ მოთხოვნების სუფიქტი ხელოვნურია, ხასიათები სტემატურია, დიალოგი პრიმიტიული და პლაკატურია.

აღმანახში გამოირჩევა გიორგი სალუქვაძის ლექსების ორი ციკლი: „კომუნისმის ხარაზობი“ და „ორი სარფი“. ამ ლირიულ ლექსებში, პოეტი მშვენიერად გვიხატავს ყირიმისა და თურქმენეთის გაიცილებულ ველებს, ახალ პეიზაჟებს.

„თელი ვერ წედება არხების სიგრძეს,
წყალმა დანაპა მიწა მტვრიანი
და ერთი წამით მე ცხადად ვფრქვენ
უდაბნოებში ხეთა შრიალი“.

ყოველ დღეს საბჭოთა ადამიანისათვის ახალი სიხარული მოაქვს. თურქმენი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ვერ ურთიდებოდა იმას, რომ ყარა-ყუმის უდაბნოები გამოსადევნი არ იყო ხალხისათვის, ვერ აძოვებდა იქ არტელის ფარას, დღეს გახარებულია:

„ალსრულდა რასაც ელოდნენ დიდხანს —
ყარა-ყუმს მორწყავს ამუ-დარია“.

ყირიმისა და თურქმენეთის ველები რამდენიმე ათასი კილომეტრითაა დაშორებული საქართველოს, მაგრამ პოეტისათვის მშობლიურია ეს მიწები, იგი მთელი სულითა და გულით უმღერის ბუნების დიად გარდაქმნას. პოეტური აღმაფრენით აღზრდებულ ლექსში „ყირიმის ფორთოხლები“ გულწრფელად გაიხმის საბჭოთა ადამიანის ნატურა:

„მინდა ყირიმის ვნახო ველები,
მწიფე ფორთოხლებს ხელით ვწვდებოდე,
ოქროს იხვეჭდნენ ყირიმელები,
ბაღების ცქერით ვეღარ ვძლებოდე“.

ლექსების მეორე ციკლში „ორი სარფი“ ნაჩვენებია თურქეთის მიერ მიტაცებულ სარფში მცხოვრებ ლაზთა და საბჭოთა სარფის კოლმეურანეთა ცხოვრება. კოლმეურანეთა მინდვრებზე გაცხოვრებული მუშაობაა, ქალი და ვაჟი ერთმანეთს ეკვიბრება მუშაობაში. ისინი და-

ვის მიწაზე მუშაობენ, თავის პედნორებსა ქმნიან, საბჭოთა სარფის მიწაზე ჩაიხსნენ ქვებიც კი იყინის, მაგრამ აიღეს კულმეურანე ქალიშვილი:

„ღიმი ჩაქრა ბავუე,
გულს ჩაეწვეთა ნადველი
შეე წარბ-წაწეპით მოისარს.
ქალი მღეროდა გოდველი,
ლურწმის ქეთიანი მოისმა:
აქედანა და შენამდი,
ვარდი ვასხია ყელამდი,
ვამე რა შორი ყოფილა
ერთი ნაბიჯი შენამდი
არ დამიშრება შხის წყარო
დიდი შხის გამოჩენამდი,
დრო მოვა, გზა გაიხსნება,
სიბიბლით მოვალ შენამდი“.

გიორგი სალუქვაძე პატარა ლექსებშიაც ახერხებს ჩვენი ცხოვრების ტიპიურ ამბებისა და მოვლენების გადმოცემას.

მამია ვარშანიძის ლექსი „კორეელი მებაღე“ აგვიწერს კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლას ამერიკელ იმპერიალისტების ურდებთან. კორეელი მებაღის პატარა სახლს, რომელიც წინათ მზითა და სიხარულით იყო გამოტარი, ახლა ბრძოლის ხანძრის ეკალი შემოხვევია. მებაღე თავის ბაღში სახალხო არმიის დაპირულ მებრძოლებს დასტრიალებს თავზე, მკურნალობს მათ და თან მამამაათა გმირულ ამბებს უყვება. თურმე უძველეს დროში ერთი საოცარი მებაღე ყოფილა. „მას ხელი ჰქონდა გასაოცარი; მომავლად ხესაც გააციოცლებდა“. მებაღეს სიბერეს ვაშს ურჩხული შემოჩვევია ხეებს კვირტები. ცრემლებით სცვივა, არ აფურჩქნებიან ფოთლები, იღუპება ბაღი. ეს ზოფელსაც უჭადის დაღუპვას.

„დაცემულისთვის მეც მიშველია,
ღმერთზეც მძლავრია კაცი მრისხანე,
სოფელი მაშინ უძლეველია —
ყველანი აბჯარს თუ აისაზენ“.

მომართავს მებაღე ხალხს. ხალხი ერთსულოვნად გაილაშქრებს ურჩხულის წინააღმდეგ და შოკავს მას. მებაღე, იგონებს რა ამ ამბავს, თავის ერის გამარჯვებაში დარწმუნებული, ასე ამხნევებს დაპირულ მებრძოლებს: „მე გამარჯვება მჯერა სიძარბოს და ამ შეე ღრუნალებს ვერ დაეუჯრება, არ ჩაიქრება ეშხი სინათლის კორდელ ხალხთა დროშას უძლეველს“. ეს ლექსი ერთ-ერთი კარგი ლექსია აღმანახში.

ახლაზრდა პოეტი ქალი ნადიდე გვარიშვილი, რატომღაც, მხოლოდ ერთი ლექსითაა წარმოდგენილი კრებულში.

„ეს გოგონა ხეცუბნელი,
სად იყო და სად არა.
სამშობლოში გაბუთებმა
უბით შემოატარა.
და რუსთავის მშენებელმაც
იცის მისი სახელი,
მურმანსკელი მებაღური
ვახლა თითქოს მწახველი,
შორს ტაიგელ შეირმეებს
ნახად და მოკრძალებით
შეუფყარდათ გმირი ქალი
ირმის დასადარებო“.

ამბობს პოეტი ლექსში „ხეცუბნელი გოგონა“ ჩაის მკრეფავე ქალიშვილზე, რომლის სახელი შორსაა გავარდნილი თავის ქვეყნის საზღვრებიდან. სად, სხვა რომელ ქვეყანაში შიშნათ შრომა სიმამაცისა და დიდების საქმელ? სად, სხვა რომელ ქვეყანაში შეიძლება ასე ნათლად იყოს იმის მაღალი შეგნება გამოხატული ადამიანში, რომ ყოველი ჩვენგანის შრომა ხალხის საერთო შემოქმედებითი შრომის ნაწილია? ამიტომ ახარებს მ. რმანსკელ მებაღურს, ტაიგელ შეირმეს და დონბასელ მუშახტებს ხეცუბნელი ჩაისმკრეფავე ქალიშვილის შრომითი სიმამაცე. ნადიდე გვარიშვილის ამ პატარა ლირიულ ლექსში გამოხატულია ჩვენი ხალხის კოლექტივისტური გრძნობა.

ყურადღებას იქცევს ალმანახში დაბეჭდილი არჩილ რუფოშელის, ინეზა ბერიძის, ჯემალ ჯაყელის და შოთა როყვას ლექსებუ. ამ ახალგაზრდა ავტორების ლექსებს ბევრი კარგი თვისებები აქვს.

ალმანახში დაბეჭდილია ნესტორ პაიჭაძისა და გიორგი ლორთქიფანიძის ნარკვევებზე სტოფლის მეურნეობის მოწინავე უდამთავრებელი კურსი, რომ ასე ერცლადაა წარმოდგენილი ალმანახში ლიტერატურის ეს ფრიად საჭირო განრი. რომელიც ა. მ. გორკის თქმით შესანიშნავი ფორმას ეძიებდა შეგვეცნებინა და მილიონებისათვის იმის გაცნობა-გაზიარებისა, რას თვით თვლით ნახვის საშუალებასაც ისინი მოკლებულნი არიან.

შემოდგამახელებულ ავტორებს კეთილსინდისიერად უმუშავიათ, მაგრამ ხშირად დიდ ადგილს უთმობენ წვრილმანებს და არა საჭირო ღირებულების აღწერას. სუსტია ენა. პაიჭაძის ნარკვევი „მარინე გურგენიძე“ ასე იწყება: „ეს ქალი იმას წინათ ბათუმში იყო, როგორც პარტიის ბათუმის რაიკომის წევრი, პლენუმს ესწრებოდა, მაშინ გაიციანი შე ის პირველად და ვისაუბრეთ კიდევ კარგახანს.“

დანახვით მანამდე მინახავს და ვიცილი. რომ ის გურგენიძე იყო. მომისმენია მისი გამოსვლა.

საზოგადოებაში იგი გამოდის შეგებში ჩაქმული იტყვას, რასაკვირველია, თანამედროვე სტილზე. როგორც ქართულ მანდილოსანს შეეფერება“. ან კიდევ: „მათი სახით ნაცნობი პირები დღეინახე, შორიახლო ნაცნობი პირები, ისეთები, რომელთაც სხვაგან შეხვედრისას შეიძლება საღამოც მისცე, როგორ ბრძანდებით, ისიცა ჰქონო, მაგრამ არ გაგონდებოდეს. ვინ არიან და მანაც იოლად ვახვიდე“. აქ არც ახრი ვერცა და არც ენა. ასეთი სტრიქონები ბევრია ნ. პაიჭაძის და გ. ლორთქიფანიძის ნარკვევებში. ასე წერა არ ეპატრება შერკალს.

„ლიტერატ-რულ აკარის“ მე-13 წიგნი აქარაში მომუშავე მწერლებს ნაყოფიერ მუშაობაზე მუტუხველებს.

ბ. ხეთელი

ბ. შაბაძისაშვილი. რ. მარგინი — „სოციალუ“



ზღაპარი ისევე, როგორც საბავშვო ლიტერატურის ყველა სხვა ენარი, უნდა ემსახურებოდეს მოზარდი თაობის კომუნისტ-რი სულისკეთებით აღზრდის საქმეს, ნერვადებს და განამტკიცებდეს მასში პატრიოტიზმის გრძნობას, ჰუმანურობასა და კეთილშობილებას.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ბევრი როდი მოგვებოვიება ისეთი ზღაპარი, რომე-

ლიც ამ ამოცანებს პასუხობდეს. ჩვენი მწერლები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ამ ენარისადმი. ხოლო ზოგ შემთხვევაში ისინი ხალხური ზღაპრების „შესწორებ-დადაკეთებით“ კმაყოფილდებიან. ნაპიროა შეიქმნას თანამედროვე ზღაპრები. ამის საინტერესო ცდას წარმოადგენს გიორგი შატერაშვილისა და რევაზ მარგინის ზღაპარი „ხორბალა“.

ამ ნაწარმოებში პურის მარცვლების თავგადასავალი დაკავშირებულია საკოლმეურნეო ცხოვრების ამბავთან. განსაჯელში ჩაერთვნილ ხორბალს კბამუე კოლმეურნე ხსენის დაღუპვისაგან. იგივე კბამუე გადაარჩენს პურის მარცვლებს თავებისაგან, მოაშორებს ნამცეცას შემაწებებელ ღვარძლს. ერთი შეხედვით ეს მიწველი ტენდენციაა: ნაწარმოებში დრამატისმის შესატანად განსაჯელში ჩავადვით ხორბალა და მისი ამხანაგები, შემდეგ კი მათ ვადასარჩენად უცებ გამოვარჩინოთ ადამიანები. „ხორბალას“ ერთ-ერთი მხატვრული ღირსება სწორედ ისაა, რომ აქ პურის მარცვლების თავგადასავალი შემთხვევებზე აგებული რადია, იგი განსაზღვრულია საკოლმეურნეო შრომითი პროცესებით.

მიწის ზევით დარჩენილი ხორბალა, რომელიც შეიძლება ზამთრის სესხს ვაენადგურებისა, კბამუე კოლმეურნემ მიწაში ჩაწვინა, თავზე ფხვიერი მიწა გადაყარა და თან ჩაუთქვა: ამა იხარე და იმარაგლეო. — „აი, ყოიად, აგრე უნდა მოსავლისათვის ზრუნვა, აგრე... ერთ მარცვალზე ხშირად ასი მარცვალა ამოღის, რათ უნდა დაიკარგოს ძველნისაგან გამოიგონა: — „ერთი ფეხი ყანა მქონდის, შეიღმისის წვიმა მოხვდეს, ზღვად იქცეს... ჩაესმა ხორბალას მეორე ხმა. ეს ხმა მოხუცი კოლმეურნისა იყო“.

ხორბლის თუნდ ერთი მარცვლისადმი ასეთი ზრუნვა ზვენი კოლმეურნეების გარჯის გამოხატულებაა. „ხორბალაში“ ზღაპრის ელემენტი საესებით შეფარდებულია სინამდვილესთან და თვალსაჩინოდ წარმოვლდევს საკოლმეურნეო ცხოვრების ნიშანდობლივ მხარეებს.

ავტორები, ძირითადად, გვიამბობენ ხორბალას და მისი ტოლების ცხოვრებაზე, მათს მოგზაურობაზე ბელიდან მინდრადა. შემდეგ კი მოსკოვისაგან — სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. ადამიანები ზღაპარში ხანდახან გამოჩნდებიან, მაგრამ იან ნათლად და ხატოვნად, რომ მტკიცედ აღიბეღებინა მკითხველის მეხსიერებაში.

„ხორბალაში“ პურის მარცვლები ადამიანებით განიცდიან სიცოცხლის სიხარულს, ეტრფიან მშობლიურ ადგილებს, ნებიერობენ მზის სხივებში, ოცნებობენ პურის ნამცხვრად გაბღობაზე მათთვის მზრუნველი ადამიანების სასიკეთოდ. დედა ხორბალა შეიღებს ანდერშს უტოვებს: „გიყვარდეთ, შეიღებო, ერთმანეთი, ენახებრეთ კეთილ ადამიანებს, მიეცეთ ქვეყანის ტკბილი პური...“ — „ფიციც, რომ შეესარულენ თქვენს დარიცვებს, საყვარელო მშობელი...“ უპასუხებს დედას პატარა ხორბალა. პურის მარცვლების წადალი: ქვეყანას უხვი

მოსავლით გადაუხადონ მათდამი გაწეული ამაგი, ახალ აზრს ანიჭებს მათ სიცოცხლეს...]

„ხორბალაში“ კარგადან მხატვრული მკვებრობის ოღეა. ნამცეცა, ხორბალა, ბუთხუნა ხარობენ ერთმანეთის კარგად ყოფნით, თანხრად იზიარებენ პირსა და ლხინს, ზრუნავენ ერთმანეთისათვის... „სულ მიწის ზევით ზომ არ უნდა ვყოთ... მალე ზამთარიც დადგება. ნამცეცა სესტია, ვი თუ გაიცედეს“. — წეს მეგობარზე ხორბალა. გრძელკისერა თავგამ შეტყამა. მეგობრებმა იგი არ დაიწყეს: „მარცვლების მხიარულებასა და მომავალზე ზემ ოცნებას... უბედური გრძელკისერას მოგონება... ჩრდილავდა“. ნამცეცას ძირში ღვარძლი წამოიზარდა. ნამცეცას მოწვევა დაეტყო. თავდახრილი იღა და მიწას დაჰკურებდა, შეითხვავე პასუს არ იძლეოდა. თავთავები შემფოთდნენ — ფესვები ზომ არ სტყივა, ქვიან მიწაზე ზომ არ მოხვდა“. ესა და მსგავსი ადგილები ნორჩ მკითხველში აღიძებენ მკვებრობის კეთილშობილურ გრძნობას, ხელს უწყობენ მასში ჰუმანურობის განვითარებას.

ზღაპარი მდიდარია ბუნების ცოცხალი და რეალისტური სურათებით, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მკითხველს ნათლად წარმოუდგება საკოლმეურნეო სოფლის პეზაჟი, თითქმის ესმის ნაიეს ქროლავზე აბიზინებელი ჯეჯილის შრილი, შემდეგ მწიფე ყანაში სამკალად გასული კომბაინის გუგუნო, შრომის ეშში შესულ კოლმეურნეთა საქმიანი და მხიარული შექაბილება.

ზღაპარში არსად არ იგრძნობა სუვეტური დემუკრატება, რეში გადახვევა ძირითადი ხაზიდან. ცალკეულ თავებს მტკიცე კავშირი აქვთ ერთმანეთთან და ჰქმნიან ერთ კომპოზიციურ მთლიანობას.

„ხორბალაში“ ზუსტადია განსაზღვრული ბუნებისა და ცხოვრების მოვლენებზე დამოკიდებული საგნების მდგომარეობა. ნამცეცას — პურის თავთავის ძირში ღვარძლის გაჩენა ბუნებრივი მოვლენაა. ასევე მართალია, რომ შემაწებელი მცენარის მეზობლობით პურის თავთავი ზიადდება. ეს მკითხველში აღძრავს ნამცეცასადმი სიბრაღის გრძნობას. მას თითქმის კიდევ ესმის თავდახრილი პურის თვოლის ჩილილი. თითქმის პურის მარცვლებს მართლა შეუძლიათ იგრძნონ ტკივილი თუ სიამე.

ზღაპრის სიუჟეტში კარგადაა ჩაქსოვილი ხორბალას ბიძის თავგადასავალი: მისი ტყუობიდან თავის დაღწევა, ხორბალას შეიღთან შეხვედრა და მათი ერთად გამგზავრება მოსკოვს გამოფენაზე.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე „ხორბალას“ დასასრული. ხორბალა მეგობრებ-



თან ერთად გამოდგინა. „ერთხელ დარბაზში გალიმებული სახის, ჭადარით მოსილი კაცი შემოვიდა, რომელსაც ყველა პარტიისცემით ესალმებოდა და გზას უთმობდა. ის ყველგან ჩერდებოდა, ზორბლის გრძებს ათვალერებდა და სახეზე კმყოფილება ესახებოდა“. ზორბალამ კუჩილი კაცის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. მან ხელისგულზე დაყრილი მარკეტებიდან ზორბალა ამოარჩია, ორი თი-

თით ხელში აიყვანა — „შეხედე, არ, ეს რა მსხვილი მარკეტელია... უნდა ეკიდოდე ყველა მარკეტელი ამას დაეშვაესოს“
ბიბლიოგრაფია
 „ზორბალა“ წარმოადგენს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში თანამედროვე ზღაპრის შექმნის ერთ-ერთ საყურადღებო ცდის.

გივი შარდოსანიძე

8. შურული — „ჩვენი გაზაფხული“, „საბჭოთა მშენებელი“, 1950 წ.



ვარლამ შურულის ლექსების კრებული თემატიკურად მრავალფეროვანი და აქტუალურია. ავტორი თავის ლექსებში, უწინარეს ყოვლისა, დიდების პიმნს უმღერის ჩვენი ქვეყნის ბრძენ ბელადს, ასახავს ჩვენი საშრობლოს აღორძინებასა და აყვავებას, მხატვრული ფერადებით ამკობს კაცობრიობის დაუქნობელ გაზაფხულს, სტალინური ეპოქის დიად გაზაფხულს.

ლენინისა და სტალინის, მათი თანამებრძოლების შესანიშნავი სახეების გამომსახავი ლექსებისათვის პოეტს თავისებური სახელწოდება შეურჩევია — „შთაგონების წყარო“. მარტოაც, დიდი ბელადი — სტალინი, საბჭოთა სოციალისტური პოეზიის შთაგონების დაუშრტველი წყაროა, რაც ასაზრდოებს და ძალას შატებს ყოველი საბჭოთა მწერლის სულიერ მისწრაფებასა და შემოქმედებას.

ლექსში „შობლივრ სტალინი“ პოეტი წერს: „მოთელი მსოფლიო გელოდა გმირს გულაშვილის ქოხიდან“. შრომელი ხალხის საუკუნეებრივი ნატვრა და ოცნება ასრულდა, „როცა ვაჩნდა არწივი გულაშვილის გვარისა, ქვეყნის ბედის ვარსკვლავი, მზე და დიდი ქართველი“.

წრფელი ლირიული განცდითაა დაწერილი ლექსი „იციტხე სტალინი“ ამ ლექსში პოეტი გამოხატავს ყველა კეთილშობილი ადამიანის სურვილებს:

„ვიღრე ვარსკვლავნი ბრწყინავენ ცაზე,
 ან ოკეანის დაშრება წყალი,
 ქვეყნის მნათობ-დ სულ იყავ ასე,
 ძვირფასო სტალინი!“

ლექსში „სიმღერა დიდ ლენინზე“ ავტორი მიმხილველად ხატავს დიდი ლენინის უკვდავ

სახეს. პოეტი წერს: — „ჩვენ შენი გზით მივიპილვის ხალხის მამა სტალინი“.

დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლ-სადმი მიძღვნილ ლექსში „სიმღერა მარშალ ბერიაზე“ პოეტი წერს:

„...მტრის შესამუსრად დასძარი
 ზერხეულიძეთ მოღვემანი“.

გამარჯვებული საშობლო და თავისუფლებისმოყვარე ხალხი მადლიერების გრძნობით ახსენებს ქართველი ხალხის სასიქადლო შეილის სახელს:

„მადლობან ვითვლის მყინვარი,
 მწყემსებიც ასე მღერიან:
 — ხალხის მფარველი ვინ არი?
 — გმირი მარშალი ბერია“.

აღორძინებული და აყვავებული მესხეთის სურათს ხატავს პოეტი ლექსში „მესხური მელოდია“. ამ ლექსში მძაფრად იგრძნობა ის ახალი გარდაქმნილი ძალა, რომლითაც „მიწამ მოიხსნა წარსულის ტვირთი“. პოეტი უმღერის მდიდარ და ბარაქიან კახეთს, აჭარის ნაჩინ-ჯოვან ველებს, მალაშთებთან სენაფის, რომელ-ღაც „სიმშვენიერით თვალებს ატყვევებს“, კოლხეთის მიწას, სადაც აქვამად „ზღვად გადაშლილა ჩაის ხავერდი“, სამგორში დარგულ ჭადარს, რომელიც „სიმტკიცით და სიამაყით შორს გაჟურტებს კაცასს“. მაგრამ პოეტი საქართველოს ბუნების სურათებს ამდიდრებს ადამიანთა შრომის ჩვენებით. ციკლიდან „გმირთა მზარე“ როგორც იღვერად, ისე მხატვრულად ყურადღების ღირსია ლექსები „ბე-ლადის მამულს“, „ტყის სიმღერა“.

თემატიკური აქტუალობით და მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა ლექსი „მიტაცებულ მიწაზე“. პოეტი ღრმა სინანულით მო-

გეოგრაფიის ძველი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრის — კლარჯეთის შესახებ, სადაც „გაქპრა დიდებულ ძველთა კრებული, არვის აღივსებს რეკა ზარების, სწუხს ჩუქრთმებში ჩასვენებული სული და გული ოპიზარების“. თურქეთი, რომელიც ახლა იმპერიალისტური ამერიკის სამსახურშია, „ეკლავ აედარენებს იარაღს“. მაგრამ მტკიცე ურყევია მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაი, მას ხელმძღვანელობს საბჭოთა ქვეყანა და „მამულისთვის აღსდგება ბორცვიც, თუ კლავ ივრგვინეს ქარტებილებმა“.

ამვე თემაზეა დაწერილი ლექსი „ორი ტორიფი“. პოეტი მიმართავს კონტრასტის ზერბს — ორი ტორიფის სახით აქ შევეთრადია დამირისპარებულნი ორი სამყარო: ერთი მზარეზე, „სიცილის გზა ირბი“, თურქთა ტყვეობაში მყოფი ლაზების წუხილი და გოდება ისმის, ხოლო მეორეზე აღმზიანები „ხარობენ ბედნიერებით“. ერთმანეთს უზურს ორი ტორიფი, მათ დიდხანია „ჩემად შექვიცეს ერთმანეთს მძობა, რომ საქართველო ნახონ მთლიანი“ და აღმად სწამთ, რომ ეს ნატურა აუცილებლად განმორიგდებდა:

„ხარ ოსმალეთში აედარნახული,
მაგრამ ნუ კარგავ დახსნის იმედებს,
კლავ დაგიდგება შენ გაზაფხული.
სამშობლო მტრისთვის არ გაივმეტებს“.

განყოფილებაში „აყვავდა ტურფა ქვეყანა“ პოეტი უმღერის საბჭოთა ადამიანის შრომითს ენთუზიანსსა და თავდადებას სოციალისტური მშენებლობის დარგში. აქ მოთაქვებულ ზოგიერთ ლექსში პოეტი ცდილობს დაგვიხატოს ზერსპექტრებში ზეალინდელი დღისა, რომელსაც ჰქმნის საბჭოთა ხალხი დღევანდელი გეგმაზომიერ მუშაობით. ამ საკითხს პოეტი თავისებურად აშუქებს ლექსებში „სამგორს ისტუმრა მერცხალი“ და „მომავალი წალკოტი“. დღეს სამგორის ველზე ხალხი საქართველოს სხვა დასხვა კუთხიდან მიდის, რათა სოციალისტურად გარდაქმნას და სახე უწყვალს უროტურდამბოს, რომ „კოლმეკრდი აყვავოს“ ხროკმა ველმა და მწირმა მიწამ. შრომის თემაზეა დაწერილი აგრეთვე ლექსები „ჩაის ფორლებთან“, „ფერიდეს ლიმონები“ და „შემოადგომა ხირსაში“. ამ ლექსებში აეტორი გადმოგვიცემს კომუნისტების მშენებელ ადამიანთა შრომითს გმირობასა და მიღწევებს.

სწავა ლექსებში პოეტი ცდილობს დაგვიხატოს ახალი საკოლმეკრნეთ სოფლის სურათები. მაგრამ, ზოგ შემთხვევაში აეტორი ვერ აღწევს მიზანს, მშრალად მსჯელობს და დახატული სურათიც მართალი და არაკონკრეტუ-

ლია. მაგალითად, ლექსში „სოფელი შრომა“ ძნელია გაიგო, თუ რომელი დროის სოფლის სურათია აღწერილი — რეალურად ან იმედოვნად, თუ საბჭოთა სოციალისტური სოფელი? შრომალია, ლექსის ფინალში პოეტი დასძენს, რომ „კალშით არ დიხატება გმირების სოფლის სურათით“, მაგრამ ამით არაფერი არ იცვლება. საბჭოთა პოეტის ამოცანა სწორედ ის არის, რომ დაგვიხატოს ახალი, სოციალისტური სოფლის კონკრეტული სახე.

ომისდროინდელი ლექსები შეადგენენ ცალკე განყოფილებას სახელწოდებით „სიმარალის გამარჯვება“. ამ ლექსებიდან აღსანიშნავია „კავკასიის გმირი“, „მეომრის საფლავზე“ და „ცქარა მიზის თბილისი“. ლექსი „მოსკოვის ბეჭეთთან“ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის — მოსკოვის 800 წლის თავზეა დაწერილი. პოეტი ცდილობს გამოხატოს ის დიდი ბრძოლები, რაც თავს გადახდა ამ დიდებულ ქალაქს. მაგრამ აღნიშნული ლექსი არაა დაზღვეული ნაცლისგანაც, მაგალითად, რითმია გულსათვის აეტორი არასწორ გამოთქმას ჰმარობს: „ტრიალსა მინდვრად“ ამავე ლექსში შევხვდებით აგრეთვე ასეთ შედარებას: „ადანა მხედრობა ბონაპარტისა, როგორც გვიანი თოვლი მარტისა“.

ომის გამაღებელთა წინააღმდეგ მიმართულია ლექსი „ჩერჩილის ყაზალები“. პოეტი შეკრად ამბავს იმპერიალისტურ ბანაქის მესვეურთ, რომელთაც ისევე „ვარკვეა, ქაოსი მონატრებიათ“. ლექსის ფინალში პოეტი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ მალე დადგება მათი „დაღუპვის ეამი“, რადგან მშვიდობის მომხრე ხალხების მრისხანება უეჭველად მათს გარდევალ დამოზღას მოასწავებს.

კრებულის განყოფილება — „საქართველოს გული“ მიძღვნილია აყვავებული საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ — თბილისისადმი. დღითიდღე ლამაზდება და მშენიერდება თბილისი — საქართველოს გული, „ქართულ ქაქალთა დედა“. ზოგიერთ ლექსში პოეტი მოგვათბობს იმ დიდ მშენებლობაზე, რომელიც გაცხოველებით მიმდინარეობს ქალაქის ქ ჩუხის გაფართოებისა და გამწვანებისათვის. ასეთი ლექსებია „მელიქიშვილის ქუჩაზე“, „ახალი სახლი“, „სიმღერა თბილისზე“, „მთაწმინდის დიდება“ და „პუშკინის ბაღში“. პოეტი უმღერის აგრეთვე მტკვარს, რომელიც „ქალაქებს აბრწყინვალებს, არ ისვენებს წამით, დღისით ქარხნებს აგუგუნებს, ჩვენ გვიანთებს ღამით“.

„მთაწმინდის ყვავილებში“ მოთაქვებულ პოეტურ ნაწარმოებთაგან მხატვრულად კარგად არის გაანერგული ლექსი „რუსთაველის ლურჯი“. მხატვრული სახეებითა და ძლიერი

ემოციურ-ესთეტიკური შემოქმედებით ყურადღებას იპყრობს „დაკარგული ლექსი“, რომელიც ეძღვნება დიდი ქართული პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათელ ხსოვნას. უსათუოდ მოხდენილი პოეტური გამოთქმა: „ბარათაშვილის დიდი გულიდან ამოფრენილ პატარა ლექსი“. ორი ლექსი „როცა კითხვობ პეშეის“ და „ალექსანდრე პეშეის“ მიძღვნილია რუსული ლიტერატურის დიდი კლასიკოსისადმი. პეშეინი, რომელიც თავისუფლებას უმღეროდა თვითმპყრობელური რუსეთის დროს, დღეს თავისუფალი მშრომელი ხალხის ერთერთი საყვარელი პოეტია: „პეშეინი ხალხის შეილია, ადიდებს ჩვენი დროება“.

ზემოთ აღენიშნეთ, რომ ავტორი ზოგიერთ თავის ლექსში პოეტური ექსპრესითა და ოპტიმისტური განწყობილებით გვისახავს შრომის ფრონტზე ადამიანთა მიღწევებსა და გამარჯვებებს. მაგრამ, ასეთი აზრი არ შეიძლება გამოითქვას ყველა ლექსზე. პოეტი ზოგჯერ მეტისმეტად ვატაცებულია ელმის ფორმალური მხარით, რაც ლექსის შინაარსს კონკრეტულობას უკარგავს. მაგალითად, ლექსში „ენახე კახეთი“, ასეთი ადგილია:

„ენახე წინანდლის ვახუბი, ფიქრით
ათასჯერ მენახე
ლაშაო, ნუ ინახები, შენაფეთ ჩაშველი
ვენახმა“.

ანალოგიურ მაგალითების მოყვანა შეიძლება ლექსებიდან: „ალხნის ბაღი“, „გულის ძახილი“, „ლაშკის ცრემლები“ და „ბორჯომის ზეობა“, რომელთა სტრიქონებიც ზოგჯერ ერთმანეთთან არ არიან ორგანულად, აზრობრივად დაკავშირებულნი. ლექსს „ენახე კახეთი“ პოეტი ასე იწყებს: „ენახე ახალი ახმეტა, რთველის დღეებში მატანი“ — ეს გამართული სტრიქონია, მაგრამ აზრობრივად რა კავშირი უნდა ჰქონდეს მასთან მეორე სტრიქონს: „ლექსმა სიტყვები ახეტა, გულიდან ამონატანი“.

ზოგიერთ ლექსში ვხვდებით ასეთ შეუსაბამო და ბუნდოვან გამოთქმებს: „ცოფით ამტყდარი“, „ტრიალსა მინდვრად“, „მზემან ინათი“ და სხვ.

სარეცენზიო კრებული, რომელსაც თემატიკური აქტუალობა და შინაგანმშობიება ახასიათებს, პოეტ ვ. ყურულუს შემოქმედებათს ზრდასა და წინსვლას მოწმობს.

ნიმონ ანკვლაძე

თედო სახოკიას „მოგზაურობანი“



სახელგამა გამოსცა ჩვენი მსოფლიო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას ნარკვევების წიგნი „მოგზაურობანი“. კრებულში აღწერილია ავტორის მოგზაურობა გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოში, აფხაზეთში და შეიცავს შინაგანფიქროვანსა და დიდძალ მასალას.

1895—99 წლებში ახალგაზრდა თედო სახოკიას, ქართული პერიოდული პრესის დედადებით, შემოუღვლია დასაფლავი საქართველოს სანაპირო მხარეები და იუწყებია ისინი. ნარკვევები თავის დროზე იყო გამოქვეყნებული „მგზავის წერილებისა“ და „შენიშვნების“ სახელწოდებით. მაგალითად: „სამურზაყანო“ გამოქვეყნდა ფურნალ „მოამბის“ 1896 წლის № 12 და 1897 წლის № 1 და № 6-ში; „გურია“ — „მოამბის“ 1897 წლის № 11, 12 და 1898 წლის № 1, 2, 4 და 6-ში; „აჭარა“ — იმავე „მოამბის“ 1898 წლის № 4, 10, 1900 წლის № 1, 3, 5, 7, 8, 9 და 10-ში; „აფხაზეთი“ — ვახეთ „ენობის ფურცლის“ 1903 წლის № 2309, 2343, 2349, 2356, 2367 და 1904 წ.

№ 2386 და 2454-ში. ამგვარად, მოგზაურობის ეს აღწერა ნახევარი საუკუნის წინანდელ პერიოდს ეკუთვნის.

ავტორი არ არის ეთნოგრაფიული და ფოლკლორიული მასალის უბრალო შემკრები, ან რომელიმე ძველი რიტუალის, რელიგიური რწმენის, ხალხის ზნე-ჩვეულების, სამეურნეო წესობის, არსებული ყოფი-ცხოვრებისა და გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობის აღმწერი. ავტორი მოვლენათა ერთგვარი გაანალიზებით სთაანადო დასკვნების გამოყვანას ახერხებს და პეზლიცისტ რა ხასიათის სტრიქონებით რაღაც ახალსაც გვაუწყებს.

შესაძლებელია, თანამედროვე მკითხველი დღევანდელი თვალსაზრისით ბევრ ვაუმართავ მოსაზრებებსაც წააწყდეს ავტორის მიერ ამა თუ იმ დებულების ან აზრის ფორმულირებისას, მაგრამ მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ მოგზაურობასა და ჩვენს ეპოქას შორის ნახევარ საუკუნეზე მეტმა ქართველიანმა პერიოდმა განვლო. გარდა ამისა, როცა

ეს შენიშვნები იწერებოდა, გურიას, აფხაზეთ-სამურხაისისა და საერთოდ ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ მოშუშებული ის ღრმა ჭრილობანი, რომლებიც მას ბატონყმურმა ურთიერთობამ დაუტოვა. ეს ნარკვევები იწერებოდა იმ ხანებში, როცა აჭარა ახლად თავდაღწეული იყო თურქთა სასუსუქოვანი მონობისაგან და გაძარცვულ—ააქაღუტყავებული ფეხბარა ხალხი ჯერ კიდევ ვერ დამდგარიყო ფეხზე ჯეროვნად; ან კიდევ, როცა გაჩანგებულ აფხაზეთს უცხოელი კოლონიზატორები საბოლოოდ უპირებდნენ მონელებას. ზოლო თავადანურთა, სამკლდე-ლოების და მეფის მოხელეთა მიერ განკეთ-ხვად დაბევრილი და გაძარცვული მშრომელი გლეხობა უვაცობისა და სიბნელის შორევი ძირებოდა.

ავტორი მოგზაურობათა ამ კრებულში თავისი დროის მიუდგომელი მემარტანაჲ, შავრამ არა ძველ მემარტანეთა მსგავსი, არამედ ხალხის ყოფაცხოვრებით და ხაქიათით დინიტრესებული. ფაქტოლოგიამი, როგორც აღუნიშნეთ, ავტორი ზუსტია მას სერის მოახერხის მომენტის ყოველ დეტალს აღწესებუა. თუ კი ის რამე დამახასიათებელს შეიცავს.

გურიის, აჭარის, აფხაზეთისა და სამურხა-ყანოს ყოფაცხოვრება დიდი გოლისხმოვრ-ებითა და დაცვირებით არის აღწერილი. ავტორს იგი თავებად, თესისებად და საკითხუ-დაც კი დაუყვია, რომ მკითხველი უფრო ადე-ვილად ჩაწვიდეს აღწერილობის შინაარსს და წინასწარი ცნობებიც კი მიიღოს, თუ რა უშთაერეს საკითხებს ეხება იგი ამა თუ იმ მხარის აღწერის დროს.

გურიაში მოგზაურობის აღწესების დაწყე-ბისთანავე ავტორს მოზერხებული თხრობით შეჰყავს მკითხველს მხარის იმდროინდელ ვი-თარებაში, აცნობს მის როგორც წარსულს, ისე აწყოს, ბუნებას, გეოგრაფიულ მდებარეობას, კლიმატურ პირობებს და, ზოლოს, მხარის მთელ ცხოვრებასაც. აქ კი მისთვის უშთაერესი საკითხებია: ხალხი, მისი ზნე-ჩვეუ-ლება, ყოფაცხოვრება, განათლება, რელიგო-ური ცრურწმენანი, ჯანმრთელობა, სოფლუბასა და ქალაქების აღწერა, ზოგი მათგანის სახელ-წოდების ეტიმოლოგიის განმარტება; მავალი-თად, ოზურავით, გურია და სხვ., რომელთა სახელწოდების წარმოშობის ავტორისეული ახსნა, შესაძლებელია, სწორი არ იყოს, მაგრამ ამ მხრივ წიგნში დაკრთილი მასალა ანგარიშ-გასაწივი და საჭიროა ამ დარგის მკვლევარ-თათვის.

შემდეგ, ავტორი დაწერილობით აღწერს გუ-რიის მეურნეობის ძირითად სახეებს, მასის პრიმიტიულობასა და ჩამორჩენილობას, აღ-

გენს სტატისტიკას, თუ რის პატრონი იყო მა-შინ გურია და რის პატრონი შეიქმნებოდა ჩვენს მომავალში, თუ მისი სოფლუბა-მკვლევრების რეკონსტრუქცია მოხდება, როცა მშრომელები ახალ ტექნიკას აითვისებენ და განათლებას მიიღებენ. ავტორი სიხარულით აღნიშნავს იმ ნიშნებს, რაც საქართველოს სხვა კუთხებზე უმალ გურიას დაანდა, სწრაფვას განათლები-საკენ; სახალხო სკოლები იქ უფრო ხშირად გვხვდებოდა და სოფლის სამკითხველოებიც პირველად იქ გაჩნდნენ.

აჭარაში, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახლობს ბუნების ყოველგვარ სისახტიკესთან მებრძოლი, მრავალჭირნასული, სიამეს დანტ-რულეებული ხალხი ქართველი ტომისა“.

აჭარა, მართალია, ტერიტორიულად მცირე, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სამხრეთ საქართველოს იმ მიწებისა, რომელთა საგრძ-ნობი ნაწილი დღესაც თურქეთის მიერაა მი-ტაციებული. რუსი ხალხის ძლევამოსილი იარა-ლის დამარებით 1878 წელს აჭარა კვლავ შე-მოუერთდა საქართველოს.

წიგნში ვრცლად არის გადმოცემული ამ ისტორიული მოვლენის გამო 1878 წელს თბი-ლისში აჭარის დეუტაციის პატივსაცემად გა-მართული საზეიმო ბანკეტი, სადაც ესწრებოდ-ნენ დ. უფთანი, გრ. ორბელიანი, კ. მამაცა-შვილი, ისე ანდრონიკაშვილი, დ. ჯორჯაძე, დ. ფურცელაძე და სხვ. ილია ჭავჭავაძე მაშინ საქართველოში არ იმყოფებოდა. აღნიშნულ ზეიმზე მსოფიანი პოეტი და სახელოვანი სა-რდალი გრიგოლ ორბელიანი ამბობდა: „ერთი დედის შვილი, შავის ბედის გამო განშორ-ბულნი; დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგო-ლი, შეხედნენ. ერთმანეთს, იცნენ ერთმანეთი და გადახევიდნენ გულითადის სიყვარულით...“, ზოლო აკაცო წერეთლის აღფრთოვანებას სახ-ლეთი არა ჰქონდა. დიდი პოეტი თავის აღტ-ციებულ სიტყვაში აღნიშნავდა იმ ვარემოებას, რომ „აღღვანდელი ღზინი სხვაგვარია, შიხ-რულობა უნაკლო და სიხარული უღრუბლო.. იმის მიზნუია დროთა ვითარებისაგან დაშორ-ბული ჩვენი მომშებების, რომელთა წარმოდ-გენლობიც აქ ბრძანდებანი დღეს, ხელახლად ჩვენიან შემოერთება...“

მოგზაურობის ავტორს აჭარის წარსულსა-კენ ექსპორსების დროს არ გამოჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რითაც კი შე-საძლებელი იყო მტკიცე ხილის გადება ქარ-ველის მიერ თურქთა მტარაგლობისაგან ახლად განათავისუფლებულ მომშებთან.

ავტორი ცდ-ლობს წარმოთოინოს მკითხ-ველს ამ მხარის ისტორიული მომობილეა, პო-ლიტიკური მდგომარეობა, თურქების მიერ მი-ყენებულ ჭრილობათა სურათები და მათ

მკურნალობის საშუალებანი. მხარის ბუნება, გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, გზები, ხალხი, ქალის მდგომარეობა, ქართული ენის საკითხი, ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები, სოფლები, აკარის ადმინისტრაციული დანაწილება, მცხოვრებლები და შათი რიცხვი, სამართალი, ზნე-ჩვეულება, ეკონომიური მდგომარეობა, სწავლა-განათლება, ხალხის ჯანმრთელობა და მკურნალობა, გადმოცემები, ლეგენდები, თქმულებანი, ხალხური ლექსები, თამარ მეფის კულტი ხალხურ სიტყვიერებაში და სხვ.

ამგვარივე მეთოდითა და თანმიმდევრობით აღწერს ავტორი თავის მოგზაურობას აფხაზეთსა და სამურზაყანოში. ამ აღწერაში, რომელსაც ის „მგზაურის შენიშვნებს“ უწოდებს, იმ დროისათვის მრავალი საქართველოთა საკითხია აღძრული, რომელიც აფხაზეთისა და სამურზაყანოს მოსახლეობასთან ერთად თვით „მოგზაურობის“ ავტორსაც აღელვებდა. იგი მთელი თავისი შესაძლებლობით შრომელი მოსახლეობის მხარეზეა და არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ პერიოდულ პრესაში განგაშიც კი ატეხოს ზოგიერთი „წყველი“ საკითხის სასურველად მოვარების მიზნით. ავტორი არ ფრიდება არც ადმინისტრაციულ სასჯელს და ენერჯის მიერ შევიწროებას; ამ მხრივ მას საქმე გაბედულებაც ახლავს მას. მზის სინათლეზე გამოაქვს მეფის რევიმის დამქაშთა ბნელი ზრახვები და საქმიანობა.

აფხაზეთ - სამურზაყანოში მოგზაურობისას ავტორი სწორედ ამგვარი ბნელი ზრახვების მამოძღვებელიც არის. იგი აღწერს იმ დროის აფხაზეთში გაჩაღებულ კოლონიზაციას, აფხაზეთს განდევნას სამშობლოდან, აფხაზთა 1864 წლის აჯანყებას და მის წარმომშობ მიზეზებს; სამურზაყანო-აფხაზეთში ქართველთა დევნა-შევიწროებას, ხალხის ჩამორჩენილობას, სიღარიბეს, ზნე-ჩვეულებას და სხვ.

ავტორის გადმოცემით სამურზაყანოელი გლეხი ღარიბია, მაგრამ გულკეთილი, სტუმართმოყვარე და შესაძლებლობის ფარგლებში უხვი მასპინძელი. ამის მკვალითს იძლევა

წიგნი აღწერილი სამურზაყანოელი გლეხის — გუძას ოჯახი, ფაცხის მორთულტობა, ნასწინდო, ავლა-დიდება, იმისი დარღვივა, გარანტიებისა მისპინძლობა და, ბოლოს, ავტორი სვამს კითხვას — „როდის შეეცვლება სახე გუძას პირველყოფილ ბრძოლას ცხოვრებასთან?“

მთელ ამ აღწერილობაში ავტორი დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ოსტატია, რომელსაც პუბლიცისტური ენამახვილობაც ემარჯვება და ჟურნალისტურ სტილსაც საქმარასად ფლობს. ის აღქმსანდრე ორბელიანივით აღსწერს გუძას ოჯახის უოველ წერილმანს, ხასიათებსა და სულიერ განწყობილებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღ. ორბელიანი დიდი თავდადის, ფეოდალის ოჯახს აგვიწერს, ხოლო ჩვენი ავტორი — იმავე ფეოდალის ნყმევის, უღარიბესი გლეხის ოჯახს, რომელსაც დამოუკიდებელი ცხოვრება მოუპოვებია და ბედნიერებას განიცდის, რაკი არავის ყმად არ ეგულება თავისი თავი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს, იმ ხანებში ჯერ კიდევ ახალგაზრდას, კალამი საქმოდ დახვეწილი აქვს. მოგზაურობათა ამ აღწერალობას ინტერესით წაიკითხავს მკითხველი, ბევრ ახალ რამესაც გაიგებს ჩვენი ქვეყნის ამ აღწერილი მნიშვნელოვან მხარეთა შესახებ. იმავე დროს ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივაც, თუ რა დიდი ცვლილება განიცადა ჩვენმა სამშობლომ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე; რა იყო იმ დროს, როცა ავტორი მოგზაურობდა, და რა არის ახლა, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

კრებულს ერთვის რედაქტორის გ. ჩიტაას წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედ გაშუქებულია თ. სახოკიას მოღვაწეობა და სარეცენზო წიგნის მნიშვნელობა.

სასურველი იქნებოდა წიგნს დართოდა გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა სძიებელთა, რაც ამგვარი გამოცემისთვის უთუოდ საჭიროა.

სოლომონ ცაიშვილი

ქუჩნაღ „მნათობის“ 1950 წლის ნომრების შინაარსი



დოკუმენტები

ამხანაღ ლ. პ. ბერიას სიტყვა თბილისის სტალინის საარჩევნო ოღქის ამომრჩეველთა წინა-საარჩევნო კრებაზე 1950 წლის 9 მარტს, № 3.

ლიტერატურული კრატკის გაუზამსების წინააღმდეგ, („პრაედის“ 30 მარტის წერილი), № 4.
ქართული ხალიტერატურო ენის დამაზინჯებხს წინააღმდეგ ცაზეთ „კომუნისტის“ 28 მაისის წერილი), № 6.

რომანები, მოთხრობები, პიესები, ნარკვევები, მოგონებები

- აბაშიძე ნინო — შვექალა, მოთხრობა, № 2.
აღამია აღიო — ზემადალის ვაზი, ნაწყვეტი მოთხრობიდან, № 8.
აჟალანი ლადო — იქედი, მოთხრობა, № 8.
ბაქურაძე მარიაში — სიხარული, მოთხრობა, № 7.
ბაქრაძე დავითი — გმირთა სისხლით, ნარკვევი, წიგნი მეორე, № 11,
ბარბიუსი ანრი — ცივილაზაციის შეტევა, მოთხრობა (თარგ. დ. ცაგარლისა), № 11.
ბელიაშვილი აკაკი — ოქროს ჩარდახი, რომანი, № 3, 5.
ბუჩიძე ვერა — შეილები, მოთხრობა, № 10,
გამსახურდა კონსტანტინე — დავით აღმაშენებელი, ტრალოგია, კარი შესამე. ვაგრძელდება.
№ 2, 4.
გარიული მარიაში — ძველი და ახალი ქიათურა, № 7.
გოგიავა კლიმენტი — არჩილ ნატროშვილი, ნარკვევი, № 3.
გოგინაიშვილი ვივი — ორი მოთხრობა, № 12.
გოგოჭური დავითი — თეთრი ქული, მოთხრობა, № 7.
დგებუაძე ორდე — დიდ გზაზე, მოთხრობა, № 9, 11, 12.
ვაზოვი ფვანე — ბულგარული ქალი, მოთხრობა, თარგ. ოთარ გვინშიძისა, № 9.
თავაძე სილოშონი — ფოლადი, რომანი, № 6, 7.
თათარიშვილი ბენო — ხუიუნელი გმირი, ნარკვევი, № 10.
იანქოშვილი შერი — ბედნიერება, მოთხრობა, № 12.
კახაკვიანი ემ. — ვარსკვლავი, მოთხრობა, თარგ. ქეთო აღამაისი, № 1, 2.
კახაჩენკო ვახლი — ახალი ნიაღვარი, მოთხრობა, თარგ. რეიდენ გვეტაძისა, № 9, 11.
კლდიაშვილი სერგო — გაზაფხული ზღვისპირის ქალაქში, მოთხრობა, № 2, რთველი.
მოთხრობა, № 3, 4, 5, 8.
ლისაშვილი აკინთე — ერთგულება, რომანი, № 10, 11, 12.
ლორთქიფანიძე კონსტანტინე — მისის დილა, მოთხრობა, № 11.
მთვარაძე სიმონი — ჩაზლილი ქორწილი, მოთხრობა, № 8, 9, 10.
მოსაშვილი ილო — მისი ვარსკვლავი, პიესა, № 10.
ფანტი მოუვარდი — თავისუფლების გზა, რომანი, ვაგრძელდება, თარგ. ვივი ფვანიისი, № 2, 3, 4, 5.
ქორქია როდინი — შალვა კობრეიძე, ნარკვევი, № 3.
ქუთათელი აღექსანდრე — პირისპირ, რომანი, № 11, 12.
შენგელი შალვა — ენგურის ქალაღდი, ნარკვევი, № 7.
შირვანაღე — არტისტი, მოთხრობა, თარგმანი არტ. დავითიანისა, № 6.



- ჩეხოვი ანტონი — ორი მოთხრობა, თარგ. პ. წერეთლისა, № 8.
 ჩიჯავაძე ოთარი — ორი მოთხრობა, № 5.
 ჭეიშვილი ალექსანდრე — ლულო, რომანი, იდელები მეორე წიგნიდან, № 1.

კონკრეტული და ლექსები

- ამხელაშვილი შალვა — ყარაყუმის ცისკარი, № 12.
 არაბული ირაკლი — შვიდობას ვიცავთ, № 11.
 ასაგვი რევაზი — შემოდგომა კახეთში, თარგ. ე. გორგაძისა, № 6.
 ახლელიანი სილოვანი — ნათარ ფარაჯას, № 2.
 ბარათაშვილი მარიამი — ოცნება ბელადზე, № 2.
 გეწამე აკაკი — ორი ლექსი, № 2; ლექსები შვიდობაზე, № 12.
 გორგანელი ვახტანგი — ლენინი, № 1; შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან, № 3; შვიდობა, № 7.
 გორგაძე ვასო — ასე მღერის მერბეული, № 3.
 გურეშიძე ნოდარი — გაზაფხული იმერეთში, № 5.
 ეული-ქურაძე სანდრო — ახალი ლექსები, № 10; საოქტომბრო, № 11.
 ვარდოშვილი ხარიტონი — ეგნატე ნინოშვილი, № 1; ახალი ლექსები, № 11.
 წარბანი ნაირი — სიტყვა მეგობრობაზე, თარგ. ირ. აბაშიძისა, № 11.
 თარბა ივანე — ლექსები, თარგ. გრ. აბაშიძისა და ე. ჭიჭინაძისა, № 6.
 იმედაძე გრიგოლი — შეხვედრა დნებრთან, № 2; ხმას ვაძლეე, № 12.
 კალანდაძე ანა — ორი ლექსი, № 5; დავისუფალ ჰიქმეთს, № 12.
 კახიძე მემდა — ჩონგური, № 12.
 კეწელიძე ბონდო — მოგონება, № 1.
 ლებანიძე მურმანი — რაქველები ოქტომბრში, № 11.
 ლუკონიძე მ. — სამარადისოდ მესომება მე ეს დღეები, თარგ. ე. ბაიბისა, № 12.
 მთაკოვსკი ვლადიმერი — ვლადიმერ ილიასძე ლენინი, ნაწყვეტი პოეზიიდან, თარგ. ირ. აბაშიძისა და კონსტ. ლორთქიფანიძისა, № 4.
 მარგინი რევაზი — ურმოზიდან მიყვარს, № 1.
 მთეროვი ა. — გორელები უსმენენ მოსკოვს, თარგ. ე. ბაიბისა, № 12.
 მიტლანი ჯონ — დაქარგული სამოთხე, ნაწყვეტი პირველი წიგნიდან, თარგ. ე. ჭელიძისა, № 10.
 მიქაშაიძე შოთა — სტუმრები საქართველოში, № 2.
 მიცუციანი ადამი — კონრად ვალენროდი, ისტორიული მოთხრობა, დასასრული, თარგ. ე. კალაძისა, № 1.
 მოსაშვილი ილო — რა დაბრის ქვეყნად შვიდობის დროშას, № 8.
 მრეწელიშვილი ლადო — ცხენთაშეხდენელი, № 10.
 მრეწვეტი ვედი — გორის ფოთოლი, თარგ. ე. ბაიბისა, № 12.
 ძლიჯი ილია — ახალი სოფელი, თარგ. გრ. ცეცხლაძისა, № 6.
 პუშკინი ალ. — რუსლან და ლილდმილა, პოემა, თარგ. ე. ჭიჭინაძისა, № 12.
 რაზმაძე ოთარი — ის შენზე აღრე ამდგარა, № 12.
 სამხარაძე გიორგი — ლექსები, № 5.
 სანიკიძე მიხეილა — რეპორთული მოლდავეთში, № 2.
 ხეშანიანი — სავეერელი სახელი, თარგ. ხ. ვარდოშვილისა, № 7.
 ტბინოვი ნიკოლოზი — ციკლიდან „საქართველოს გაზაფხული“, თარგ. ნ. ნადირაძისა, № 11.
 ტოკონიძე შალვა — ჩემი თბილისი, № 2.
 ტორნიხიძე შალვა — სამი ლექსი, № 1; სამი ლექსი, № 7.
 ქვლივიძე მიხეილა — კახეთი, № 12.
 შველაშვილი შალვა — ყანასა მკიან ბიჭები, № 7.
 შექხინი უილიამი — სონეტები, თარგ. გ. ვაჩეჩილაძისა, № 7.
 შუბლაძე ვერა — ლენინი, № 1.
 ჩაჩავა ნიკოლოზი — ბუღაღის წიგნი, № 1.
 ჩიჭოვანი სიმონი — წიგნიდან: ქართლის გზებზე, № 6.
 ჭელიძე ოთარი — მარმარილოს ჯარისკაცი, პოემა, № 1; სამი ლექსი, № 5; ლექსები დედულუთზე, № 9.
 ხაღეში ხეშიდი — ყარაყუმი, № 10.



ხუთაშვილი ვაჟა — სტუდენტის დაბრუნება, № 10.

ჩიქვითი ნახში — თხზი ლექსი, თარგ. ვახტ. კვეციანისა, № 8.

პრიტიკა, ლიტერატურის ისტორია, ხელოვნება,
მეცნიერება, კულტურის ისტორია

აბშილაძე ხერკო — ი. მ. ხუნდუცის კლასიკური ნაშრომი „თავის ტვინის რეფლექსები, № 9.

ახავეი რევაზი — სამხრეთ ოსეთის საბჭოთა ლიტერატურა, № 6.

ასათიანი ლევანი — საქართველო ვლ. შაიკოვსკის შემოქმედებაში, № 5.

აფხაძე შალვა — სიმონ ჩიქვანი, № 3.

აქბარდია კ. — ქვეშაობების ბუნების გავების საკითხისათვის, № 11.

ბანძელაძე გელა, — ი. ბ. სტალინის შრომების შესახებ ენათმეცნიერების საკითხებზე, 10.

ბახტურიძე პეტრე — სახელოვანი თარიღი, № 11.

ბრეგაძე ვრ. — ლენინაშვი გენიათებს კომუნისტის ვხას, № 4.

ვალიაძე ი. — ამერიკის იმპერიალისტები და „მარშალიზებული“ თურქეთი, № 1; რეაქციის

უღელქვეშე, № 2; ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები ირანში, № 6.

გვარამაძე ლილი — ქართული საცეკვაო ხელოვნების განვითარებისათვის, № 5.

გვრიტიშვილი დ. — ერთი ფურცელი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობიდან, № 11.

გორგოლაძე ლეო — გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობისათვის, № 3; ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორია, № 8.

გორდენიანი ბენო — პირველი ქართული სტამბა და მისი მემორიალი, № 1.

დუღლაძე მამია — ახალი ქართული ხელოვნება, № 2, 9.

ჯეღანიძე ელიზბარი — დავით ბაქრაძე, № 3.

თოფურია აკაკი — ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი, № 11.

იანქოშვილი მერი — თანამედროვე ინგლისური პოეზია, № 5.

ინაღლა შალვა — აფხაზი პოეტი ივანე თარბა, № 6.

ინგოროვა პაველ — გიორგი მერხველი, გაგრძელება, № 1, 2, 3, 4, 7, 8, 12.

კალანდაძე ლავროსი — ქუდაისის თეატრის უკანასკნელი დაღმებები, № 5.

მაკავარიანი ვ. — ევტაკანი იმპერიალისტური რეაქციის სამსახურში, № 4. თანამედროვე სოციალ-დემოკრატების იდეოლოგია, № 10.

ყვანია ვ. — ი. ბ. სტალინი ამიერკავკასიის ხალხთა შვეობობის ორგანიზატორი, № 9.

ელენტი ხერკი — ნიკო მარია და საბჭოთა ენათმეცნიერება, № 2.

რადიანი შალვა — გიორგი ლომიძე, № 4.

ფანჭულაძე დავითი — ვლ. შაიკოვსკი და სახელმწიფო პრეტორული მწერლები; № 4; ონორე ბალხაჯი, № 9.

ყურაშვილი ვიორგი — ბერლინის დაცემა და საბჭოთა კავშირის გამარჯვება დიდ სამამულო ომში, № 5.

ფაღავა აკაკი — ლადო მესხიშვილი, № 12.

შენჭელაია დემნა — გიორგი წერეთელი, № 2.

ჩხეიძე ოთარი — მშვიდობის საქმე უძლეველია, № 11.

ჭიაურელი ვლ. — სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ყრილობა, № 12.

ჭილაია ხერკი — ენაზე ნინოშვილი, № 1.

ქუშპურიძე ზურაბი — ქართული საბავშვო ლიტერატურა 1949 წელს, № 6.

ხინთიბაძე აკაკი — სამხრეთ საქართველო ქართულ საბჭოთა პოეზიაში, № 7.

ბიბლიოგრაფია

აფხაზიშვილი შალვა — ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. В. Беридзе, Архитектура Грузии, № 1.

ასათიანი ი. — ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსია დასავლეთ ევროპაში, № 6.

ასათიანი ლევანი — რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. I, № 1; პარტიანი, ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი, № 11.

არაბული ირაკლი, გოგოჭური დავითი — ივ. ხორნაული, „ფშავ-ხევისტურული პოეზია“, № 3.

არველაძე სიმონი — ნ. ჩაჩავა „სიცოცხლის ვეზიდან“, № 10; ე. თრქული, „ჩვენი გზადახული“, № 12.



- არველაძე სიმონი, არაბული ირაკლი, — ილო მოსაშვილი „ლექსები“, № 7.
 არველაძე სიმონ, კუპრავა ნოდარი, — შინდო კეშელავა, „ლექსები“, № 9.
 არტემიძე ვლ. — ილ. სიხარულიძე — შურთის სიმღერა, № 4; ან. ხახუტაშვილი „თომიკოს საიუქარი“, № 6; ა. თნელი „ჩიორას სიმღერა“, № 8; ვრ. აბაშიძე „ხუთი გმირი“, № 9.
 ირაკლი აბაშიძე „შევასწავლოთ ყოველი ფრინველი და ცხოველი“, № 12.
 ზახტორაძე პეტრე — პირველი სხივი, № 7.
 ბურთიკაშვილი ა. — მონოგრაფია დიდ ხელოვანზე, № 11.
 ზღაბა ხ. — მ. დელბა, „დ. გულია“, № 5.
 გოგიავა კლ. — მაქსიმ გორკი „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატნი“, № 4.
 გოგოლაძე ვ. — ხარკევი ალექსანდრე მაკედონელზე, № 7; წიგნი საბჭოთა პარტიოტიზმზე, № 11.
 გოგოპური ვ. — ფრიდრიხ შილერი „ტრაგედიები“, № 11.
 ერემოვი ვ. — ბ. ფურცხვანიძე „ადამიანის პატივის და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“, № 6.
 ვარდოსანიძე ვივი — ვ. შატერაშვილი და რ. მარგარიანე „ხორბალა“, № 12.
 თოფურია აკაკი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე „მწეანი ღილა“, № 6; ვ. ძიძიგური „ქართული ენის სწავლება დაწყებითი სკოლაში“, № 10.
 თურნავა ხ. — ვოლტერი „ქართულად“, № 3.
 იაშვილი ე. — ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, № 9.
 იოანიშვილი ვადერიან — ი. არჯევანიძე „Военно-грузинская дорсга“, № 8; მონოგრაფია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიაზე, № 11.
 კვეციანი ნიკ. — საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, № 8.
 კვკელაძე მიხეილ — გიორგი ლეონიძე „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ № 17, 18 ს. ტ. 1, № 1.
 კვლევურიძე ანტ — „ლიტერატურული აჭარა“, № 2.
 კობიძე დავითი — „ქილილა და დამანა“, № 2; ს. ყუბანეიშვილი „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია ტ. 2“, № 4.
 კუპრავა ნ. ნივარაძე ვ. — ით. ჩხეიძე „ხალხთა მშვიდობათვის ბრძოლის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“, № 8.
 ლომიძე ანდრო — იოსებ შვედლიშვილი „მონადირის დღიურიდან“, № 1.
 მაღალაშვილი ვ. — სერგო გერსამია — „ბათუმის თეატრი 70 წლის მანძილზე“, № 1.
 დავით სულიაშვილი „მოთხრობები“, № 6.
 მებუჯე ვ. — პლატონ ხუნდაძე „ქართული წიგნი 1821 — 1948 წ.წ.“ № 3.
 მესხია შოთა — დავით გერბიშვილი „ივანე ჯავახიშვილი“, № 8.
 შინდაძე ვი. — ნიკო კეცხოველი „ეველური ხილი“, № 11.
 შიქაძე ვივი — „შენიშვნები ერთი სახელმძღვანელოს შესახებ“, № 9.
 ნახიძე ა. — მ. ლებანიძე „ზაზა მესხი“, № 2; ალიო ადამია „მესხეთის ვახაფხული“, № 7.
 ნუცუბიძე შალვა — ვ. თავიშვილი „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801 — 1871)“, № 2.
 ხიფრაშვილი ვ. — ონიანი „ლენინი და სტალინი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ“, № 4.
 ჭობლავა ელ. — ალიო შირცხელავა „ახალი ლექსები“, № 9.
 ჭუთიაშვილი მ. — ნატო ვაჩნაძე „მოგონებანი და შეხვედრები“, № 11.
 შვანჯირაძე ნინო — შალვა აფხაიძე „აკაკი ხორავა“, № 10.
 ჩიქოვანი ვრ. — მამუკა მრეველიშვილი „ქართლის უბეში“, № 8.
 ჩხეიძე ნ. გურგენიძე ნ. — ზაქარია შერაზადიშვილი „ლექსები“, № 7.
 ჩხიკვაძე დ. — რჩეულა პიესები, № 5.
 ცაიშვილი ხ. — ილია ტაყაეძის წერილები, № 5; თ. საბოკია „მოგზაურობანი“, № 12.
 ტუშუბერიძე ზ. — ალ. ჭუბთაიელი „პირისპირი“, № 1; დ. შენგელაია „წითელი ყაყაჩი“, № 4; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, № 9.
 ზეთელი ვრ. — ზემიდ ზალდაში „დილა მშვიდობისი“, № 11; ლიტერატურული აჭარა, № 12.
 ხუციშვილი ს. — აკაკი წერეთელი „თხზულებანი“ ტ. მე-5, № 3.
 ჯინჭელაშვილი მ. — ზ. ორჯონიკიძე „ბოლშევიკის გზა“, № 8.



ალექსანდრე ჭუბთათელი — პირისპირ, რომანი, წიგნი მეოთხე, გაგრძელება 28

ლემსიზი ბორჯა: — მ. ლუკონინი — სამარადისოდ შეხსომება მე ეს დღეები 30

ა. მეციხოვე — გორელები უსვენენ მოსკოვს; ედი ოგნეცვეტი — გორის ფოთოლი, თარგმანი ვ. ბაიაძისა; ოთარ რაჭმაძე — ის შენზე იდრე ამდგარა 17—29

ბრინჯოლ იმედაძე — ხმას ვაძლევა, ლექსი 21

იაკინთა ლისაშვილი — ერთგულება, რომანი, გაგრძელება 22

შალვა ამისულაშვილი — ყარა-ყუმის ცისკარი, ლექსი 35

ანა კალანდაძე — თავისუფალ ჰემელს, ლექსი 37

ორღე დგბაშაძე — დიდ გზაზე, მოთხრობა 38

აკაკი ბაჭაძე — ლექსები მშვიდობაზე 51

მინხილ ძვლივიძე — კახეთი, ლექსი 52

მედაე კახიძე — ჩონგური, ლექსი 53

მარი იანკოშვილი — ბედნიერება, მოთხრობა 54

ბივი გოზიჩაიშვილი — ორი მოთხრობა 64

ალექსანდრე პუშკინი — რუსლანი და ლეუდმილა, პოემა, თარგმანი კონსტ. ჭიქინაძისა 72

მლ. შიარშილი — სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ურილობა, წერილი 85

აკაკი შალაშვა — ლადო შესხიშვილი, წერილი 95

ბავლე ინგოროშვა — გათრგი მერჩულე, წერილი, გაგრძელება 101

ბრ. ხეთელი — ლიტერატურული აჭარა, ბიბლიოგრაფია 150

ბივი მარდოსანიძე — გ. შატბერაშვილი, რ. მარგვიანი — „ხორბალა“, ბიბლიოგრაფია 153

სიმონ არველაძე — ე. ყურული — „ჩვენი გაზაფხული“, ბიბლიოგრაფია 155

სოლომონ ცანიშვილი — თედო სახოკია — „მოგზაურობანი“, ბიბლიოგრაფია 157

ყურნალ „მნათობის“ 1950 წლის ნომრების შინაარსი 160

• ხალი წიგნები ვარკეანის მე-3 გვ 86

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ძიანელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სერგი შილაია.



ხელმოწერილია დასაბუქდად 25/1-51 წ. ნაბუქ ფორმათა ჩაოდენობა 10%. ში 00512. შეკვ. № 1252. ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. № 3-23-42.